

კვირის პალიტრა



სვ

მე საქართველო
ვიყურებს ასლა...
და ქალიან მეზინია...

№30(59) 26/VII.-1/VIII.2001.
ფასი 60 თ.

1168
2001

„ჩაგმა
მამათიღმა
სოლ-ზვილი
დასოცა“

ხუთოსანი
ქართველი
კაზანოვა



საე იყო დაქარგული
ღეჳან
დაზანრიზვილი



რამდენს უხდინან
ბელესერიკილის
სუპერდამლაგებელ
მარხს



**ქართველი ვლადიატორის
იაპონური თავგადასავლები:**

**სომ გახსოვთ „ლივილის ბიჭები“? აჲ მთავარი ცურვა
არ არის, მთავარი მარიუათიაო! აი, ასე იყო
ჩემი საქმეს. ენა არ ვიცოდი, მაგრამ რაც
მჭირდებოდა, შესვლით ვაგებინებდი...**

შინაბუკები

- ელდოს „შვიდეული“ 3
- პაპანდოპულოს!

სახლიწოდებო კულტურაში

- ზურაბ შვანია კვინეძე 4
- შარს არ ამბობს

პირსონა

- ნანა იოსელიანი:
- „სვანი ტყუილად ხომ არ ვარ?! 6
- მტკიცედ ვღვაპარ და
- ღანეგებას არ ვაპირებ“

კონფლიქტი

- ორი იდეოლოგიის ზილილი 9
- თუ საზოგადოებისთვის თვალში
- ნახვის შეყრა?

სასარგებლო აზრები

- აფორიზმების ენციკლოპედია 11

ფსიქი

- ქრულ „ოგშიაკს“ ციხის 12
- აღმინისტრაციას იყენებს...

მსახიობი

- სუპერლაგაგაელი მარეხი 14
- ტელეკრანიდან – „კაი რა!“

ტესტი

- ერთგული მკითხველი 16

მონადირე

- „ღაპინახე, როგორ წამოივართა 17
- ბიურგა... გასროლა მოვასწარი
- და კისერში გავწყვიტე“

შაპონათ თქვენი სოცია

- ტესტი ერუდისიაზე 19

კრიმინალი

- ღათო არჩეაპის სხეულზე 20
- ექსპერტება 16 ზრილობა
- ღათვალეს
- „რისთვის ღაცონა ჩემმა 22
- მამამთილმა ცოლ-შვილი –
- ღვეღე ვერ გაგიბია“

აგლუ

- „მე ის ხუჭუთმიანი ღვეანიკო 24
- ღარ ვარ ღა ახლა
- გალიან მეშინია“

ანტიღარკანანი

- ინფორმაციულ-შეგნებებითი 26
- კოლაჟი გონა ღვალის
- უბის წიგნაკიდან

ნავილი აგაჟი

- შრიღლოსანი „კაგანოვა“ 26

ღალაპანი

- ქართული პანკრატიონის 28
- იავონური თავგალსავლები

ფსიქოლოგიური თაჟაჟი

- გესმით თუ არა მიმიკის ენა? 31

ზურაბ შვანია კვინეძე შარს არ ამბობს



ძველ დიპლომატიაში ძღვე-
ნი პოლიტიკურ ურთიერთობა-
თა მნიშვნელოვანი ნაწილი იყო.
სახუქრის გამორჩეულობა და
ღირებულება ზოგჯერ სახელმ-
წიფოთა შორის თმისა და ზავის
საკითხებსაც კი წყვეტღა ხოლმე.

4


სუპერღაღაგაგელი მარეხი ტელეკრანიდან

ახლა უკვე ისე ავითვისე ეს ფრა-
ზა, ვეღარც ვაფიქსირებ, როგორ
წარმოვთქვამ. „კაი რა“-ს ჟურ-
ნალისტები ჩემს სავიზიტო ბა-
რათს ეძახიან. ქუჩაში ხალხი
მარიანას ნაცვღად, „კაი რა“ მო-
ღისო, ამბობს.



14

რა მოსღა ოთიაუბიღების ოჯახში?



ჩემს მამამთილს მკვლელო-
ბა წინასწარ ჰქონღა განზრა-
ხული. მაშ, რისთვის ამოთხარა
იარაღი, როგორც თვითონ ამ-
ბობს, მკვლელობამღე სამი ღღით
აღრე?

22

სვანი ტყუილად ხომ არ ვარ?! მტკიცედ ღღაგებ და ღანეგებას არ ვაპირებ

მშობლებს განვეუცხადე, ჭაღრა-
კზე სიარულს ვიწყებ-მეთქი. ღღ-
მამამ სასტიკი უარი მითხრა, იმ სი-
შორეზე ვინ უნღა გაგაროსო? ბო-
ლოს, მშობლებმა უფროს ძმას ჩაა-
ბარეს ჩემი თავი. ზურას სხვა გზა
არ ჰქონღა – მიმყებოღა, მერე
ღღი კაცივით ჩამჭიღებღა ხელს
და ვბრუნებოღით.



6

საყარო	
ტერფების საიდუმლოებაანი	32
წინდაწვი	
წმინდა იოთამ გელგენიკე – გევისა და ერისათვის თავდადებული	34
ისტორია	
აუსაგეთის 1918 წლის „ბოლშევიკური“ აჯანყება	35
ტანდაწმია	
მოინანიეთ და ქალწულობა „ღაბიბრუნდებათ“	38
მოგზაურის დღიურები	
ირანში ჯერ 7 ცოლი შევიძინე, მერე კი უნდოდაკეების შთამომავალს გადავეყარე	39
გოგონდი	42
პარსკვლავი	
თავისუფალი და საბედისწერო ქულიტ ბინოში	43
რომანი	
ნიკო აშკარელი. ბედისწერა (ბაბრეკელება)	46
ესკიზები	
მწარედ ამოიხვეწევადა, ბატკასუნებით გაიხროგება მუღამ მოღუნულ ხერხემალს და ისევ შეუღებოდა შრომას...	50
ავტო	52
ჰანერტელოა	
● სალ ღავისვენოთ?	54
● ეგვოტიკა	55
● კითხვა-პასუხი	56
● თქვენი პატარა	56
● ღიასახლისის კუთხე	57
● თქვენს ბასინჯათ	57
აღმთანი-ღვეწა	
გენერალისიგუსი იანდის ნაპირებიდან	58
საწვოკი	61
ჰოროსკოვი	
ჰვირის (30 ივლისი-5 აგვისტო) ასტროლოგიური პროგნოზი	62
ტანტი	
შეგიძლიათ თუ არა იყოთ უფრო მომხიბლავი?	63
კალიფოსკოვი	
ჩრედ-ჩრელი ამბებში	64

გარეკანზე: გიორგი შოროლონიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამომდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით გავით „ჰვირის კალიტრის“ დამატება ჟურნალი ზემოქანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
 რედაქტორი: გონა ტყეშელაშვილი
 მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი

მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
 ჟურნალი იბეჭდება გამოცემლობა „კოლორში“

მოინანიეთ და ქალწულობა „ღაბიბრუნდებათ“




ამერიკელ მოზარდებში სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს... უმწიკვლობა. კოლუმბიის უნივერსიტეტის მონაცემებით, ბოლო 8 წლის მანძილზე, კანონიერ ქორწინებამდე უბიწოების შენახვის ფიცი 2,5 მლნ ამერიკელმა ქალიშვილმა და ყმაწვილმა დალო.

38

ტერფების საიდუმლოებაანი

ქალის ასაკის გამოცნობა შეიძლება – ამისათვის მის ფეხებზე დახედვა საკმარისი. გერფის, ქუსლის ფორმა და თითების სიგრძე, არა მარგო ადამიანის ასაკსა და სისუფთავისადმი დამოკიდებულებას გამცნობთ, არამედ მისი ხასიათის მიმალულ კუთხე-კუნჭულშიც კი ჩავახედებთ.



32

ირანში ჯერ 7 ცოლი შევიძინე, მერე კი უნდოდაკეების შთამომავალს გადავეყარე



ჩემი ცხოვრება თეირანში კარდინალურად შეიცვალა: „ქვეყანას“ მუსულმან ქართველად მოვევლინე, რომელმაც წარმატებას მიღწია ბიზნესში და შვიდ ცოლთან ერთად ჩამოვიდა, რომ საქმიან კონგრაქტებზე მოეწერა ხელი.

39

ბერისწერა

გიგია წამოდგა. მუსლები ეკვეთებოდა. მის წინაშე ნინო იღგა და მთელი განით თრთოდა. გიგია მხრებზე ხელები მოჰხვია და მკერდში ჩაიკრა.

– ნინიკო, როგორ მომაგენი?
 – ვიცოდი, აქ უნდა მეძებნე.



46

ელოდოს „შვიდეული“ პაპანდოპულოსი..



დიდი ამბები დატრიალდა გასულ კვირაში გენუაში. გენუა ქალაქია იტალიაში, იტალია სახელმწიფოა ევროპაში, ხოლო ევროპა ის კონტინენტი, რომელსაც სხვა კონტინენტებისგან განსხვავებული ერთი თვისება ააღმოაჩნდა – წლიდან წლამდე „იზრდება“ და თუ ნახევარი საუკუნის წინ ნებისმიერ გეოგრაფს სასაცილოდ არ ეყოფოდა, დღეს ზოგიერთ ქვეყანას და მათ შორის – საქართველოს, სერიოზულად „პოვნი“, რომ ევროპის ნაწილია!

თუმცა, ამჯერად, ამაზე არ ვაპირებ ლაპარაკს – თქვენი ყურადღება იტალიის ერთ-ერთ „წყალ-ქალაქში“ გამართულ უდიდეს პოლიტიკურ შეხვედრას მინდა მივაპყრო: იქ მსოფლიოს რვა მოწინავე ქვეყნის პირველი პირი შეიკრიბა და პლანეტის მომავალზე იმსჯელა. სანამ მთავარ სათქმელზე გადავალთ, ბარემ ისიც ვთქვათ – სად „მოწინავე ქვეყნები“ და სად რუსეთი, მით უმეტეს, რომ ყოველთვის „დიდი შეიდეული“ არსებობდა და არა „დიდი რვაეული“, მაგრამ „მეცამეტე გოჭისა“ არ იყოს, „მერვე ქვეყანა“ მანაც აღმოჩნდა გენუაში. ალბათ, ხელი რომ არ შეეშალა დანარჩენებისთვის, ამიტომ მიიწვიეს.

კი მაგრამ, საქართველო რაღა შუაშიაო – იკითხავთ და შეცდებით კიდევ: გენუის სამიტზე ერთ-ერთი მთავარი საკითხი იმ სახელმწიფოთა ნუსხის დადგენა იყო, რომლებიც ოფიციალურად უნდა ცნონ გადახდისუნარიოდ და აქედან გამომდინარე, ყველა გრანტი, კრედიტი და ბეგარა ეპატიებათ და ხსხვივით შერჩებათ.

ახლა ხომ ხვდებით, რომ გენუაში სწორედ საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი საკითხები წყდებოდა.

დიდი სირბილი და გნაისი ატყდა ჩვენში: ე, ბიჭო, გვეშველაო – გაიხარეს „გრანტიჭამიებმა“ და ვარდისფერი მომავალიც დახატეს ოცნებებში. რწყილი და ჭიანჭველასი არ იყოს: ამერიკა ვალს აპატიებს საქართველოს, საქართველო თავის ფინანსთა სამინისტროს დაავალებს ყველაფრის თავიდან დათვლას, კონტროლის პალატა „დაეხსნება მუხასა“, შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურს „მივცემ რკოს“, ანტიკორუფციულ სამსახურს – „ჯაგარს“, ჰოდა, ჩამოვხსნი ჩემთვის დაგრეხილ „თოქსა-ბაწარსა“, თავის ჩამოსახრჩობად რომ მქონდა გამზადებული და, რომლის ყოველგვარი საჭიროება მოისპობოდა.

მთავრობამ და პარლამენტმაც გაიხარა – ფინანსთა მინისტრი აღტაცებისაგან ბავშვივით ჭყლოპინებდა და უკვე ოცნებებში ხედავდა, როგორ სცემდნენ თავყანს მაღლიერი პენსიონერები, რომლებსაც ოთხი წლის

დავალიანებას ერთად უხდიდა. პარლამენტის ეკონომიკური კომიტეტების თავმჯდომარეები უკვე ულოცავდნენ თავიანთ კოლეგებს „ძველი დროის გამეორებას“ – ჩამორთმეული პერსონალური მანქანებისა და სხვა პრივილეგიების დაბრუნებას.

ევროსაბჭოში საქართველოს წარმომადგენელმა წერილი აფრინა გენუაში: აბა, თქვენ იცით! ჩვენნაირი „გადახდისუნარო“ სხვა არავინ არის და სიაში შეყვანა არ დაგავიწყდეთო. თანაც, მანამდე თუ კიდევ ოციოდე მილიონს „გვასესხებთ“, 30%-იანი „ატკატი“ ჩვენზეაო...

მოკლედ, სამი დღე დიდი სიხარული სუფევდა ქართულ „ვერხუშკაში“. მაგრამ ისევ ქართულ ზღაპარს რომ დავესესხოთ: „მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილით!“

მელია, ბოდიში და ვინ არის, ამის გამოცნობა არ გაგიჭირდებათ.

ჰოდა, იცინა მელამ სამი დღე და როდესაც შორეულ იტალიაში, გონდოლიერთა ტკბილი სიმღერებისა და ანტიგლობალისტთა საპროტესტო შემახილების ფონზე, საქართველოსთვის ყველა „თავანი“ უნდა „გამოებარებინათ“, წინა დღეს სეფე-სიტყვით გამოვიდა ცენტრალური ტელევიზიით და გენუამდეც მიაწვდინა ხმა:

საქართველოში არნახული(!) (მისი სიტყვებია) ეკონომიკური აღმავლობა დაიწყო!

დანარჩენს თქვენც მიხვდებით: ამ პატოსანმა ხალხმა იფიქრა, პირდაპირ ხომ ვერ გვეტყოდა და ახლა რომ ამას ვალეები მოვუხსნათ და მათხოვრად გამოვაცხადოთ, შეურაცხყოფილი დარჩება – კაცო თურმე ეკონომიკურ სასწაულებს ახდენს და ცოტა ხანში იქნებ აქეთ გვასესხოს რამეო.

მოკლედ, ბატონმა პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ განამტკიცა საქართველოს ავტორიტეტი საერთაშორისო არენაზე და კვლავ იმ სახელმწიფოთა რიგში დაგვტოვა, რომელსაც ვალის აღების „თავიცა“ აქვს და გადახდისაც.

P.S. ზღაპრები, მულტფილმები, კინო და ა.შ. პრეზიდენტსაც ძალიან უყვარს და ყოველთვის გვერდში ედგა ქართულ ხელოვნებას.

ამიტომ, დარწმუნებული ვარ, თუ შემთხვევით მისი პრეზიდენტობისას მოგვთხოვს ვინმე კრედიტის დაბრუნებას, „პირველი მერცხლის“ ერთი ჯიბეგახვრეტილი პერსონაჟის სიტყვებით უპასუხებს: „მაცალე, ჩამოვა პაპანდოპულო და მოგცემ!“

ამერიკელებს „პირველი მერცხალი“ ბოლომდე არ უნახავთ და არ იციან, რომ პაპანდოპულო მოკვდა!

პროპოკატორი



ძველ დიპლომატიაში ძღვენი პოლიტიკურ ურთიერთობათა მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. საჩუქრის გამორჩეულობა და ღირებულება ზოგჯერ სახელმწიფოთა შორის ომისა და ზავის საკითხებსაც კი წყვეტდა ხოლმე.

დღეს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობის ამ მხარემ, ფაქტობრივად, სიმბოლური ხასიათი შეიძინა — კეთილი ნებისა და პატივისცემის გამოსატყვის ფორმას წარმოადგენს: ხელისუფალნი ხელისუფალთ, უმეტესწილად, ეროვნული კულტურის ნიშნების მქონე სუვენირებსა და ფოლკლორულ ნიმუშებს სჩუქნიან ხოლმე.

მანანა იაშვილი

ქვეყნის მმართველთა მაღალი წრეებისა თუ სხვა ოფიციალურ წარმომადგენელთა ვიზიტების დროს ოფიციალურ პროტოკოლში ასეთი საჩუქარი აუცილებლად არის გათვალისწინებული.

ოფიციალური თუ მეგობრული ვიზიტის დროს მორთმეული სუვენირები ჩვენს პარლამენტშიც ინახება. როდესაც პარლამენტის შენობის რესტავრაცია და რემონტი დამთავრდა, მთავარი კორპუსის მარჯვენა ფლიგელის მესამე სართულზე ოთხი მასიური ვიტრინა დადგეს, რომელიც კომენდანტმა ნიკო ბაქრაძემ სარდაფში აღმოაჩინა. 1995 წელს არჩეულმა პარლამენტმა „იმელის“ შენობიდან აღდგენილ მთავრობის სასახლეში გადმოინაცვლა. იმ დროიდან ვიტრინებმა თავისი ფუნქცია შეიძინა: თაროებზე თანდათან განლაგდა უცხოელთა ვიზიტების დროს, პარლამენტის თავმჯდომარისთვის გადაცემული საჩუქრები.

საქართველოს საერთაშორისო კონტაქტები იმდენად ინტენსიური გახდა, რომ ზურაბ ჟვანიასა და პარლამენტის



ბოლო 5 წლის მანძილზე საქართველოში ჩამოსულმა ყველა დელეგაციამ საჩუქრების ექსპოზიციაში თავისი კვალი დატოვა

ქვეყნის ზურაბ ჟვანია უარს არ ამბობს

თავმჯდომარის მოადგილეების კაბინეტებში უამრავი სუვენირი დაგროვდა. დამატებით, საჭირო გახდა ორი ვიტრინის დადგმა. 1997 წელს პარლამენტის აპარატის უფროსმა, ხათუნა გოგორიშვილმა, ქალაქში ცნობილ ხელმარჯვეოსტატს ლეონიდ ვერნიცკის მიანდო კარადების დამზადების საქმე და ბოლოს და ბოლოს, ამ თავისებურმა მინი-გამოფენამ დასრულებული სახე მიიღო. ყოველ ნივთს, რომელიც ვიტრინაში გამოიფინა, შესაბამისი ეტიკეტი დაურთეს, რომელიც ძღვენის გადმომცემის ვინაობასა და თარიღს გვაუწყებს.

1996 წლის მარტში ევროკომისიის დელეგაციის ხელმძღვანელი დენის კორბოი ჩამოდის და პატარა მედალიონ-სუვენირს გადასცემს პარლამენტის ხელმძღვანელებს. ამავე წლის ივლისში ევროკავშირის კავკასიის ჯგუფი ანტონოს ტრაკატელისის მეთაურობით, ევროსაბჭოს დროშას ტოვებს სუვენირად. სულ მალე საქართველოს, ევროსაბჭოში სტუმრის სტატუსი ენიჭება.

უზბეკეთის რესპუბლიკის მეჯლისის თავმჯდომარე, ერკინ ხალილოვი, ექსპოზიციაში ვერცხლის დეკორატიული თეფშითაა

რუსეთის დელეგაციებმა ასეთი კოლექცია დაგვიტოვეს

წარმოდგენილი. მისი ვიზიტის დროს — 1996 წლის სექტემბერში საქართველოსა და უზბეკეთს შორის გაფორმდა რამდენიმე ხელშეკრულება, მათ შორის — სამართლებრივი საკითხების დარეგულირებისა და საქართველოს ვალის კრედიტად გაფორმების შესახებ...

იმ დროიდან მოყოლებული უამრავი ხელშეკრულება დაიდო. საქართველომ ეუთოს კარიც შეაღო და ზოგჯერ ნატოს კარზეც აკაკუნებს... ამ პროცესების თავისებური ანარეკლია მინი-ექსპოზიცია, რომელიც დღითი დღე ივსება.

ამერიკელების ანგარიშაწინაობა და საკუთარი ტრადიციების ხაზგასმის ჩვევა მათგან მიღებულ საჩუქრებში ჩანს: სენატორმა მაკ ბასნაითმა სენატის დროშა გაიძევა, ხოლო აშშ-ის კონგრესის სახელით საქართველოს პარლამენტს სახელმწიფო დროშა გადასცა, რომელიც კონგრესის შენობის თავზე იყო აღმართული. იქ დროშა წელიწადში 12-ჯერ იცვლება. ჩამოხსნილს კი ამერიკელები საპატიო საჩუქრად გადასცემენ. ამერიკული კონგრესის დროშა უხეში სელისგანაა ნაქსოვი, რომლითაც ჩვენთან ტომრები იკერებოდა და ყოველგვარ ნალექსა და უამინდობას უძლებს. ვიტრინის კუთხეში მოთავსებულია ჯონ-მალხაზ შალიკაშვილის მიერ მორთმეული სფეროს ფორმის მინის ვაზა, რომელიც დედაბნის თავისებურ ვერსიას წარმოადგენს.

მდიდრულად არის წარმოდგენილი აღმოსავლეთი — იქ ხომ ისტორიულად, ძვირფას ძღვენს დიდი ადგილი ეთმობო-



და და ფარულ დატვირთვასაც ანიჭებდნენ. სხვათა შორის, დღევანდელი ეტიკეტის თანახმად, ცუდ ტონად ითვლება ოქროსა და ძვირფასი თვლებით მოლჭვილი ნაკეთობების მიძღვნა. ამიტომ საჩუქრების მიერთმევის დროს პრიორიტეტი ვერცხლს ენიჭება.

თურქი სტუმრების საჩუქრები ერთად არის თავმოყრილი. ესენია: სულეიმან დემირელისგან მორთმეული, შავი ხავერდის ყუთში მოთავსებული ვერცხლის ზარდახშა, ჰიქმეთ ჩეთინის მიერ მოძღვნილი დიდი, თურქული სურა სადგამით და ილიმ აქბულათის (თურქეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარე) სუვენირი.

„დრონი მეფობენ!“ ირანის რესპუბლიკის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა, დოქტორმა ჰასან ჰაბიბმა ვერცხლის ინკრუსტირებული მასიური საათი გადასცა ზურაბ ჟვანიას.

თვალწარმტაცია ჩინური ორნამენტით დაფარული ფაიფურის ჩაის სერვიზები, დეკორატიულ თეფშზე გამოსახული სამოთხის ჩიტი. ხელოვნების ეს ნიმუშები საქართველოს პარლამენტმა ჩინეთის რესპუბლიკის სახალხო წარმომადგენელთა კრების თავმჯდომარის — ვან ბინ ცინისგან და მეგობრული კონტაქტების ასოციაციის გენერალური მდივნის ჩენ ის ინისაგან მიიღო.

რუსეთის სათათბიროს თავმჯდომარის გენადი სელენზნიოვის მიერ შერჩეული ფაიფურის მძიმე ჩაიდან და ვეშაპის ფიგურა, რომელიც რუსული „ლუბოკის“ სტილშია გადაწყვეტილი სპიკერის მძიმე, მოუხეშავ ბუნებას ავლენს. ამ საჩუქრის თავისებური გაგრძელებაა რუსი მოღვაწეებისგან „მატრიოშკას“ სტილით მოხატული ხის ჯამჭურჭელიც. იური ლუკოვის მიერ შერჩეული, მჭანვე წითელ-ყვითელ ფერებში გადაწყვეტილი ხის მასიური ვაზა წმინდა გიორგის გამოსახულებით, თითქოს

ჯონ მალხაზ შალიკაშვილის საჩუქარი



ხაზს უსვამს იმას, რომ მოსკოვის მერმურვალე მართლმადიდებელია.

უკრაინის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ალექსანდრ მოროზმა მოზრდილი, მასიური, ტლანქი ფაიფურის კაზაკის ფიგურა ჩამოიტანა, პრეზიდენტმა, ლეონიდ კუჩმა — უზარმაზარი ბროლის ვაზა, პრემიერ-მინისტრმა ვალერი პესტოვოიტოვმა — ასევე ფაიფურის უზარმაზარი ვაზა კიევის გამოსახულებით.

აზერბაიჯანელები მეტწილად, ეროვნულ ხალიჩებს უძღვნიან ჩვენს თავმჯდომარეს და პარლამენტს, უზბეკეთის პრეზიდენტი ისლამ ქარიმოვი — ვარდებით მოხატულ სერვიზსა და უზარმაზარ, მოსევადებულ ხმაღს. სომხეთის წარმომადგენელმა დეკორატიული ვაზები და თავიანთი ისტორიული ძეგლების ამსახველი რეპროდუქციული წიგნები გვისახსოვრეს. ჩეჩნების მიერ მორთმეული მოსავადებული ხანჯლები ექსპოზიციაში ვერ დაეტია და ჯერჯერობით სეიფში ინახება.

გამორჩეულად აღიქმება ლიტვის სეიმის თავმჯდომარის ვიტაუტას ლანდსბერგისის საჩუქარი — ქარვა ხეში, რომელიც ერთიან კომპოზიციას და კეთილგანწყობის ემოციას აღძრავს.

ბრიტანელთა დახვეწილი გემოვნება ინგლისის თემთა პალატის სპიკერის, ბეთი ბუთროლის მიერ მორთმეულ სუვენირებში მოცისფრო-ნაცრისფერი, ხავერდოვანი, ფაიფურისგან დამზადებული პატარა ნივთები,

ჩინეთის დელეგაციის ძღვენი

სპილოსძვლისფერი ყვავილოვანი ორნამენტითაა შექმნილი. სხვა საჩუქრების ფონზე ეს სუვენირები განყენებულ, ქედმაღალ ბრიტანულ ხასიათს გამოხატავს.

დასანანია, რომ ადრე დიდი მზრუნველობით დალაგებული საჩუქრები ახლა უსისტემოდაა დაწყობილი. ექსპოზიცია დარღვეულია, ვიტრინები — გადატვირთული. ერთი პერიოდი პარლამენტში საგანგებო მუხეუმის მოწყობას აპირებდნენ, სადაც გამოიფინებოდა საჩუქრებიც, ისტორიული დოკუმენტებიცა და ფოტომასალაც. მაგრამ ეს იდეა, როგორც ამბობენ, უსახსრობის გამო ვერ განხორციელდა.

ხათუნა გოგორიშვილი გულდაწყვეტით ამბობს, — სამწუხაროდ, არსად ჩანს ზვიად გამსახურდიას დროინდელი საჩუქრებიო. გამქრალია აგრეთვე ვახტანგ გოგუაძის სპიკერობის პერიოდის სუვენირები. სწორედ ამიტომ, ექსპოზიცია მხოლოდ 1996 წლიდან იღებს სათავეს და სრულად ვერ წარმოაჩენს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიას.



ნანა იოსელიანი:

სვანი ტყუილად ხომ არ ვარ?!

მტკიცედ ვფგავარ და

ღანღღღღღ ზრ შაჰიღღღ



მარინა ბაბუნაშვილი

ნანა იოსელიანი ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე მეთხუთსეულ კურსიდან შემოვიერთოდა. მანამდე კი, დასავლეთევროპული ენების ფაკულტეტზე (ინგლისურ განყოფილებაზე) სწავლობდა.

მასწავლებელს, როცა ვაკვივით, ცნობილი მოჭადრაკე ჩვენთან უნდა გადმოსულიყო, ბიჭები ვანსაკუთრებით მოემზადნენ — ჭადრაკს ჩაუსხდნენ და დათქვეს, მინიტურნირი მოვაწყობო და ნანას ვაკვივობროთო. ნანა ძალიან უბრალოდ, ყოველგვარი ფორმალის გარეშე შემოვიდა ჩვენთან კონტაქტში. ტურნირის გამართვის იდეაც აიტაცა და, ოთხივე ბიჭიც „მიაწყო“... მერე იყო საინტერესო და ლალი სტუდენტური დღეები. ნანა თავისი სპორტული ცხოვრების გამო, ყოველთვის ვერ ასერხებდა ჩვენთან ყოფნას, მაგრამ როგორც კი გამონახავდა დროს, შემოვივითებოდა ხოლმე და უამრავ საინტერესო ამბავს გვიყვებოდა თავისი საჭადრაკო ცხოვრებიდან. მაშინ ნანა უკვე დედაც იყო — პატარა ნინიკო ჰყავდა. გავიდა წლები, ის პატარა ნინოც გაიზარდა, 17 წლისამ გათხოვებაც მოასწრო და ამ დღეებში სტუდენტიც გახდა.

— ე.ი. უკვე სიდედრი ხარ? — ვეკითხები ნანას, რომელიც თითქმის რვა წელია არ მინახავს. ის სულ არ არის შეცვლილი — ისევ ხალისიანი და კეთილი ღიმილით მეგვებება. ეს არის მხოლოდ — როგორც ყველა ქართველ დედას, შვილთან ერთად, მასაც დღითი დღე „ეზრდება“ პრობლემები.

— ჩემმა შვილმა გათხოვება და მისაღები გამოცდების ჩაბარება ერთდროულად მოინდომა. მეც „სინქრონულად“, სიდედრი და სტუდენტის დედა გავხდი. მალე ბებიაც გავხდები ალბათ...

— ხომ არ გიჭირს საკუთარი თავის ბებიად წარმოგენა?

— (იცინის), მიჭირს, მაგრამ რეალბას ხომ ვერ გაქცევი?

— სიძეზე რას იტყვი? ალმატერად ხომ არ უყურებ — ზოგიერთი სიდედრის მსგავსად?

— არა, რას ამბობ?! გიორგი 20 წლისაა (გვარად პაპაშვილია), სწავლობს ტექნიკურ უნივერსიტეტში. ძალიან თბილი და საყვარელი ბიჭია. მან და ნინიმ ერთმანეთი არაგვისპირეთში (დელაჩემს იქ აგარაკი აქვს) გაიცნეს. გიორგის ისე უყურებ, როგორც საკუთარ შვილს, ამიტომაც ვამბობ: ახლა ორი შვილის დედა ვარ-მეთქი. მათ, როგორც პატარა ბავშვებს, ისე ვექცევი. ხშირად, როცა სადმე წასვლა უნდათ, მეც ავებოროლილები ხოლმე; მანქანით მათი მარტო გაშვება მეშინია. თბილისი ხომ საოცრად გადატვირთულია მანქანებით. მეგობრები დამციანინან: დანებე აწი თავი, უშენოდაც მშენიერად იქნებიან და უკეთესად გაერთობიანო, მაგრამ რა ვქნა, მზრუნველობისა და მფარველობის მოთხოვნილებას ვერ ვერევი. ალბათ იმასაც ვერ ვიჯერებ ბოლომდე, რომ ჩემი შვილი გაიზარდა, გათხოვდა და მალე თვითონ გახდება დედა.

— როგორც ვიცი, ნინოც თან გყავდა ჩვენში, მერე კი ინგლისში გაგზავნენ სასწავლებლად.

— ჩვენში 1994 წელს „პარტიზანულად“ წავედი. რა თქმა უნდა, ნინის გარეშე ვერ გავძლებდი, ამიტომაც თან წავიყვანე. იმ დროს ეს ქვეყანა ძალიან პოპულარული იყო ჩვენში. პრადის ერთერთი სპორტული კლუბის მეშვეობით, შრომის სამინისტროში მუშაობის უფლება მოვიპოვე და საჭადრაკო აკადემიის ლექტორი გავხდი. ჩვენთან გამოჩენილი მოჭადრაკე ვერა მეჩინიკი კი ჰყავდა, მაგრამ დღეს ჩვენში საჭადრაკო სკოლა მინავლებულია. ადაპტაცია არ გამჭირვებია, ენის პრობლემა პრაქტიკულად მოხსნილია,

არც ცხოვრებაა ძვირი. ასე რომ, ჩემთვის უცხო ქვეყანას იოლად შევეჩვიე. ნინიკო კი, მოგვიანებით, ოქსფორდში გავგზავნე. იქაურ კოლეჯში მხოლოდ 1 წელი ისწავლა და მერე ჩემთან გამოიქცა.

— დიდხანს აპირებ ჩვენში დარჩენას?

— თავიდან მეგონა, რომ ნოსტალგიის თემა ჩვენში გაზვიადებული იყო. მერე და მერე კი მივხვდი, რომ ასეა და ქართველს იგი ყველაზე მოჭადრაკეულად აქვს. რაც მეტი დრო გადის, უფრო ვრწმუნდები, რომ აქ უნდა ვიყო. ასე რომ, ჩვენში დიდხანს აღარ დავრჩები.

— რას საქმიანობ დღეს-დღეობით?

— ჩვენთვისა და გერმანიის კლუბებში ვთამაშობ. გერმანიის ორი — ქალთა და ვაჟთა საჭადრაკო კლუბის წევრი ვარ. ერთ-ერთში ვპლეადოვობ კიდევ. ბუნდესლიგაში გამოვდივართ და ვიბრძვით ევროპის საუკეთესო სამეულში მოსახვედრად. ორივე ქვეყანაში ყოველწლიური კონტრაქტი მაქვს: უფრო ხანგრძლივი ვადით მე თვითონ არ მინდა — სულ აქეთ მიჭირავს თვალში... ჩვენში ქირით ცვხოვრობ, გერმანიაში — სასტუმროში, ამ ხარჯებს კი კლუბები ანახლაურებენ.

— ალბათ, კარგად გიხდინან.

— საერთო შემოსავალი სოლიდური მაქვს... მეც და შენც ხომ იმ თაობას ვეკუთვნით, ფულზე ლაპარაკი რომ ეთაკილებოდა. ამის კომპლექსი დღემდე მაქვს და ლამის კურიოზს ემსგავსება ტურნირების ორგანიზატორებთან ჩემი მოლაპარაკება. ისინი მეკითხებიან ხოლმე: რა თანხის საფასურად ჩამოხვალ და ითამაშებო? მეც კითხვავ კითხვით ვპასუხობ: თქვენ რამდენის გადახდა შეგიძლიათ-მეთქი? სასაცილოა არა?... უნდა ვაღიარო, გამიჭირდა ჭადრაკში კომერციულ მხარეზე გადართვა. აი, ჩემი შვილის თაობა სულ სხვაა. ტაქსის რომ გავაჩერებ ხოლმე,

ნინი პირდაპირ, მოურიდებლად ეკითხება მძღოლს – ამა და ამ ადგილას 2 ლარად თუ წაგვიყვანო. მე ამ დროს სირცხვილით ვიწვი...

— შენ ყოველთვის მგრძნობიარე და რომანტიკული გოგო იყავი. რაიმე სომ არ შეცვლილა ამ მხრივ?

— უემოციო არც ახლა ვარ, მაგრამ წლებთან ერთად, გრძნობები და გატაცებები მაინც ფერმკრთალდება (ყოველ შემთხვევაში, მე ასე დამემართა). მე და ნინის მამა უკვე გაშორებულები ვიყავით, როცა მოსკოვში მისი ტრაგიკული სიკვდილის ამბავი გავიგე (იგი მოკლეს!) ძალიან განვიცადე... ძველზე ლაპარაკი აღარ მინდა, ახლანდელს გეტყვი, შეიძლება შენც არ იცოდე: მე ახლა გურამ მგელაძის (80-იან წლებში ცნობილი „აბაშის ექსპერიმენტის“ მოთავე, შემდგომში საქართველოს კომპარტიის „ცეკას“ მდივანი – ავტ.) ცოლი ვარ და მოსკოვში ერთად ვცხოვრობთ, პრალაში კი, უმეტესად, მარტო ვარ...

— აქედან ისეთ დროს წასულხარ, ბევრ გულისტივივოს გაიყოლებდი თან.

— 1994 წელს მართლაც მძიმე სიტუაცია იყო საქართველოში: უშუქობა, უპურობა, აფხაზეთის ომი ახალი წაგებული იყო, თბილისი კი – გაპარტახებული, უნდობლობასაც დაესადგურებინა... მე თვითონ ორჯერ გამტურდეს. ერთხელ შინ დავხვდი ქურდებს. უცერემონიოდ შემიკრეს ხელები და ჩემ თვალწინ გაცალეს მთელი სახლი. მართალი ვითხრა, მაშინ სერიოზულად შევშინდი. მასხოვს, ადრე, როცა ბრაზილიაში ვიყავი, რიოში სეირნო-

„სე ცმუნთან არ უნდა წამეგო, მაგრამ დღესაც ვერ გეგყვი, რა მოხდა...“

ბისას ქუჩის მაწანწალამ ოქროს ძეწკვი ჩამომავლიჯა და გაიქცა. სინანულისა და გულდაწყვეტის გრძნობა კი არ დამეუფლა, არამედ, უცებ სიხარულით გავიფიქრე – ჩემს სამშობლოში ამგვარი რამ ხომ არ მოხდებოდა-მეთქი. გავიდა დრო და აქ უარესი ამბები დატრიალდა... ამიტომაც გადავწყვიტე, დროებით მაინც გავცლოდი აქაურობას და მშვიდ ქვეყანაში ჩემი საყვარელი საქმე მეკეთებინა.

— დღეს, ვისაც საშუალება აქვს, ბევრი ტოვებს საქართველოს და აცხადებს — მაშინ დავბრუნდები, როცა სიტუაცია გაუმჯობესდებაო... ბუნებრივი კითხვა მეზადება: მაშ, ვინ შეცვლის დღევანდელ ყოფას სასიკეთოდ? შენს საკეთებელს ვინ გააკეთებს ამ რთულ პერიოდში?

— რა თქმა უნდა, ჩემი საკეთებელი მე უნდა გავაკეთო, მაგრამ როგორც სპორტსმენი აქ გავიყინებოდი და დროებით წასვლა იმიტომ გადავწყვიტე. მე იქ უქმად ხომ არ ვმჯდარვარ. ჩამოვალ და რაიმე პატარა საქმეს მაინც გავაკეთებ ჩემი ქვეყნისთვის.

— მაინც რა გეგმები გაქვს?

— აქ რომ დავბრუნდები, იმ მიხერული სტიპენდიით (60 ლარი), რომელსაც სპორტკომიტეტი მიხდის, ბუნებრივია, ვერ ვიცხოვრებ, ამიტომაც გადავწყვიტე ტურიისტული სააგენტოს გახსნა: საქართველო ხომ ტურიზმის ქვეყანაა და იმედი მაქვს, ეს საქმე გაამართლებს. რაც შეეხება ჭადრაკს, დიდი გეგმები მაქვს: ძალიან მინდა საჭადრაკო სკოლა გავხსნა, სადაც იქნებინა ნონა, მაია, ნანა, ნინო... ეს მხ-



მოსკოვში შეილთან, ნინოსთან ერთად, 1994 წ.

ოლოდ საჭადრაკო სკოლა კი არა, ჩვეულებრივი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა იქნება, ჭადრაკის სწავლებით: ყველა ხომ მოჭადრაკე ვერ გამოვა, განათლებული და ამ ცხოვრებისთვის კარგად მომზადებული ადამიანი კი ნებისმიერ სფეროშია საჭირო (ჭადრაკი ლოგიკური აზროვნების უნარს აჩვენებს ადამიანს).

— როგორ ფიქრობ, მალე დავბრუნებით მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინს?

— ოცდარვა წელიწადი მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი საქართველოში იყო. ეს მართლაც უნიკალური ფენომენია. დღესაც ძალიან ნიჭიერი გოგო-ბიჭები გვყავს, კარგი თაობა წამოვიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჭადრაკი რომ კომერციული გახდა, შეიძლება ბევრი ტალანტი დაიკარგოს.

— შენს დროს ასე არ იყო, არა?

— რასაკვირველია, მაშინ საამისოდ ბევრი ფული არ იყო საჭირო... სხვათა შორის, პატარაობიდანვე ძალიან მოძრავი და ინციატივიანი ვიყავი, ყველაფერი მაინტერესებდა, ამიტომაც პირველი კლასიდანვე ბევრ წრეში ჩავეწერე: სიმღერა, ქართული ცეკვა, ტანვარჯიში. გუნდში იმდენად თავდავინყებით ვმღეროდი ხოლმე, რომ მასწავლებელი მეხვეწებოდა: ნანა, ცოტა ხმადაბლა იმღერეო... მაშინვე მოყვარულის დონეზე იცოდა ჭადრაკი და მეზობლებთან თამაშით ირთობდა ხოლმე თავს. ისე კი ჩემს ოჯახში ჭადრაკი განსაკუთრებული პოპულარობით არასოდეს სარგებლობდა და მეც მხოლოდ ფიგურებს ვარჩევდი და ის ვიცოდი, რომელი ფიგურა როგორ დადიოდა.



ერთხელაც, ჯერ ისევ პირველ კლასში ვიყავი, სასწავლო წლის ბოლოს, საკლასო ოთახში პიონერთა ხელმძღვანელი შემოვიდა და – ჭადრაკის თამაში ვინ იცისო, იკითხა. რა თქმა უნდა, წამოვხტი და უსირცხვილოდ განვაცხადე, მე ვთამაშობ კარგად-მეთქი. თურმე კონკურსი უნდა გაგვევლო. პლენანოვზე სპორტსაზოგადოება „განთიადის“ საჭადრაკო კლუბი იყო, სადაც ბატონი ოთარ ალხანიშვილი ჭადრაკის მცოდნე ბავშვებს არჩევდა. „განთიადში“ ორი ბიჭი და ერთი გოგო უნდა წაეყვანათ. პიონერთა ოთახში შეგვიყვანეს. როგორც მოსალოდნელი იყო, დავმარცხდი და ისე განვიცადე, იქიდან ატირებული გამოვედი. სასწავლო ნაწილის გამგეს ნინო დეკდარიანს შევებრალე და თქვა: რატომ ანერვიულებთ ბავშვს? რაკი ასე ძალიან უნდა, ჩარიცხეთო, და... ჩამრიცხეს. კლუბში პირველი მისვლის დღესაც წავაგე და კვლავ ცრემლებად დავიღვარე. არ ვიცი, შევებრალე თუ რალაცით მოვხიბლე, ბატონმა ოთარმა ყურადღება მომაქცია. შინ მისულმა მშობლებს სახეიმოდ განვუცხადე, ჭადრაკზე სიარულს ვიწყებ-მეთქი. დედ-მამამ თავდაპირველად სასტიკი უარი მითხრა, – იმ სიმორეზე (დილოში ვცხოვრობდით) ვინ უნდა გატაროს, ხომ იცი, რომ დაკავებულები ვართო? მაგრამ ბოლოს, მაინც ჩემი გავიტანე და მშობლებმა უფროს ძმას ჩააბარეს ჩემი თავი. ზურას სხვა გზა არ ჰქონდა – მიმყვებოდა, ესწრებოდა მეცადინეობას, მერე დიდი კაცივით ჩამჭიდებდა ხელს და ვბრუნდებოდით. ძველ საჭადრაკო კლუბში, ერთ-ერთი ტურნირის დროს, დედაჩემი თავის უნივერსიტეტულ ამხანაგს – ნანა ალექსანდრიას მამას, ძია გიორგის შეხვდა. ნანა

უკვე ტიტულოვანი მოჭადრაკე იყო. ძია გიორგიმ ალაღად შეჩვილა დედას: ერთი გოგო მყავს და ისიც ჭადრაკმა დამაკარგვინა, თუ გინდა, შენც იგივე არ დაგემართოს, სასწრაფოდ მოაშორე შენი შვილი აქაურობასო... ოთარ ალხანიშვილმა კი ასე „დაამშვიდა“ დედაჩემი: აი, ნახეთ, თქვენი ქალიშვილი მეორე ნონა გაფრინდაშვილი გამოვაო. ბატონმა ოთარმა საოცარი ენთუზიაზმით მამეცადინა სამი წლის მანძილზე. შემდეგ მეორე ოთართან – ბატონ ოთარ თურქესტანიშვილთან მომიწია მეცადინეობა. ორივემ ძალიან ბევრი გააკეთა მოჭადრაკედ ჩემს ჩამოყალიბებაში და იმაში, რომ ჭადრაკი ჩემთვის ის იდუმალი სამყარო გახდა, რომელსაც იოლად ვეღარ ელევინ. 13 წლიდან ელიზბარ უბილავა მწვრთნიდა, სწორედ მან მიმიყვანა საბჭოთა კავშირის პრიზიორობამდე – ლვოვში მეორე-მესამე ადგილები გავიყავით მე და ნანა ალექსანდრიამ, ჩემპიონი კი მაია ჩიბურდანიძე გახდა. გოგონებს შორის ორჯერ ევროპის თასი ავიღე, რაც იმას ნიშნავდა, რომ 14 წლისა უკვე პროფესიონალ მოჭადრაკედ ვითვლებოდით.

— **საჭადრაკო ცხოვრებიდან განსაკუთრებით რომელი ეპიზოდი გახსენდება ხოლმე?**

– 17 წლის ასაკში ჩემს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა – რიო-დე-ჟანეიროს საზონათმორისო ტურნირი ტრიუმფით გავიარე და ცამეტე ივრე პარტია მოვიგე. იღბალიც ჩემ მხარეს იყო. მეოთხედწინააღმდეგეთა შორის ვერეცის მოუგე და ნახევარფინალში ნონა გაფრინდაშვილის წინაშე აღმოვჩნდი. გამახსენდა, პირველ კლასში ოთარ ალხანიშვილმა დედაჩემს რომ

უთხრა: ამ ბავშვიდან ნონა გაფრინდაშვილს გამოვიყვანო. ახლა თვით ნონას პირისპირ მიწვევდა ბრძოლა. ძალიან დიდი გამოცდა მელოდა, ისეთი, როგორც ასეთად რეულ ასაკში იშვიათობაა. როგორია – თამაშობ ჭადრაკის დედოფალთან, რომელმაც თექვსმეტწლიანი ჰეგემონობის შემდეგ სულ ცოტა ხნის წინ დათმო ტახტი, ახლა კი ყოველ დონეს ხმარობს დაკარგული ტიტულის დასაბრუნებლად?! ბრძოლა მართლაც შეუპოვარი აღმოჩნდა. თითქმის ყველა პროგნოზი გააქარწყლა. 7,5-7,5-ია და ბოლო პარტიას ვთამაშობთ, ნონას აუცილებლად მოგება სჭირდება, მე კი ყაიმიც მყოფნის, ვინაიდან მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში, შავი ფიგურებით ნაჩვენები უკეთესი შედეგის გამო, გამარჯვება მე დამრჩება. ენდშილია, ორი პაიკი მაკლია. აშკარად წასაგები პოზიცია მაქვს და პარტიის გადარჩენა აღარ შემიძლია, მაგრამ სვანი ტყუილად ხომ არ ვარ?! მტკიცედ ვდგავარ და დანებებას არ ვაპირებ...

თუმცა, იღბალი შემთხვევით არ მისენებია: ის პარტია ყაიმით დამთავრდა და ფინალში მე გავედი, სადაც ნანა ალექსანდრია მელოდა. სწორედ მასთან ვიგემე მარცხი. ნანას ძლიერებაში ეჭვი არასოდეს მეპარებოდა, მაგრამ ასე იღბლიანად ჩავლილმა ციკლმა, ამდენი უძლიერესი მოჭადრაკის დამარცხებამ, ამხელა ტურნირის მოგებამ გამათამაშა და ყურადღება მომიდუნა. რატომღაც მეგონა, რომ ამ მატჩსაც მოვიგებდი, მაგრამ შეცვდი. ალექსანდრიამ დიდი უპირატესობით და სხვაობით გაიმარჯვა და მსოფლიო ჩემპიონს „გადაუგლო ხელთათმანი“.

— **შენ გარეშე, მეგობრების ვინრო წრეში ხშირად აღგვინიშნავს: ნანამ ბოლომდე ვერ გამოიყენა თავისი შესაძლებლობები, გაცილებით მეტის გაკეთება შეეძლო...**

– მართალი ხარ, სხვებისგანაც გამიგია, რომ იოსელიანს პირადი ცხოვრება რომ ვერ აეწყო, იმიტომაც ვერ წარმართა კარგად საჭადრაკო კარიერა... მე კი მიმაჩნია, რომ საჭადრაკო კარიერაში ხელი არ შემშლია. როგორ შემიძლია ვთქვა, – ნეტავი უფრო გვიან გავთხოვილიყავი, უფრო ბევრ რამეს მივალწვედი-მეთქი? თუმცა, ერთი ძალიან საპასუხისმგებლო მატჩის გამო გული მწყდება: სე ცზიუნთან არ უნდა წამეგო, მაგრამ დღესაც ვერ გეტყვი, რა მოხდა...

პირველად, ჭადრაკზე ძმა ზურა (შუაში) დაჰყვებოდა





ცოტა ხნის წინ, პირდაპირი სატელევიზიო ეთერით იხილა „ბედნიერმა ერმა“ საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის ლევან ბერძენიშვილისა და პარლამენტის წევრის, სანდრო ბრეგაძის ცხარე სიტყვიერი პაექრობა. თითქოსდა ორი იდეოლოგიის ამ ჭიდილში, ჩვეულებრივი მოქალაქისთვის ბევრი რამ მაინც გაუგებარი დარჩა და ეს პირველად არ ხდება, რადგან დემოკრატიის მქადაგებელნი ხშირად სწორედ იმ რვაფუნას სამსახურში დგებიან ხოლმე, რომლის წინააღმდეგ მეზობლობადაც ასაღებენ თავს, ხოლო ეროვნულობისა და მართლმადიდებლობის დამცველებს ისეთი ძალების სამსახურში ვხედავთ, რომელიც აგრესიულ ქრისტიანობასა და კუთხურ ნაციონალიზმს აღვივებს...



სანდრო ბრეგაძე პირველი კაცია საქართველოში, რომელსაც ბიბლიოთეკაში ფეხი არ შეუდგამს

**ორი
იდეოლოგიის
ჭიდილი თუ
საზოგადოებისთვის
თვალი
ნაცრის უყურა?**



აკადემიკოსის ოჯახში ვარ გაზრდილი და ბიბლიოთეკაში შესვლა რა მოსაგანია?

მანანა იაშვილი

ოპონენტებთან საუბარმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ჩვენ ისევ „ბედნიერი ერი“ ვართ და ალბათ კიდევ დიდხანს ვიქნებით.

ლევან ბერძენიშვილი: — რას ემართლებით სანდრო ბრეგაძეს?

— სანდრო ბრეგაძე პირველი კაცია საქართველოში, რომელსაც ბიბლიოთეკაში ფეხი არ შეუდგამს. ამიტომ, ჩემთან და ჩემს საქმიანობასთან მას არავითარი კავშირი არ შეიძლება ჰქონდეს.

— მაშინ რატომღა გამართეთ საქვეყნოდ დებატები?

— ბევრმა მითხრა, თავი რატომ გაუყვარეო, მაგრამ არა მგონია, ჩემში იმდენად იმძლავროს ქედმაღლობამ, რომ რომელიმე ადამიანთან კამათზე უარი ვთქვა, — გინდ ბრეგაძე იყოს და გინდ ქიბროწაშვილი. ბრეგაძე ასრულებს

დავალებას, რომელიც დიდი პროვოკაციის ნაწილია. მას მხარს უბამს ელიზბარ ჯაველიძე — თითქოს რუსულ პრესაში დაბეჭდილი სტატია ჩემი და ჩემი ძმის დაწერილია. ყველა ძაფი კი ასლან აბაშიძესთან მიდის.

— სანდროს აღმზრდელი რომ იყოთ, რას ურჩევდით?

— ენას ძვალი არა აქვს, მაგრამ როდესაც კაცს განათლებაზე ელაპარაკები, შენ თვითონ აღვირახსნილი გაუნათლებლობა არ უნდა გამოავლინო. ბიბლიოთეკაში ფეხი არ შემიდგამსო... ვინმეს დაეკითხოვ მაინც, რა უნდა თქვას. პარტიაში ის ინტელექტუალურ ძალად ითვლება, რაც ადასტურებს, რომ ასლან აბაშიძეს ძალიან გაუჭირდა ინტელექტუალურად. ადრე ეს არ ჩანდა, მაგრამ რაც დიქტატობა დაიწყო და კრიტიკულ აზრს აღარ ისმენს, გარშემო კი მლიქვნელები შემოიკრიბა, ძალიან გაუჭირდა ამ

მხრივ. მან ვერ გათვალა, რომ უხერხულია, წინ ისეთი ძალის წამოწევა, რომელიც აშკარაა, ვერ აზროვნებს და არანორმალური გადახრები აქვს. აბაშიძეს ჰყავს ისეთი ადამიანები, რომლებსაც შეეძლოთ სცოდნოდათ ბიბლიოთეკაში არსებული ვითარება და აღენიშნათ ის ნაკლი, რომელიც მეც მაქვს და ჩვენს მუშაობასაც.

— იქნებ, ისევ ბატონ სანდროს დავუბრუნდეთ...

— ეგ რა დასაბრუნებელია? — ენას ძლივს აბრუნებს და კარგი ფსიქოანალიზი არ აწყენდა. მისი არანორმალურობა მეორე დღეს, აჭარის ტელევიზიით გამოვლინდა: იქ თქვა — ბერძენიშვილი სულიერად და ფიზიკურად გავაშიშვლეო. აჭარის ტელევიზიაც სცოდავს, ცოტა კონტროლი უნდა გაუწიოს იმას, ვინ რას ამბობს: კაცის ფიზიკურ გაშიშვლებას რაც მოსდევს, ძალადობით იქნება ეს თუ ნებით, ეს

უნდა მოესხენებოდეთ... არ შეიძლება მასთან ჯანსაღ თემებზე საუბარი. ელიზბარ ჯაველიძისა კი მიკვირს, მაგრამ როგორც წესი, აღმოსავლეთმცოდნეები უშიშროებასთან იყვნენ დაკავშირებული და რა მოინადირა იქ, არ ვიცი. თუმცა, გამახარიასთან ერთად ჯდომა იმაზე მიუთითებს, რომ რაღაც მოუნადირებია...

— **თქვენ არ გსურთ, მისი მასწავლებელი იყოთ?**

— ადამიანი განათლებას 25 წლამდე იღებს. როდესაც მის თავში ცოდნის „თაროები“ ჩამოყალიბდება, შემდეგ ამ თაროებზე თანდათან „იღება“ ცოდნა. ბრეგაძე რომ აწი განათლებას დაიწყო, დაგვიანებული საქმეა. ზრდილობა კი ძალისმიერი მეთოდებითაც მყარდება,

სანდრო ბრეგაძე:
— **რატომ ჩსუბობთ ლევან ბერძენიშვილთან?**

— ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მასთან საერთო არაფერი მაქვს. პიროვნულად ვერც მექნება, რადგან იგი სხვა ცხოვრებით ცხოვრობს, მე — სხვა ცხოვრებით. მხოლოდ ერთი მოთხოვნა მაქვს: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ არ დანიშნოს ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი — იგი პარლამენტმა უნდა აირჩიოს, როგორც იქ შემავალი სტრუქტურის ხელმძღვანელი. არ მესმის, რატომ უარყოფენ არჩევითობის დემოკრატიულ მოთხოვნას.

— **რად გინდათ ეს არჩევითობა, თქვენი კანდიდატურა გყავთ?**

— არა, მაგრამ პარლამენტი სუბიექტურობისგან უნდა გათავისუფლდეს. პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელი და ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი უნდა დაამტკიცოს პარლამენტმა. ფვანია იქ ყოველთვის დასვამს თავის ყურმოჭრილ მონას, როგორც ეს ლევან ბერძენიშვილის შემთხვევაში მოხდა.

— **რატომ ხართ უკმაყოფილო, ნიგნი გამოინერეთ და არ მოგცათ?**

— იგი ტლუს და გაუნათლებელს მემახნის, ამბობს, რომ ბიბლიოთეკაში არასოდეს შემიხედავს. აკადემიკოსის ოჯახში ვარ გაზრდილი და ბიბლიოთეკაში შესვლა რა მოსატანია? აწონოს, რამდენი წიგნი მაქვს წაკითხული.

— **თვითონ რამე დაგიშავათ?**

ლევან ბერძენიშვილი: „ბრეგაძე რომ აწი განათლებას დაიწყო, დაგვიანებული საქმეა. ზრდილობა კი ძალისმიერი მეთოდებითაც მყარდება, მაგრამ მეექვსეა, მას უშველოს.“

— **გამახარიას რაღას ერჩიოთ?**

— მანანა არჩვამესთან არსებობს დოკუმენტები, რომელიც მას ეხება...

— **ამბობენ, რომ იქ სხვა დოკუმენტებიც არსებობს, მაგრამ ყალბია.**

— გამახარიას შემთხვევაში, სწორია, რადგან იგი ან გიჟად უნდა გამოაცხადო, რომ ახსნა მისი ქმედება, ან უშიშროების მუშაკად. თუ გიჟია, მაშინ პარლამენტში როგორღაა? რომელ ლოგიკაში ჯდება — ჯერ სტატია დაწვერო და მერე გამოვიდე და ამავე სტატიას ვაგინო? რესპუბლიკურ პარტიას თუ უნდა ვინმეს რამე მიაწოდოს, მას ამის საშუალება აქვს და არ სჭირდება „ნოვიე იზვესტია“, რომელსაც საქართველოში სხვა ხალხთან აქვს ურთიერთობა: ეს არის ვაჟა ლორთქიფანიძე, რომელსაც პატარკაციშვილი პატრონობს, და მასთან დაახლოებული ხალხი. ბადრი პატარკაციშვილს და ბორის ბერეზოვსკის, სხვა რამ სურთ: მათ სჭირდებათ ქვეყანა, რომელშიც არ დაიჭერენ...

— **მოდით, ისევ სანდრო ბრეგაძეს დაფუბრუნდეთ: თქვენი შვილი რომ იყოს, როგორ მოექცევოდით?**

— არა ვარ მკაცრი მეთოდების მომხრე. თანაც მისი და მისწარიების გამოსწორების იმედი დაკარგული მაქვს. ამ თვალსაზრისით, მხოლოდ ქრისტიანობა და ცოდვების მონანიება გვრჩება. თუ ამას მოახერხებს, იქნებ ეკლესიამ უშველოს.

მაგრამ მეექვსეა, მას უშველოს. იგი დესტრუქციულია. მას შეუძლია იყფოს თბილისში და მაშინვე გავარდეს ბათუმში — „შაქარზე“, როგორც დათვი ცირკში. ასლანი კი სისულელეს სჩადის, როცა თბილისელ კაცს — ბრეგაძეს ალაპარაკებს, რომ მე დებილი, გაუნათლებელი ვარ და მხოლოდ დეტექტივები მაქვს წაკითხული. არ გამოვა ასე: ბათუმში ხალხი მიცნობს, იქაური ვარ და ხალხისთვის მიუღებელია, უცხო კაცმა ბერძენიშვილს აგინოს — თუნდაც არაფერი სჯეროდეს მისი.

— **მაშ, დოჩანაშვილის მოთხრობის გმირს, ვასიკო კეჟერაძეს არ ეთანხმებით (კარგი ნიგნის მომავალ მკითხველს მისალოცად რომ აქვს საქმე)?**

— ბრეგაძეს და ასლან აბაშიძეს წიგნების კითხვა აღარ უშველის. ერთ

სანდრო ბრეგაძე: „მას „კაცია-ადამიანი“ ლექსი ჰგონია და ისწავლოს. იქნებ ჩასწვდეს ქართულ ეროვნულ სულს და გათავისუფლდეს მაგნე უცხოური გაფლენისგან.“

ინტერვიუში ვთქვი — გადაღლილი ვარ და მხოლოდ დეტექტივების კითხვა შემიძლია-მეთქი დასვენების დროს. ბრეგაძის ლოგიკით კი, „ბერძენიშვილს მხოლოდ დეტექტივები აქვს წაკითხული“. ამ გონებრივ შეზღუდულობას წიგნი ვერ უშველის.

— პირადად რა უნდა დაეშავებინა?! მაგრამ მას ავადმყოფური აზროვნება აქვს. რა გაითავისა იმ წაკითხული წიგნებიდან, რომლითაც ტრაბახობს, ეს არის მთავარი. ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს სამი თვისება უნდა ჰქონდეს: ნეიტრალურობა პოლიტიკაში,

უნდა იყოს ცნობილი მეცნიერი და მოღვაწე და მესამე, ჰუმანური ადამიანი.

— ფსიქოლოგი რომ იყო, რას ურჩევდით?

— გაეუშვებდი მთაში, ქართულ სოფელში საცხოვრებლად, რათა ცნობიერება მანიაკალური იდეებისგან გათავისუფლებოდა. გავატანდი საკითხავად ილიას, ვაჟას, აკაკის, ბარათაშვილს. თანამედროვე მწერლებს — ჯავახიშვილს, გამსახურდიას და ბევრ სხვასაც. თავისუფალ დროს დეტექტივებსაც გაეუზღა-ვინდი, რომელიც ასე უყვარს. მას „კაცია-ადამიანი“ ლექსი ჰკონია და ისწავლოს. იქნებ ჩასწვდეს ქართულ ეროვნულ სულს და გათავისუფლდეს მავნე უცხოური გავლენისგან.

— ამ მეთოდით ფიქრობთ მის გამოსწორებას?

— თუ 1% მაინცაა დარჩენილი, არც ერთი ექიმი ბოლომდე არ კარგავს იმედს. არ მინდა, მკურნალის როლში გამოვიდე, მაგრამ არსებობს ხალხი, რომელსაც შეიძლება ბერძენიშვილი მივაბაროთ.

— ვის გულისხმობთ?

— ქართველ გლეხკაცებს. იქნებ, მათმა სიბრძნემ უშველოს.

— აკაკის „გამზრდელი“ რომ იყო და ლევანი თქვენი აღზრდილი, რას იზამდით?

— მეც იბულებული ვიქნებოდი, გამზრდელის სიტყვებით დამემთავრებინა ჩემი ცხოვრება: „სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდისარ“. ვინმეს აღზრდის გამოცდილება არ მაქვს, მით უმეტეს, ჩემზე უფროსი და უკვე გაზრდილი ბერძენიშვილის ხელახლა აღზრდას ვერ ვიკისრებ. აკაკის სიტყვებს მოვიშველიებ — მართო წვრთნა მას რას უშველის, თუ ბუნებამც არ უშველა. პირდაპირ ეთერში წააგო და ახლა მუშტებს იქნევს — ჩემზე აგროვებს კომპრომატებს.

— თქვენს კომპეტენციაში რომ იყოს, რა თანამდებობაზე დანიშნავდით ლევან ბერძენიშვილს?

— მას ძალიან უყვარს ამერიკა. იქ, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში არის შტატი — კაცი, რომელიც პრეზიდენტის საჭმელს სინჯავს. შეჭამს ეს კაცი და მერე უყურებენ, მოკვდება თუ არა...
— სუმრობთ?

— რატომ? კარგს შეჭამდა და კარგს შესვაძდა, მეტი არაფერიც არ აინტერ-

ესებს. სმა-ჭამის სამინისტრო რომ იყოს, იქ დავნიშნავდი... ვერ მოუძებნი ასეთ ადამიანს ადგილს. არსებობს რეზერვაციები, სექტანტების სოფლები — წავიდეს და იქ იცხოვროს.

— ე.ი. თქვენი აზრით, სექტანტია?

— დიახ, ის სექტანტიც არაა — სხვა იდეოლოგიის მსახურია. ამ იდეოლოგიით, საქართველოს უნდა ეცხოვრა უცხოური რესურსით და დასავლეთის დახმარებით. ეკონომიკა უნდა ჩამკვდარიყო... ეს არის. შემდეგ დაიწყო გენერალური შეტევა ერის ცნობიერებაზე: უნდა გადავიკვებოთ ნიჰილიზმით და დეპრესი-სია, რადგან არაფრად ვვარგვივართ, — აი აზრი, რომელიც შევარდნამდე დანერგა ბერძენიშვილების და მისთანების ხელით. მესამე ეტაპი ჩვენი წარსულისა და სიწმინდეების განქიქებაა... ნიშანდობლივია, რომ კბილი სწორედ ილიაზე მოსინჯეს. ბერძენიშვილი თუ სექტანტი არაა, უნდა იცოდეს, რომ წმინდანის კრიტიკა არ შეიძლება.

— მას ილიაზე ცუდი არაფერი უთქვამს, უბრალოდ თქვა — მისი ლექსები არ მომწონს, მძიმე სტილის არი-სო. მონონება-არმონონება ხომ გემოვნების საქმეა?

— აი, თქვენც მათი გავლენის ქვეშ ხართ... არსებობს სიწმინდე, რომელსაც არ უნდა შეეხო, რადგან ეს ქვეყნის საფუძველს დაანგრევს. ბერძენიშვილი სავსებით გააზრებულად მოქმედებს უცხოური სპეცსამსახურების მითითებით. ისინი ევროპულ კულტურას ანადგურებენ და ჩვენ რაღას გვიზამენ.

— იქნებ, ბერძენიშვილის ქართველობაც საეჭვოა?

— მას კარგი წინაპრები ჰყავს, მაგრამ ყველა ოჯახში ერთი მახინჯი გამოერევა ხოლმე. ამასთან დაკავშირებით, საქართველოში უნდა აღმოიფხვრას „ნასედკობის“ ინსტიტუტი, თორემ ამან ბევრი დაღუპა და ბევრს მომავალშიც დაღუპავს.

— ეგ რა შუაშია?

— მაქვს დოკუმენტები, რომელსაც მალე იხილავთ. რაც შეეხება ლევან ბერძენიშვილის საქმიანობას ეროვნულ ბიბლიოთეკაში, კონტროლის პალატის მასალებით ვილაპარაკებ პარლამენტის სესიაზე. მათ ჩამოაყალიბეს ფონდი და იქ რაც ხდება, სულ მალე იქნება საზოგადოებისათვის ნათელი... ■

რატომ უნდა იყოს ქართველი?



სიცრუეს ასიათასობით სახე აქვს და ჭეშმარიტება კი ერთსახოვანია.

მიშელ მონტენი

ვისაც მლიქვნელობა შეუძლია, მას არც ცილისწამება გაუჭირდება.

ნაპოლეონ ბონაპარტე

სიყვარული — ცეცხლია: თუ არ კვებავ — ქრება.

მიხაილ ლერმონტოვი

ყველა სიძნელე ჩვენში მხოლოდ ამრავლებს ძალეს.

ემილ ვერჰარნი

ბრყვია მეფე იმ ქვეყნისა, სადაც შიმშილობს, ბრძენთა კრებული.

სიტყვის ოსტატი ღირსეული, თუნდაც ღარიბი, არის ქებული.

ბჰატიარი

მეგობარი შეიცნობა ნამდვილ უბედურებაში,

რადგან ჭირში ზურგს არ გაქცევს ჭეშმარიტი მეგობარი.

კასია

ყოველი შეზღუდული ადამიანი ღამობს, სახელი გაუტეხოს საფუძვლიანი და ფართო გონების ადამიანებს.

კლოდ ადრიან ჰელევიუსი

კაცი სახელის მძებნელი უკვდავად შემირაცხია;

მკვდრად იგი თქმულა, ვის კაი სახელი ზედ არ აცხია.

სულხან-საბა ორბელიანი

ამას წინათ, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა განაცხადა: მართალია, ციხეებში „ობშიაკი“ ისევ გროვდება, მაგრამ იმას მაინც მივაღწიეთ, რომ ამ ფულს ციხის ახალი უფროსები არ იღებენო... საინტერესოა, რას წარმოადგენს ეს ყბადაღებული „ობშიაკი“, როგორ გროვდება და რაში იხარჯება. ყოველივე ამის გასარკვევად მივმართეთ ციხის ერთ-ერთ ყოფილ თანამშრომელს, ყოფილ მილიციელს (შემდეგ პოლიციელს), რომელიც ინტერვიუზე იმ პირობით დავითანხმეთ, რომ მის სახელსა და გვარს არ მოვიხსენებდით.

თამაზ ქორქოლიანი

— რას წარმოადგენს ქურდული „ობშიაკი“?

— ჩვეულებრივი ენით რომ ვთქვათ, ეს გახლავთ ციხეში კანონიერი ქურდების ხელმძღვანელობით პატიმრებისგან აკრებილი თანხა. ქურდული კანონებით, „ობშიაკი“ არის „წმინდათა წმინდა“ და მას უნდა ინახავდეს „კრისტალურად სუფთა“ ქურდი ან „მუჟიკი“, რომელსაც „სხოლნიაკი“ ნიშნავს.

„სხოლნიაკი“ რა არის?

— „სხოლნიაკი“ ქურდების შეკრებაა. სხვადასხვა დონის „სხოლნიაკები“ იმართება. იყო, მაგალითად, „კესაიუზნი სხოლნიაკი“, ადრე კომპარტიის საკავშირო ყრილობები რომ იყო, ისეთი. „ობშიაკის“ შეგროვების მეთოდები კი საგადასახადო ინსპექციის მუშაობას შეიძლება შევადაროთ, ანდა იმავე პარტიის საწევროების შეგროვებას. საბჭოთა კავშირის დროს, როცა შრომა-გასწორების კოლონიები არსებობდა, უზარმაზარი თანხები გროვდებოდა ქურდულ „ობშიაკებში“. 70-იან წლებში მარტო კემეროვოს ოლქში წელიწადში 8 მილიონ მანეთზე მეტი შედიოდა. ამ „ობშიაკის კახნაჩი“ ანუ ხაზინადარი უნიჭიერესი კაცი, პროფესიით ბუღალტერი იყო, რომელიც ქურდი არ გახლდათ. მან ისე ააწყო საქმე და ისეთი „რეზერვები აღმოაჩინა“, რომ ციხის „ობშიაკში“ გარედან „ცხეხეხევისგან“ და „მოხალისეებისგანაც“ შედიოდა ფული.

ჩვენს ციხეებში, რა თანხებით გროვდება „ობშიაკი“?

— ახლა, როცა შრომა-გასწორების კოლონიები აღარ არის, საქმე უფრო მარტივადაა: თითოეული პატიმარი ვალდებულია, გადაიხადოს თვეში 25 ლარი. ამას აგროვებს კამერის მამასახლისი ანუ „მაყურებელი“. დაკუშვათ, კორპუსში 20 კამერაა, თითოეული კამ-



ქურდულ „ობშიაკს“, ციხის ადმინისტრაციაც იყენებს...

ერის „მაყურებელი“ აძლევს კორპუსის „მაყურებელს“, კორპუსის „მაყურებელი“ აძლევს ქურდს, ბოლოს, ფული „ობშიაკის“ ხაზინადართან იყრის თავს. გარდა ამისა, ჩვენს ციხეებში დღესდღეობით აზარტული თამაშებიდანაც გროვდება ფული, სხვადასხვა პროცენტია დაწესებული: 10, 15, 20, ზოგჯერ 30%-საც აღწევს.

ტელემაყურებელში ან თეატრის მაყურებელში რომ არ აგვერიოს, განგვიმარტეთ — რას ნიშნავს ტერმინი „მაყურებელი“?

— „მაყურებელი“ არის ქურდის დანიშნული კაცი, იგივე მეთვალყურე, რომელიც ყველა საქმის კურსში უნდა იყოს. თუ ქურდი არ არის ციხეში, ქურდულ საქმეებს ის არჩევს.

შეიძლება ციხეში ქურდი არ იყოს?

— როგორ არა?! მაგალითად, კომუნისტების დროს, ერთხელ შეკრიბეს და რესპუბლიკის გარეთ გააგზავნეს, მაგრამ „ობშიაკი“ მაინც გროვდებოდა. საერთოდ, ქურდებს მიაჩნიათ, რომ ციხე, შიგნიდანაც და გარედანაც, მათგან უნდა კონტროლდებოდეს, უპატრონოდ ციხეს არასოდეს ტოვებენ. იქ ყველანაირი ინფორმაცია მიდის — ვინ როგორი კაცია, ვინ რაშია „ჩაჭრილი“... მაგალითად, გარეთ გამოძიებულმა ან პოლიციელმა ქრთამი აიღო, ან ციხის უფროსმა აიღო „ობშიაკიდან“ ქრთამი — ყველა ინფორმაცია იქ გროვდება. მეურნეებისმიერი მექრთამის შანტაჟირება შეუძლიათ.

თუ პატიმარი ხელმოკლე ოჯახიდანაა და არა აქვს საშუალება 25 ლარის გადახდისა?

— მაგას გაივებენ და, ციხის ტერმინოლოგია რომ ვინხარო, — „არ დაახრ-

ხოვენ“, რა.

თუ მილიონერია, მასაც 25 ლარს გადაახდევინებენ?

— გააჩნია, რა შემთხვევაში: გოიმი, დებილი და სულელი არ უნდა იყო, თორემ გამოიგვიტყერენ — ბოლოს და ბოლოს, კრიმინალები არიან და მათ მოვალეობაში ცოდვების მიტევება სულაც არ შედის, — შეიძლება ისე გამოიჭირონ, რაც გარეთ მოიპარა, ყველაფერი იქ მიატანინონ. ოხრად არიან „ნასეღკები“ და იმაზე მუშაობენ, თუ ვინმე კარგი ტიპია, როგორმე მოაფუჭონ და გაათახსირონ.

თუ ხდება ისე, რომ ციხეში ქურდის მიერ დანიშნული „მაყურებელიც“ არ იყოს?

— არა, ასეთი რამ მე არ შემხვედრია. თუმცა, ვიცი ერთი ასეთი ამბავი: 70-იანი წლების ბოლოს როსტოვის ციხეში ოფიციალური ექსპერიმენტი ჩატარდა — ციხიდან ჯერ ქურდები გაიყვანეს, შემდეგ „მაყურებლები“, მოგესხენებათ, ბუნება სიცარიელეს ვერ იტანს და „ვლასტი“, ეთნიკური ნიშნით, ჩეჩენმა პატიმრებმა აიღეს ხელში. დაიწყო გაუთავებელი ჩხუბი, საქმის გარჩევები, ციხე ლამის „აბუნტლა“. ადმინისტრაციამ ვერაფერი გააწყო, სანამ ფოთელი ქურდი, გვარად მანთხია არ ჩამოიყვანეს სპეციალურად, რომელმაც ერთ დღეში ყველა პატიმარს თავ-თავისი ადგილი მიუჩინა და ციხეც დააწყწარა.

ესე იგი, ციხეში ქურდი საჭირო ყოფილა?

— ასე გამოდის.

— ჩვენ ოდნავ ავცდით საუბრის თემას. რაში გამოიყენება „ობშიაკი“, რა არის მისი პირდაპირი

დანაშნულება?

— უპირველეს ყოვლისა, „ობშიაკი“ გამოიყენება ციხეში „პალაჟინის“ გასაკეთებლად.

— „პალაჟინა“ და მისი გაკეთება რას ნიშნავს?

— ციხეში არის საერთო რეჟიმი, რომლის პირობებიც სახელმწიფო პენიტენციარული სისტემის ოფიციალური წესდებითაა განსაზღვრული. მაგალითად, ამა და ამ დანაშაულისთვის მსჯავრდებულს არ ეკუთვნის „სვიდანია“, ან ეკუთვნის 6 თვეში ერთხელ, ან „პერედაჩა“, სულ თვეში 3 კვ ერგება. პატიმრებს, რა თქმა უნდა, არ აწვობთ ასეთი სიმკაცრე, ასეთ შემთხვევაში, „ობშიაკის“ ფული მიდის ადმინისტრაციაში. თუ ციხის უფროსმა და სხვებმა ქრთამი აიღეს, ისინი მერე თვალს ხუჭავენ „პატარ-პატარა“ დარღვევებზე: „სვიდანიასაც“, როცა უნდათ, მაშინ ნიშნავენ თვითონ ქურდები და „პერედაჩაც“ დაუბრკოლებლად შედის. კიდევ, თუ ვინმე ქურდი ან „ხაროშნიაკი“ — ე.ი. ქურდობის კანდიდატი, საავადმყოფოშია და ფული სჭირდება, „ობშიაკიდან“ მასაც გადაეგზავნება ფული.

— ესე იგი, „ობშიაკით“ სარგებლობა ყველა პატიმარს შეუძლია? მაგალითად, პაემანი მოისურვა ან ავად გახდა და საავადმყოფოში გადასვლაა საჭირო.

— არა, ჩვეულებრივი პატიმარი ყველაფერში ფულს თავისი ჯიბიდან იხდის: პაემანშიც და საავადმყოფოშიც — უფულოდ ვინ გადაიყვანს, თუ ვენები არ აქვს გადაჭრილი ან სასიკვდილოდ არ არის უკვე გამზადებული?! ამ მიზნით „ობშიაკით“ სარგებლობის უფლება მართლ ქურდებს აქვთ.

— თუ ციხის თანამშრომლებიც სარგებლობენ ქურდული „ობშიაკით“, მაშინ ისინიც დაინტერესებული უნდა იყვნენ მისი შეგროვებით.

— ჰო, თავისებური წილი მაგათთანაც მიდის და, რა თქმა უნდა, ამის გამო, ხელსაც უწყოებენ შეგროვებას.

— ესე იგი, ციხის უფროსი აქ ხელისუფლების პირამიდის მწვერვალზე ზის და თუ „ობშიაკიდან“ ფულს იღებს, გამოდის, რომ ქრთამი იმის იქითაც მიდის?

— რა თქმა უნდა! ისე ვინ გააჩერებს თანამდებობაზე?! ზევით და ზევით მიდის, ერთმანეთზე ჯაკჭვის რგოლებივით არიან გადაბმულნი. თუმცა, ახლა ამბობენ, ციხის უფროსები აღარ იღებენ... შესაძლებელია, მაგრამ როდემდე? საერთოდ, ეს ბინძური გზით ნაშთი ფულია და ბინძურ საქმეს ხმარდება, ის „კაზნა-

ჩეიც“, რომელსაც ეს ფული აბარია და კრისტალურად პატიოსან ადამიანად იცნობენ, შეიძლება ერთ დღეს თავისი ხაზინიდან „მოტყდეს“. მერე მაგას დაუწყებენ ძებნას და თუ იპოვეს, სიკვდილი არ ასცდება.

— გამოდის, ამ ორ დაპირისპირებულ მხარეს — ციხის ადმინისტრაციას და ქურდებს ერთმანეთი ეზიზღებათ, მაგრამ უერთმანეთოდ ვერ ძლებენ?!

— არა, არ ეზიზღებათ. ერთმანეთი უყვართო — ვერ გეტყვით, მაგრამ კარგი, თბილი ურთიერთდამოკიდებულება რომ აქვთ, ვიცი. პატივს სცემენ ერთმანეთს: ხელი ხელს ბანს და ორივე ერთად პირსო... ეს მეთოდი მუშაობს მათ დამოკიდებულებაში: ქურდებს სჭირდებათ ღმობიერი, თვალხუჭუნა ადმინისტრაცია — ადმინისტრაციას სჭირდება გადახდისუნარიანი პატიმრები და ქურდების მიერ დამყარებული წესრიგი.

— კიდევ რაში იხარჯება „ობშიაკი“, სახლში თუ აგზავნიან?

— არა! ქურდული კანონებით, ეს დაუშვებელია: როგორი ამბავია — ოჯახი პატიმრების ფულით დასასვენებლად გაუშვია, თუმცა იყო შემთხვევები, როცა ქურდს „ობშიაკიდან“ ფული „მოუტყენია“ და ცოლ-შვილისთვის გაუგზავნია, ასეთი საქმეები თუ გამოვლავნდა, „კანონის დამრღვევი“, მკაცრად ისჯება. „ობშიაკი“, მათი გაგებით, მხოლოდ ციხეში „პალაჟინას“ უნდა მოხმარდეს.

— ციხეში სად ინახავენ „ობშიაკის“ ფულს?

— სხვადასხვა ადგილას, ხშირად, ქურდების „კამერაში“.

— მერედა არაფერ ჩხრეკს?

— არა, ხომ გითხარით — როცა ფული ციხის უფროსს აქვს აღებული, ქურდების კამერის არგანზრეკაც იმ „პალაჟინაში“ შედის, წელან რომ ვახსენებ. ამით ხელმძღვანელობს ორივე მხარე — წინააღმდეგ შემთხვევაში „პალაჟინა“ ფუჭდება, მაგალითად, ციხეში „ბუნტი“ ატყდა. ხომ არ გგონია, ამათ რამის შნო აქვთ? მშვიდ-ტიტველი თანამშრომელი იქ არ შევარდება და გამხეცებულ პატიმარს არ მოეკვლევიანება. ისევე ქურდმა უნდა დაამოშინოს და თუ „პალაჟინა“ გაფუჭებულია, დაამოშინოს კი არა, შეიძლება თვითონ შეუწყოს ხელი. ამიტომ, ადმინისტრაცია დაინტერესებულია, ქურდებთან ურთიერთობა არ გაიფუჭოს.

— გამოდის, რომ ადმინისტრაცია გარედან აკონტროლებს ციხეს, ქურდები კი — შიგნიდან.

— არა! როგორც ვთქვი, ორივე მხრიდან ქურდები აკონტროლებენ —

შიგნიდანაც და გარედანაც.

— თქვენ იღებდით ქრთამს, როცა ციხეში მუშაობდით?

— როგორ არა — თეთრი ყვავი ხომ არ ვიქნებოდით! „კამერიდან“ სხვა „კამერაში“ რომ შეეკუშებოდა სალაპარაკოდ ან სათამაშოდ, მაშინ მამღველენ.

— „ობშიაკიდან“?

— არა, პატიმარი საკუთარი ჯიბიდან იხდიდა ფულს.

— ნარკოტიკები ვის შეაქვს ციხეში?

— ნარკოტიკები და სასმელი ციხის თანამშრომლებს შეაქვთ.

— თქვენ თუ შეგიტანიათ?

— ნარკოტიკები არა, სასმელი ხანდახან, იძულებული ხარ, შეიტანო. იყიდი 2 ლარად — გაყიდი 10 ლარად: როცა ხელფასს ექვსი თვე გიგვიანებენ, იძულებული ხარ, გააკეთო...

— რატომ დაანებეთ ციხეში მუშაობას თავი?

— მომბეზრდა ამდენი საწყალი ხალხის ყურება. ამდენი გარეწარი „ნასედაკა“, ამდენი უსამართლობა... ციხეში მუშაობას ყველა ვერ უძლებს, იქ რაღაც განსაკუთრებული სპეციფიკა და განსაკუთრებული ურთიერთობებია, რომელიც ჩემი ხასიათისა და ბუნებისათვის მიუღებელი იყო. იქ არ ისეთმა ხალხმა უნდა იმუშაოს, როგორც ჩემს დროს მუშაობდა და ყველაფერი ისე დარჩება, როგორც იყო, ანდა კრისტალურმა, სუფთა პიროვნებებმა — თუ გვინდა, რომ რაიმე გამოსწორდეს. მე რომ ფული მქონდა აღებული პატიმრისგან, გაყიდივით ვიყავი: ვედარაფერს ვეუბნებოდი, იძულებული ვიყავი, თვალი დამეხუჭა, როცა წესრიგს არღვევდა... ციხიდან რომ წამოვედი და რიგით პოლიციელად ვმუშაობდი, იმას ვედარაფერს ვეუბნებოდი, ვისგანაც ფული მქონდა აღებული. მაგალითად, ძებნა იყო გამოცხადებული და უნდა დაგვეჭირა, თუკი ეს კაცი შემხვებოდა, ვეუბნებოდი: ბიჭო, შენზე ძებნაა გამოცხადებული, წადი, დაიკარგე სადმე, ნუ გამოჩნდები-მეთქი... იმიტომ, რომ გაყიდილი ვიყავი და ვისაც „ნაყიდი“ ვყავდი, იმას როგორ დავიჭერდი?! ამიტომაც წამოვედი პოლიციიდან.

— ალბათ იცით, რომ ჩვენი იუსტიციის მინისტრის ძალისხმევით, ცალკე ციხე შენდება — სპეციალურად ქურდებისთვის. ამით პენიტენციარულ სისტემაზე მათი გავლენის მოსაზრობა სურს. თქვენი აზრით, რამდენადაა ეს შესაძლებელი?

— როგორც იტყვიან, „ნეტარ არიან მორწმუნენი“: მე არ მჯერა, მაგრამ ვნახოთ, რა გამოვა...

სუპერჰეროინი მარია ტელესერიალი

ელისო გურბენიკა

მარიანა ნინიაშვილი მარენის როლით გაიცნო ქართველმა მაყურებელმა. მისმა პერსონაჟმა საკმაოდ გამოაცოცხლა ტელესერიალი „ძილის წინ“ და მარენიცა და მარენისებურად წარმოთქმული „კაი რა“-ც სულ მალე თბილისში სუპერპოპულარული გახდა. „მსახიობობა ლატარიის თამაშივითაა, მთავარია, ბედნიერი ბილეთი ამოიღო“, — ამბობს მარენი, თუმცა, ნიჭი და პროფესიის სიყვარული ახალგაზრდა მსახიობს ნამდვილად არ აკლია.



„კაი რა!“

— მოდი, გაცნობა ოჯახიდან დაფინსო.

— დღისერთა ვარ. დედა ბავშვობიდან მანებვირებდა. მამა არ მასსოვს: 3 წლისა ვიყავი, რომ მიგვატოვა და მერე აღარ მინახავს.

— დედას ოჯახი ხელახლა არ შეუქმნია?

— ამაზე არც ყოფილა საერთოდ საუბარი. დედამ ყველაფერი მე შემომწირა. ამბობდა — გაგვიყლები, სხვამ რომ მოგცეს შენიშვნაო.

— მამას სხვა ოჯახი ჰყავს?

— დიახ, ისე, არ მინდა ამ თემაზე საუბარი.

— ახლა რომ მოგიდეს და განახო?

— მშობელს თავისი დანიშნულება აქვს. სანამ პატარა ხარ და იზრდები, მაშინ გინდა მამა. როცა მჭირდებოდა, არასოდეს ჩემ გვერდით არ ყოფილა. თუმცა, დედა

არაფერს მაკლებდა და უმამობა არ მიგრძენია. ბავშვობაში ვერც ვგრძნობდი, ვინმე თუ მაკლდა. რომ წამოვიზარდე, მერე უფრო განვიცდიდი უმამობას. ბევრი მეუბნება: ახლა, როცა პოპულარული გახდი, ალბათ მამაშენი მოვა და გნახავსო... რად მინდა? მშობელი გასაზრდელს რომ დაგტოვებს და 22 წლის შემდეგ სანახავად მოვა, რა უნდა ელაპარაკო?!

— და-ძმის გაცნობის სურვილიც არ გაქვთ?

— ეს მამამ უნდა ითავოს. არ ვიცი, როგორ მიიღებენ ჩემს გამოჩენას ბავშვები და არ მინდა, ოჯახური მყუდროება დაეზღვიოს.

— უმამოდ დაუცველად არ გრძნობთ თავს?

— აღამიანი თვითონ უნდა იყოს ძლიერი. ვინც არ უნდა გეღვას გვერდით, მაინც სუსტი იქნები, თუ შენი საკუთარი სიძლიერე არ გაგაჩნია. მე მარტოც

ვუმკლავდები ცხოვრებას. ოღონდ, დღისერთა რომ ვარ, ამაზე მტკივა გული.

— როგორ მოხვდით ტელესერიალში „ძილის წინ“?

— ახლობელმა მითხრა: ტელესერიალში ახალი მსახიობი სჭირდებათო და სინჯებზე მისვლა მირჩია. გამბედაობით ვერ დავიკვივნი, მაგრამ მსახიობი ვარ და მეც ვცადე ბედი. დაძლავებული ქალი უნდა განმეხსიერებინა, რომელიც თავისი კეკლუცობით არეულობას შეიტანდა ოჯახში. ისე ვნერვიულობდი, არც მახსოვს, როგორ გავიარე სინჯები. რამდენიმე საათში დამირეკეს და მამცნეს: როლზე დამტკიცებული ხარო.

— როლზე დამტკიცებამდე თუ უყურებდით ტელესერიალს?

— ვუყურებდი. ჩემი მეგობარი გოგოლა კალანდაძე თამაშობს ერთ-ერთ მთავარ როლს. გოგოლას სტუდენტობიდან ვიცნობ. ორივენი ერთ ჯგუფში ვსწავლობდით თეატრალურ ინსტიტუტში და ჩვენი მეგობრობაც იქიდან იწყება. ტელესერიალიც მომწონდა. გასართობია და ჩვეულებრივი მელოდრამებისგან განსხვავდება.

— თვითონ, ბუნებით რამდენად კეკლუცი ხართ?

— კეკლუცი ყველა ქალია, ოღონდ, ისეთ გარემოში, სადაც მას ამ თვისების გამოძღვანების საშუალება ეძლევა. მარენი კი, ცოტა არ იყოს, გადამეტებულად კეკლუცია. ძალიან მგრძობიარეა და გამაღიზიანებელ ფაქტორებზე, ზომაზე მეტად რეაგირებს. მე მთლად ასეთი არ ვარ.

— ე.ი. თქვენს თავს არ თამაშობთ?

— არა. სხვა რომ არაფერი, დაძლავებლობისკენ არანაირი მიდრეკელება არ მაქვს.

— მარენის ფრაზები, რომელიც დღეს თბილისში ასეთი პოპულარულია, სცენარის ავტორის დამსახურებაა, თუ თქვენი მიგნება?

— „კაი რა“-ს გულისხმობთ? — სცენარში ეწერა. თუმცა ახლა უკვე ისე ავითვისე ეს ფრაზა, ვეღარც ვაფიქსირებ, როგორ წარმოვთქვამ. „კაი რა“-ს ჟურნალისტები ჩემს სავიზიტო ბარათს ეძახიან. ქუჩაში ხალხი მარიანას ნაცვლად, „კაი რა“ მოდიხო, ამბობს.

— როგორ ფიქრობთ, რატომ გახდა თქვენი გმირი პოპულარული ასე მალე?

— მარენს გარკვეული ხიბლი აქვს,



თანაც, ალბათ, მისმა ჩაცმულობამ, ვარცხნილობამ და გარეგნულმა ფორმებმაც მიიქცია ყურადღება.

— მარიანას თუ მოსწონს მარეხი?

— სულ ვამბობ, უნდა გიყვარდეს პერსონაჟი, რომელსაც თამაშობ, — იმისდა მიუხედავად, დადებითია იგი თუ უარყოფითი, როლი ჩემი ცხოვრება ხომ არ არის, რომ შევაფასო და არ მომწონდეს. მარეხი თავისი ღირსებებითა და ნაკლით, რომ არ მიყვარდეს, არც არაფერი გამოვა როლიდან.

— მსახიობის პროფესია რატომ აირჩიეთ?

— ბავშობიდან მინდოდა მსახიობობა. 5 წლის ასაკში ვნახე პირველად „კაკა-სიური ცარცის წრე“ (დედას და ბებიას ხშირად დავყავდი სპექტაკლებზე) და მაშინ გადავწყვიტე მსახიობობა. ყოველდღე სხვადასხვა თეატრალურ გმირს ვბადავდი. ხშირად გადავიცვამდი ტანსაცმელს და ცნობილ პერსონაჟებს თუ დედაჩემის მეგობრებს „ვაჯავრებდი“. არ მინდოდა, მხოლოდ მარიანა ვყოფილიყავი. მონოსპექტაკლებს ვგაძმდი და მეზობლებს ვაჩვენებდი. ხალხს ვაშინებდი, ისეთი კოსტიუმით დავადგებოდი ხოლმე ხანდახან თავზე. ჩემი პროფესიის წყალობით, განმიცდია ყველაფერი, რაც ცხოვრებაში არ გადამხდენია: ექიმიც ვყოფილვარ და დამლაგებელიც, გამყიდველიც და დედოფალიც. არ მინდოდა, მარტო ერთი ადამიანის ცხოვრებით მეცხოვრა და ერთფეროვანი ცხოვრება მქონოდა. ფერებიც არ მიყვარს სადა — ყველაფერი მკვეთრი და თვალში საცემი მომწონს. ისე კი, თეატრალურ ინსტიტუტში, მსახიობებ-

ან ერთად, ბევრი რამ ვისწავლე და კიდევ: მგონია, რომ მსახიობობა თავისებური ქველმოქმედებაა.

— მაინც რა ისწავლეთ თეატრალურ ინსტიტუტში?

— ადამიანებთან ურთიერთობა. ჩვენს საქმეს ბევრი რამ აქვს საერთო ფსიქოლოგიასთან. მთლიანად იცვლება ადამიანებთან შენი დამოკიდებულება. გარდა ამისა, თვით ინსტიტუტში საოცრად კარგი ატმოსფეროა: არ იხლართება ინტრიგები — ისეთი, როგორიც თეატრებში ხდება ხოლმე. შევიძინე ბევრი მეგობარი და სცენაზე გავედი, რაც ჩემი ბავშვობის ოცნება იყო... ყველაფერი დანარჩენი უკვე გამართლებასუა.

— წარმატების მიღწევა არ გიჭირთ? თქვენ ხომ თეატრალურ ოჯახში არ გაზრდილხართ.

— თუ ნიჭიერი ხარ, არავინ არაფერს დაგიკარგავს. არც მისაღები გამოცდების ჩაბარებისას დაუუჩაგრივარ ვინმეს. წარმოიდგინეთ მიძღები კომისია, რომელიც 25 წლის მანძილზე დაახლოებით ერთსა და იმავე კითხვებზე ისმენს პასუხებს... მგონი, თავიდან არც კი შემოუხედავთ ჩემთვის. შემდეგ რეზო ინანიშვილის „ძველი ქართველი ქალის“ კითხვა რომ დავიწყე, მიგზვდი — კომისია დავაინტერესე. ცეკვისას კი კომისიის წევრების კეთილგანწყობა საბოლოოდ მოვიპოვე (მანამდე 5 წელი სუხიშვილების სტუდიაში ვცეკვავდი)... ინსტიტუტშიც ჩემი სახე მქონდა ყოველთვის. ჩემ გვერდით იყვნენ ცნობილი მსახიობების შვილები, მაგრამ, მე მგონი, ისინი უფრო იყვნენ დაკომპლექსებულიები მამების სახელებით, ვიდრე მე, რომელსაც არანაირი „თეატრალური ფესვები“ არ გამაჩნდა. ცნობილი გვარების გამო, მათ მიმართ მეტი კრიტიკაც ისმოდა, მე კი ნაკლებად ვექცეოდი პედაგოგების ბრჭყალებში.

— ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სად მუშაობდით?

— „თეატრალურ სარდაფში“ ლაშა ბულაძის პიესაში „ოთარი“, ბებიის როლს ვთამაშობდი. ეს სპექტაკლი ინსტიტუტში დავდგით და შემდეგ პირდაპირ გადავ-

იტანეთ „სარდაფის“ სცენაზე. 2 წელი მომიწია ბებიის როლის თამაში, ახლა ეს დადგმა უკვე მოხსნილია რეპერტუარიდან.

— თქვენი სასცენო ცხოვრებიდან რაიმე კონკრეტულ ეპიზოდს ხომ არ გაიხსენებდით?

— მე ყველაზე მეტად სცენაზე გადაღებული პირველი ნაბიჯი მახსენდება. კულისებიდან გამოსვლას დიდხანს ვერ ვბედავდი...

— რომ არა მსახიობობა, რა პროფესიას აირჩევდით?

— არა მგონია, სხვა გზას დავდგომოდი: როგორც ვითხარით, უზომოდ მიყვარს ჩემი პროფესია. მსახიობობა ძალიან აზარტული საქმეა. როლზე მუშაობისას, ყოველდღე შეგიძლია რაღაც აღმოაჩინო. სხვა სპეციალობის ადამიანმა, შეიძლება, ცხოვრებაში ერთხელ წამოიძახოს „ვერიკა!“. მსახიობს კი, ამ სიტყვის გამეორება ხშირად უწევს... თუმცა, შეიძლება მოცეკვავეც ვყოფილიყავი. უკიდურეს შემთხვევაში კი — ექიმი, რადგან ექიმობაც ქველმოქმედებაა.



მართკუთხედი მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. ვინ გამომიგონა ტელეგრაფი?



- ა) სემუელ მორზე;
- ბ) თომას ედისონმა;
- გ) ჯორჯ ვაშინგტონმა.

2. რა ერძვება გუნდს, რომელსაც ფოულა (იპოლიტა ხვიჩია) ეძგა სათავეში?



- ა) „ავაზა“;
- ბ) „უქიმერიონი“;
- გ) „მრეტები“.

3. რომელი ქალაქის მეთსახელია „დიდი ვაშლი“?



- ა) პარიზის;
- ბ) გორის;
- გ) ნიუ-იორკის.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

— თუ უხერხული არ არის ეს კითხვა და შეგიძლიათ მიპასუხოთ — როგორი ანაზღაურება გაქვთ ტელესერიალში?

— 30 ლარს მიხდიან ერთ სერიაში მონაწილეობისთვის. მაგრამ ჩემთვის თვით მსახიობობაა უზარმაზარი კომპენსაცია. ჯერ ოჯახი და შვილები არ მყავს, რომ საქმის მატერიალური მხარე გადამწყვეტი იყოს ჩემთვის. მინდა თამაში და სიამოვნებას ვიღებ, ამიტომაც, ჯერ-ჯერობით, რაც მაქვს, იმითაც კმაყოფილი ვარ.

— როგორც ბრძანეთ, დედათქვენი დიასახლისია. მატერიალურად ვინ გეხმარებოდათ?

— ბაბუაჩემი — ნიკოლოზ ნინიაშვილი, რომელიც საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო ძიუდოში. სხვათა შორის, ბაბუა და მისი ძმა ქრისტეფორე ნინიაშვილი საქართველოში ძიუდოს ფუძემდებლები არიან.

— ბოლო ათი წლის მანძილზე საქართველოში ბევრი ოჯახი დიდ გაჭირვებაში ჩავარდა. თქვენ ეს არ შეგხვებიათ?

— როგორ არა! სახლიდან გავიტანეთ ბევრი რამ. მაგრამ, ასე თუ ისე, ვუმკლავდებოდით სიმწიფეებს. მე და დედა ხშირად დაველიოდით ეკლესიაში და ვლოცულობდით...

— ოჯახს რატომ არ ქმნით, შეყვარებული არ ხართ?

— ჯერ არ ვიცნობ კაცს, ვისთანაც შეიძლება ოჯახი შეექმნა. არ მინდა, ქარაფ-შუტული ნაბიჯი გადავდგა. საერთოდ, ძალიან დაკვირვებულიც და ამავე დროს, მერყევიც ვარ და გადაწყვეტილებას უცებ არ ვიღებ. პირველი სიყვარული კი ძალიან ადრე — 15 წლის ასაკში მქონდა. საოცრად ლამაზი და სუფთა გრძნობა... სერიოზული და ნამდვილი სიყვარული ჯერ არ მქონია.

— ეკრანზე გამოჩენის შემდეგ თაყვანისმცემლები მოგიმრავლდებოდათ. თქვენ როგორი მამაკაცები

მოგწონთ?

— ისინი მარების თაყვანისმცემლები არიან და არა ჩემი... მომწონს ძლიერი, ყურადღებიანი მამაკაცები, რომლებსაც სითბოსა და ალფთოვანების გამოხატვის უნარი აქვთ. ცანცარები არ მიზიდავენ.

— ქუჩაში თუ გცნობთ ხალხი?


— ავტოგრაფებს მთხოვენ. ძალიან მალე მოვექეცი ყურადღების ცენტრში. მიკვირს კიდეც, პრობლემების მიუხედავად, ხალხს რომ მაინც შერჩა სითბოს გამოხატვის უნარი ან, მე რა დიდი დამსახურება მაქვს ხელოვნებაში?! ამას წინათ ერთ-ერთ მალაზიაში ფული დამაკლდა. წაიღე, შვილო, და მერე გადაიხადე — ზომ ვიცნობო, მითხრეს. მარტო ჩემს უბანში კი არა, მეზობელ ქუჩებზეც კი მაჩერებენ და მკონიან, ვისაც საერთოდ არ ვიცნობდი. თურმე რამდენ ადამიანს გაუხარდა ჩემი წარმატება...

— რაზე ოცნებობთ?

— რაც საოცნებო მქონდა, თითქმის ყველაფერი ამიხდა. მაგრამ არ შეიძლება ოცნება შეწყდეს. მინდა, ოფელიას როლი ვითამაშო, შექსპირის კომედიებშიც დიდი სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას... არ მინდა, საქართველოში სევდიანი ქალები, დაჩაგრული მამაკაცები და მაწანწალა ბავშვები დალიოდნენ. მინდა, ყველა ბედნიერი იყოს, ღიმილიანი სახეებით აივსოს ქუჩები, ჩემი სახლის საკვამურიდან კი ყოველთვის სითბო და კვამლი გამოდოდეს. ■



„აბა, ვინ წარმოიდგენდა, რომ ამ ჯურღმულში ამისთანა სილამაზეს და მშვენიერებას გადააწყდებოდა კაცი?! ვაჟა რომ ცოცხალი ყოფილიყო, ისიც გადაგვხვეოდათ იმ სიყვარულისთვის და დიდი გულისთვის, რომლითაც ამ ცხოველებს მოფერების-ართ... დიდი მადლობა, ბედნიერებაა, რომ ეს დარბაზი არსებობს და თქვენნაირი ადამიანები იზადებიან ქვეყანაზე...“



ნუგზარ ჯანაშია

დაკვირვება, რომელი წამოიხარტა გიურჯა... გასროლა მოვასწარი და კისერში გავწყვიტე

ნინო ჯაფარიძე

... „თუ შეიძლება მეორედ რომ მოვალ, მეც ნუზი პაპას დავიძახებთ – ჩემი პაპაც იყავით“, – ვკითხულობ შთაბეჭდილებების წიგნში საოცარი სითბოთი სავსე სიტყვებს და თან სიყვარულს მეგობრებთან ტკბილად მოსაუბრე ნუგზარ ჯანაშიას ვაკვირდები... არა, მართლაც შეუძლებელია, ასეთ უშუალო და თბილ ნუზი პაპას (როგორც მას ყველა ეძახის) ბატონობით მიმართო... კონსტანტინე გამსახურდია ამბობდა: „ცხოვრება მოსაწყენზე მოსაწყენი იქნებოდა, თუ რაიმე ამაღლებულით არ იქნებოდა“. ალბათ, ნუგზარ ჯანაშიასთვის ცხოვრება მოსაწყენი არასდროს ყოფილა... პროფესიით ინჟინერი (მუშაობდა „საქქალაქმშენპროექტის“ ტოპო-საძიებო განყოფილების გამგედ), უკვე ნახევარი საუკუნის „სტაჟიანი“ მონადირე და ყოფილი საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატია სასტენდო სროლაში. დღესდღეობით კი ცხოველთა და ფრინველთა ფიტულების უნიკალური მუზეუმის შემქმნელი და მფლობელია. ვიდრე პირადად გაცივრობდი და მუზეუმში („ცხოველთა სამყარო“ რესპუბლიკის მოედნის ქვეშ მდებარე მიწისქვეშა კომპლექსშია განთავსებული) ვესტუმრებოდი „ზღაპრულ ჯადოქარს“, იქამდე მითხრეს: ძალიან საინტერესო პიროვნებაა და ბევრ საინტერესო ამბავსაც მოგყვებაო. თავადაც დამიდასტურა – იმდენი

გასახსენებელი და მოსაყოლი მაქვს, ალბათ ერთი კვირა ვერ მოვრჩებით საუბარსო. ნუზი პაპამ თავისი მოგონებები ცოტა შორეული – ბავშვობის დროინდელი ეპიზოდებით დაიწყო:
– წარმოშობით ზესტაფონის რაიონიდან ვარ, სოფელ კვალითიდან. ბაბუაჩემი შეძლებული კაცი ყოფილა და შვილები ზოგი საზღვარგარეთ, საფრანგეთში გაუგზავნია სასწავლებლად, ზოგიც რუსეთში. მამაჩემმა, სერგო ჯანაშიამ, განათლება პეტერბურგში მიიღო. პროფესიით იურისტი იყო, ზუგდიდში მიურატების სასახლის დირექტორად მუშაობდა. დედა ზესტაფონელი, გუნცაძის ქალი იყო, ბარბარე. ძალიან მიყვარდა ბებია, მარიამ ბარბაქაძე, უჭკვიანესი ქალი იყო. თავის დროზე გაკულაკებისგან დაქცეული ბაბუაჩემის ოჯახი სწორედ მას დაუყენებია ფეხზე. მანვე შემაყვარა ნადირობაც. პატარა ვიყავი, შურდულით რომ დავსდევდი ჩიტებს და ბავშვებთან ერთად მდინარე ყვირილას შესართავთან, პატარა ღელეში თევზებს ვიჭერდი. ბებია შემაქებდა ხოლმე, მერე კი კეცებს გაახურებდა და „ნანადირევს“ შემიწვავდა. 10 წლისამ უკვე თოფი ავიღე ხელში. ჩემი პირველი „სერიოზული“ ნანადირევი კურდღელი იყო. თანატოლებმა მაშინ კარ-

გად მოვილხინეთ. მამაჩემს ნადირობა კი უყვარდა, მაგრამ პროფესიონალი მონადირე არ ყოფილა. აი, ჩემს ბიძებს კი ყოველთვის საუკეთესო ძაღლებიც ჰყავდათ და კარგადაც ნადირობდნენ. სად აღარ მინადირია – კავკასიის თითქმის მთელ ტერიტორიაზე და საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში. ნანადირევი, ბუნების ეს საოცარი ქმნილებები, ბოლომდე დასალუპავად და მისავიწყებლად არ მეშეგებოდა. ალბათ, ამიტომ, ბავშვობიდანვე (14 წლის ვიქნებოდი) ფიტულების კეთებაც დავიწყე. ყველაფერი თვითონვე ვისწავლე. ფიტულების რიცხვი მატულობდა და მატულობდა. სხვათა შორის, ეს ძალიან შრომატევადი სამ-



უშოა: ჯერ ნადირი უნდა გაატყავო, წამლებში ჩაღო, მერე კი „შეკერო“. ნადირობისას ჩემი ძმა (ზაზა ჯანაშია) დადიოდა ხოლმე ჩემთან ერთად, მაგრამ ფიტულებს სულ მარტო ვაკეთებდი. ახალგაზრდობაში ვოცნებობდი, რომ ოდესმე მქონოდა უზარმაზარი სახლი, სადაც ყველა ფიტულს განვათავსებდი, მაგრამ... აჰ, მიწისქვეშაც კი ძლივს „დავბანაკდი“... ამ მუზეუმს თოფების, ხანჯლებისა და ხმლების უნიკალური კოლექციაც შევწირე...

საუბარი ახალი დაწყებული გვექონდა, როცა ნუზი პაპას მეგობრები ესტუმრნენ. მასპინძელმა მომიბოდიშა – საუბარი მერე განვაგრძოთ და ყველანი ერთად, ექსპონატების დასათვალიერებლად მიგვიწვია.

„ცხოველთა სამყაროში“ 500-მდე ერთეულია. ცხოველები და ფრინველები გასაოცარი კომპოზიციებისა და ცხოვრებისეული სიუჟეტების მიხედვით არიან განლაგებული. თითქოს ზღაპრულმა ჯადოქარმა წამით გააშეშა ისინი და ჯოხის შეხებას კი საკმარისია, რომ ყველაფერი ამოძრავდეს, აშრიალდეს და ტყის გამაყრუებელი ხმაურით აივსოს იქაურობა... ნუზი პაპა თითოეული ექსპონატის ნახვისას, თან ნადირობის ამბებს გვიყვებოდა და თან ჩვეული იუმორით გვიხსნიდა, რა ხდებოდა ამ უჩვეულო სამყაროში:

– იცით, რომ ამ დარბაზში ახლა ჩხიკვათა ქორწილია და თქვენც ქეთევანისა და ზაქარას სტუმრები ხართ? აი, ნეფე-დელოფალი მეჯვარეებთან ერთად. ესეც ის უზარმაზარი ფანწი, წრუწუნას რომ მოერია და დაათრო. აგერ თამადაც, მთის არწივი სუფრის თავში. დოღო ამბობდეს ვამსგავსებ – იმას უყვარდა ხოლმე მხრების ასე ვაჟკაცურად შეთამაშება და ქეიფი... წეროები „სამაიას“ ცეკვით ულოცავენ წყვილს გაბედნიერებას... აი, ჩიტი-ჩიორაც – გმირი დედა, მელას ემუდარება, ბარტყები არ შემიჭამო (მელა ადგილზე არ აღმოჩნდა და მასპინძელმა მოიბოდიშა: მელა ცოტა შეუძლოდ გახლავთ და „სამკურნალოდ“ გავვზავნეთო)...

ვის აღარ ნახავთ აქ – კევხვის ბოკერებს, ოქროს ხოსბებს, ულამაზეს ფარშავანგს, ბიჭო გოვიას, ტურუხტალებს, რომელთაც თურმე ერთმანეთი ძალიან უყვართ, მაგრამ სულ ერთმანეთს „სჭამენ“, „იაპონელ“ წყლის კუს, მაიმუნების კვინტეტს... ბოლოს კი, ნუზი პაპა, ცოტა



არ იყოს „ჩამჭრელ“ კითხვას გვისვამს და დიდი ინტერესით ელოდება პასუხს: აბა, რომელი გამოიცნობთ, ეს პინგვინი, ბაიყუში და ბუ, რომელ პარლამენტარებს ჰგვანანო (მასპინძელმა საიდუმლოდ გაგვიმხილა, რომ არაერთ ცნობილ ადამიანს, მსახიობს, მომღერალს თუ პარლამენტარს მუზეუმში თავისი „ორეული“ ჰყავს)?! ბუს მსგავსება ძალზე ცნობილ პოლიტიკოს ქალბატონთან იმდენად დიდი იყო, რომ ყველას გაოცების შეძახილი აღმოხდა. აი, პინგვინმა კი ცოტა დაეკანია, მაგრამ მცირედი მარჩიელობის შემდეგ, ერთ-ერთმა ქალბატონმა იმარჯვა და გამოიცნო... მალე იქვე სახელდახელო სუფრაც გაიშალა (ბუნებრივია, ინტერვიუც შეფერხდა). გულიბიბი მასპინძელი ზან არაჩვეულებრივი სადღევრძელობით გვიმასპინძლდებოდა, ზან მშვენიერი ქართული სიმღერებით, ღრიდადრო კი, კომპლიმენტებითაც გვანებებდებოდა მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს. ერთი სიტყვით, შეხვედრა მეორე დღისთვის დავთქვით და შეწყვეტილი საუბარიც გაგრძელდა:

— საუბრისას თქვით — ნადირობა ჩემთვის პოზიც არის და ერთგვარი აზარტიცო. მაინც, როგორი უნდა იყოს პროფესიონალი მონადირე, რა არ ეპატიება მას?

– მონადირე თავდაჭერილი, მეგობრებისთვის თავდადებული და წინდახეული უნდა იყოს. შეუძლებელია, რომ ადამიანი, რომელიც ბუნებას ეზიარება, ცული პიროვნება იყოს. ნადირობა ყველა ბოროტებას გავიწყებს, ამ ქვეყანაზე რაც არსებობს, უფრო ხალასი, ფიზიკურად უფრო ამტანიცა და გონებამახვილიც ხდება. ნადირობას თითქმის ყოველთვის მე ვაწყობდი ხოლმე: მიმყავდა ჯგუფი

და ახალბედებს გამოცდილებას უზიარებდი, მონადირულ ცხოვრებასა და კანონებს ვაჩვენდი. თუ რომელიმე „ჩაიჭრებოდა“ და ისე არ მოიქცეოდა, როგორც ნადი, პროფესიონალი მონადირე, მეორედ სანადიროდ აღარ მიმყავდა. საერთოდ, მონადირეები ცალკე არ უნდა ნადირობდნენ და არც ნადავლზე უნდა მოსდიოდეთ უთანხმოება. ერთხელ საინგილოში რუსთაველი ნაცნობი მონადირეების ჯგუფი შემოგვიერთდა. რამდენიმე ტახი უკვე მოკლული გვყავდა, თან დაღლილებიც ვიყავით და მეორე დღეს სანადიროდ აღარ გავვით. იმათ კი თურმე მარტო კურდღლები დაეხოცათ. წამოსვლისას, წესისამებრ, ნანადირევი გავუყავით, იმათ კი აზრადაც არ მოსვლიათ, იგივე გაეკეთებინათ. წამოვდით, მაგრამ გზაში უფრო გავებრაზდი მონადირეების ასეთ უღირს საქციელზე. უკან მივბრუნდი და მათი ნადავლი შუაზე გავყავი. ერთი კურდღელია დარჩა კენტად. ავიღე და ისიც შუაზე გაჩრეხე. მერე ჩვენი წილი მანქანაში ჩავაწყვე და წამოვედი. ხორცის ინტერესი კი არ მქონდა, უბრალოდ, ნადირობის საერთო წესი დაარღვიეს და ვალდებული ვიყავი, მიმეთითებინა.

— ნადირობისას ალბათ ბევრ ფათერაკსაც გადააწყრისხართ, შიშის გრძნობა არასდროს გქონიათ?

– რა აღარ გადამხდენია თავს, მაგრამ წარმოიდგინე, რომ შიში არასდროს მიგრძენია. საკუთარი თავის იმედი მქონდა და იმიტომ. თანაც, თუ ვგრძნობდი, რომ ნადირს ვერ მოვერეოდი, არ ვესროდი. ზოგიერთ ზონაში გიურზა ბუღობს, განსაკუთრებით, სადაც კაკაბზე და კურდღელზე ნადირობ, იქ გხვდება ხოლმე ხშირად. დროულად უნდა შენიშნო, თორემ

წასულია შენი საქმე. ერთხელ შეილთან ერთად ვნადირობდი. უცებ დავინახე, გორხა როგორ წამოიმართა, ყალყზე შედგა და დასაგესლად მოემზადა. საბედნიეროდ, არ დავბნეულვარ, გასროლა მოვასწარი და კისერში გავწყვიტე.

— შიშის გრძობა არც მაშინ გქონდათ, აი, ეს უშველელ ბელი ტახი რომ მოინადირეთ (დარბაზის შუაგულში მდგარ უზარმაზარ ფიტულზე გუთითებ)? იქნებ, ეს ამბავიც მომიყვებთ?

— საერთოდ, როდესაც ღორზე სანადიროდ მივდიოდი, ყოველთვის ძაღლები მიმყავდა ხოლმე. მაშინაც, კახეთიდან წავიყვანეთ რამდენიმე ძაღლი მე და ჩემმა ძმამ, თან აზერბაიჯანელი ახალბედა მონადირეებიც გვახლდნენ. სადაც ვნადირობდით, იქ მტკვარი გადიოდა, მტკვრის ნაპირას ტყე იყო, შემდეგ მინდორი და ტბა. ღორი ტყეშიც ბინადრობს და ტბის მიდამოებშიც. ისეთი დაგეშილი ძაღლები გვყავდა, რომ შორიდანვე (ხელით რომ გვეჭირა და მიგვყავდა) გრძნობდნენ ნადირს და ყეფდნენ. 50 მეტრში ჩემი ძმა იდგა, ჩვენ შორის კი ოთხმეტრიანი გაკაფული ადგილი იყო (სპეციალურად სანადიროდ). ერთი, ეტყობა, ნაკლებად გამოცდილი ძაღლი, პირდაპირ მივიდა ტახზე. ნადირმა ეშვი ამოჰკრა და ლამის შუაზე გახლიჩა ძაღლი. ამან ძალიან გავვაძვარა. ლელქაშის შეტოკებით მივხვდი, რომ ღორი ახლოს მოვიდა. შეჩერდა, ჩვენი იქ ყოფნა იგრძნო, ბოლოს კი იკადრა გამოსვლა. 4 მეტრში უნდა მომესწრო სროლა, თანაც უნდა მეფრთხილა — პირდაპირ ჩემი ძმა იდგა და შეიძლებოდა, მისთვის მომერტყა. მოკლედ, „ავითვისეთ“ ის



ტახი. მერე სხვა ტერიტორიაზე გადავინაცვლე და მარტო დავდექი. უცებ შევამჩნიე, რომ ტახმა, ასე, 20-ოდ მეტრში ამიარა გვერდი. ვესროლე. ვაზნა რომ მოვარტყი, ერთი მეტრის სიმაღლეზე ახტა, ისეთი ძლიერი იყო დარტყმის ძალა. ეს უშველელ ბელი ტახი ძალიან ლამაზი იყო. წყალი ჰქონდა გადავლებული და მზეზე სულ სივისებდა. სადამოს, მონადირეები რომ შევიკრიბეთ, დიტო ოდიშარიამ (მეგობარი იყო ჩვენი) სინანულით მითხრა: ეს რა ვაჟკაცი მოგიკლავს თურმეთ... ნადირი გავატყავე, მაგრამ იქამდე მანქანა ვერ მიდიოდა და იძულებული ვაგზდი, ხორცი იქვე დამეტოვებინა (სხვაც ბევრი გვქონდა წამოსაღები), მარტო თავი და ტყავი ავიკიდე და რამდენიმე კილომეტრი ასე ვიარე, ხორცი კი მხოლოდ მეორე დღეს წამოვიდე.

— ბატონო ნუგზარ, თქვენ „ჩოხოსანთა საძმოს“ წევრიც ხართ. ორიოდვე სიტყვა ამის შესახებაც გვითხარით.

— „ჩოხოსანთა საძმო“ ბუკა ნაკაიძემ 60-იან წლებში ჩამოაყალიბა. ახლა თითქმის 200 კაცი ვართ ამ საძმოში. 26 მაისს, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილები, ჭადრაკის სასახლის ტერიტორიაზე ვიკრიბებით ხოლმე, მერე ჩავივლით რუსთაველის გამზირს, შევალთ ქაშუეთში ან სიონში და სანთლებს დავანთებთ, ბოლოს კი ეს რიტუალი, რომელიმე რესტორანში კარგი ქეიფითა და დაგუდული მრავალჯამიერით გვირგვინდება. ქართველმა კაცმა თავის სიცოცხლეში ერთხელ მაინც არ უნდა ჩაიცვას ჩოხა? ქართულ ტანსაცმელში ხომ სულ სხვანაირი — ამაღლებული განწყობილება გეუფლება: თითქოს ამაყად დგახარ და სულ სხვა კაცი ხდები...



ტესტი ერუდიციისაზე

1) რომელი ძალაქმის დაცვისას მოკლეს არქიმედე?



- ა) ათენის;
- ბ) ლონდონის;
- გ) სირაკუზის.

2) პინგვინი არის:



- ა) ფრინველი;
- ბ) თევზი;
- გ) ცხოველი.

3) რამდენი შვილი ჰყავდა ილია ჭავჭავაძის?



- ა) სამი;
- ბ) ერთი;
- გ) არც ერთი.

4) რომელი ქვეყნის დროშაზე არ არის შავი ფერი?



- ა) საქართველოს;
- ბ) ეგვიპტის;
- გ) უკრაინის.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

„ვივიღწენ და პირდაპირ ღაჩუნეს...“

დათო არჩვაძის სსეულზე ექსპერტიზა 16 ჟრილოზა დათვალეს

მეზი სანაპა

გასულ კვირას თბილისის საოლქო სასამართლოს 22 წლის დათო არჩვაძის მკვლელობის საქმე უნდა განეხილა. სასამართლო პროცესი არ შედგა და სხლომა გაურკვეველი ვადით გადაიდო. მიზეზად, ერთ-ერთი პატიმრის ავადმყოფობა დაასახელეს.

მკვლელობა, რომელიც თბილისში 1999 წლის შემოდგომაზე მოხდა, თავდაპირველად, ისანი-სამგორის რაიონულმა სასამართლომ განიხილა. განაჩენით უკმაყოფილო ბრალდებულთა მხარემ საქმის ხელახალი განხილვა მოითხოვა. ბრალდებული კი აღნიშნულ მკვლელობაში ხუთია, მათგან სრულწლოვანი მხოლოდ ერთი გახლავთ. ისანი-სამგორის რაიონულმა სასამართლომ სრულწლოვანს – ვახო დევდარიანს 10 წლით, არასრულწლოვანებს – ვალერი სეხნიაშვილს, გიორგი არბოლიშვილს, ბესო ნიაზაშვილსა და ზაზა ავჭალელს ცხრა-ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. დანაშაულს მხოლოდ ერთი მსჯავრდებული – ნიაზაშვილი აღიარებს, დანარჩენები, როგორც საქმის წინასწარი გამოძიებისას, ასევე დღეს, თავს უდანაშაულოებად აცხადებენ.

მსჯავრდებულთა ინტერესების დამცველი ადვოკატები მათ გამართლებას მოითხოვენ. თავიანთი პოზიციის საჯაროდ გამოქვეყნებას ისინი საოლქო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დამთავრებისთვის აპირებენ.

ოფიციალური ინფორმაციით, მკვლელობა საღამოს, დაახლოებით ცხრა-ათი საათისთვის მოხდა.


თამუნა არჩვაძე, მოკლულის და:

„1999 წლის 23 ოქტომბერი იყო. საღამოს დათო შინ არ გახლდათ, იქვე, თავის საცხოვრებელ კორპუსთან იდგა. დაახლოებით 9 საათისთვის, როგორც შევითვქვით, იგი მეზობლად მცხოვრებ გოგონას გამოსარჩლებია. ის გოგონა 13 წლის იყო, წინა კორპუსში ცხოვრობდა. ამჟამად თბილისში არ იმყოფება, ამ ამ-

ბის შემდეგ, რუსეთში გადავიდა საცხოვრებლად. იმ საღამოს იგი თურმე ვიღაც ბიჭმა (როგორც შემდეგ დადგინდა, ვალერი სეხნიაშვილმა) მიაცილა სახლამდე. სწორედ ამ მომენტში მომხდარა მასა და ჩემს ძმას შორის შელაპარაკება. რის გამო, რა მიზეზით – ჩემთვის უცნობია, რადგან ამ ფაქტს მოწმე, რომელსაც შეიძლება სიმართლე ეთქვა, არა ჰყავს. ზუსტად არც ის ვიცი, სეხნიაშვილი იმ გოგოს მეგობარი იყო თუ უბრალოდ, თავყანისმცემელი. ამ ურთიერთობას მე კი არა, თავად სეხნიაშვილი ვერ არქმევს სახელს და საერთოდ, მომხდარი ფაქტის შესახებ ძალიან აბნეულად და გაუგებრად ლაპარაკობს... რაც შეეხება გოგონას, მის შესახებ უბანში ცუდი ხმები დადიოდა, ამბობდნენ, რომ ამორალურ ცხოვრებას ეწეოდა. თუმცა, მე პირადად ამის თაობაზე ზუსტად ვერაფერს ვიტყვი. ის კი ნამდვილად ვიცი, რომ ჩემს ძმას მასთან, ნაცნობობის გარდა, სხვა არაფერი აკავშირებდა. მისი ბუნებიდან და ხასიათიდან გამომდინარე, დათო სიტუაციისდა მიხედვით, ნაცნობს კი არა, ნებისმიერ გოგოს და ქალს გამოეყარებოდა...“

ერთადერთი, რასაც დათოსა და ვალერი სეხნიაშვილს შორის პირველი შელაპარაკებისას შეესწრნენ, ის იყო, რომ ჩემმა ძმამ იგი უბნიდან გააცილა და უთხრა: სხვა უბანში ხარ და არ იცი როგორ მოიქციე; უზრდელი ხარ, მაგრამ ჯერ ბავშვი ხარ, გაიზრდები და ისწავლი, როგორ უნდა მოიქციეო. ამ საუბარს მეზობელი ბიჭი შემთხვევით შეესწრო. მისი სიტყვები დაფიქსირებულია კიდევ საქმის მასალებში.

როგორც გაირკვა, დათოსთან შელაპარაკების შემდეგ, სეხნიაშვილს თავისი მეგობარი ბიჭები უნახავს. ისინი თურმე იქვე, სკვერში არაყს სვამდნენ. სეხნიაშ-



მოკლული დათო არჩვაძე

ვილს მათთვის ჩემს ძმასთან შეხვედრის შესახებ უთქვამს. რატომღაც, ძალიან შეურაცხყოფილად იგრძნო თურმე თავი. იქიდან ყველა ერთად, ჩვენი უბნისკენ წამოსულა, გზაში უყიდათ ე.წ. „ბაბოჩკა“ დანები, თავად სეხნიაშვილს სახლიდან ბეისბოლის ჯოხი – ბიტა წამოუღია.

თითოეული შეიარაღებული იყო, მათ შორის დევდარიანიც, რომელსაც პოლიციელებმა დანა ვერ უპოვეს, – არადა, აშკარად ჰქონდა: ეს საქმეში არსებული ჩვენებითაც მტკიცდება. აღმოჩნდა, რომ დანა მას სადარბაზოში, კედელზე ჩამოკიდებულ საფოსტო ყუთში გადაუშალავს...

უბანში რომ ამოვიდნენ, იმ დროს დათო ეზოში, თავის მანქანაში მეგობართან ერთად იჯდა და ლაპარაკობდა. ის ბიჭები თურმე კორპუსის წინ გაჩერებული ავტომანქანების ნომრებს აკვირდებოდნენ – დათოს მანქანას ეძებდნენ. ამ დროს ჩემმა ძმამ მეზობელ ბიჭს – სარაჯიშვილს დაუძახა: ჩამოდი და თან სივარეტი ჩამოიტანე, აღარ გვაქვს, გაგვითავდაო. სარაჯიშვილი ჩავიდა და სწორედ მაშინ დაინახა, რომ დათოს მანქანას ხუთი ექვსი ბიჭი მიადგა. დათო მანქანიდან გადმოვიდა და გაკვირვებულმა იკითხა – თქვენ ისევე მოხვედითო? როცა მიხვდა, რაში იყო საქმე, ბიჭებს უთხრა – აქ ხალხი ცხოვრობს, დალაპარაკება თუ გინდათ, ცოტა იქით

გავიღეთო და მათ კორპუსის გვერდით (იქ ხალხი ნაკლებად) გასვლა შესთავაზა. ამ დროს სარაჯიშვილი მიუბრუნდა ჩემს ძმას – რა იყო, დათო, რაიმე პრობლემა ხომ არ არისო? დათომ უპასუხა – არავითარი, შენ ჩაჯექი მანქანაში, მე ახლავე მოვალ. სარაჯიშვილი მათ ნელი ნაბიჯით, მაინც გაჰყვა. მაშინ სეხნიაშვილსა და დათოს შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

რატომ ამოხვედიო? – ჰკითხა ჩემმა ძმამ. ამაზე სეხნიაშვილმა უთხრა – უზრდელი რად მიწოდეო? დათომ უპასუხა – უზრდელი ხარ და იმიტომ. ამ სიტყვებზე სეხნიაშვილმა დათოს შეაგინა, ჩემმა ძმამ კი ხელი ჰკრა მას. თავად სეხნიაშვილი ამბობს – პირველად დათომ შემაგინაო, მაგრამ სარაჯიშვილი მომხდარის შესახებ სწორედ ასე ჰყვება. დამნაშავეებს რა დაეჯერებათ? ისინი თავის გასამართლებლად ბევრ რამეს ამბობენ, მათი ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების გამო, ძიებისას, ამ ჩხუბის ათი ვერსია ჩამოყალიბდა.

როცა ჩხუბი დაიწყო, სარაჯიშვილს თავში ბიტა ჩაარტყეს. მან მაშინვე გონება დაკარგა, მერე კი ამის ნიადაგზე ტვინის შერყევა დაემართა, თანაც ძალზედ მძიმე ფორმით. იმდენად მძიმე მდგომარეობაში იყო, რომ იმ პერიოდში მეხსიერება საერთოდ დაკარგა. ჯანმრთელობის მხრივ, დღესაც არ არის კარგად.

დათოს ჩხუბი დაუწყესო – ვერც ვიტყვით, რადგან ყველაფერი, იმ ბიჭების მოსვლიდან ორ წუთში დამთავრდა. უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამოვიდნენ და დაჩეხეს... ვინების ხმაზე წინა კორპუსიდან მეზობლებს გამოუხედავთ. ოქტომბერი იყო, საღამოს 10 საათზე კი, ამ პერიოდში, მოგეხსენებათ, საკმაოდ ბნელა. ამის გამო მეზობლებს კარგად ვერ გაურჩევიათ, ვინ ვის ეჩხუბებოდა ან რამდენი ბიჭი იყო. შემთხვევის ადგილას. როგორც ამბობენ, მხოლოდ ასეთი ფრაზები გაიგონეს: „მოკალი!“ „მოკვლათ!“ – და დაინახეს, რომ ერთი ბიჭი

ძირს ეგდო და დანარჩენები ურტყამდნენ.

შემთხვევის ადგილას აღმოჩნდა ჩუთლაშვილიც, რომელიც დათოს მანქანაში იჯდა ჯერ კიდევ მანამ, სანამ ის ბიჭები „საქმის გასარჩევად“ ჩემს ძმას მოაკითხავდნენ. ჩუთლაშვილი, ისევე, როგორც სარაჯიშვილი, ბიჭებს დათოსთან შეხვედრისას უკან გაჰყოლია. მან გვითხრა: „დათოს ის ბიჭები რომ შეეხივნენ, ვცადე, იგი გამომეყვანა და მათთვის მომეშორებინა; სანამ დათომდე მივალწვედი, ჯერ ერთი ბიჭი გამოეწიე, დავინახე, ხელში რაღაც პრიალა ეჭირა, შუქზე ელავდა; ჩავთვალე, რომ დანა ჰქონდა, მივხვდი, რაც ხდებოდა – ყველა დანიანი იყო და გამოქცევა დავაპირე, რათა სხვებისთვის საშველად მეხმო“.

ჩხუბი სულ რაღაც წუთ-ნახევარ, ორ წუთში დასრულდა. ამ ხნის განმავლობაში კი ჩემს ძმას დანით 16 ჭრილობა მიაყენეს. საქმე ის არის, რომ ჭრილობები ერთდროულად სხვადასხვა ადგილზეა მიყენებული, მთელ სხეულზეა გაფანტული – ბარდაყზე, ხელებზე, ზურგზე, გულმკერდზე... ასე რომ, ამას ორ წუთში ერთი ადამიანი ვერ შეძლებდა. ცხადია, დათოს ყველა ერთად, გამეტებით ურტყამდა დანას...“

საქმის თავდაპირველი სასამართლო განხილვისას, ვალერი სეხნიაშვილმა დაადასტურა, როგორც დათო არჩვამესთან პირველი შელაპარაკებები, ასევე მასთან თავის ოთხ მეგობართან ერთად საქმის გასარჩევად მისვლის ფაქტი. თუმცა, მან აღნიშნა, რომ არჩვამის მკვლელობის წინასწარი განზრახვა მას არ ჰქონია და არც მის დაჭრაში მიუღია მონაწილეობა.

ვალერი სეხნიაშვილის ჩვენების მიხედვით, 23 ოქტომბერს, საღამოს, დაახლოებით 9 საათისთვის იგი სახლში აცილებდა გოგონას, რომელიც მას მოსწონდა. კორპუსთან მას შემთხვევით შეხვდა დათო არჩვამე (ის გოგონას მეზობლად ცხოვრობდა) და მასთან ერთად მყოფი ვიღაც ბიჭი. სეხნიაშვილის თქმით, არჩვამემ მას გოგონას თანდასწრებით შეურაცხყოფა მიყენა. ჯერ უთხრა – ამ გოგოს თავი

დანებე, იცოდე, რომ სხვა უბანში ხარ და წესიერად მოიქეციო. სეხნიაშვილი შეეკითხა – რა დაგიშავებო? პასუხად არჩვამემ უზრდელი უწოდა, მერე კი ხელი თავში წამოარტყა.

ამის შემდეგ სეხნიაშვილმა იგი დატოვა, შემთხვევით შეხვდა თავის მეგობრებს, რომლებიც სკვერში ისხდნენ და ერთ-ერთი ძმაკაცის დედის დაბადების დღეს აღნიშნავდნენ. მათ სეხნიაშვილიც შეუერთდა და დათო არჩვამესთან შელაპარაკების შესახებ მოუყვა. ბიჭებმა იქვე მაღაზიაში დამატებით საჭმელი და დასალევი იყიდეს, სმა განაგრძეს და ცოტა ხანში, სეხნიაშვილთან ერთად, არჩვამესთან საქმის გასარჩევად წასვლა გადაწყვიტეს. სეხნიაშვილი ირწმუნება, რომ მან არ იცოდა, თუ რომელიმე მის მეგობართაგანს დანა ჰქონდა. რადგან არჩვამე და მისი ძმაკაცები ასაკით მასზე უფროსები იყვნენ, სეხნიაშვილმა ჩათვალა, რომ თავის დაცვა დასჭირდებოდა და ერთი ამხანაგი თავის სახლში გაუშვა, – დელაჩემს უთხარი, ბეისბოლის ჯოხი გამოგატანოსო. როცა არჩვამეს შეხვდნენ, ეს უკანასკნელი ორ ბიჭთან ერთად იყო. არჩვამემ სეხნიაშვილს კვლავ შეურაცხმყოფელი სიტყვებით დაუწყოლაპარაკი. სეხნიაშვილი აღნიშნავს, რომ მას ამ დროს ბეისბოლის ჯოხი გამოუჩნდა. არჩვამემ ეს შენიშნა და უთხრა: აქ რა, ბეისბოლის ჯოხით ამოხვედი? გავიკეთებ ერთ ადგილასო. ამ სიტყვებზე სეხნიაშვილმა იგი თავისკენ მიიზიდა და ჯოხი მხარზე დაარტყა. ჯოხი მან არჩვამის ერთ-ერთ მეგობარსაც ჩაარტყა, თუმცა როცა ჩხუბში სხვებიც ჩაერთვნენ, ვეღარ არჩედა, ვინ ვის ურტყამდა. ცემაში თავად მონაწილეობა არ მიუღია, ერთმანეთს მისი და არჩვამის (ამ უკანასკნელის ჩათვლით) მეგობრები ეჩხუბებოდნენ. რამდენიმე წუთში იქიდან ყველანი ერთად გაიქცნენ. დანის ტარების ფაქტს მსჯავრდებულთაგან მხოლოდ ბესო ნიაზაშვილი აღიარებს. მისი თქმით, არჩვამეს დანა სწორედ მან დაარტყა.

თუმცა, დაზარალებულები – მოკლულის ოჯახის წევრები მიიჩნევენ, რომ ამ აღიარებით ნიაზაშვილი მეგობრებს აფარებს ხელს და მთელ დანაშაულს საკუთარ თავზე იღებს.

რა ეოსდა ოთიაშვილის ოჯახში?

„რისთვის დასოს ჩვეა გააათილა სოლ-შვილი – დღედე ვერ გაიბია“

ორი კვირის წინ თბილისში, დიდმის მასივის I კვარტალის №9 საცხოვრებელ სახლში ჩადენილი საზარელი მკვლელობის დეტალებს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურა იკვლევს. თუმცა, რა მიზეზით მოკლა 78 წლის ილია ოთიაშვილმა საკუთარი მეუღლე — 67 წლის შურა ოთიაშვილი და მძინარე შვილი — 45 წლის რევაზ ოთიაშვილი, დღემდე გაურკვეველია. გამოძიებლის თქმით, ოთიაშვილმა ეს საშინელი დანაშაული ყოფითი პრობლემებით გამოწვეული უკმაყოფილების ნიადაგზე ჩაიდინა. თუმცა, ოჯახის დანარჩენი წევრები ასე არ ფიქრობენ: მათი თქმით, მატერიალური მდგომარეობა ილია ოთიაშვილს იმდენად არ აწუხებდა, რომ ამის გამო ცოლ-შვილი დაეხოცა.



მოკლული დედა-შვილი

მეზი სანავა

თავად ოთიაშვილი დანაშაულს აღიარებს, თუმცა, მისი ფსიქიკური მდგომარეობის გასარკვევად ფსიქიატრიული ექსპერტიზაა დანიშნული. „გიჟს არ ჰკავს, მაგრამ ზუსტად რომ გავიგოთ მისი ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ, დროა საჭირო“, — გვითხრა დიდუბე-ჩუღურეთის პროკურორის თანაშემწემ ბესო ჭეჭიაშვილმა. მან ისიც გვაცნობა, რომ ილია ოთიაშვილი ნასამართლევი არ გახლავთ და არც რაიმე კრიმინალურ დანაშაულთან ჰქონია ოდესმე კავშირი.

ბესო ჭეჭიაშვილი:

„მისი ვაჟიც — რევაზ ოთიაშვილიც ჩვეულებრივი კაცი იყო. ჰყავდა ცოლი და ორი შვილი. ყველანი ერთ ბინაში ცხოვრობდნენ. მკვლელობა 14 ივლისს, საღამოს, დაახლოებით 6-7 საათზე მოხდა. იმ დროს რევაზ ოთიაშვილის მეუღლე შინ არ იმყოფებოდა, საქმეზე იყო სხვაგან წასული. შვილები კი, სოფელში ჰყავდათ დასასვენებლად გაგზავნილი. სახლში მხოლოდ თავად ილია ოთიაშვილი, მისი ცოლი და შვილი იყვნენ. მან ცოლ-შვილს ჩხუბი დაუწყო და ორივე ჯერ დანით დაჭრა, მერე კი ცეცხლსასროლი იარაღიდან — პისტოლეტიდანაც ესროლა. ისინი მაშინვე, ადგილზე

გარდაიცვალნენ“.

პისტოლეტს ილია ოთიაშვილი შინ უკანონოდ ინახავდა. სამართალდამცავებს მან განუცხადა, რომ იარაღი რამდენიმე წლის წინ, რუსეთში ყოფნის დროს შეიძინა. თბილისში ჩამოსვლისას კი, ყველასგან მალულად, მიწაში ჩაფლავდა. როგორც თავად ირწმუნება, პისტოლეტი მან მიწიდან მკვლელობამდე სამი დღით ადრე ამოთხარა და ბინაში, თავის ოთახში შეინახა.

მაია ოთიაშვილი, ილია ოთიაშვილის რძალი:

„სწორედ ამის გამო ვფიქრობ, რომ ჩემს მამამთილს მკვლელობა წინასწარ ჰქონდა განზრახული. მაშ, რისთვის ამოთხარა იარაღი, როგორც თვითონ ამბობს, მკვლელობამდე სამი დღით ადრე? თუმცა, დღემდე ვერ გამიგია, რატომ, რა მიზეზით ჩაიდინა მან ასეთი საშინელება? იგი სრულებით არ ჰკავდა იმ ადამიანს, ვისაც მსგავსი სისაძაგლის ჩადენა შეუძლია. მართალია, თავისებური კაცი იყო, ოჯახში ხანდახან, განსაკუთრებით ბოლო წლებში, უცნაურად იქცეოდა, მაგრამ სასტიკი არასოდეს ყოფილა. მით უმეტეს, შვილთან პრობლემები არ ჰქონდა. საერთოდ, არ სვამდა, არც



ილია ოთიაშვილი

ჩემს ქმარს უყვარდა სასმელი. თუ იჩხუბებდა, ცოლს ეკამათებოდა ხოლმე. ჩხუბის მიზეზი კი, ყოველთვის წვრილმანი, უმნიშვნელო პრობლემა გახლდათ.

ვერ ვიტყვი, რომ ნერვიული არ იყო. ნერვიულობდა, მაგრამ განსაკუთრებულ აგრესიას არ გამოხატავდა. მის უცნაურობებს ასაკს მივაწერდით ხოლმე. ბოლო ხანებში თავის ოთახში ჩაიკეტა, გულჩათხრობილი გახდა, ნაკლებად გველაპარაკებოდა და ჩხუბის დროს ერთი-ორჯერ ისიც გვითხრა — თქვენ ჩემი მოკვლა გინდათო. მის ამ სიტყვებს დიდ ყურადღებას არ ვაქცევდით, რას ვიფიქრებდით, რომ რაიმე საშინელებას ჩაიდებდა გულში?!

მკვლელობის წინა დღეებში ჩვეულებრივად, მშვიდად იქცეოდა. ბოლო 15 დღის განმავლობაში ხმამაღალი სიტყვაც არ უთქვამს. ჯიხური მაქვს, იქ ვვაჭრობდი მაშინაც. ჯიხურთან დაკავშირებით პრობლემები შემექმნა საგადასახადო ინსპექციასთან, ვილაცამ ჩემზე სასამართლოში საჩივარი შეიტანა და ამბის გასარკვევად რომ მივდიოდი, ჩემი მამამთილიც წამყვა: ერთად წავედით სასამართლოში. ეს სწორედ ის დღე გახლდათ, როცა მისი თქმით, მან დამალული იარაღი მიწიდან ამოთხარა და თავის

ოთახში შეინახა. წარმოდგენა არა მაქვს, როდის, რა მომენტში მოუვიდა თავში ეს საშინელი აზრი. პოლიციელთათვის უთქვამს, პისტოლეტი თავდაცვის მიზნით ავითანე ბინაში, რადგან ცოლ-შვილი და რძალი მოკვლით შემუქრებოდნენო. მსგავსი მუქარა, უბრალოდ უხეში სიტყვაც კი, მისი მისამართით არც ერთ ჩვენგანს არ უთქვამს... ან თუ ასე ეშინოდა ჩვენი, მე სასამართლოში საქმის გასარკვევად რატომ წამომყვება?! ჩვენთან ერთად ყოფნას ხომ უფრო უნდა მორიდებოდა. არც ცუდი განწყობა, შიში ან ნერვიულობა ეტყობოდა იმ დღეებში. ორი კვირით ადრე, შვილები სოფელში გავუშვი, თვითონ ჩემმა მამამთილმა გააცილა ორივე. კარგ გუნებაზე იყო, თურმე მათთვის უთქვამს: აბა თქვენ იცით, ბაბუ, მალე მეც ჩამოვალ და გინახულებთო. ბავშვებთანაც კარგი, ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა. ვერ წარმოვიდგენდით, რომ მას იარაღი ექნებოდა სადმე დამალული. ასეთი ფიქრი გულშიც არ გამივლია, საბაბი არ გამაჩნდა უბრალოდ, მსგავსი აზრი რომ გამჩენოდა.

...იმ დღეს ჩვეულებრივად, ჯიხურში ვიყავი, ვმუშაობდი. დღის პირველ საათამდე დედამთილი ჩემთან ერთად იყო. მერე მითხრა – რაღაც შეუძლოდ ვარ, თავს ცუდად ვგრძნობო – და წავიდა. სხვათა შორის, წინა დღეებშიც უჩიოდა ჯანმრთელობას, გული მიწუხსო – მეუბნებოდა, ცუდად ვარ, რაც ბავშვები წავიდნენ, სულ გული მიწუხს, რა მემართება, არ ვიციო. დღეში სამჯერ მოიტანდა ხოლმე ჯიხურში წნევის საზომ აპარატს და გაზომვას მთხოვდა. წნევა ნორმალური ჰქონდა, ვეუბნებოდი – ნუ გეშინია, არაფერი გჭირს-მეთქი, თუმცა მიკვირდა, გულში ვფიქრობდი – ნეტავ რა სჭირს ამ ქალს, ასე ცუდად თავს რატომ გრძნობს-მეთქი?.. ეტყობა, ქვეცნობიერად ელოდა რაღაც უბედურებას...

ჩემი მეუღლეც შინ იყო. ბინაში ლოჯიის გარემონტება გვინდოდა, სამი დღით ადრე მოიტანა საჭირო მასალა და მეზობლებთან

ან თურმე სწორედ ამ საკითხზე ლაპარაკობდა. მკვლევლობამდე ერთი საათით ადრე, მეზობელს უთქვამს მისთვის – რევაზ, მოდი, ყავა დავლიოთ, შენ ხომ ძალიან გიყვარსო. ჩემს ქმარს უპასუხია – არა, გული მიფრიალებს, რაღაც ვერ ვარ კარგად, სახლში უნდა ავიდე და მოვისვენო... ამოსულა შინ, ლოჯიაში, დივანზე წამოწოლილა და დაუძინია. დედამისიც, როგორც ჩანს, თავის ოთახში იყო გასული, ისიც ცუდად გრძნობდა თავს და შეიძლება, მასაც ეძინა.

ჩემი მამამთილი მეზობლებს მკვლევლობამდე 15-20 წუთით ადრე უნახავთ – სადღაც იყო ალბათ წასული. საჭმელი მოჰქონდა, ებოში შემოვიდა და შინ ავიდაო. მერე არ ვიცი, რა მოხდა ან რა დაემართა ჩემს მამამთილს: აუღია დანა და, როგორც ჩანს, პირველად, მძინარე შვილს დაარტყა. ამას იმიტომ ვვარაუდობ, რომ დანა რევაზს ზურგში ჰქონდა ჩართყმული (იგი დივანზე ყოველთვის გვერდულად, პირით კედლისკენ წვებოდა ხოლმე), წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ჩემს ქმარს ვერ გაუმკლავდებოდა და მისთვის დანის ჩარტყმას ვერ მოახერხებდა... მძინარე შვილი რომ დაჭრა, მერე ცოლისკენ წავიდა, გვერდით ოთახში და დანა მასაც დაარტყა. ეს სულ რაღაც წამებში მოხდა... დანის დარტყმამ, ეტყობა, ჩემი ქმარი გააღვიძა, რადგან სიმწრისგან წამოვარდნილა. მამამისი იმ მომენტში ცოლისკენ მიდიოდა და მალე ისიც დაჭრა. ჩემი ქმარი მამამისს მივარდა, ამ დროს ჩემს დედამთილს დრო უხელთია და კარი გაუღია, სადარბაზოში გავარდნილა და დაუყვირია – გვიშველეთო... ყვირილზე მეზობლები შემოცვივდნენ თურმე. მაშინვე დაჭრილებს მიაქციეს ყურადღება – ზოგი ჩემს ქმართან მივარდა, ზოგი დედამთილთან. რევაზს უთქვამს – მძინარეს გვკლავდა ორივესო... სწორედ მაშინ, ჩემი მამამთილი თავის ოთახში შესულა ყველასთვის შეუმჩნეველად და

იარაღი გამოუტანია. ოთახიდან გამოსულა თუ არა, პისტოლეტი მაშინვე თავისი შვილისთვის დაუმიზნებია და ზედიზედ ოთხი ტყვია დაუხლია მისთვის. მერე ცოლს მიუბრუნდა თურმე და მასაც ესროლა ერთი ტყვია კისრის არეში, სასიკვდილო ადგილას...

მეზობლები იმ დროს, რა თქმა უნდა, დაბნეულები იყვნენ: ზოგი საავადმყოფოში რეკავდა, ზოგი – პოლიციაში. თუმცა, ორივენი მაშინვე გარდაცვლილან...

მერე ჩემთან, ჯიხურში მოცვივდნენ – ჩქარა, წამოდი, შენს სახლში რა ამბავიაო... იმწუთას გავიფიქრე – ალბათ, საგადასახადოდან მოვიდნენ და ჩხუბობენ-მეთქი. ამიტომაც, კორპუსს რომ მიუახლოვდი, პოლიციელებს დაუყვირე – რას გვერჩით, რას გადაგვეკიდეთ, რად მაუბედურებთ-მეთქი... შინ რომ შევედი, თვალებს არ ვუჯერებდი – მთელი სახლი სისხლით იყო მოსვრილი, გუბები იდგა. მგონი, ჩემს საცოდავ ქმარსა და დედამთილს ერთი წვეთი სისხლიც აღარ შერჩენოდათ. ორივე მკვდარი დამხვდა... არ ვიცი, ასე რისთვის გამამწარა, ერთადერთი შვილი სასიკვდილოდ როგორ გაიმეტა“.

მეზობლების თქმით, მკვლევლობამდე ოთხაშვილების ოჯახიდან ჩხუბის ხმა არ გამოსულა. მათ მხოლოდ სადარბაზოში გამოვარდნილი შურა ოთხაშვილის ყვირილი გაიკონეს, რის შემდეგაც ოთხაშვილების ბინაში შეცვივდნენ. მათივე თქმით, შინ დაბრუნებულმა რევაზ ოთხაშვილის მეუღლემ, როცა შეიტყო მომხდარის შესახებ, თავის მოკვლა სცადა – ფანჯრიდან ხტებოდა. მეზობლებმა მისი შეჩერება შეძლეს.

ერთ-ერთი არაოფიციალური ინფორმაციით, ილია ოთხაშვილმა ჯერ მეუღლე დაჭრა დანით, ამ ფაქტს შემთხვევით შეესწრო იმ დროს შინ მისული შვილი, რის გამოც ილია ოთხაშვილი იძულებული გახდა, ისიც მოეკლა და პისტოლეტი სწორედ იმ მომენტში აიღო. ტყვია ჯერ შვილს ესროლა, მერე კი მეუღლესაც. ამ ვერსიას არც პროკურატურის თანამშრომლები და არც დაზარალებული არ ადასტურებენ.

განსოვთ პატარა, თმასუ-
ჭუჭა ლევან ლაზარიშვილი,
რობერტ ბარდიმაშვილთან
ერთად რომ მღეროდა? „შენ
მთელი საქართველო გიყუ-
რებს ახლა, არ გეშინია?“
— ჩაეკითხებოდა ბატონი
რობერტი. „არა!“ — თავის
გაქნევით მტკიცედ უპასუხებ-
და ლევანიკო და კვლავ
სიმღერას განაგრძობდნენ...

მე ის სუფუჭთმიანი ლევანიკო აღარ ვარ და ახლა

ძალიან მეზინია



ნანა ქიბიშაური

ლევან ლაზარიშვილი ისევე უეცრად
გაქრა ქართული ესტრადიდან, როგორც
გამოჩნდა. სულ მალე კი, დიდი შეს-
ვენების შემდეგ, მისი შესრულებით კვლავ
მოვისმენთ კიდევ ერთ ლამაზ, ქართულ
სიმღერას, რომლისთვისაც ლევანს ჯერ
სახელიც არ აქვს შერჩეული.

25 წლის ლევან ლაზარიშვილი ჯერ
მთლად „ოთოლ“ სიმღერას ერთ მშვენი-
ერ გოგონას მიუძღვნის. მანამდე კი, ჩვენს
შეკითხვებს უპასუხებს.

— ლევან, სად დაგვეკარგე,
დიდი ხანია შენ შესასხებ
არაფერი გვსმენია.

— ჩემი ბოლო სიმღერიდან ღღემდე,
მართლაც, დიდი დრო გავიდა. პატარა
ლევანიკო გაიზარდა, ხუჭუჭი თმაც გას-
ცვივდა... 1992 წელს საქართველოდან
წასვლა მომიწია. სულ 3 წელია, რაც
დავბრუნდი. მთელი ამ ხნის განმავლო-
ბაში, მხოლოდ ერთხელ ვიმღერე. ისიც
მოსკოვში, საქართველოს საელჩოს მიერ
მოწვობილ კონცერტზე. მას შემდეგ კი,
რაც აქ ჩამოვედი, ერთი დღეც არ ვყო-
ფილვარ სიმღერის გარეშე. სიმართლე
გითხრათ, არც მინდა, სხვა რამ ვაკეთო.

— პატარა ლევანიკოზე რას
გვეტყვი?

— ჩემი თავი ორი წლიდან მახსოვს.
მისაღებ ოთახში უზარმაზარი პიანინო
გვედგა. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ის
ძალიან დიდი მეჩვენებოდა. მიუჯდებო-
და დედა ამ პიანინოს, დამიყენებდა გვერ-
დით და მამღერებდა. დედა მუსიკოსია,
დირიჟორი და ფიქრობდა, რომ მის შვილს
მემკვიდრეობით აბსოლუტური სმენა
ექნებოდა. ალბათ, ამიტომაც მიმიყვანა
პიანერთა სასახლეში, მაგრამ დედაჩემის
იმედები არ გავამართლე: იქ არ ვმღე-
როდი, იმიტომ, რომ არ მომწონდა სიმღ-
ერები, რომლებსაც იქ ამღერებდნენ ბავშ-

ვებს. ვიდექი ასე თაფნაღუნული და ხმას
არ ვიღებდი. ბოლოს, დედას გამოუცხა-
დეს — სმენა არა აქვს და დროს ტყუი-
ლად ნუ დაკარგავთ, ქალბატონო, სხვა-
გან წაიყვანეთო. ახლაც მახსოვს, როგორ
შეწუხდა დედა: რა ვიცი, სახლში მღე-
რის და ჩემი შვილი რომ არის, იმიტომ
ხომ არ მეჩვენებო... დედა იმედს მაინც
არ კარგავდა.

ამის შემდეგ მონაწილეობა მივიღე
კონკურსში, სადაც რობერტ ბარდიმაშ-
ვილი ანსამბლ „ლაზტის“ დასაკომპლე-
ქტებლად არჩეულა ბავშვებს. აი, აქედან
იწყება ჩემი ურთიერთობა ბატონ რობ-
ერტთან და შემდეგ ანსამბლ „75“-თან...
როდესაც სცენაზე პროჟექტორს ჩარ-
თავდნენ, დარბაზში ხალხი აღარ ჩანდა
და ასე უფრო მიადვილდებოდა სიმღ-
ერა. შემდეგ, გარდატეხის ასაკში, უკვე
აღარ შეიძლებოდა ჩემი სიმღერა. მერე
კი, უეცრად მამა გარდაამეცვალა. ეს
ფაქტი იმდენად მძიმე იყო ჩემი ოჯახ-
ისთვის, რომ ნამდვილად არავის გვემღ-
ერებოდა.

— მამა ავადმყოფობდა?

— არა, მოულოდნელად გარდაიცვა-
ლა. მაშინ 14 წლის ვიყავი. მოსკოვში
ვისვენებდი, რომ დამირეკეს — მამაშენი
ძალიან ცუდად არისო. თურმე, უკვე
გარდაცვლილი იყო!.. ჩხუბში დაუჭრიათ
და სისხლისგან დაიცალა. მამა ექიმი
იყო. ასობით ადამიანი ჰყავდა სიკვდილს
გადარჩენილი და სამწუხაროდ, თავის
თავს ვერ უშველა. 32 წლის გარდაიც-
ვალა... დედა და მამა თანაკლასელები
იყვნენ. მამა ჩემზე 18 წლით იყო უფრო-
სი და ჩვენ სულ სხვანაირი ურთიერთო-
ბა გვქონდა. სწორედ მამის ხსოვნის
პატივისცემით ავირჩიე პროფესიაც, თუმცა,
სამედიცინო ინსტიტუტი არ დამიმთავრე-
ბია. ბევრ საქმეს მოკვიდე ხელი, მაგრამ
მგონი, ნამდვილად რაც მაინტერესებს, ეს
სიმღერაა.

— სამედიცინო ინსტიტუტ-
ში სკოლის დამთავრებისთანავე
ჩაირიცხე?

— დიას, სკოლის დამთავრებისთანავე.
მაგრამ სწავლას თავი მალე დავანებე,
საფრანგეთში წავედი და იქ ერთ-ერთ
პრესტიჟულ ვოკალურ კოლეჯში ჩავირ-
იცხე. ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდი.
ცუდი პირობები არ მქონდა, მაგრამ იქაც
ვერ გავძელი. არც ის კოლეჯი დამი-
მთავრებია, ისე გადავედი მოსკოვში. მერე
კი, ისევ საქართველოში ჩამოვედი.

— ეგროპიდან ჩამოსვლის

ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეონა დვალის უბის წიგნაკრები:

1. ორთქლზე მავალი პირველი გემი ამერიკის შეერთებულ შტატებში ააგეს.
2. ტვირთბრუნვის მიხედვით ქალაქ როტერდამის პორტი პირველია მთელ მსოფლიოში.
3. 2004 წლის ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში პორტუგალიაში გაიმართება.
4. კომპოზიტორი ოსტროვსკი საყოველთაოდ ცნობილი რუსული ძილისპირულის, *Спят усталые игрушки*-ს ავტორია.
5. გამოთქმა „კახუს ბელი“ ომის გამოცხადების საბაბს ნიშნავს.
6. მარშალი ერვინ რომელი ჰიტლერის საიდუმლო ბრძანებით მოწამლეს.
7. ტუნგუსის მეტეორიტი 1918 წელს ჩამოვარდა. მისი ჩამოვარდნის ადგილი ორი დღის განმავლობაში ისე კაშკაშებდა, რომ ეს სინათლე ლონდონიდან, კოპენჰაგენიდან და მოსკოვიდან მოჩანდა.



8. ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული ეროვნული ბანკის დირექტორი დიმიტრი ყიფიანი გახლდათ. იგი 72 წლის ასაკში ჯერ გადაასახლეს და შემდეგ კი სიცოცხლეს გამოასალმეს.

9. მწყემსთა და მესაქონლეთა დღესასწაულს ძველ რომში ლუპერკალიები ერქვა. ამ ზეიმის დროს კეთილშობილი გვარისა და თანამდებობის მქონე ბევრი ახალგაზრდა კაცი შიშველი დარბოდა ქალაქის ქუჩებში და ყველა შემხვედრს ხუმრობითა და სიცილით ბანჯგვლიან ტყავებს ურტყამდა. მორბენალ ახალგაზრდებს თვალსაჩინო ღირსების ქალებიც კი განგებ ხვდებოდნენ გზაზე და დასარტყმელად ხელს უშვერდნენ. მათი რწმენით, ეს ფენმძიმეებს მშობიარობას უადვილებდა, ხოლო უნაყოფო ქალებს დაორსულებაში შეელოდა.

10. ამერიკული კოსმოსური ხომალდები კანავერალის კონცხიდან იღებს სტარტს. ეს კონცხი ყველაზე ახლოს მდებარეობს ეკვატორთან და ხომალდის გაშვებისას ამერიკელები დედამიწის ბრუნვის ინერციას იყენებენ.

11. თუ გინდა უსინათლო ჭკუიდან შემალლო, მის ბინაში ავეჯი უნდა გადაადგილო.

12. რუსეთის გზების საშინელი მდგომარეობა ძალზე ძვირი დაუჯდა ჰაინს ვილჰელმ გულდერანს, რომელიც საბჭოთა კავშირზე თავდასხმისას ვერმანტის მეორე სატანკო არმიას სარდლობდა. ბლიც-კრიგის



ფრიადოსანი „ყაზანოვა“

კობა ტალახაძე

ამ შემთხვევის შესახებ ერთმა ჩემმა ნაცნობმა მიახმო. შენ წერა გეხერხება და კარვად „გააფორმებო“. ამბავი თავისთავად ძალზე საინტერესოა და დიდი „გააფორმებაც“ არ დასჭირვებია. „საავტორო უფლებები“ რომ არ დაუურღვო (თუმცა, ჰონორარის წილში წინასწარ „ჩამიჯდა“), მის მაგივრად, ანუ პირველ პირში ვისაუბრებ:

სტუდენტობა და კურიოზები, სტუდენტობა და თავშესაქცევი ამბები, ერთმანეთის გარეშე წარმოუდგენელია...

მეც ასეთი სტუდენტობა მქონდა და უამრავი საინტერესო ეპიზოდიდან, ერთ მართლაც კურიოზულ ამბავს გავიხსენებ:

80-იან წლებში ვსწავლობდი უნივერსიტეტში – მაშინ, როდესაც სტუდენტობა და კომკავშირელობა განუყრელი იყო, თუ კომკავშირელი არ იყავი, მისაღებ გამოცდებზეც არ დაგიშვებდნენ.

აქედან გამომდინარე, კომკავშირის საწევროს გადახდაც აუცილებელ ვალდებულებას წარმოადგენდა და იმის მიუხედავად, რომ ეს თანხა თვეში მხოლოდ ორ(!) კაპიკს შეადგენდა, მის გადასახდელად მაინც არავინ იწუხებდა თავს. ამიტომ ყველა ჯგუფის ჯგუფხელს დიდი გაწამაწია ჰქონდა, რადგან ორი კაპიკი ორ კაპიკად და, კვარტლის (ანუ სამი თვის) ბოლოს, 150 კაცის ექვს-ექვსი კაპიკი მისი დასადები ხდებოდა.

ვისაც სტუდენტობა გამოუცდია, ისიც ეხსოვება, რომ ჯგუფხელად ყოველთვის ისეთს ირჩევდნენ, ვისაც სტიპენდიები-

სთვის რიგში დგომა არ ეზარებოდა, შემდეგ იმ სტიპენდიებს არ „შეუჭამდა“ თანაკურსელებს და თანაც დამყოლი და ადვილად „შესაბმელი“ უნდა ყოფილიყო, რომ მისი მთავარი „განძი“ – „აკადემიური დასწრების“ აღსარიცხი ჟურნალი ყველასათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო „მცირე კორექტივების“ შესატანად.

ერთი სიტყვით, ჩვენს ჯგუფხელადაც სწორედ ასეთი ავირჩიეთ – საჩხერელი ბიჭი, წესიერების განსახიერება. მგონი, უნივერსიტეტის ყველა დროის აბსოლუტური რეკორდი დაამყარა ლექციებზე დასწრებაში. მისთვის არც გრიპის ეპიდემია არსებობდა, არც ქორწილი და არც ქელები, ხუთი წელი ისე გაატარა, ფიზკულტურის „ლექცია“ არ გაუცდენია – მივიღოდა გაზეთში კონტად გახვეული კუნთის კედლებით, „სოვსპორტპრომის“ ცალზოლიანი „სპორტული“ ნიფხა-პერანგით და „მშთ-ს ნორმატივების“ ჩასაბარებლად ეზხადებოდა. ფიზკულტურის „ლექტორი“ ვერ იტანდა – ჩათვლების დროს მისთვის მირთმეულ ათმანეთიანების დასტას ყოველთვის აკლდა ხოლმე ერთი ცალი... მოკლედ, ასეთი იყო ჩვენი ჯგუფხელი და თავის მოვალეობასაც პატიოსნად ასრულებდა, თუმცა იმდენად გულუბრყვილო იყო, რომ შესვენებებზე ჟურნალი თან არ დაჰქონდა და ჩვენც მანიპულირების საშუალება გვეძლეოდა. ერთადერთი, რასაც ვერ მივალწია, კომკავშირის საწევროების აკრება იყო და თანაკურსელთა ფინანსური წილი კომუნიზმის მშენებლობაში მის ისედაც მწირ ბიუჯეტს აწევებოდა ზედმეტ ტვირ-

თად. თუმცა, ეს „შელავატი“ მხოლოდ ბიჭვრუხე ვრცელდებოდა – გოგონები მინც იხდიდნენ საწვევოს და ჩვენი ჯგუფხელიც პატიოსნად აღრიცხავდა თავის დაფთარში ყველაფერს.

ერთ ზამთარს, საგამოცდო ციებ-ცხელებას დაემთხვა „კომკავშირის ფინანსური გასაჭირი“ – საწყალი ჯგუფხელი თან გამოცდებისთვის ემზადებოდა და თანაც გოგონებს დასდევდა საწვევოების ასაკურად, მაგრამ ლექციები უკვე დამთავრებული იყო და ყველას ნახვას ვერ ახერხებდა. ერთ მშვენიერ წინასახალწლო დღეს გამოცდა გექონდა ჩასაბარებელი. თანაც გამოცდელი თვით ჩვენი მრისხანე დეკანი იყო, რომელიც არც ერთს, ჩვენი ჯგუფხელის გარდა, „კაცად არ გეთვლიდა“ და ყოველთვის იგი მოჰყავდა „საბჭოთა სტუდენტის“ ეტილონად ჩვენთან „აღმზრდელითი მუშაობისას“. იმ დღესაც ასე მოხდა – მისმა რჩეულმა ბილეთის ყველა საკითხს სხაპასუხით უპასუხა, დამატებით კითხვებშიც არ ჩაჭრილა და მორცხვად ჩამოართვა დეკანს დიდი ხუთიანი დამშვენებული ჩათვლის წიგნაკი. დანარჩენებმა „ჯილდოდ“ მორიგი „შემკობა“, „დებილებად“ კიდევ ერთხელ გამოცხადება და გამოცდის „გადასაბარებლად“ ნახალწლევს – „პახმელიაზე“ მისვლა მივიღეთ. უკვე გავდიოდით აუდიტორიიდან, როდესაც დეკანმა ფრიალოსანს მიამხა: „შეილო, შენი რვეული დამიტოვე, მეორე ჯგუფის კრებინებს უნდა ვანახვო – როგორ უნდა კონსპექტების წერა და როგორი უნდა იყოს ნამდვილი სტუდენტი!“ ლამაზყდაგადკრული ორი ერთნაირი რვეულიდან, ერთი დეკანს დაუტოვა, ხოლო მეორე (რომელშიც გაცემულ და გასაცემ სტიპენდიებსა და აკრებელ-ასაკრებ საწვევოებს აღრიცხავდა) „პაპკაში“ ჩაიღო და მოვალე კომკავშირელების საძებრად წავიდა.

კიბემდეც არ ვიყავით მისულები, რომ ჩვენი გულიანი „ლოცვა-კურთხევა“ დეკანის მისამართით, აუდიტორიიდან გამოვარდნილმა არაადამიანურმა ღრიალმა შეცვალა! დეკანმა აუდიტორიის კარი „გამოვლიჯა“ და „სანიშნო კონსპექტი“ ხელში თავს დაგვაცხრა: „ყველანი შემოეთრით და პირველ რიგში შენ – ჩუმჩუმელავ!“ გაოცებულები და შემინებულები შევლასლასდით ისევ აუდიტორიაში – ჯგუფხელმა ხომ მთლად ერთი სიკვდილი გაათავა.

– დაეყარენით!
„დაეყარენით“.
– შენ ფეხზე აეთრიე, გათახსირებულ გველაძუავ!

ვერ ადგა, ავაყენეთ.
– რა არის ეს?! – მისი რვეული უჭირავს ხელში.

– ჩჩემი კო-კონსპექტია, – ბლუყენით უპასუხა, მაგრამ რაღაცას მოჰკრა თვალი და სახე გაებადრა:

– ბოდიში, პატივცემულო, ერთნაირი რვეულებია და შეშლია – ეგ სტიპენდიების და ვალების აღრიცხვის ჟურნალია, – თან „პაპკიდან“ მეორე რვეული დაადრო და ფრენა-ფრენით გაჩნდა დეკანის მაგიდასთან, მაგრამ რაც მაშინ მოხდა, ვერავინ წარმოვიდგენდით – ისეთი ალიყური მოხვდა, რომ ღრმა ნოკაუტში აღმოჩნდა. გაეშრით, თვითონ დეკანიც შეცბა, მაგრამ ისევ იფეთქა:

– დანებეთ თავი, მოკვდეს ეგ გათახსირებული... ეს ვინ ყოფილა, კაცო, ეს რა გველი გვეოლია...

ამასობაში „დამნაშავეც“ მოვასულიერეთ და დეკანი ისევ დაეტაკა, მისი დავთარი ცხვირწინ მიუტანა და კბილებში გამოსცრა:

– ვალებიო, რომ ამბობ, მითხარი ერთი, ისეთი რა ვალი აქვთ შენი ამ ანგლოზივით გოგოებს, რომ ფულით ვერ გადავიხადეს და ზოგი უკვე გაგირყვინა და დანარჩენებს აწი უპირებ?!
ამის მოთქენა აღარ შეგვეძლო და ერთ-ერთმა ჩვენგანმა ხელიდან წაჰკლიჯა დეკანს რვეული. ჩავხედეთ და ჩვენი ჯგუფხელის გაწაფული ხელით ჩამოწიწიკებული სია წავიკითხეთ.

გიორგაძე – მოტ.
მამუკაშვილი – მოსატ.
იოსავა – მოსატ.
წიკლაძე – მოტ.
არეშიძე – მოტ.
და ა.შ.

თავად განსაჯეთ, რას იფიქრებდა დეკანი, რომელიც ვერ მიხვდა, რომ საქმე „მოტანილ“ და „მოსატან“ საწვევოებს ეხებოდა. თანაც ბუნებრივია, საწვევოები სტიპენდიის მქონე, ე.ი. ოთხოსან-ხუთოსან და აქედან გამომდინარე – დეკანის საყვარელ სტუდენტ გოგონებს ჰქონდათ გადახდილი, სწორედ მათი გვარის გასწვრივ ეწერა – „მოტ“ და დეკანი ამან უფრო გაამწარა:

– უყურე შენ ამ უდღეურ „კახანოვას“! თანაც საუკეთესოები რომ ამოურჩევი. ახლა აქედან წაათრით და მერე მე მივხედავ...

ცხადია, მალე გაირკვა ყველაფერი და ამ ამბიდან მხოლოდ მსიარული მოგონება დაგვრჩა. დეკანს კი კიდევ უფრო შეუყვარდა ისედაც საყვარელი სტუდენტი.

ინფორმაციულ-მეცნიერული კოლაჟი

ეორა დვალის უბის წიგნაკიდან:

(ელვისებური ომის) უბადლო ოსტატი ველარ ახერხებდა სატანკო არმიისთვის სათადარიგო ნაწილების დროულად მიწოდებას, აღარ ხდებოდა მტრის მიერ მსუბუქად დაზიანებული ტანკების შეკეთება. ასე რომ, თუ საბჭოთა კავშირში შეჭრისას გუდერიანის არმია 600 ტანკს ითვლიდა, უკვე ნოემბრისთვის მას მხოლოდ 50 ბრძოლისუნარიანი ტანკი შეეძინა;

13. ჩაუჩაუს ჯიმის ძაღლებს ლურჯი ენა აქვთ.

14. შუმანმა 46 წლის ასაკში პრაქტიკულად დაკარგა გონება და სკამებსა და მაგიდებს მოლაპარაკე მტრებად მიიჩნევდა. P.S. ზუსტად ასეთი რამ სჭირდა სიცოცხლის ბოლო თვეებში ლენინს.

15. ყოველი წუთის განმავლობაში გემუბიდან ოკეანეში 13 ტონა ნავავი იფრება.

16. ფარაონთა მუმიფიცირებისას, ეგვიპტელი ქურუმები გვამს ცხვირის ნესტოებიდან აცლიდნენ თავის ტვინს.

17. უკანასკნელი ამოფრქვევისას სიცილიაზე მდებარე ვულკანი ეტნა კვამლს სტაჟიანი მწველივით როლებად უშვებდა.

18. თანგლაუნგი ვიეტნამის დედაქალაქის, ხანოის, ძველი სახელწოდებაა.

19. „ტიტანიკის“ მზავრებს პირველად მათთან ყველაზე ახლოს მყოფი „კარპატი“ მიეშველა.

20. ამპერმა თავისი ტრაქტატი „ქიმიის მომავლის შესახებ“ სატანის მიერ შექმნილად გამოაცხადა და ცეცხლში დაწვა.

21. წითელისა და შავის ფერშენამება მწერებში სამშრების უნივერსალური ნიშანია – ჭიამაია შხამიანი მწერია და შეფერილობაც შესაბამისი აქვს. მიუხედავად ამისა, არსებობს კრახანას ჯიმი, რომელიც უშიშრად ესხმის თავს და კვერცხს დებს მის სხეულში. კვერცხიდან გამოჩეკილი მატლი ჭიამაიას სხეულში აგრძელებს ცხოვრებას. ეს სხეული მისთვის გარე სამყაროსაგან იდეალური დამცავი საშუალებაა და ამავე დროს კვების წყაროც, რაც უფრო იზრდება მატლი, მით უფრო სუსტდება ჭიამაია. ბოლოს, როდესაც მატლი ჭუპრად იქცევა, ჭიამაია თითქმის პარალიზებულია. ცოტა ხანში კვდება. მისი სხეულიდან კი სიკვდილის დემონივით ამოფრინდება ახალგაზრდა კრახანა.




ბრძოლა წესების გარეშე — დაუნდობელი, სისხლიანი და აზარტული სანახაობაა, რომელიც უძველესი დროიდან მოდის და დღემდე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ბიზნესის ერთ-ერთ, ყველაზე მომგებიან წყაროდ მიიჩნევა. აქ მილიონები ტრიალებს. ორგანიზატორები მდიდრდებიან, „გლადიატორები“ კი... წინასწარ გაყიდული შეხვედრების, ფსონების, რინგს მიღმა დადებული გარეგებებისა და ტოტალიზატორში მოგებული თუ ნაგებული მილიონების შესახებ მათ ბევრი არაფერი იციან. მათთვის მთავარია ბრძოლა, მოგებისა და მინინალმდეგისათვის „ჭკუის სწავლების“ ფინი. აქ თითქმის დაუნერგელ კანონად ქცეულა, რომ მოჩხუბრებმა, ბრძოლის დაწყებამდე ერთმანეთის გასახელებლად, საკმაოდ უცნუზურო ლექსიკონიც უნდა მოიშველიონ. უარეს შემთხვევაში ისინი ერთმანეთს ეუბნებიან: „ჯერ გცემ, მერე კი ისეთი ლამაზი იქნები, რომ...“ (მკითხველი თვითონ უნდა მიხვდეს, „ლამაზებს“ რასაც უპირებენ) უკეთეს შემთხვევაში კი, მუშტებს ჰაერში იქნევენ და დაჭრილი დათვებივით ღრიალებენ: „მოგკლაფ“ ან „შეგახრამუნებ“!

ნანა ქიბიშაური

ძველად, ქართველ ბავშვებს იტაცებდნენ და მამოუქებად ყიდდნენ. XXI საუკუნის დასაწყისში კი, ქართველი ბიჭები უცხო ქვეყნებში „გლადიატორებად“ გვევლინებიან, რომელთაც სახელი შეულამაზეს და „პანკრატორები“ დაარქვეს.

ერთ-ერთი ქართველი მებრძოლი, დავით დავითაშვილი აცხადებს, რომ მისი თაობის ბიჭებისათვის, რომელთაც ხილით დატვირთული ყუთების თრევა და გორული ვაშლით ვაჭრობა არ უნდათ, ერთადერთ გამოსავლად უცხოეთში წასვლა და საკუთარი შესაძლებლობების იქ რეალიზება რჩება. „საქართველოში არანაირი წესი და კანონი არ მოქმედებს. აქ ადამიანები არსებობისთვის იბრძვიან და ჩვენ, ქართველებს, რომელთაც მებრძოლი სული გენში გვაქვს გამჯდარი, ვერავინ გვასწავლის ბრძოლას წესების გარეშე“, — ამბობს დათო დავითაშვილი, რომელიც ახლახან ჩამოვიდა იაპონიიდან. ის წესების გარეშე მებრძოლთა შორის, მსოფლიო რეიტინგის მიხედვით, უკვე მესამე ადვილზეა. იაპონელები, თითო



ქართველი პანკრატორის



გოგონების უმეტესობა ცდილობს, რაც შეიძლება მოკლე კაბა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ჩაიცვას

რაუნდში 1.000 დოლარს უხდიან. მისი მონაწილეობით ჩატარებული ბრძოლის ერთი რაუნდიდან კი, 100.000 დოლარს იგებენ. 4 თვის განმავლობაში, დათოს შენახვა იაპონელებს 300.000 დოლარი უჯდებათ. სექტემბრიდან კი, ახალგაზრდა მებრძოლს (ის მხოლოდ 23 წლის გახლავთ) ახალ, გრძელვადიან კონტრაქტს სთავაზობენ და დათოც, მშობლიურ გორს დიდი ხნით დაემშვიდობება.

— დათო, ბავშვობაშიც ჩხუბისთავი იყავი?

— რაც თავი მახსოვს, სულ ვჩხუბობ. ბაღში რომ მიმიყვანეს, მამამ გამაფრთხ-

თავდასავლები

ილა: იცოდე, თუ ვინმე გცემს, ჩემს ყურამდე არ მოვიდეს, თორემ უარესად მე გაგტყეპავო. ეს სიტყვები ისე მითხრა, მივხვდი — გამკეთებელი იყო და მას შემდეგ ვცდილობ, არავინ მცემოს. ყოველ შემთხვევაში, ამ მიზეზით მამაჩემისგან არასოდეს მომხვედრია. როცა წამოვიზარდე, კარატეს წრეში ჩავეწერე, მაგრამ ამ სახეობაში არ მიმართლებდა: ძალიან ხშირად მხსნიდნენ შეჯიბრებიდან, რადგან თავს ვერ ვიკავებდი და კარატეში აკრძალულ ილეთებსაც ვიყენებდი. მუუბნებოდნენ, რომ მოძრაობა უნდა დამეფიქსირებინა, მაგრამ არ უნდა დამერტყა. მოგვიანებით მივხვდი, რომ უკონტაქტო ჩხუბი ჩემი საქმე არ იყო და ახლა კიკ-ბოქსინგში, საქართველოს ჩემპიონატში მივიღე მონაწილეობა. ეს იყო ჩემი პირველი გამოხსვლა ამ სახეობაში და მოულოდნელად, საქართველოს ჩემპიონი გავხდი. თანაც, იმ პერიოდში სტუდენტი ვიყავი და ჩემს მწვრთნელებთან, ნიკო ანდლულაძესთან და გიორგი კარელიძესთან ინტენსიურად უკვე ვეღარ ვვარჯიშობდი. ამის შემდეგ ბევრ შეჯიბრებაში ვმონაწილეობდი. მოსკოვში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატში მეორე ადვილზე გავედი. შემდეგ კი, ევროპის და აზიის თასიც მოვიპოვე. მაგრამ ამის შესახებ ძალიან ცოტამ თუ იცის.

— მოგვიყვი რომელიმე შენთვის ღირსსახსოვარი შეხვედრის შესახებ.

— სად აღარ ვიბრძოლე, მაგრამ მე, როგორც დათო დავითაშვილს, არავინ მგულშემატკივრობდა, უცხო ქვეყნებში ყველა თავის ფულზე ნერვიულობს, რომელიც მე უნდა მოვუტანო, ამიტომ

თბილისში, სპორტის სასახლეში ჩატარებულ შეხვედრას გავიხსენებ. ეს იყო ჩემი პირველი ბრძოლა წესების გარეშე. ტელევიზიით გასული რეკლამა ვნახე და დაინტერესდი. რეგისტრაციის გავლის შემდეგ მიიხრეს, რომ აქ წონას ყურადღება არ ექცევა და თუ ჩემზე გაცილებით მძიმეწონიანი მებრძოლი შემხვდებოდა, დროზე გავცლოდი იქაურობას. მაშინ 19 წლისა ვიყავი და 78 კილოს ვიწონიდი. ჩემი მოწინააღმდეგე აღმოჩნდა ყოფილი ძიუდოისტი, მთაწმინდის პოლიციის მუშაკი, რომელიც 26 წლის იყო და 98 კილოს იწონიდა. ის პოლიციაში „პალაჩად“ მუშაობდა და მთელი შინაგან საქმეთა სამინისტრო ქომაგობდა. მე კი, ვინ მიცნობდა?! მაგრამ რადგან იქ მივედი, პოლიციელი კი არა, ჩემზე ორჯერ დიდი ცხოველიც რომ გამოეყვანათ, მაინც შევებრძოლებოდი. მოკლედ, ჩხუბზე დავთანხმდი. ბრძოლის დაწყებამდე ჩემმა მოწინააღმდეგემ მსაჯს სთხოვა, არ გამოეცხადებინათ, პოლიციელი რომ იყო, მაგრამ მაინც გამოაცხადეს. მოულოდნელად, მთელმა დარბაზმა, სადაც 10.000-ზე მეტი კაცი იყო თავმოყრილი, მე „მიბალელშიკა“. ჩვენ შორის წონაში სხვაობა იმხელა იყო, რომ ტოტალიზატორში ფული მაინც მასზე დადეს. შევედი „კლექტაში“, გააჩნაკუნეს საკეტი და ჩაგვკეტეს. თავიდან უპირატესობა მის მხარეს იყო. შეხვედრა უკვე მთავრდებოდა, როცა ხელზე მტკივნეული ილეთის ჩატარება დამიწყო. ამ დროს დავინახე, როგორ მოაწყდნენ პოლიციელები „კლექტას“ და როგორ უყვიროდნენ – „მოსტეხე, მოსტეხე!“ აი, მაშინ გამეხსნა „მეორე დიხანიე“: დროის ამოწურვამდე 1 წუთი იყო დარჩენილი – იმ ერთ წუთში მოვიგე. ერთი, მეორე, მესამე დარტყმა ზედიზედ მივაყოლე მოწინააღმდეგეშეკველარ გაუძლო და მწვრთნელს დაუძახა – ტილო გადმომიხდეთო!..

— ნოკაუტში იყო თუ ტილოს გადმოგდება რალაცას ნიშნავს?



— ტილოს გადმოგდება დანებებას ნიშნავს. ზოგჯერ, მებრძოლი მზად არის დაიმტვრეს, მოკვდეს, სხეულს უტოვებს მოწინააღმდეგეს, მაგრამ არ ნებდება. ამ დროს, უკვე მწვრთნელი ერევა და რინგზე ტილოს აგდებს, რაც დანებებას ნიშნავს.

— იაპონიაში როგორ მოხვედრ?

— პანკრატიონთა ფედერაციის ერთ-ერთ დამფუძნებელთან, გელა ზაროზაშვილთან ერთად მოსკოვში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატში მივიღე მონაწილეობა. ჩემი პირველი ბრძოლა, რომელიც 12 წამში ნოკაუტით მოვიგე, ჟურნალისტებმა და ორგანიზატორებმა ჩემპიონატის საუკეთესო ბრძოლად დაასახელეს. ამ მოგების შემდეგ, ჩემთან იაპონელები მოვიდნენ და თავიანთ ქვეყანაში მიმიწვიეს. მგზავრობისა და ჩემი იქ ყოფნის ხარჯები თავად იკისრეს. თურმე, პირობები უნდა წამომეყენებინა და მომეთხოვა – ეს ახლა გავიგე. მაშინ კი, შემოთავაზებულ წინადადებაზე უყოყმანოდ დავთანხმდი. ასე ჩავფრინდი ტოკიოში.

— მარტო იყავი?

— არა, ჩემთან ერთად სხვა ქართველი ბიჭებიც იყვნენ, თუმცა, ისინი სამი კვირის შემდეგ უკან გადმოაფრინეს.

— რატომ?

— კონტრაქტში პირობა იყო ასეთი: იაპონიაში ჩასვლის შემდეგ, გამართული ბრძოლების 50% უნდა მოგვეგო, წინააღმდეგ შემთხვევაში უკან გვიშვებდნენ. იქ კი, იმდენი რამ დაგვხვდა საინტერესო, მხელი იყო მარტო ჩხუბზე გვეფიქრა. ჩვენმა ბიჭებმა ბლანჟე მოუშვეს და თმა ნაირფერად შეიღებეს. კიდევ რალაცებს აპირებდნენ, მაგრამ აღარ დასცალდათ... იქ ახლა მოღაშია ნაირფერად შეღებილი თმა, – მოკლედ, ამით ისე გაერთვნენ, რომ, სამწუხაროდ, კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები ბევრმა ვერ შეასრულა და იაპონელებმა, ისეთივე დიმილით და მდაბალი საღმით, გამოისტუმრეს, როგორითაც მიიღეს.

— შენ რატომ არ მოუშვი ბლანჟე, არ გინდებდა?

— რას ამბობთ, მამაჩემს რომ ვენახე ბლანჟეთი და აჭრელებული თავით, იაპონიაში თუ ვერ ჩამოვიდოდა ჩემს მოსაკლავად, აგერ, გორში თვითონ მოიკლავდა თავს!



ბრძოლების 50% უნდა მოგვეგო, წინააღმდეგ შემთხვევაში უკან გვიშვებდნენ

— კიდევ რა ენერა თქვენს კონტრაქტში?

— დალევა – არა! გართობა – არა! გოგოები – არა!

— მერე ძნელი იყო იქ ამ პირობების შესრულება?

— ძალიან ძნელი იყო. თუმცა, მაინც ვახერხებდით რალაც-რალაცებს.

— მაინც რას? — თუ არ გაერთობოდით, დალევას რა აზრი ჰქონდა?! თუ გოგონების გაცნობაც აკრძალული გქონდათ, როგორ გაერთობოდით? გოგონებს კი, როგორ გაიცნობდით — იაპონურს აბულბულვებით თუ რა?..

— ხომ გახსოვთ „დიმილის ბიჭები“? აქ მთავარი ცურვა არ არის, მთავარი მარნფათიაო! – აი, ასე იყო ჩვენი საქმეც. ენა არ ვიცოდით, მაგრამ რაც გვეჭირდებოდა, შესტებით ვაგებინებდით. იქ ყველა გვეცნობდა. ძალიან პოპულარულები ვიყავით. საქართველოში გაცილებით ძნელია გახდე ცნობილი, ვიდრე იაპონიაში. მთელი საღამოები იმას ვფიქრობდი, აქ ენა რომ ვიცოდე, პრეზიდენტი გავხდებო-მეთქი. იაპონელები, ერთი შეხედვით, ძალიან არასერიოზული ხალხია. დავლიოდი ქუჩაში და მიკვირდა, ეს ქვეყანა ამ ხალხმა როგორ ააშენა-მეთქი. მეტისმეტად გულუბრყვილო და მორჩილი ერის შთაბეჭდილებას ტოვებს. სულ წელში იღუნებიან, ოღონდ რამით გასიამოვნონ. თავიდან ძალიან მაღიზიანებდა მათი მანჭვა-გრეხა და პირფერობა, მერე მივეჩვიე, მერე კი... როგორ გითხრაო – შევიყვარე ეს ხალხი.

— რა აცვიათ იაპონელებს, ნაირფერად შეღებილი თმის გარდა, კიდევ რა არის იქ ახლა მოდაში?

— ყველას ის აცვია, რაც მოსწონს. მოდას არ მისდევენ. ტანმორჩილი ხალხია და ალბათ ამიტომ, გოგონების უმეტესობა ცდილობს, რაც შეიძლება მოკლე კაბა

და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ჩაიცვას. ამ დროს, მთელი მათი ყურადღება სიარულზეა გადატანილი და ძალიან სასაცილოდ გამოიყურებიან.

რა გიქმნიდა ყველაზე დიდ დისკომფორტს იაპონიაში?

— ის, რომ იქ ჩემი პარიკმახერი არ მყავდა. არადა კონტრაქტში გვეწერა, რომ ყოველი ბრძოლის წინ, თმა უნდა შეგვეჭრა.

მეგონა, ამ კითხვის პასუხად იტყვოდი, დისკომფორტს ჩხირებით ქაბა მიქმნიდაო.

— თავიდან ეს პრობლემა არ მქონდა, რადგან აქედან ჩემი კოვზით და ჩანგლით წავედი, მაგრამ, მაინც ცუდ დღეში აღმოვჩნდი. ორი დღე მშვიდ ვიყავი, მეჩვენებოდა, რომ იქ ყველაფერს ერთნაირი გემო ჰქონდა. მერე მივეჩვიე. ლოკოკინებსაც ვჭამდი და გველებსაც. ისინი აკვარიუმებში ჰყავთ, რომელიც მოგეწონება, ამოიყვანენ და შენ თვალწინ ქათამივით დაკლავენ. სისხლს თვითონ დალევენ, ხორცს კი, სურვილისამებრ, მოგიშაბდენ. იაპონელები, როდესაც ჩხირებით მიირთმევენ საჭმელს, მორჩენილ წვეს პირდაპირ თუფშიდან ზვრებენ. ვფიქრობდი, ამას არასოდეს გავაკეთებ მეთქი და თან წვნიანს ჩემი კოვზით გეახლებოდი. ერთ მშვენიერ, უფრო სწორად, უბედურ დღეს კი, კოვზიც დაკარგე და ჩანგალიც. მერე კი, ვიკადრე ჩხირებით „ჩალიჩი“. ბოლოს ისე „დავსაყვი“, რომ დაკონსერვებულ სიმინდს ვყიდულობდი და სათითაო მარცვალს ჩხირებით ჩიტივით ამოვკენკავდი ხოლმე. დაკარგული კოვზისა და ჩანგლის სანაცვლოდ კი, სახლში იაპონური ჩხირები ჩამოვიტანე.

ჩხირების ჩამოტანას არ სჯობდა, ერთი მოხდენილი, იაპონელი გოგო ჩამოგვეყვანა?

— სიმართლე რომ გითხრათ, იქ ერთი გოგო მომეწონა, მიუკი ჰქვია. გვარი არ ვიცი. იმის აქ ჩამოყვანას აზრი არ აქვს. იგივე დაემართება, რაც თევზს, წყლიდან რომ ამოიყვანო...

გვარს არ გეუბნება თუ არც გიკითხავს?!

— ისეთი უცნაური გვარი აქვს. მე კი არა, თვითონ როგორ დაიმასსოვრა, ის მიკვირს.

მანიტერებს ასეთი მკაცრი კონტრაქტის პირობებში, როგორ ახერხებდით გოგონების გაცნობას?

— მიუკი, მაგალითად, სათამაშო კომპიუტერებთან გავიცანი. მერე გავისიერნეთ. სეირნობისას, შეწუხებული შემომხედავდა და ხშირად იმეორებდა: „ქოლდ დევიდო“. ვერაფერი გავიგე და ჩემს მძაკაცს ბაჭიას ვკითხე: ბიჭო, ბაჭი, ხომ




ვერ ხვდები, რას მეუბნება-მეთქი? იმანაც მითარგმნა: რას და — მციაო. ეს კი, იმას ნიშნავს, ხელი გადამხვიეო. მეც დავეჯერე ბაჭიას. ვარჯიშის შემდეგ, სასტუმროდან ბარში ვიპარებოდი. შუალადის შემდეგ, იქ დისკოთეკები იმართებოდა. პირველად რომ გავიპარეთ, ბარში ჩალაგამოვლებული დავრჩით. თურმე, ბიჭი და გოგო ერთად არ ცეკვავენ — ყველა თავისთვის არის. ასწევენ ერთ ფეხს და დადგამენ, მერე მეორე ფეხს ასწევენ და დადგამენ. მე ცეკვა მიყვარს და მეხერხება კიდევ. წარმოიდგინეთ, მათი შემხედვარე, რა დღეში ვიქნებოდი. ვედარ მოვითმინე, დავავლე ერთ გოგოს ხელი და წრეში შევათრიე. მიძალიანდებოდა, ცდილობდა, ხელიდან გამსხლტომოდა, მაგრამ რას გავუშვებდი?! ასე ვიწვალე კაი ხანს, მაგრამ ვერ ავაცეკვე. ბოლოს, გულმოსულმა, საიდანაც გამოვიტაცე, ისევ იქ დავყენე. იმ საღამოს ჩემს წვალებას მთლად ტყუილად არ ჩაუვლია. იმ ბარის დიასახლისის მოვეწონე თურმე. ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს უფრო მსუქანი ქალი — 120 კილო მაინც იქნებოდა. როგორც მერე გავიგეთ, ეს ქალი „მამაშობდა“ კიდევ და ერთ გოგოს 300 დოლარად „აქირავებდა“. ჩემი მეგობრებისთვის უთქვამს — „დევიდო“ მომიყვანეთ და გოგოები უფასოდ წაიყვანეთო... შემომიჩინდნენ ბიჭები — რა მოხდა, ჩვენი ხათრით მარტო ერთხელ გარისკეო. მაგრამ იმ ქალთან, ვერავის გულისთვის ვერ „გავრისკავდი“... ჩვენზე თვალყურის დევნება სასტუმროს ადმინისტრატორს საგანგებოდ ჰქონდა დავალებული. როდესაც მიხვდნენ, ნომერში მარტონი არ

ვბრუნდებოდით, კარზე პატარა ზარები დაგვიმონტაჟეს: გავალბდით თუ არა, ზარი გაიწვრიალებდა და ისინიც მამინვე გარეთ გამოცვივებოდნენ. ფაქტზე რომ დავეჭირეთ, მეორე დღესვე თვითმფრინავის ბილეთებს შემოგვიტანდნენ. სხვა გზა არ იყო და ზარები საფუძვლიანად გამოვიკვლიეთ. საჭირო დღეებში კარზე მარტო ფუტლარს ვტოვებდით, მექანიზმს კი, ჯობით დავატარებდით. შეიყვანდა რომელიმე ბიჭი „ნაშას“ ნომერში, მერე ზარს შეაერთებდა და კარს ისე ალებდა. გამოვარდებოდნენ ადმინისტრატორები, წელში მოიხრებოდნენ, ძილი ნებისას გვისურევებდნენ და ისევ ქრებოდნენ, როგორც გამოჩნდებოდნენ ხოლმე. ბოლოს, მაინც აიღეს ეჭვი და წამოსვლის წინ, ვიდეოკამერები დაგვიმონტაჟეს. აი, ასე უფროხილდებიან იაპონელები სპორტსმენის ენერგიას.

რა მოსწონთ ყველაზე მეტად, რა არ მოსწონთ, ან რა აოცებთ იაპონელებს?

— მოსწონთ ფიზიკურად ძლიერი ხალხი, თითქოს მუდამ ეძებენ ადამიანს, რომლის ჩრდილსაც თავს შეაფარებენ. არ მოსწონთ მატყუარები, იმიტომ, რომ თვითონ თითქმის არასდროს ამბობენ ტყუილს. აოცებთ... პირადად მე არ მინახავს უფრო გოაცებული იაპონელი, როგორც ის, აქედან ჩატანილი ფოტოპარატი, სურათის გადაღება რომ ვთხოვე. ჯერ ის ძლივს გავაგებინე, როგორ უნდა გადაეღო, გადაღების შემდეგ კი, აპარატმა რომ გაიჩხაკუნა და ახრიალდა, ჯერ შეეშინდა და გაქცევა ცადა, მერე გაჩერდა და ბოდიშების მოხდა დაიწყო: მე არ გამიფუჭებიაო... მერე კი, როცა ფირი ბოლომდე გადავახვიეთ და ამოვიღეთ, ისეთი გოაცებული დარჩა, რომ მგონი, დღემდე ვერ გაურკვევია, რა ეჭირა ხელში!


P.S. ბრძოლა წესების გარეშე ყველაზე ტრავმული სპორტია. თუმცა, ჩვენს სპორტის დეპარტამენტში დღემდე გრძელდება დისკუსია, არის თუ არა ეს საერთოდ სპორტი: სანამ ჩვენთან ამ საკითხში კონსენსუსს მიაღწევენ, დათო უკვე იაპონიაში იქნება, სადაც, მისი ნაამბობიდან გამომდინარე, ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, შესაძლოა, მოკლევადიანმა და მაღალ ქუსლებზე შემხტარმა გოგონებმა პატარა წვრილთვალე დაავითაშვილებიც დაახვედრონ. თუმცა, ეს ჩვენი საქმე არ არის. ჩვენ მხოლოდ ერთი რამ შეგვიძლია: წარმატებები ვუსურვოთ მას და კიდევ ის, რომ თავისი საბრძოლო კარიერა, ისეთივე ჯანმრთელმა და ხალისიანმა დაამთავროს, როგორც ახლაა.



გასვით თუ არა მიმიკის ენა? გასვით თუ არა მიმიკის ენა? გასვით თუ არა მიმიკის ენა? გასვით თუ არა მიმიკის ენა?

კარგად დააკვირდით სურათზე გამოსახული ადამიანის სახის 8 მდგომარეობას და სცადეთ, თითოეულს ქვემოთ მოყვანილი ემოციური მდგომარეობიდან, თქვენ აზრით, ყველაზე შესაფერისი შეუსაბამოთ.

- ა) უკმაყოფილება;
- ბ) აგრესია, სიმკაცრე;
- გ) სიძულვილი;
- დ) ნაღველი, დარდი;
- ე) ყურადღების გამახვილება;
- ვ) დაეჭვება;
- ზ) ზიზღი;
- თ) სიცილი.



სწორი პასუხებია:

1-2-3-4-5-6-7-8

თუ თქვენ 5 და მეტი სურათის სწორად „ამოკითხვა“ შეძელით, ეს იმას ნიშნავს, რომ ყურადღებიანი, დაკვირვებული ადამიანი ხართ. კარგად ერკვევით მიმიკის ნიუანსებში, კარგად გესმით ადამიანის ფსიქოლოგია და ურთიერთობის დამყარებაც არ გიჭირთ, ამიტომაც მეგობრებისა თუ ახლობლების წრეში ყოფნას თქვენ მათი საქციელისა და საუბრის მცირედი დეტალიც

არ გრჩებათ შეუმჩნეველი. თუ 5-ზე ნაკლები სურათი „გაშიფრეთ“, ეს იმის მაჩვენებელია, რომ მიმიკის ენა კარგად არ გესმით. შეიძლება, სწორედ ამ მიზეზით ურთიერთობებისას სწორად კონფლიქტი მოგდით. უფრო ყურადღებით დააკვირდით ადამიანებს, სცადეთ სახის გამომეტყველების მიხედვით ჩასწვდეთ მათ ემოციური მდგომარეობა. ეს ნამდვილად დადებითად აისახება თქვენს ცხოვრებაზე და პრობლემაც ნაკლები შეგექმნებათ.

აღმოსავლეთში თვლიან, რომ ადამიანის გასაცნობად სულაც არ არის საჭირო მასთან ერთად ფუთი მარლის შექმა ან „სულის სარკეში“ — თვალებში ჩახედვა. არსებობს უფრო რადიკალური და, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, უტყუარი საშუალება.

ჩადრით შებურვილი ქალის ასაკის გამოცნობა საკმაოდ ზუსტად შეიძლება — ამისათვის მის ფეხებზე დახედვა საკმარისია. უფრო სწორად, არა მართლ დახედვა, არამედ მათი ყურადღებით დათვალიერება. ტერფის, ქუსლის ფორმა და თითების სიგრძე, არა მართლ ადამიანის ასაკსა და სისუფთავისადმი დამოკიდებულებას გამცნობთ, არამედ მისი ხასიათის მალულ კუთხე-კუნჭულშიც კი ჩაგახედბთ. თუ ქუსლი გამოკვეთილი არ არის, ტერფი გლუ-





ტერფისა და ქუსლის საიდუმლო

ვია და შუაში ღრმული მკვეთრი არ არის (რაც ბრტყელტერფიანობის ნიშანია), თქვენ წინაშე პატივმოყვარე, მაგრამ თავის ძალებში დაურწმუნებელი ადამიანია. მას უყვარს მბრძანებლობა, მაგრამ არ სიამოვნებს პასუხისმგებლობის აღება. საკუთარ თავზე, ასეთ ადამიანებს შორსმჭვრეტელობა და ინტუიცია ახასიათებს, რაც მომხდარი მოვლენების ანალიზს უადვილებს. ისინი უკომპლექსო ადამიანები არიან. ასეთი ქუსლები ბევრ პოლიტიკოსს, სამხედროსა და კონსტრუქტორს აქვს.

მკვეთრად გამოხატული, რელიეფური, მძიმრგვალეული ქუსლი იმის

ნიშანია, რომ თქვენ წინ მგრძობიარე, ღრმა განცდის მქონე, სილამაზის მოყვარული ბუნების ადამიანია. ისინი მტკიცე ხასიათით არ გამოირჩევიან და მუდამ სრულყოფილებას ეძიებენ. სიამოვნებით იღებენ სხვების მიერ გაღებულ მსხვერპლს, მაგრამ თავად არასდროს ჩქარობენ ვინმეს ხათრით წვრილმან დათმობაზე წასვლასაც კი.

მაღალი ტერფი იმის მაჩვენებელია, რომ თქვენ წინაშე ამაყი ადამიანია, რომელსაც არ სურს დათმობაზე წასვლა. ასეთ ხალხს არ უყვარს ბევრი ლაპარაკი, ნებისმიერ კოლექტივში ლიდერობაზე აცხადებენ პრეტენზიას. მაღალი ტერფი მაღალი



შერონ სტოუნის ურთიერთდაბეჭდული თითები მის ფეხებზე ხასიათს უხვამს ხაზს

მაღალი ტერფი კლინგ ისტონის ამაყ ხასიათს ავლენს

„ვანუეიტარებელი“ ნეკა თითი ელისაბედ მეორეს ხანგრძლივი სიცოცხლის გარანტიას აძლევს...

„ორ იარუსად“ თითები ჯეკ ნიქსონსა და ნიქს ავს

სამხედრო პალატო, მაზარა	ბიძაშვილი საფრანგეთში	ბაშკირეთის ლედაქალაქი	კავშირი „და“ გერმანულში	„გაზაფხული შემოსულა ...“	ფეხქვადი ნიეთსერება	ქალის ხელჩანთი
გაჩაჩაქაუნი	ნა			ნეეინისა	მეიუისა	კვირი
ცხვრის ჯოგი	ერთგვარი აბაზანა პაერის ბუშგუკების თანხლებით	მაშველი ძალის ჯიში		ცხარი ან...	მორზეს ანბანის ერთი ნიშანი	პერმან მელვილი „მობი ...“

ბანანი

ინტელექტის, კარგი მეხსიერებისა და უნიციტივობის მაჩვენებელია. უბრალოდ, რაიმე გამორჩენის გარეშე ასეთი ადამიანი ნაბიჯსაც არ გადადგამს.

პირიქით – დაბალი ტერფი გამცნობთ, რომ თქვენ, საუბრის მოყვარულ, კომუნიკაბელურ ადამიანს შეხვდით. ის სიამოვნებით იღებს დახმარებას და რჩევასაც. თავის მხრივ ხანდახან თავის საზიანოდაც კი, ნებისმიერი აღმსიანის დასახმარებლადაც არის მზად. დაბალი ტერფის პატრონს ხშირად საკუთარი აზრი და შეხედულება არ გააჩნია, მაგრამ ამას არცთუ ისე ძლიერ განიცდის. კვირაში შვიდი

პარასკევი აქვსო – სწორედ ასეთ ადამიანზეა ნათქვამი.



განიერი ტერფის მქონენი მყარად დგანან მიწაზე, მიწიერი მოთხოვნილებით გამოირჩევიან, რეალურად უცქერენ ცხოვრებას, მზად არიან გონიერ კომპრომისებზე წასასვლელად. ასეთი ტერფის პატრონები ეტანებიან ალკოჰოლს და ავხორცობითაც გამოირჩევიან.

თხელი ტერფი შემოქმებითი ბუნების ნიშანია, მის პატრონს რთული და წინააღმდეგობრივი ხასიათი აქვს. როგორც წესი, ერთგულებით გამოირჩევა სიყვარულში, ამასთან შეყვარებულს, როგორც მესაკუთრე, ისე უყურებს და ძალიან ეჭვიანიც არის.

ფეხის თითებს ადამიანის შესახებ თითქმის ყველაფრის მოყოლა შეუძლია: თუ ადამიანს გრძელი, სწორი, ოვალური ფრჩხილებით დამშვენებული თითები აქვს, ის გაწონასწორებული და ყოველმხრივ ღირსეული პიროვნებაა. ნებისმიერი საქმე, რასაც ის წამოიწყებს, აუცილებლად მისი შესაფერისი იქნება.

მოკლე, ერთმანეთს დაშორებული თითები ჭირვეულ, ფეთქებად და სკანდალურ ხასიათზე მიუთითებს. მოკლე, მაგრამ ტოლი და ერთმანეთთან მჭიდროდ განლაგებული თითები არაჩვეულებრივ სიყვარულსა და ერთგულებას გპირდებათ. „ორიარუსიანი“ თითები კი მრავალ ნაკლსა და ცვალებად ხასიათზე მეტყველებს.

თუ შორე თითი ცერა თითზე გრძელა, ეს მამაკაცებში უნიათო და დამთმობი ხასიათის მაჩვენებელია, ქალებში კი – დამოუკიდებლობის და სექსუალური აქტივობის. განვითარებული ნეკა თითი ძლიერ და ჭირვეულ ხასიათზე მიგვანიშნებს, პატარა და „უქნარა“ კი მრავალი განუხორციელებელი შესაძლებლობის მაჩვენებელია.



სლავეტის ნაკლები

ჯილიან ანდერსონის გრძელი, სწორი თითები მისი გაწონასწორებული ხასიათის მაჩვენებელია

კარენ მიულდერის თხელი ტერფის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ის ეჭვიანია

სილვესტერ სგალონეს რელიეფური ქუსლი ადასტურებს, რომ ის მულად სრულყოფილების ძიებამია

ბიუჯეტის შეკვეთა	მდინარეში გასასვლელი ადგილი	ჯანსაღი ცნობილი ქალაქი ეგვიპტეში	ერთგვარი შხამიანი გველი	კინემატოგრაფია ანუ...	წმინდური მოქალაქე
ისეკვესსხიივონისას	მ/ფ „შერეკილების“ პერსონაჟი	ფრანგული უული	ქეა	კურკელი ღვინისთვის	გამუდგეული მალაქიაში

1446 წელს ქართლ-კახეთის მეფედ აკურთხეს გიორგი VIII, ძე ალექსანდრე დიდისა. იმ დროისათვის საქართველო სულ ახალი დაქუცმაცებული იყო სამეფო-სამთავროებად. გიორგი მერვემ თავისი მეფობის წლები ქვეყნის ერთიანობისათვის ბრძოლას შეაღია, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ აღკვეთა ქვეყანაში ღალატი და შინაომები. კახელი დიდებულები ქართლებს ებრძოდნენ, ქართლელი იმერლებს, იმერთა მეფეს კი ხშირად ჰქონდა ომი გურიის ან სამეგრელოს მთავართან. გიორგი მერვეს სურდა, თავდაპირველად დაემორჩილებინა მესხეთი, ანუ სამცხე, რომლის მთავარი — ყვარყვარე ათაბაგი განუღვა, მერე კი დაეპყრო იმერეთის სამეფო, სადაც მბრძანებლობდა ბაგრატი და ბოლოს, საქართველოს სხვა ნაწილები შემოეერთებინა. გიორგი მეფის ამ ამალაში ირიცხებოდა აზნაური იოთამ ზედგენიძე, რომელიც აღტაცებაში მოჰყავდა გიორგი მეფის განზრახვას და მის წარმოდგენაში მეფე გიორგი იხატებოდა მეფედ ერთიანი საქართველოსი. ამას გარდა, იოთამს მეფე გიორგი უყვარდა, როგორც ადამიანი და მეგობარი. ერთგულად დარაჯობდა მეფის სიცოცხლეს და მზად იყო, მისი კეთილდღეობისათვის სული და გული არ დაეშურებინა.

1465 წელს გიორგი მეფე სამცხეს გაემართა ყვარყვარე ათაბაგთან საომრად, „რათა შურ-ავოს ათაბაგსა“. ჯავახეთში, ფარავნის ტბის ერთ მხარეს, სწორედ იქ, სადაც წმინდა ნინომ პირველი ღამე გაათია საქართველოში, გიორგი მეფის ჯარი იყო დაბანაკებული. მეორე მხარეს — ყვარყვარე ათაბაგისა.

გიორგი მეფის მტრებმა ომის თავიდან ასაცილებლად, გადაწყვიტეს მზაკვრული მეთოდისთვის მიემართათ: ღამით, მალულად თავს დასხმოდნენ მძინარე გიორგი მერვეს და მოეკლათ. ბედად, ეს შეთქმულება დროულად შეიტყო იოთამ ზედგენიძემ, რომელიც სულ იმაზე ზრუნავდა, მეფეს ხიფათი არა შეემთხვეს რაო. იოთამმა მაშინვე მოახსენა შეთქმულების თაობაზე მეფე გიორგის, მაგრამ მეფე თავად



წმინდა იოთამ ზედგენიძე — მეფისა და ერისათვის თავდადებული

უბოროტო, კეთილი ბუნების ადამიანი იყო და ამგვარი მზაკვრული ქმედება ვერც სხვისა წარმოედგინა. იოთამის ნათქვამიც ეჭვსა და ზედმეტ სიფრთხილეს მიაწერა: „არა ირწმუნა, ვინაიდან უგონებელი იყო მათგან ღალატი მეფისა“.

როცა იოთამმა ვერა და ვერ დაარწმუნა მეფე ღალატში, შესთავაზა: „უკეთუ ვცბი და არა ჭეშმარიტ არს სიტყვა ჩემი, აწ გევედრები, რათა არა მოიკლა თავი ცუდად, არამედ ღამესა ამას მე დაწვევ საგებელსა შინა შენსა“. მეფე დათანხმდა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ არავითარი შეთქმულება მის წინააღმდეგ არ არსებობდა და იოთამის მოსიყვარულე გული უსაფუძვლო ეჭვიანობას შეეპყრო. სადამოს იოთამი მეფის საწოლში შევიდა და დაწვა მის ქვეშაგებში. მეფემ კი იმ ღამეს სხვაგან დაიძინა მშვიდად და ბედნიერად, რადგან ფიქრი არაფრისა ჰქონდა, ეგონა — მეორე დილას კვლავ „დილა მშვიდობისას“ უსურვებდა ერთგულ მსლებელს.

იოთამი კი იწვა მეფის ქვეშაგებში და მოთმინებით ელოდა მკვლელებს. თან ლოცულობდა. მოსალოდნელ სიკვდილთან უშიშრად მისაგებებელი ძალის მონიჭებას შესთხოვდა უფალს და ავედრებდა თავის ქვეყანას, მეფე გიორგის, თავის შთამომავლობას. ამგვარ ლოცვასა და ფიქრში განვლო შუალაქამ,

მკვლელი კი არა და არ ჩანდნენ. თავად იოთამსაც კი ეჭვი შეეპარა თავის ნათქვამში. ამასობაში ირიფრაჟა. ისეთი დრო იყო, რომ იტყვიან: ერთი პირი ძილი წყალსაც მოერევაო. მთელი ღამის უძინარ მცველებს ჩაეძინათ და იოთამსაც წასთვლიმა. სწორედ ამ დროს, დილის ბინდბუნდში გამოჩნდნენ მკვლელები. ფხაკრეფით შეიპარნენ მეფის საწოლ ოთახში და უმოწყალოდ დაუშინეს ხანჯლები იოთამს. დაიკვნესა იოთამმა. მკვლელებმა იცნეს ხმაზე მეფის მსლებელი და მწარედ მოტყუებულნი, სასწრაფოდ გაუჩინარდნენ.

დილით, რომ შეხსნა თავისი საწოლი ოთახის კარი მეფე გიორგიმ, საზარელი სანახაობა წარმოუღვა თვალწინ: მრავალჯან მძიმედ დაჭრილი, სულთმობრძავი იოთამი სისხლში ცურავდა და მცირე დროსა დარჩენოდა სიკვდილამდე. თავზარდაცემული მეფე თავის თავს აბრალებდა ერთგული მსლებლისა და მეგობრის სიკვდილს და საშინელ სინანულში ჩავარდნილიყო. მდუღარე ცრემლებით ტიროდა და მსურვალე აღერსით ცდილობდა, გაეხანგრძლივებინა სიცოცხლე იოთამისათვის. იოთამი მართლაც, ცოტა მოსულიერდა და მეფეს თავის შთამომავლობაზე მზრუნველობა შეავედრა. მერე კი მის მკლავებში დალია სული.

გიორგი მეფემ იმავე დღეს შეიპყრო იოთამის მკვლელი და სიკვდილით დასაჯა. ხოლო ომის დამთავრების შემდეგ იოთამის შვილებს დიდძალი მამულები უბოძა და თავადობა დაუმკვიდრა.

შემდგომში სახელოვანნი თავადნი ამილახვარნი იყვნენ პირდაპირი შთამომავალნი აზნაურ იოთამ ზედგენიძისა.

საქართველოს ეკლესიამ კი ღვთივდადგენილი მეფისათვის თავდადებული ქრისტიანი წმინდანთა დასში შერაცხა და მისი ხსენების დღედ 12 ნოემბერი (ძვ. სტ. 30 ოქტომბერი) დააწესა.

კეთილმსახურო და გვირგვინშემოსილო მოწამეო იოთამ, ევედრე ღმერთსა ჩვენ ყოველთათვის!

აფხაზეთის აჯანყება თავისი არსით, ლენინუმისა და სამეგრელოს 1918 წლის აჯანყებების გაგრძელებას წარმოადგენდა (იხ. გზა №51, 57). მათ მსგავსად, მისი უშუალო ორგანიზება, რუსეთის ბოლშევიკური პარტიის დაკვეთით განხორციელდა. ეს აჯანყება ალსანიშნავია იმიტომ, რომ აფხაზეთი სეპარატიზმის პირველმა ნიშნებმა სწორედ იმ პერიოდში იჩინა თავი, ხოლო აჯანყების ერთ-ერთი პერსონაჟი (თავადი ემხვარი), ცნობილი ქართველი მწერლის ლეო ქაჩელის „პაკი აძბას“ მთავარ გმირადაც იქცა.

ქახა მაისურაძე

აჯანყების პირველი პერიოდი

ბოლშევიკების, მეზღვაურებისა და 300 ავაზაკის ალიანსი

პეტროგრადის 1917 წლის 25 ოქტომბრის (ახ. სტ. – 7 ნოემბრის) ბოლშევიკურმა სახელმწიფო გადატრიალებამ და რუსეთისაგან გამიჯვნამ, ამიერკავკასია უმძიმეს სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაში ჩააყენა. ანალოგიური პირობები შეიქმნა მაშინდელ ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალ სოხუმის ოლქში (აფხაზეთში). ეკონომიკურმა კრიზისმა იქაც მასობრივი გამოძახილი პოვა. აფხაზეთის რკინიგზაზე, უსახსრობის გამო, მუშაობა შეწყდა. ყოველივე „მეხუთე კოლონის“ – რუსეთის სოციალ-დემოკრატიული (ბოლშევიკური) პარტიის მოქმედებისთვის ნოყიერი ნიადაგი შექმნა. მისი ინიციატივითა და აქტიური ხელმძღვანელობით მთელ აფხაზეთში გაჩაღდა მუშაობა ადგილობრივი სამოქალაქო მთავრობის დამხობისა და ბოლშევიკური მმართველობის დამყარების აუცილებლობაში მოსახლეობის დასარწმუნებლად. მუშებს ჰპირდებოდნენ მუშაობის განახლებას და სურსათით უზრუნველყოფას, თუ ძალაუფლება ბოლშევიკების ხელში გადავიდოდა. „მუშების უმრავლესობა მოსული ელემენტებია, ადგილობრივ პირობებს არ იცნობენ და პროვოკატორთა ანკესზე ადვილად ეგებიან“ – დანაებით აღნიშნავდა გაზეთი „ერთობა“.

მართლაც, 1918 წლის თებერვლიდან ბოლშევიკთა რიგები მნიშვნელოვნად გაძლიერდა. აფხაზეთში სისხლის სუნი დატრიალდა. აჯანყების დასაწყებად საჭირო



აჯანყებულ გლეხთა რაზმი

აფხაზეთის 1918 წლის «ბოლშევიკური» აჯანყება

იყო მხოლოდ საბაბი და ისიც გაჩნდა: 15 თებერვალს სოხუმის ნავსადგურში შევიდა სამხედრო ხომალდი „დაკია“. გემის რევოლუციურად განწყობილი მეზღვაურები ქალაქში დაეძებნენ ყოფილი მეფის არმიის ოფიცრებს და სამხრეებს აგლეჯდნენ (სხვათა შორის, მაშინ ამ პროცესს მასობრივი ხასიათი ჰქონდა მიღებული თბილისშიც. ერთ-ერთ ქუჩაზე ასეთი, ჩამოგლეჯილი სამხრეების მთელი გორები იდგა). ასე შეეყარნენ ისინი სოხუმის ბულვარში მოსიერნე აფხაზ ოფიცრებს – ემხვარს და სამხრეების აყრა მოსთხოვეს. ემხვარი რევოლუციით დაემუქრა. ინციდენტი მშვიდობიანად დამთავრდა, მაგრამ შემდეგ გამეორდა. ამჯერად ემხვარმა ერთი მეზღვაური მოკლა, მეორე კი დაჭრა და მიიძალა.

ქალაქში დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა. მეზღვაურებმა მოითხოვეს ემხვარის გადმოცემა და 15 ათასი მანეთი – მოკლულის ოჯახის სასარგებლოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქალაქს განადგურებით დაემუქრნენ.

მეორე დღეს სამხედრო გემი „დაკია“ კრეისერმა „კაროლ კარლმა“, შეცვალა, რომელმაც „დაკიას“ ულტიმატუმის 24 საათში შესრულება მოითხოვა. ამით ისარგებლეს ადგილობრივმა ბოლშევიკებმა – ევრემ ეშბას, ლაკობას, იგბაიას, სვანიძის მეთაურობით და გაჩაღეს პროაგანდა, თითქოს, საქმე მეზღვაურთა წინააღმდეგ თავადების გალაშქრებასთან ჰქონდათ. შეიპყრეს ემხვარი და მეზღვაურებს გადასცეს. „მატროსებმა იგი გემის ორთქლში წამებით გამოასრჩვეს“. მალე შედგა სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი (მთავრობა) ევრემ ეშბას ხელმძღვანელობით, რომელმაც თავი აფხაზეთის ხელისუფლად გამოაცხადა. ამ

ძალების მოქმედების წარმატება მათ მხარეზე ე.წ. „მე-12 სადარავლო როტის“ გადასვლამაც განაპირობა, რამაც ბოლშევიკებს საშუალება მისცა, ფაქტობრივი ძალაუფლება ხელში ჩაეგდოთ. მიუხედავად ამისა, ვითარება კიდევ უფრო იძაბებოდა. განსაკუთრებით კრიტიკული მაშინ გახდა, როცა ამ „მთავრობამ“ ციხიდან 300 ავაზაკი გამოუშვა. ბოლშევიკებმა ძალაუფლების განმტკიცების მიზნით, სამსივე პატიმარი თავით ფეხაძე შეაიარაღეს, მაგრამ მალე საწინააღმდეგო შედეგი მიიღეს: ახალი მთავრობა მათ ტყვეობაში აღმოჩნდა – რეალურ ძალაუფლებას სოხუმში ავაზაკები დაეპატრონნენ. შეშინებული მთავრობა ეშბას ხელმძღვანელობით, ბოლშევიკთა სამხედრო-საზღვაო გემზე გადაბარვდა და წინააღმდეგობა მისცა გემის ხელმძღვანელობას, ზღვიდან დაეპომა პატიმრების ხელში გადასული სოხუმი. 19 თებერვალს სოხუმის მასირებული დაბომვა დაიწყო. ქალაქში ნამდვილი ჯოჯოხეთი დატრიალდა. „პილროპლანებიდან“ გადმოყრილი ათასობით ბომბი ასობით მოსახლის თავშესაფარს ანადგურებდა. ერთმანეთის პირისპირ იდგნენ გუშინდელი მოკავშირეები: ბოლშევიკები და ნაპატიმრალი ავაზაკები. ორი დღის განმავლობაში მდგომარეობას სოხუმში სწორედ ეს უკანასკნელები აკონტროლებდნენ.

„19-20 თებერვალს ქალაქში ავაზაკების დიქტატურა იყო დამყარებული“ („ერთობა“, №51, 1918 წ.). სოხუმის პარალელურად, ემერის მასირებული დაბომვაც მიმდინარეობდა, სადაც სამთავრობო ჯარები, აფხაზეთის ადგილობრივი ადმინისტრაცია და აფხაზეთის „ეროვნული საბჭო“ იყო განთავსებული. ამ დაბომვისას მთლიანად განადგურდა „ემერის უპატრონი

ბავშვთა თავშესაფარი“, დაიღუპა ათეულობით ბავშვი. 20 თებერვალს კრეისერმა „კაროლ კარლმა“ მიულოდნელად დატოვა სოხუმის ნავსადგური. ქალაქის დაბომბვა შეწყდა, მოგვიანებით გემის მესვეური იძულებულნი გახდნენ ელიარებინათ, რომ აღნიშნულ შინაპოლიტიკურ დაპირისპირებაში ჩარევა მათი უდიდესი შეცდომა იყო.

ბოლშევიკთა სამხედრო გემის წასვლის შემდეგ, სოხუმის დასაბრუნებლად კვლავ ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. ამიტომ, ამიერკავკასიის მთავრობამ წინადადება მისცა ემერაში განლაგებულ სამთავრობო ნაწილებს – დაუყოვნებლივ მიეღოთ ზომები ქალაქის დასაბრუნებლად. იმავე დღეს „წითელი (სახალხო) გვარდია“ ქალაქში შტურმით შეიჭრა. იქ გამაგრებული პატიმრების პოზიციები ორდღიანი საზღვაო დაბომბვის შემდეგ, მნიშვნელოვნად იყო შესუსტებული, რამაც სამთავრობო ნაწილებს წარმატებით მოქმედება გაუადვილა. სისხლისმღვრელი ბრძოლები სოხუმის ქუჩებში ავაზაკების მარცხით დასრულდა. მედგარ წინააღმდეგობას განაგრძობდა მხოლოდ ბოლშევიკების მხარეზე გადასული ე.წ. „მე-12 სადარაჯო როტა“ თევზორე ჯიქიას მეთაურობით. მაგრამ ალყაში მოქცევისა და მასირებული საარტილერიო ცეცხლის შემდეგ, ისიც იძულებული გახდა, ხელი აეღო წინააღმდეგობაზე. 21 თებერვალს სამთავრობო ჯარები მთლიანად აკონტროლდნენ მდგომარეობას სოხუმში. აფხაზეთში თბილისის იურისდიქცია აღდგენილად გამოცხადდა. თუმცა ბოლშევიზაციის საფრთხე რეგიონს კვლავ ემუქრებოდა. ეს შემდგომმა მოვლენებმაც დაადასტურა.

პერიოდი მეორე

აფხაზეთის ბოლშევიზაცია გაგრძელდა ოჩამჩირემდე

თებერვალში ბოლშევიკური ამბოხების ჩახშობას აფხაზეთში მთავრობის პოზიციების განმტკიცება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ასე არ მომხდარა. პირიქით, დაიწყო ბოლშევიკების გავლენის მზარდი გაძლიერება. რამ გამოიწვია ეს? 1918 წლის მარტის მიწურულს, აფხაზეთში ჩატარდა „საგლეხო ყრილობა“. ყრილობაზე მიწა გამოცხადდა „სახელმწიფოს ქვეშევრდომი სოხუმის ოლქში მცხოვრები ყველა ეროვნების საკუთრებად“. ამიერკავკასიის მთავრობის ამ ნაბიჯს ბოლშევიკებმა სწორედ ეროვნული შუღლის გაღვივებით უპასუხეს და კონტრპროპაგანდა გააჩაღეს აფხაზეთში აღნიშნული რეფორმის საწინააღმდეგოდ, კერძოდ – აფხაზებს უცხადებდნენ, რომ რეფორმა პირველ რიგში მათი უფლებების შელახვისკენ იყო მიმ-

ართული, რადგან თუ აფხაზეთის მიწები იქ მცხოვრებ ყველა ეროვნების წარმომადგენლებზე თანაბრად განაწილდებოდა, აფხაზებს აქედან პროცენტული მცირერიცხოვნობის გამო, ყველაზე მცირე ნაწილი შეხვდებოდათ, რაც მათ თვალსა და ხელს შუა თავიანთ სამშობლოს – აფხაზეთს უბრძოლველად ხელიდან გამოაცილიდათ...

აფხაზებში ეროვნული შუღლის გაღვივება მნიშვნელოვნად დააჩქარა მაშინდელმა ჩრდილოკავკასიელ მთიელთა გაერთიანებამ, ორგანიზაცია – „მთიულთა კავშირმაც“, რომელმაც წამოაყენა ლოზუნგი – „აფხაზეთი – აფხაზებს“. ამრიგად ბოლშევიკთა აქტიური მუშაობისა და ჩრდილოკავკასიელთა მზარდი პროპაგანდის წყალობით, სოხუმის ბოლშევიკური გამოსვლიდან სულ რაღაც ერთ თვეში, პირობები აფხაზეთში ხელმოკლე ანტისამთავრობო გამოსვლისთვის უკვე მზად იყო.

გამოსვლა პირველად გაგრამი დაიწყო. ამბოხებულებს დიდ დახმარებას უწევდა საბჭოთა რუსეთის მთავრობაც. კერძოდ, მისი მითითებით ამბოხებულებს მიემხრო იქ დარჩენილი რუსული სამხედრო გარნიზონი, რომლის მხარდაჭერითაც მუამბოხებმა პრინც ოლდენბურგის სასახლე (სადაც განთავსებული იყო გაგრის ადგილობრივი ადმინისტრაცია და სამხედრო შტაბი) იოლად აიღეს. გაგრის დაკავების შემდეგ, გულაუთაშიც გააქტიურდნენ ბოლშევიკები. იქ მოქმედებდნენ ე.წ. „კი-არაზის რაზმები“. საბჭოთა რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დახმარებით მათ შესაძარაღებლად, გადმოტვირთეს 2000-მდე შაშხანა, დიდძალი ტყვია-წამალი და ვაზნები, რის შედეგადაც მალე გულაუთამაც გაგრის ბედი გაიზიარა. ჯერი სოხუმზე მიდგა. ქალაქის თავდაცვისუნარიანობა, გაგრისა და გულაუთის მსგავსად, საკმაოდ სუსტი აღმოჩნდა: როდესაც 26 მარტს 1500-მდე შეიარაღებულმა აფხაზმა სოხუმს ალყა შემოარტყა, ადგილობრივი ადმინისტრაციას ქალაქის დამცველთა რიგებში 70-80 ჯარისკაცი თუ მიეპოვნებოდა. ზედმეტი სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად, მოვიდა ბრძანება – მტრისთვის სოხუმის უბრძოლველად ჩაბარების შესახებ. მოგვიანებით, აფხაზეთში მთავრობის საგანგებო კომისარმა ბენია ჩხიკვიშვილმა ამ აქტს მთავრობისათვის აღნიშნულ სიტუაციაში საუკეთესო გამოსავალი უწოდა. ... ამრიგად, სოხუმშიც მუამბოხეთა ხელში აღმოჩნდა და აფხაზეთში საზეიმოდ გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. მაგრამ სოხუმის ბოლშევიკური ხელისუფლების იურისდიქცია მთელ აფხაზეთზე ვერ ვრცელდებოდა. სოხუმის ალების შემდეგ, მდინარე კოდორის გადალახვა ადგილობრივ და



ნესტორ ლაკობა

ამიერკავკასიის მთავრობის ძალთა მედგარი წინააღმდეგობის გამო, მათ ვერ მოახერხეს, ამიტომ იძულებულნი გახდნენ, გაგრა-გულრიფშის შემოსაზღვრული ტერიტორიის კონტროლით დაკმაყოფილებულიყვნენ.

ამასობაში კი მათ მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე რა ხდებოდა? შემოსვლისთანავე, აკრძალეს სიტყვის, პრესის, კრების, ე.წ. „პრედრასუტკების“ (ცრურწმენების) თავისუფლება. დააპატიმრეს საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები – შარვაშიძე და ზუხბაია. სოხუმელ „ბურჟუებს“ 2 მილიონ-ნახევარი მანეთის „კონტრიბუცია“ დააკისრეს, გარეკეს ადგილობრივი ხელისუფლება და შექმნეს ახალი რევოლუციური ორგანოები, გააუქმეს სოხუმის მილიცია, გამოსცეს ბოლშევიკური გაზეთი – „სოხუმსკაია პრავდა“, განახორციელეს სოხუმის ბანკის ნაციონალიზაცია, გააუქმეს წოდებრიობა, კერძო საკუთრება უძრავ ქონებაზე და სხვა.

ამრიგად, მთელი ოკუპირებული აფხაზეთი, ფაქტობრივად, საბჭოთა რუსეთის ტიპურ პროვინციად იქცა, სადაც ყოველივე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული (ბოლშევიკური) პარტიის ადგილობრივი კომიტეტის განკარგულებით ხორციელდებოდა. მაგრამ მალე ვითარება აფხაზეთში რადიკალურად შეიცვალა. იარაღის ძალით ხელისუფლებაში მოსულმა ბოლშევიკურმა მთავრობამ ეფრემ ეშბასა და ნესტორ ლაკობას მეთაურობით, მოსახლეობის ვერც ერთი ფენის გული ვერ მოიგო. ვერც რეგიონში აღმოფხვრა ეკონომიკური კრიზისი. დელავდნენ მათი მთავარი დასაყრდენი ფენის – აფხაზი გლეხობის წარმომადგენლები. მაგრამ აწ უკვე მმართველი ბოლშევიკური ჯგუფი მათ უკვე არავითარ ანგარიშს არ უწევდა. ეს კი არა და – ვინც უკვე წამოსკუპდნენ ზევით, ახლა, უკვე იმავე გლეხებს ზედა სართულებიდან ბომბით და ტყვიამფრქვევებით უმასპინძლებიან“, – აღნიშნავდა გაზეთი „რევ-



ევრემ ეშბა

ოლუციონერული ნობათი“. ამრიგად, აფხაზეთში ბოლშევიზაციიდან სულ რაღაც ერთ თვეში – აპრილის მიწურულისათვის, სერიოზულად აიძვრა წყალი. თბილისს რეგიონში იურისდიქციის აღდგენისათვის ხელსაყრელი წინაპირობები შეექმნა. ჯერი მის გამოყენებაზე მიდგა.

პერიოდი მესამე

მეამბოხეთა დამარცხება, ტრიუმფი სოხუმში და იურისდიქციის აღდგენა გუდაუთამდე

გარდა თვით აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობისა, ამ პერიოდისათვის მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდებოდა თვით ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. 1918 წლის 11 აპრილს ოფიციალურად გამოცხადდა „ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის“ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, შეიქმნა ახალი მთავრობა. მთავრობის თავმჯდომარედ დაინიშნა სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი. სამეგრელოს 1918 წლის მარტ-აპრილის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, ჩხენკელმა მიზნად დაისახა ანალოგიური ზომების გატარება აფხაზეთშიც. მაგრამ თავდაპირველად, მან ყოველივე მშვიდობიანი მექანიზმებით სცადა: მაისის დასაწყისში სპეციალური მიმართვა გაუგზავნა აფხაზებს, რომელშიც კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებაში აქტიური მხარდაჭერისკენ მოუწოდებდა. მაგრამ აფხაზები და მათი სეპარატისტული, ბოლშევიკურ ნიღაბს ამოფარებული მთავრობა ეშბასა და ლაკობას მეთაურობით, ყურსაც არ იბერტყავდა – მტკიცედ იცავდა საბჭოთა რუსეთისა თუ ჩრდილოკავკასიულ მთიელთაგან ნაკარნახევ ლოზუნგს – „აფხაზეთი – აფხაზებს“. მდგომარეობის აღმოსაფხვრელად ერთადერთი გზა – იარაღის ძალით საკითხის გადაწყვეტა რჩებოდა. მაისის შუა რიცხვებში, გან-

საკუთრებით სამეგრელოს ბოლშევიკური აჯანყების ლიკვირების შემდეგ, აკაკი ჩხენკელიც იძულებული გახდა, არჩევანი მასზე გაეკეთებინა. თუმცა, მანამდე ინიციატივა „აფხაზეთის გათავისუფლების შესახებ“, თვით აფხაზეთის ადგილობრივ ძალოთაგან წამოვიდა: ჯერ კიდევ აპრილის შუა რიცხვებში, გურიამი – ნატანებში, გენერალ მახნიაშვილის სამხედრო შტაბში (ამ პერიოდში ამიერკავკასიის რესპუბლიკის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებს თურქეთიც აწარმოებდა და ოზურგეთი მისი ჯარის მიერ იყო ოკუპირებული) გამოცხადდა დეპუტაცია სოხუმიდან. მასში შედიოდნენ: ქალაქის მოურავი და აფხაზეთის „ეროვნული საბჭოს“ სამი წევრი. დეპუტაციამ მიმართა გენერალ მახნიაშვილს თხოვნით – გაეწმინდა როგორც სოხუმი, ისე მთელი აფხაზეთი ბოლშევიკებისაგან. გენერალმა მახნიაშვილმა, ვინაიდან საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ ამიერკავკასიის მთავრობის კომპეტენციაში შედიოდა, აღნიშნული დელეგაცია თბილისში გაგზავნა და მხოლოდ ამიერკავკასიის მთავრობისადმი ეს ოფიციალური მიმართვა დაედო საფუძვლად იმ გადაწყვეტილებას, რაც იარაღის ძალით აფხაზეთის ბოლშევიკთაგან გათავისუფლების წინაპირობა გახდა. მაისის შუა რიცხვებში, აფხაზეთში ამიერკავკასიის შეიარაღებული ძალები შევიდა. რაზმს იმდროინდელი ამიერკავკასიის სეიმის (პარლამენტის) წევრი ვალიკო ჯუღელი და გენერალი ალექსანდრე კონიაშვილი ხელმძღვანელობდნენ. სამხედრო მოქმედებები ასე დაიწყო: 10 მაისისათვის ქართული შეიარაღებული ნაწილები მდინარე კოდორთან განლაგდა. მათთან საომარი კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გამოცხადდა დელეგაცია გუდაუთიდან. ჯუღელმა და კონიაშვილმა დელეგაციას ასეთი მოთხოვნები წაუყენეს: „დაუყოვნებლივ გაეტარებინათ ქართული რაზმი სოხუმისაკენ და წინასწარ ჩაებარებინათ მათთვის ყოველგვარი ტექნიკა და შეიარაღება“. განისაზღვრა ვადა: 24 საათი. „მაგრამ ჩვენი მოთხოვნის ვადა არც კი იყო გათავებული, – აღნიშნავდა ჯუღელი სოხუმიდან თბილისში გამოგზავნილ ერთ-ერთ კორესპონდენტისათვის, – რომ მოწინააღმდეგე გაუფრთხილებლად დაიწყო სროლა, როგორც თოფებიდან, ისე ტყვიამფრქვევებით და მძიმე არტილერიით“. ამრიგად, ომი დაიწყო. ქართულმა ნაწილებმა არტილერიის ცეცხლს არტილერიითვე უპასუხეს. მდგომარეობა უძძიმესი იყო. კოდორის გადალახვა არც ისე იოლი ჩანდა, მით უმეტეს, რომ მოწინააღმდეგეს მდინარის ორივე ნაპირზე კარგად მოწყობილი სანგრები და გამ-

აგრებული პოზიციები ჰქონდა. ძალზედ მნიშვნელოვანი იყო სამხედრო-საზღვაო ძალების მოქმედება. 15 მაისს სოხუმის მიმართულებით გაგზავნილ იქნა სამხედრო ხომალდი – „გამანადგურებელი №525“. მან დაკისრებული ამოცანა პირნათლად შეასრულა. 16 მაისს დილიდანვე დაზვერა და დაბობმა მოწინააღმდეგის პოზიციები მდ. კოდორის შესართავამდე, რამაც აფხაზთა ნაწილებში პანიკა გამოიწვია. ამით ქართულმა სახმელეთო შენაერთებმა ისარგებლა და მოწინააღმდეგეზე გადამწყვეტი იერიში მიიტანა. 17 მაისს დაიწყო გენერალური შეტევა. ქართული ჯარის ნაწილმა მდ. კოდორის მარჯვენა ნაპირი გადალახა და მოწინააღმდეგის მარცხენა ფრთას ზურგიდან შემოუარა. დაიწყო მასირებული საარტილერიო შეტევა, რომლის შედეგად ქართულმა ნაწილებმა იერიში ფრონტიდანაც განახორციელა. წარმატებამ იმედებს გადააჭარბა: მოწინააღმდეგე მორმხრივ დარტყმას ვერ გაულო და პანიკურად დაიხია უკან. მარტო აფხაზ ტყვეთა რაოდენობა 400 კაცს აღწევდა. ქართული ჯარის ალაფადვე იქცა ბრძოლის ველზე დატოვებული რამდენიმე ათეული ქვემეხი და ტყვიამფრქვევი, სურსათი და ყუმბარები, ტყვია-წამალი, სხვა საბრძოლო მასალა. 17 მაისსვე ბოლშევიკებმა უბრძოლველად დატოვეს სოხუმი. იმავე დღეს ქართული ჯარები გენერალ კონიაშვილის, ვალიკო ჯუღელისა და ვალიკო შარაშიძის მეთაურობით, ტრიუმფით შევიდნენ აფხაზეთის დედაქალაქში. სოხუმელები ქართველ განმათავისუფლებლებს ოვაციებით შეეგებნენ. მაგრამ უკანასკნელი საბრძოლო წარმატება მანც ზღვაზე იქნა მოპოვებული: ქართული „გამანადგურებელი №525“ მოწინააღმდეგის გაქცეულ ხომალდს გუდაუთასთან დაიწვია და დაეპატრონა.

ქართული ჯარების წინსვლა მაშინ, „რაღაც მოტივით“, მხოლოდ გუდაუთამდე გაგრძელდა, სადაც „სახალხო გვარდიის“ 50 კაციანი სასაზღვრო რაზმი დაბანაკდა. როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ეს მოტივი, 26 მაისს დამოუკიდებლობის აღდგენის დღესასწაულზე ქართული ჯარების მონაწილეობის აუცილებლობა იყო, რაც „სახალხო გვარდიას“ საომარი ოპერაციების გაგრძელების საშუალებას არ აძლევდა.

ამრიგად, აფხაზი ბოლშევიკ-სეპარატისტების 42 დღიანი ბატონობა აფხაზეთში დამთავრდა. რეგიონში საქართველოს იურისდიქცია აღდგა. 26 მაისის დღესასწაულს საქართველო შემოერთებული აფხაზეთით შეეგება...



ალბათ ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ, რომ იტყვიან — ფაქტი ჯიუტია: ამერიკელ მოზარდებში სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს... უმნიკვლობა. რასაკვირველია, პოპულარიზაციაში არ იგულისხმება, რომ ამ მოვლენამ მთელი ამერიკელი ახალგაზრდობა მოიცვა, მაგრამ აშკარად გამოიკვეთა ტენდენცია, რომელიც, იქაურ ჟურნალისტთა შეფასებით, თანდათან „უმნიკვლოთა კასტის“ ჩამოყალიბების ნიშნებს იძენს.

მოინანიეთ და

ქალწულობა „დაბიზრუნდება“

რით შეიძლება აიხსნას ეს ამბავი, დაბეჯითებით ვერავინ ამბობს. შესაძლოა, ბოლოს და ბოლოს, მოზარდებს თავი მოაბეზრა საყოველთაო სექსუალიზაციამ და რაღაცით გამორჩევა მოინდომეს. ზოგი ამბობს, რომ გამორიცხული არ არის — ეს უბრალოდ იმით იყოს გაპირობებული, რომ ამერიკა მცირეგაბარიტიან ავტომობილებში გადაჯდა: მოზარდების უმრავლესობა ხომ, ჩვეულებრივ, სწორედ მანქანაში — დიდი ამერიკული ლიმუზინების სალონის უკანა სავარძელზე კარგავდა ხოლმე უბიწობას, ახალ პატარა მანქანაში კი ამ აქტის განზორციელებას, პროფესიონალი ტანმოვარჯიშის ოსტატობა სჭირდება...

ასეა თუ ისე, მოთხოვნა — „ქორწინებამდე სისულელეს ნუ ჩაიდენ!“ — ახლა უკვე მშობელთა ბაგეებიდან აფერებულ ნოტაცია კი არა, თვით მოზარდების ფიცის მაგვარი მოწოდებაა. ამას ადასტურებს სტატისტიკა. მაგალითად, ნიუ-იორკში მდებარე კოლუმბიის უნივერსიტეტის მონაცემებით, ბოლო 8 წლის მანძილზე, კანონიერ ქორწინებამდე უბიწობის შენახვის ფიცი 2,5 მლნ ამერიკელმა ქალიშვილმა და ყმაწვილმა დალოცხა, მათ ეს აღთქმა საჯაროდ, ქუჩასა თუ მოედანზე არ დაუდვიათ: საამისოდ სხვა მეთოდებიც არსებობს. — მაგალითად, სამკერდე ნიშანი, ჩანთაზე დაკრული წებოვანა და კიდევ, ფიცის ინტერნეტით გავრცელება.

ისიც უნდა ითქვას, რომ თითოეულ მათგანს როდი აღუსრულებია მიცემული აღქმა. მაგრამ მაინც, ჯანმრთე-

ლობის დაცვის სპეციალისტების აზრით, ახალი მოძრაობის მზარდი პოპულარობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია იმისა, რომ ბოლო ხანს მკვეთრად შემცირდა იმ მოზარდების რაოდენობა, რომლებიც მეტისმეტად ადრეულ (12-15 წლის) ასაკში იწყებენ სექსუალურ ცხოვრებას; შემცირდა აგრეთვე 18 წლამდე ასაკის მარტოხელა დედების რიცხვი.

დაავადებათა კონტროლისა და პროფილაქტიკის სამთავრობო ცენტრმა ამას წინათ საზეიმოდ განაცხადა: ამერიკელ უფროსკლასელთა უმრავლესობა უმანკოა! უმრავლესობაში დაახლოებით ნახევარი იგულისხმება, მაგრამ მედიკოსები ამტკიცებენ, რომ ეს მაინც სერიოზული წარმატებაა ახალგაზრდათაობის ზნეობრივი და ფიზიკური სიჯანსაღისთვის ბრძოლის გზაზე.

ამ ბრძოლაში აქტიურად მონაწილეობენ აშშ-ის რელიგიური, უმთავრესად — ქრისტიანული ორგანიზაციები. ერთ-ერთ მათგანს სახელიც შესაბამისი შეურჩევია — „ნამდვილი სიყვარული მომავალშია“. ის აქტიურად ატარებს იმ ახალგაზრდების შეკრებებს, რომლებიც სექსისაგან თავშეკავებისკენ მოუწოდებენ. წარმოიდგინეთ, ამ საქმეს დიდად უწყობს ხელს საინფორმაციო საუკუნის უკანასკნელი მიღწევები: მაგალითად, წლეულს, წმ. ვალენტინის დღეს ორგანიზაციამ უპრეცედენტო აქცია მოაწყო, როცა პირველად შესთავაზა ცხოვრების უმწიკვლო წესის მომზრებას საგანგებო საინტერნეტო საიტზე თავიანთი „აღთქმების“ გაგზავნა.

ვიანთი „აღთქმების“ გაგზავნა.

„უბიწო გოგონებისა და ბიჭების მოძრაობის“ ორგანიზებულობაზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია, მაგრამ რაღაც ამის მაგვარი, შეერთებულ შტატებში უკვე ყალიბდება და ამის დასადასტურებლად, შესაბამისი სიმბოლიკაც კმარა. მაგალითად, დიდი პოპულარობით სარგებლობს ბეჭდები გულის გამოსახულებით, რომელსაც საკეტი ადევს. აქტიურად ვრცელდება აგრეთვე „უბიწობის აღთქმის“ ტექსტიანი ბარათები, რომელსაც თინეიჯერები თავიანთ საფულებებსა თუ ბლოკნოტებში ინახავენ.

უნდა ითქვას, რომ მოძრაობაში ჩართულ მოზარდებს ზშირად ამის გამო პრობლემები ექმნებათ: მაგალითად, „ტრადიციული ახალგაზრდული ღირებულებების“ მიმდევარი თანატოლების დაცინვა. თუმცა „უბიწოები“ ხასიათის სიმტკიცით გამორჩევიან და მიაჩნიათ, რომ ინტელექტუალური და მორალური თვალსაზრისით, ამაზე გაცილებით მაღლა დგანან. რასაკვირველია, მათ შორის „მერყევი ელემენტებიც“ გამოერევიან, მაგრამ ორგანიზაცია — „ნამდვილი სიყვარული მომავალშია“, არც ამაში ხედავს დიდ საფრთხეს. მისი მესვეურების შეხედულებით, ასეთ შემთხვევაში „ამნისტიის“ გზასაც შეიძლება მივმართოთ, რომლის შედეგად განდგომილს შეიძლება „დაუბრუნდეს“ უმანკოება: საკმარისია მხოლოდ, განმეორებითი „აღთქმა“ და მისი დაცვა...

ირანში ჯერ 7 სული უფუძისე

ბეკა კი უნდილაქაის შთაბრუნებას გადაწყვიტა

აკაკი გეგენავა

წარუმატებელი კომერციული ოპერაციის შემდეგ, რომელიც რუმინეთში ვიგეპე (იხ. „გზა“, №28), რამდენიმე თვე ვერსად მოვახერხე წასვლა. სურვილი დიდი მქონდა, მაგრამ მატერიალური მდგომარეობა ამის საშუალებას არ მძლევდა. თბილისში ვტრიალებდი, საქმე კარგად არ მიმდიოდა...

ერთ დღეს ჩემი განწყობა უნივერსალის ტანსაცმლის სექციის გამგეს, მარინას გავუზიარე. მარინა ძალზედ ენერგიული და საკმაოდ სიმპათიური ქალბატონი ბრძანდებოდა. სამი შვილი ჰყავდა და კარგადაც უძღვებოდა ოჯახს... ძირითადად, ირანში, პაკისტანსა და ჩინეთში დადიოდა საქონლის ჩამოსატანად. ერთ მშვენიერ დღეს მარინამ მკითხა:

— რას აკეთებ, კაკო, როგორ მიღის საქმეები?

— მიღის რა... გინდ მიმუშავია და გინდ არა — ორივეს ერთი ფასი აქვს...

— მომავალ კვირას ირანში მივლივარ. თუ გინდა, ჩემთან ერთად წამოდი. ჩამოიბან ტანსაცმელს და ბაზრობებზე დაარიგებ.

— დიდი მადლობა, მაგრამ ფული არა მაქვს — ვერ წამოვალ.

— ეს რა პრობლემაა? — ცოტა ფულს ვინმეს ესესხე, ბილეთის საფასურს მე გადავიხდი, შენ კი ჩანთების თრევაში მომეხმარები: ჩემი ძმა ვერ მომყვება, ფეხი აქვს მოტეხილი...

— შენ რა, გინდა მეც მომტყდეს ფეხი?.. — დავიფასე თავი.

— მიდი, მიდი... საღამოს პასპორტი მოიტანე და წასასვლელად მოემზადე, — თვალი ჩამიკრა და კიბეს აუყვავა.

მართალია, დიდ კომერციულ იმედებს ამ მოგზაურობაზე არ ვამყარებდი, მაგრამ ერთი სული მქონდა ის ქვეყანა მენახა, რომელიც საუკუნეების მანძილზე სისხლს უშრობდა საქართველოს...

მცირე ისტორიული ექსკურსია

თანამედროვე ირანის ტერიტორია ადამიანის ერთ-ერთი უძველესი დასახლების ადგილად არის მიჩნეული. ამ ტერიტორიაზე გადიოდა ხალხთა მიგრაციების დიდი მაგისტრალები. კაცობრი-



თანამედროვე ირანის ტერიტორია ადამიანის ერთ-ერთი უძველესი დასახლების ადგილად არის მიჩნეული

ობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე აქ ყალიბდებოდა და იშლებოდა ცალკეული ტომებისა და ხალხების გაერთიანებები, ერთმანეთს ცვლიდა მძლავრი იმპერიები, დიდი და პატარა დინასტიები.

ჩვ. წ. აღრიცხვამდე მესამე-მეორე ათასწლეულებში, ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთში არსებობდა დიდი მონათმფლობელი სახელმწიფო გაერთიანება, რომელიც მიდიამ დაიპყრო. ჩვ. წ. აღრიცხვამდე 558 წელს მიდიელთა ბატონობას ბოლო მოუღო აჟანყებამ, რომელსაც კიროს II აქემენიდი მეთაურობდა. აქემენიდთა ირანული სახელმწიფო მძლავრ იმპერად გადაიქცა, რომელშიც შედიოდა ეგვიპტე, სირია, ფინიკია, მესოპოტამია, მთელი მცირე აზია, სომხეთი და მაკედონია. იმპერია განუწყვეტლივ ომობდა.

ჩვ. წ. აღრიცხვამდე 330 წელს აქემენიდთა სახელმწიფო დაეცა და მთელი მისი ტერიტორია ალექსანდრე მაკედონელის უზარმაზარ იმპერიას დაექვემდებარა. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ეპოქაში აქ ხან არაბები, ხან თურქ-სელჩუკები, ხანაც მონღოლები ბატონობდნენ.

XVIII საუკუნის ბოლოს, ირანში ყაჯართა დინასტია გაბატონდა, რომლის წარმომადგენელი იყო ჩვენთვის კარგად ცნობილი ალა-შაჰმად-ხან ყაჯარი, რომელიც 1795 წელს შემოიჭრა საქართველოში, მომდევნო წელს კი, თეირანში თავი შესად გამოაცხადა. მან სათავე დაუდო

ახალ, ყაჯართა ნომადურ დინასტიას, რომელიც 130 წელი მართავდა ქვეყანას და მხოლოდ 1925 წელს შეწყვიტა არსებობა. სწორედ მაშინ მეჯლისმა (პარლამენტმა) დამსობილად გამოაცხადა ყაჯართა დინასტია და ტახტზე რეზანანი — ფეჰლევის დინასტიის პირველი მონარქი აიყვანა.

1978-79 წლების ანტიმონარქისტულ-მა სახალხო რევოლუციამ ირანში მონარქია დაამხო. უკანასკნელი შახი — მოჰამედ რეზა ფეჰლევი დასავლეთში გაიხიზნა და რამდენიმე წელიწადში კიბოთი გარდაიცვალა, ირანში კი „ისლამური რესპუბლიკა“ გამოცხადდა, რომლის მმართველად პარიზული ემიგრაციიდან დაბრუნებული აიათოლა ჰომეინი მოგვევლინა. დღეს ირანს პრეზიდენტი ხათამი უძღვება.

თეირანი

რვაკაცინ ჯგუფში ერთადერთი მამაკაცი ვიყავი. თვითმფრინავი აეროპორტის დასაჯდომ ზოლს რომ მიუახლოვდა, მარინამ გოგონები გააფრთხილა:

— აბა, გოგონებო, არავითარი ჰომად! საღებავები მოიშორეთ და თავშალის დახურვაც არ დაგავიწყდეთ.

— თავშალი მეც ხომ არ დავიფარო? — დავედრეჯე მარინას.

— თუ ძალიან გინდა, ამას არ დავიშლიან... მაგრამ მთავარია, არ დაგავიწყდეს, რომ ეს ევროპა არ არის... რასაც გეტყვიან,



მსგავს, მასშტაბურ თანამედროვე ნაგებობებს ირანში იშვიათად შეხვდებით

ის გააკეთე, არავითარი ზედმეტი მოძრაობა!..

საბაჟოზე ისე შემამოწმეს, თავი ტერორისტი მეგონა. ჯერ საბუთები დაათვალიერეს საგულდაგულოდ და პასპორტში ბევრი ქვეყნის ვიზა რომ მქონდა ჩართული, უკვე ამის გამო, ეჭვის თვალით შემომხედეს. მერე ცალკე ოთახშიც შემიყვანეს და ლამის იყო, გამამიშვლეს. ვერაფერი საეჭვო რომ ვერ იპოვეს, ჩანთა გამიჩხრიკეს და ფოტოაპარატი ამოიღეს. ეს რად გინდაო? გამიკვირდა, მაგრამ, მითხრეს, ფოტოაპარატი ჩვენთან დარჩება და უკან წამოსვლისას დაგიბრუნებთო, თან ამყად დააყოლეს: თქვენ ისლამურ ირანში იმყოფებით და თუ ადგილობრივი კანონები არ მოგწონთ, შეგიძლიათ ქვეყანა დატოვოთ! ყველაფერზე თავს მორჩილად ვუქნევდი...

ქუჩაში უამრავი ავტომობილი ისე უწესრიგოდ მოძრაობდა, ლამის გული შემიწუხდა. ამას საშინელი ხმაური და თავბრუსხვევა ტემპი ერთვოდა.

— რა ხდება, მარინა, ეს რა დომხალია?.. — ვერ დავმალე გოცება.

— არა უშავს — გაგივლის. პირველად აქ ყველას ასე ემართება... — დამამშვიდა მარინამ.

სასტუმრომდე ავტობუსით ვიმგზავრეთ. სანამ მივიდოდით, ჩემი დამემართა: ჯერ ერთი, ირანში რატომღაც შუქნიშნებს არ იყენებენ. რაც მთავარია, არავინ არანაირ წესს არ იცავს. ავტობუსს ხან სატიერთო მანქანამ გადაუჭრა გზა უცერემონიოდ, ხან ველოსიპედმა „გადაურბინა“. მძლოლი უცებ, ისე დაამუხრუჭებდა ხოლმე, რომ მგზავრები ცხვირპირით ვასკდებოდით ერთმანეთს. ისე დადიოდა, თითქოს ხალხით

კი არა, კარტოფილით ჰქონდა დატვირთული მანქანა... იმდენი ავარიული სიტუაცია შეგვექმნა, ბოლოს შიშისგან თვალს ვალარც ვახელდი... სასტუმროს ნომერში რომ შევედი, პირჯვარი გადავიწერე...

ოფიციალური მონაცემებით, თეირანში 15 მლნ ადამიანი ცხოვრობს. იმის გამო, რომ ირანში ხშირად ხდება მიწისძვრა, მაღალსართულიან შენობებს არ აშენებენ. ფაქტობრივად, ქალაქის მოსახლეობა ძირითადად, 2-3 სართულიან სახლებში ცხოვრობს და მხოლოდ მდიდრების უბნებში, კანტიკუნტად თუ შეამჩნევთ თანამედროვე ტიპის 8-10 სართულიან შენობებს... ჩვეულებრივი ირანელი თავისი სახლის პირველ სართულზე კომერციულ საქმიანობას ეწევა (გახსნილი აქვს მაღაზია, პატარა საამქრო, საპარიკმახერო და სხვა ამგვარი). მეორეს კი საცხოვრებლად იყენებს, ან ნაწილი გაქირავებული აქვს, როგორც სასტუმრო თუ სასწავლებელი. ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს მთელი თეირანი წვრილი ბიზნესით არის დაკავებული და მხოლოდ ფულსა და მოგებაზე ფიქრობს.

ქალაქში უამრავი ბაზრობაა. ისტორიულად, ბაზარი აღმოსავლური სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი ორგანული ატრიბუტია და, ამიტომაც, ბაზარში ქცევა ხელოვნების დონემდეა აყვანილი, ბაზრის „წარჩინებულნი“ კი, გარდა იმისა, რომ მდიდრები არიან, მოსახლეობის დიდი სიყვარულითა და პატივისცემითაც სარგებლობენ...

ძალიან შთაბეჭდავია შაჰების სასახლეები და რეზიდენციები: თითოეული შაჰი ცდილობდა, თავისი მეფობის აღსანიშნავად, რამე მნიშვნელოვანი დაეტოვებინა,

რისი წყალობითაც ქვეყანასა და დედაქალაქს უამრავი გრანდიოზული ნაგებობა ამშვენებს.

ყველაზე მეტად მაინც იმან გამაკვირვა, რომ მეჩეთების გარდა, თეირანში სხვა სარწმუნოების სალოცავებიც ვნახე: მაგალითად, ბევრ სომხურ გრიგორიანულ ეკლესიას ნახავთ. გული დამწყდა, რომ დროის უკმარისობის გამო, ქალაქის გარეუბანში მდებარე მართლმადიდებლური ტაძარი ვერ ვნახე.

ირანელები

ჩემ გარდა, ჩვენი ჯგუფის ყველა წევრი ირანში უკვე ნამყოფი იყო: ტანსაცმლის ბიზნესით იყო დაკავებული და თბილისის სავაჭრო ობიექტებზე საქმიანობდა. ჰოდა, როგორც დამწყები, თან დავეყვებოდი და რასაც ისინი იყიდდნენ, მეც იმას ვყიდულობდი. ზეპირად იცოდნენ, რომელ ბაზარში, რა საქონელი იყო იაფი და მთელი დღე ტაქსით დავდიოდი უზარმაზარი ქალაქის სხვადასხვა უბანში.

ოცი წლის ასაკიდან საკუთარი ავტომობილი მყავდა და ჩემს თავს კარგ მძლოლად ვთვლიდი. მომკალით და თეირანის ქუჩებში მანქანას ვერ ვატარებ, იმდენად ინტენსიური და მოუწესრიგებელი მოძრაობაა. საინტერესო ის არის, რომ ავარიების დროს ჩხუბი და აყალმაყალი არასოდეს ხდება, პირიქით — ერთმანეთს ბოდიშს უხდიან და მშვიდად სცილდებიან. შეტაკება იმდენად ხშირად ხდება, რომ ქალაქში ნორმალურ მანქანას ვერ ნახავთ — ზოგს ფრთები აქვს დაჭეჭვილი, ზოგს კარი და ზოგს კიდევ რა...

ჩასვლიდან მეორე დღეს, მარინასთან ერთად, მთელი დღე ქალაქში ტაქსით სიარული მომიწია. მთელი დღე ერთი მძლოლი დავგატარებდა. ამკარად კარგ გუნებაზე იყო. ჯერ ერთი, მარინა ირანელი ქალებივით მკაცრი და უტყვი არ იყო, სპარსულიც იცოდა და სულ ეხუმრებოდა. მეორეც — ის უხაროდა, რომ კარგ გასამრჯელოს აიღებდა, ვინაიდან მთელი დღე გვემსახურებოდა.

— მაჰმუდა მთელი დღე ჩვენთან იყო, ალბათ „გავგატყავებს“... — ვუთხარი მარინას, სასტუმროს რომ ვუხსლოვდებოდით.

— სულაც არა, 5 დოლარი ეყოფა, — გამიღიმა მან.

— რას ამბობ? სირცხვილია! გინდა, გვაგინოს და გვაფურთხოს?..

— კარგი, შენი ხათრით 10-ს მივცემ. ვიცო, რასაც ვაკეთებ... — დამამშვიდა მარინამ. ძალიან მაინტერესებდა მძლოლის რეაქცია და მარინამ ფული რომ მიაწოდა, „ვულკანის აფეთქებას“ ველო-



ირანში ქალს „შესამური“ პირობები აქვს

დი, მაგრამ მოხდა სასწაული:

– აი, საღოლ, გურჯი ხათუნ, საღოლ!... – სიხარულით წარმოთქვა მამუქად და დასძინა: სანამ აქ ხართ, ყოველდღე მოგემსახურებითო... ირანში ნავთობპროდუქტები ძალიან იაფია: ერთ ლოლარად 50 ლიტრამდე ბენზინს შეიძენ. ეს რომ გავიგე, მერე მივხვდი მამუქდას სიხარულის მიზეზს...

ირანელები შავკვრეანები და საკმაოდ „მცირეგაბარიტიანები“ არიან. იქ იშვიათად შეხვდებით მსუქანს, მით უმეტეს, ღიპიან კაცს. საქართველოში ჩემთვის არავის უთქვამს, დიდი აღნაგობის კაცი ხარო, ირანში კი ძალიან ხშირად, რემბოსა და ვან დამს მადარებდნენ. მედიმეზობლა, თან იმას ვფიქრობდი – აი, თურმე როგორ ახერხებდა ჩვენი წინაპარი ბრძოლის ველზე 4-5 სპარსელთან გამკლავებას...

ირანელები კარგად იცნობენ საქართველოსა და ქართველებს. სულ იმას გაიძახიან, „გურჯისტან იანში, იანში... ხანუმ სოდ იანში...“ – რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო ლამაზია, ხოლო მისი ქალები ყველაზე კარგებიო...

ირანის რესპუბლიკის ლიდერებმა აღადგინეს პოლიგამია, რომელიც ძალიან ამცირებს ქალის ღირსებას. ქალს კვლავ ჩამოაფარეს ჩადრი, რომლის ტარებისაგან ის მონარქიულ ირანში 50 წლის წინათ გაათავისუფლეს. ქალს არც სახელმწიფო აპარატში მნიშვნელოვან თანამდებობაზე მოხვედრა შეუძლია, საზოგადოებრივ ადგილებში (საპარკმახეროში, რესტორანსა თუ სასტუმროში) კი, უფლება არ აქვს მოემსახუროს მამაკაცს. სწორედ ამის გამო შეიქმნა კომიკური სიტუაცია, რომელშიც უნებლიეთ აღმოვჩნდი.

სადამოებით სასტუმროში ჩემს კარზე არავის დაუკაკუნებია, ჩვენს ქალებს კი, ყოველ ნახევარ საათში თუ არა, ერთ საათში ერთხელ მაინც მოხვედრას არ აძლევდნენ: მომსახურე პერსონალი ხან ყავას სთავაზობდა, ხან ჩაის, ხან რასა და

ხან რას. ნამცხვარი მეც მიყვარს, მაგრამ ვინაიდან მამაკაცი ვიყავი, ჩემთვის არავის არაფერი შემოუთავაზებია...

ერთ საღამოს მარინამ დამიძახა და მითხრა:

– ადრე, როცა ჩემი ძმა გვახლდა, ეს პრობლემა არ გვექონია, ახლა კი... ძალიან გვერიდება, მაგრამ ერთი რამე უნდა გთხოვოთ...

– კი, ბატონო, რა არის ასეთი?... – გამიკვირდა, ამხელა შესავალი რაში დასჭირდა-მეთქი.

– ჩვენი ქმარი უნდა გახდეს... – და სიცილი წასკდა, მერე თავი ხელში აიყვანა და განაგრძო:

– ეს უბედური მომსახურე პერსონალი, დღეში ასჯერ რომ შემოაქვს ჩვენთან ჩაი თუ ყავა, შენს დაუკითხავად აღარ შეგვაწუხებს და დავისვენებო...

– შევიღვეს ქმარი უნდა ვიყო?... – გახუმრება ვცადე.

– ჰო, ოღონდ უნდა მიხვიდე მათთან და განუცხადო ამის შესახებ...

მეორე დღიდან ჩემი ცხოვრება თეირანში კარდინალურად შეიცვალა: „ქეყე-ანას“ მუსულმან ქართველად მოვევლინე, რომელმაც წარმატებას მიაღწია ბიზნესში და შვიდ ცოლთან ერთად ჩამოვიდა, რომ საქმიან კონტრაქტებზე მოეწერა ხელი. სასტუმროს მომსახურე პერსონალისთვის მე კარდაში (მეგობარი) გავხდი და ყველანაირი პატივით ვსარგებლობდი. ხოლო მარინა ჩემი უფროსი ცოლი იყო, რომელიც საქმეთა მმართველის ფუნქციებსაც ასრულებდა...

ქართველები ირანში

ამ საკითხზე იმდენი დაწერილა და თქმულა, ამიტომ ახალს ველარაფერს ვი-

ტყვი, იმის გარდა, რომ გული ყოველთვის ავიფრიალდება, როდესაც ირანელი კაცი ქართულად დაგელაპარაკება...

თბილისში მომდევნო დღეს უნდა გამოვმეზავრებულიყავით და თეირანის ერთ-ერთ ბაზარში ახლობლებისთვის ვეძებდი საჩუქრებს.

– საიდან ხარ, ყმაწვილო?... – უცრად, ქართულად მომმართა ტიპურმა, ხანში შესულმა ირანელმა მამაკაცმა.

– თბილისიდან... – გაკვირვებული მივაჩერდი.

– მოგწონს აქაურობა?

– რატომაც არა, თავისებური ეგზოტიკაა... – ერთი სული მქონდა, გამეგო, ვინ იყო ეს კაცი.

– ჰმ, ზოგს არ მოსწონს...

– უკაცრავად, მაგრამ საიდან იცით ასე კარგად ქართული?

– მე ქართველი ვარ. ჩემი გვარი უნდშია, ჰუსეინა მქვია. ჩვენ ქართველი თავადების – უნდილაძეების შთამომავლები ვართ. სპარსეთში ვცხოვრობთ, მაგრამ ქართულს არ ვივიწყებთ და ასეთი საშუალებით ვინარჩუნებთ ჩვენს გენს...

ავლელი. რა მეთქვა, არ ვიცოდი. ბოლოს მოვიფიქრე:

– ბატონო ჰუსეინ, მოდი, ჩვენი შეხვედრა აღვნიშნოთ – ერთად წავიხემსოთ. მე გპატივებთ.

– დიდი სიამოვნებით, ოღონდ შენ კი არა, მე გპატივებ. ბოლოს და ბოლოს, სტუმარი ხარ, მე კიდევ – მასპინძელი...

ვინაიდან ირანში ქალებს, საზოგადოებრივ ადგილებში შესვლა ეკრძალებათ, „ცოლები“ სასტუმროში გავუშვი, მე და ბატონი ჰუსეინი სამწვადეში შევედით და დილაძე ცხოვრების ავ-კარგზე ვსაუბრობდით...

1997 წელი






განძისსემული ზუდი ალენი

სახელგანთქმული რეჟისორი აღშფოთებისაგან ადგილს ვერ პოულობს. ასეთი განრისხებული ის ჯერ არავის უნახავს. მიზეზი – რეჟისორის ყოფილი მარჯვენა ხელი (ის ალენს 7 ფილმის პროდიუსირებაში ეხმარებოდა) ჯინ ღუმანოანია, რომელსაც თურმე... გაუქურდავს ყოფილი შეფი. „ეს ქალბატონი მიმალავდა ინფორმაციას ჩემი სურათებით მიღებული შემოსავლების შესახებ!“ – ამბობს განრისხებული ვუდი, რომელსაც რამდენიმე მლნ დოლარი დაჰკლებია და ახლა ნიუ-იორკის სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს.

მედა ფოტოზე: ვუდი ალენის განრისხების ერთ-ერთი პირველი მოწმე, მის ფილმში მონაწილე ახალგაზრდა მსახიობი დებრა მესინგი გახდა.

სქდსუალუტი აღძაჯის ახალი მთითბრნი

„მისი დანახვისას, მინდა აღტაცებისაგან ვიყვირო!“ – ამბობს ჯენიფერ ლოპესის აწ უკვე ყოფილი ბოიფრენდი, ცნობილი რეპერი პაფ დედი, რომელსაც ვარსკვლავი ცოტა ხნის წინ დასცილდა. 30 წლის ლოპესი, რომელიც მუდამ მოხერხებულად იყენებს ბუნებრივ მომზიბლაობას და მამაკაცებს საცვლებივით იცვლის, ახლა (ალბათ მასაც დროებით) მოცეკვავე კრის ჯადს ეკუთვნის. ახალი ბოიფრენდი კორდუბალეტის იმ ჯგუფში შედის, რომლის თანხლებითაც ჯენიფერი კონცერტებზე გამოდის.



კინთაძსკულაჳი, მეტუნაფი და... კანთნმდრემული

ლეგენდარული შონ კონერი უდავოდ ყველაზე ცნობილი შოტლანდიელია მსოფლიოში და თუმცა ამჟამად ესპანეთში ცხოვრობს, სამშობლოსთან კავშირს არ წყვეტს: რამდენიმე ხნის წინ სწორედ ამ ქვეყანაში შექმნა ფონდი, რომლის დანიშნულებაა, ხელი შეუწყოს უმაღლესი განათლების მიღებაში ნიჭიერ ახალგაზრდებს, სულ ახლახან კი შოტლანდიის პარლამენტს მიმართა წინადადებით – მიიღოს ცეცხლსასროლი იარაღის გაყიდვის ამკრძალავი კანონი. ვარსკვლავის პატრიოტიზმის კიდევ ერთი გამოვლინება ამ ფოტოსურათზე ჩანს: რა ქვეყანაშიც არ უნდა იყოს შონ კონერი, თითქმის ყოველთვის, შოტლანდიური ქვედაბოლოთი ევლინება პუბლიკას.

ქვედა ფოტოზე: ვაშინგტონში, მეუღლესთან – მიმლინთან ერთად, მის პაგივსაცემად მოწყობილ შეხვედრაზე

ჟ

ულიეტი 2001 წელსაც იყო წარდგენილი „ოსკარის“ ნომინაციაზე – „შოკოლადში“ შესრულებული როლისთვის, თუმცა ჯილდო ჯულია რობერტსს ერგო. თავად ჟულიეტი კი თვლის, რომ ეს დიდი ლატარიაა, რომლის ბედნიერი, მომგებიანი ბილეთი ნებისმიერს შეიძლება შეხვდეს და ამის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. ბინოში იმასაც იხსენებს, რომ როცა სამი წლის წინ „ოსკარი“ მიიღო, დიდხანს არ იცოდა, სად მოეთავსებინა იგი. იმ დროს ბევრს მუშაობდა – საფრანგეთში, ამერიკასა და ინგლისში, შეხვეული „ოსკარი“ კი დიდხანს ინახებოდა ჭურჭლით სავესე ყუთში...

„ინგლისელ პაციენტს“ ძალიან გაუმართლა. შემოქმედებით კოლექტივს წარმატების სჯეროდა, თუმცა მათი სკეპტიკოსი პოლივუდელი კოლეგები რეჟისორ ენტონი მინგელას დასცინოდნენ კიდევ: რა უნდა გამოსულიყო ფილმისგან, რომლის მთავარი გმირი, მომაკვდავი, საათ-ნახევრის მანძილზე საწოლში წევს?! სკეპტიკოსთა აზრი არ გამოართლდა.

თითქმის ყველა ფილმში ბინოში ვნებიანი ქალის როლი აქვს. ასეთ როლებს ჟულიეტი სპეციალურად არ ირჩევს – ვნება მასში სცენარის კითხვისას იღვიძებს, მის წარმოდგენას აღელვებს და თითქოს შიგნიდან იწყებს დუღილს.

ასე მოხდა „შოკოლადის“ შემთხვევაშიც. როცა მწერალმა ქალმა ჯოან პარისმა კინოკომპანია „მირამაქსს“ თავის მიერ შეთხზული ამბავი მიჰყიდა, მას რატომღაც მთავარ როლში მხოლოდ ჟულიეტ ბინოში წარმოედგინა: შემდგომში ის თავად გამოუტყდა მსახიობს ამაში.

ამობდნენ, თითქოს თავიდან პროდუსერები მთავარ როლში გვინეტ პელტროუს მიწვევას აპირებდნენ, მაგრამ ბინოშმა თავის აგენტს დაურეკა და უთხრა, რომ ძალიან უნდოდა ამ როლში გადაღება. აგენტმა ჟულიეტს მოუწყო შეხვედრა კინოსტუდიის ხელმძღვანელთან პარვი ვაინშტეინთან. ბინოშმა უთხრა პარვის, რომ ვიანის როლზე მასზე უკეთეს მსახიობს ვერ იპოვიდნენ. პარვიმ კი უპასუხა: „მაშინ მთხოვე ეს როლი“. ჟულიეტი სავარძლიდან წამოდგა და საზეიმო სახით წარმოთქვა: „პარვი, მე ძალიან მომწონს სცენარი.



თავისუფალი და სახელისწილი ჟულიეტ ბინოში

მომეცი საშუალება, ეს ქალი განვასახიერო“. მანაც, იმავე ტონით უპასუხა: „თანხმა ვარ!“ გარიგების ნიშნად, მათ ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს.

ფილმის გმირი, ბინოშის მსგავსად, თავისუფალი ქალია. თავის მაგიურ პროდუქტს – შოკოლადს ხარშავს და გარშემომყოფებს უმასპინძლდება, რითაც სიხარულს ანიჭებს. თურმე მსახიობი



მსახიობს სპეციალური სიკვება არ მოუმზადებია და თავისი პირველი „ოსკარის“ მისაღებად სცენაზე ასულმა ძლივს ამოილუდლუდა: „მაჰატიეთ, დარწმუნებული ვიყავი, რომ სხვა მსახიობ ქალს დააჯილდოებდნენ“. მას შემდეგ ჟულიეტ ბინოში ხშირად ხვდება „ოსკარის“ ნომინანტთა სიაში.

შოკოლადის გემოს კი არა, სუნსაც ვეღარ იტანს და ალბათ რამდენიმე წელი აღარ მიეკარება შოკოლადის კანფეტებსაც კი. ფილმის გმირ ქალს არ ეშინია თავისი კანონებით ცხოვრების, ამავე დროს, ის განგებამ სიყვარულის ნიჭით დააჯილდოვა: როცა ძლიერი გრძობა ეწვევა, მისგან გაქცევას ლამობს. ამ ამბავმა ბინოში იმითაც მიიზიდა, რომ მის გმირს ჰყავს ქალიშვილი: ძალიან მომწონს, როცა მოზრდილები, ბავშვების წყალობით, ხელახლა ჩაუფიქრდებიან თავიანთ შეხედულებებსა და ჩვევებს, კიდევ ერთხელ გადახედავენ ცხოვრებისეულ ფასეულობებსო, – აღნიშნა მსახიობმა ერთ-ერთ ინტერვიუში.

როგორც ყველა ნამდვილ ფრანგს, თავისუფლება ბინოშს სისხლში აქვს გამჯდარი. პოლივუდის ბევრ ვარსკვლავს როდი ძალუძს, უარით გაისტუმროს თვით სტივენ სპილბერგი, ჟულიეტმა კი ეს ორჯერ ჩაიღინა: მსოფლიოს ყველაზე შემოსავლიანი ფილმების რეჟისორმა ის „იურიული პერიოდის პარკში“ და „მინდლერის სიაში“ გადასაღებად მიიწვია, მაგრამ ამაოდ.

დინოზავრებისგან თავის დასაღწე-

ვად სირბილს, ყულიეტმა ქშიშტოფ კემლევისკის პროექტი – „სამი ფერი“ ამჯობინა, რომელიც წარმატებას არ უქადა. ბინოშმა „ლურჯი“ – საფრანგეთის რესპუბლიკის სამფეროვან დროშაზე თავისუფლების აღმნიშვნელი ფერი აირჩია. მან განასახიერა ქალი, რომელმაც ავიაკატასტროფაში ქმარი და ქალიშვილი დაკარგა, მაგრამ სულიერი ძალების მოკრება და ცხოვრებისკენ მიბრუნება შეძლო, და ამ როლისთვის ვენეციის კინოფესტივალის პრიზი და საქვეყნო აღიარება მოიპოვა. მსახიობის ჰონორარები მკვეთრად გაიზარდა. დღეს ბინოში ფრანგული კინოს ყველაზე ძვირად ღირებული ვარსკვლავია.

... ფილმ „შოკოლადის“ მოქმედება პროვინციაში ვითარდება. თვლიდნენ, რომ სულით ხორცამდე პარიზელ ქალს – ყულიეტ ბინოშს მიყრუებული პროვინციის ატმოსფეროში ჩართვა გაუჭირდებოდა, თუმცა ყულიეტს ბავშვობა სწორედ პროვინციაში აქვს გატარებული. მშობლებთან ერთად ის ხშირად გადადიოდა საცხოვრებლად ერთი სოფლიდან მეორეში. დედამისი ფრანგულს ასწავლიდა და, მიუხედავად იმისა, რომ თავგამოდებული კათოლიკე არ იყო, ყულიეტსა და მის დას კვირაობით ეკლესიაში სიარულს აიძულებდა, რათა მათი ოჯახი კარგად მიეღო იქაურ საზოგადოებას. ყულიეტს

ჯერემი აირონსთან ერთად ფილმში „ზიანი“



იმ დროს ყულიეტს რეჟისორი ლეო კარაკის უყვარდა. 1989 წელი

ანსოვს, როგორ იჯდა ხოლმე მათთან ერთად ეკლესიაში დედაც და სახარებას კითხულობდა. შინ მისული კი, გოგონებს გულწრფელად ეუბნებოდა, რომ წიგნს მისთვის მხოლოდ ლიტერატურული ძეგლის ღირებულება ჰქონდა. თავად ყულიეტი კი სიხარულით გარბოდა ეკლესიაში, რათა ორგანიზაციის მოესმინა...

იდილია დიდხანს არ გაგრძელებულა: ყულიეტის მამა ჟან-მარი და დედა მონიკა ღარიბები იყვნენ, გაჭირვებას კი ყველაზე მხურვალე გრძნობის გაქრობაც შეუძლია... გაყრის შემდეგ მშობლებმა შვილების რჩენა ვეღარ შეძლეს, ყულიეტი და მისი უფროსი და მარიონი (ამჟამად ის ცნობილი ფოტოგრაფია) ინტერნატში მოხვდნენ. ისინი შველას არსაიდან ელოდნენ, სწორედ მაშინ შეეჩვია ყულიეტი იმ აზრს, რომ ყველაფერში მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონოდა. პარიზის კონსერვატორიის სამსახიობო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, როლების მოლოდინში მყოფს, მას სულაც არ ეთაკილებოდა პარიზის დიდ უნივერსიტეტში მოღარედ მუშაობა.

მისი სამსახიობო კარიერაც მთლად უღრუბლოდ როდი აეწყო. მაგალითად, მან არაფერი იცოდა იმის შესახებ, რომ ეროტიკულ დრამაში – „ზიანი“ მის პარტნიორს ჯერემი აირონსს სხვა მსახიობთან – თავის პროტეჟესთან ერთად სურდა გადაღება. რეჟისორმა ლუი მალმა კი, ბოლო მომენტში ყველასთვის მოულოდნელად, როლზე ყულიეტი დაამტ-

კიცა. „მე აქ „ფამ ფატალი“ („საბედისწერო ქალი“) მჭირდება, – განაცხადა რეჟისორმა აირონსის პროტესტის საპასუხოდ, – ბინოში კი ზუსტად ასეთია...“ „საბედისწერო ქალი“ კი პარტნიორმა მოგვიანებით საშინელ დღეში ჩააგდო: აირონსმა პირველი დანახვისთანავე ათვალწუნა ყულიეტი, მათ კი ერთად ისეთი ძლიერი ვნება უნდა ეთამაშათ, ისეთი სექსუალური ურთიერთობა, რომელსაც ფილმის გმირმა წარმატებული პოლიტიკური კარიერაც შესწირა და საკუთარი ვაჟის დაღუპვის მიზეზადაც აქცია.

სიყვარულის განსახიერება კინოკამერის, გადამღები ჯგუფისა და განათებული სოფიტების წინ, ამასთან, სრულიად შიშველ მდგომარეობაში, ნამდვილად არ იყო ადვილი. ამას ისიც ემატებოდა, რომ პარტნიორი ყველაზე შეუფერებელ მომენტში ხელს ჰკრავდა და რეჟისორთან გარბოდა ხოლმე საჩივრებად: „არ შემიძლია მასთან გადაღება! მისი სახის გამომეტყველება წონასწორობას მაკარგვინებს! არ შეიძლება ქალმა ნეტარების მწვერვალზე ყოფნისას ასეთი სახე მიიღოს!“ ანდა: „იღონეთ რაიმე! მისი აქცენტი მაცინებს!“ ბინოშს დღესაც კი, ფილმის განხილვაზე აჟრჟოლებს და იმ გადაღებებს ცხოვრებაში ყველაზე რთულს უწოდებს...

ფილმში „შოკოლადი“ მისი პარტნიორი ჯონი დეპი იყო. ყულიეტი ამბობს, რომ დეპი ძალაუფლების მოყვარული კაცია და ცდილობს ყველაფერი ისე აეწყოს, როგორც თავად

სურს. ამის ატანა კი ბინოშს ძალიან უჭირდა.

თუმცა, ბინოში იმასაც აღიარებს, რომ გადაძლებ ჯგუფს დები, როგორც ოჯახს, ისე ექცევა, არ უჭირს ადამიანებთან დაახლოება. ბინოში და დებიც დაახლოვდნენ, ერთმანეთს გულდღიად ელაპარაკებოდნენ და აღმოჩნდა, რომ ორივეს რთული ბავშვობა ჰქონდა გადატანილი. ამან მსახიობები ერთმანეთის მიმართ კიდევ უფრო განაწყო.

გადასაღებ მოედანზე ჯონი დები თურმე განუყრელი ფლეიერთა და ყურსასმენებით დადიოდა, მუსიკას უსმენდა და როლისთვის ასე განეწყობოდა: ყველა ებიზოდს ჯონი თავის შესაფერის მელოდიას ურჩევდა.

მამაკაცებში ყველაზე მეტად ბინოში სექსუალობას აფასებს, თუმცა ყოველთვის ასე არ იყო... ადრე ყულიეტი პასუხობდა: „იმისათვის, რომ მამაკაცი მომეწონოს, ის განსაკუთრებული, რაღაცით გამორჩეული უნდა იყოს“. რეჟისორი ლეო კარაკსი მას თვითმყოფადი ნიჭის გამო უყვარდა, მაგრამ შეიძლება არა მხოლოდ ამის გამო... კარაკსის „ახალი ხიდის საყვარლებში“ ქალი უსახლკარო მხატვარს თამაშობდა, რომელიც კატასტროფული სისწრაფით კარგავს მხედველობას, და ყველაფრისთვის მზად იყო: კარაკსი აიძულებდა გამხდარიყო, სიმღერისა და ცეკვის გაკვეთილებზე ევლო, ეკითხა ბალზაკისა და კოკტოს ნაწარმოებები. გადაღებები სამი წლით გაიჭიმა, ერთი

პროდიუსერი მეორეს ცვლიდა: რეჟისორი ყველას აკოტრებდა, დასასრული კი არა და არ ჩანდა. ყულიეტს ჰოლივუდის რამდენიმე პროექტზე მოუხდა უარის თქმა, ერთხელ კი ყინულივით ცივ სენის წყალში ლამის დაინხრო კიდევ: თანხა, რომ გადაღებები-სთვის წყალი შეეთბოთ, ფილმის ბიუჯეტით გათვალისწინებული არ იყო. ამ შემთხვევის შემდეგ, რომელიც კინადამ ტრაგედიით დასრულდა, კარაკსმა ბინოშს ცურვის მწვერთელი დაუქირავა. ეს მთელი არსებით მხოლოდ თავისი ფილმით



დაკავებული რეჟისორის საბედისწერო შეცდომა აღმოჩნდა: როცა გადაღებები დასრულდა, ყულიეტმა კარაკსი მიატოვა და პროფესიონალ სპორტსმენს – ანდრე ჰალს მიაშურა. მიუხედავად იმისა, რომ მათი კავშირი დადხანს არ გაგრძელებულა, მათი ურთიერთობის შედეგად ქვეყანას მსახიობის ვაჟი – რაფაელი მოეგვინა.

რაფაელი მშვიდად აღიქვამს დედის პოპულარობას, თანაკლასელები ხშირად ახსენებენ მას: „დედაშენი ვნახეთ ტელევიზორში“, ყულიეტი კი მაინც დელავს, – ვაითუ ბავშვს უეცრად ამის გამო კომპლექსები გაუჩნდეს და პირიქით, სიზარმაცემ დარიოს ხელი და მთლიანად დედის შესაძლებლობებსა და ფულს დაეყრდნოსო. რაფაელი მხოლოდ 7 წლისაა და დედის ნამუშევრების შემფასებლად ჯერ ვერ გამოდგება, თუმცა ფილმ „მოკოლადის“ ნახვა ალბათ ახლაც შეუძლია. ყულიეტი ვაჟს დამოუკიდებელ ადამიანად ზრდის: როცა ბინოში დიდი ხნით მიემგზავრება გადაღებებზე, ან თეატრში სათამაშოდ, ამერიკაში თუ ინგლისში, აუცილებლად ეკითხება შვილს – მასთან ერთად სურს გამგზავრება თუ საფრანგეთში მამამისთან

დაჩვენა ურჩევნია. რაფაელს ძალიან თბილი და ახლო ურთიერთობა აქვს მამასთან.

ყულიეტს პატარა გოგონაც ჰყავს, ის წლისა და სამი თვისაა. მშობლებმა მას ფილმ „ინგლისელ პაციენტში“ ბინოშის მიერ გასახიერებული მედლის პატივსაცემად, ჰანა დაარქვეს.

გოგონას მამა ფრანგი მსახიობი ბენუა მაჟიმელია. ის 37 წლის ყულიეტ ბინოშზე 11 წლით უმცროსია. წყვილმა ერთმანეთი კოსტიუმირებული ისტორიული ფილმის – „საუკუნის შვილების“ გადაღებაზე გაიცნო: ყულიეტი ჟორჟ სანდს თამაშობდა, ბენუა კი მის ახალგაზრდა, რბილი ხასიათის შეყვარებულს – პოეტ ალფრედ დე მიუსეს.

ამ ფილმშიც, „ზიანის“ მსგავსად, ბევრი შიშველი სცენაა, თუმცა, მავნებელი აირონისიგან განსხვავებით. შეყვარებულ მაჟიმელთან ბინოშმა რომანი ცხოვრებაშიც გადაიტანა. საფრანგეთში არ არის მიღებული სასიყვარულო ურთიერთობის პასპორტის შტამპით განმტკიცება. ამიტომ, ოფიციალურად, ყულიეტ ბინოში „ქალიშვილად“ ითვლება: ფრანგი ქალისთვის ხომ თავისუფლებაა მთავარი, „საბედისწერო ქალისთვის“ კი – მით უმეტეს.



ვაჟიშვილ რაფაელთან ერთად 1994 წ.

დასაწყისი იხ. „გზა“ №22-28

გიგიას ჩვევად ექცა საღამოობით ალექსანდრეს ბაღში სეირნობა. ძველ სკამზე ჩამოჯდებოდა ხოლმე და ახალგაზრდობას იხსენებდა.

იმ საღამოსაც სკამზე იჯდა და ფიქრებს მისცემოდა.

– გიგი, – შემოესმა მოკრძალებული დახილი.

გიგიამ თავი ასწია. მის წინ ნინო იდგა და თითებს იმტვრევდა.

გიგია თვალებს არ უჯვრებდა.

– ნინი? – ჩაილაპარაკა, უფრო თავის დასარწმუნებლად.

– ჰო... მე ვარ... – უხერხულად გაიღიმა ნინიკომ.

გიგია წამოდგა. მუხლები ეკვეთებოდა. მის წინაშე ნინო იდგა და მთელი ტანით თრთოდა. გიგიამ მხრებზე ხელები მოჰხვია და მკერდში ჩაიკრა.

– ნინიკო, როგორ მომაგენი?

– ვიცოდი, აქ უნდა შეხვებოდა.

– გახსოვს, ზუსტად ეს თვე იყო. თორმეტი წლის წინათ. აი, ამ სკამზე ვისხედით... – გიგიამ ქალი სკამზე ჩამოსვა. ნინომ თავი მხარზე დაადო.

– მახსოვს. ქურთმა შეეხოვემ რომ გაგვავლიდა დილით.

– ზუსტად 8 ივნისი იყო. მერე 9, 10 და 11 ივნისი ჰაუბტკახტში გავატარე – გაიცინა გიგიამ.

– მართლა? მაშინ რომ არ ვიცოდი? – წარბი შეიჭმუნა ნინომ.

– მაშინ გამოპარული ვიყავი შენთან. გამიგეს და დამსაჯეს. – ღიმილით იხსენებდა გიგი.

– რა სამწუხაროა.

– რას ამბობ, – იუარა გიგიამ, – სიამოვნებით ვიხსენებ.

ჩურჩულში გაატარეს მთელი ღამე. გამთენიას ნინიკოს ჩასთვლიდა.


– დაგვათენდა – უჩურჩულა გიგიამ ქალს და შუბლზე ფრთხილად აკოცა.

– არ გამაღვიძო, რა, – შეიშმუნა ნინიკო ისე, რომ თვალი არ გაუხელია.

– მე კი სინამდვილე ახლა ნებისმიერ სიზმარს მირჩევნია, – კიდევ ერთხელ აკოცა გიგიამ ქალს.

თითქოს აეწყობო ცხოვრება. გიგია და ნინო აღარაფერზე ოცნებობდნენ, ერთმანეთის გარდა აღარაფერი უნდოდათ. თრთოლვით ელოლიაგებოდნენ ერთ ციდა ბედნიერებას. ნინიკო ფეხმძიმედ იყო და ეს უძლიერებდათ სიხარულს.

ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას ძალიან განიცდიდა ნინო. გიგია კი მის



ნიკო აშკარელი

ბედისწერა

დამშვიდებას ცდილობდა.

საღამოს შინ დაბრუნებულმა გიგიამ კარის ზღურბლიდანვე მიახარა ცოლს: – ახალი სამუშაო ვიშოვე.

ნინიკოს არაფერი უპასუხია. შემობრუნდა და კისერზე ჩამოეკიდა ქმარს.

– მომენტატრე, გიგი.

– მეც ყოველთვის მენატრები და მიყვარხარ.

– რა სამუშაო იშოვე?

– გაზეთმა ამიყვანა. რედაქტორს ველაპარაკე. სამხედრო მასალაზე მუშაობა შემომთავაზა.

– გიგი, მეშინია, – შეკრთა ნინო.

– გაზეთი რა საშიშია, – გაუკვირდა გიგიას.

– ტელევიზორით ცუდ ამბებს გადასცემენ, გიგი. შუადღეს იყო გადაცემა... ღმერთო ჩემო, რა არაადამიანური სისასტიკით ხოცავენ ადამიანები ერთმანეთს.

– შენი ნერვიულობა არ შეიძლება, ასეთ გადაცემებს ნუ უყურებ, – გაუწყრა გიგია.

– ხანდახან ასე მგონია, სადაცაა ჩვენს ქუჩაზეც შემოვარდება ომი. ყოველ წუთს უსიამოვნებას ველოდები და მეშინია.

– ხომ არაფერი მოხდა, ნინი?

– ზურა იყო. – თავი ჩაღუნა ნინომ. – გიგია რომ მოვა, გადმოვიდესო, დაიბარა. ორ სამხედროსთან ერთად იყო.

– კარგი. შენ დამშვიდდი. რა გვინდაო, არ უთქვამთ? – გიგია შიშის მიზეზს

მიუხვდა ნინიკოს.

– არა, არაფერი უთქვამთ. ფრთხილად, გიგი.

ზურასთან გიგიას აფხაზეთში მეომარი ბიჭები დახვდნენ. ყურადღებით მოუსმინა, შემდეგ მძიმედ გაიქნია თავი.

– არა, ძმებო, მე თქვენ ამ ომში ვერ გამოგადგებით.

ბიჭებმა გაოცებულებმა გადახედეს ერთმანეთს. შემდეგ ორივე გიგიას მიაშტერდა. გიგიამ თვალი ვერ გაუსწორა მათ. ერთ-ერთმა ფორმიანმა მეგრული აქცენტით მიმართა მეორეს.

– ტყუილად მოგიყვანივარ აბა. არ უნდა ამ კაცს ომი და რას ეხვეწები? – მეომრის ტონში გიგიამ ცინიზმი იგრძნო, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია.

– არ მინდა, – უპასუხა ისე, რომ მიზეზი არ განუმარტავს.

მძიმე ღუმილი ჩამოწვა, რომელიც მოგვიანებით ზურამ დაარღვია.

– ბიჭები – მეომარი მეომარს გაუგებსო, იმის იმედით მოვიდნენ.

– ვწუხვარ... – ისევ აიჩჩა მხრები გიგიამ.

– შენზე რომ არ გვსმენოდა, არც მოვიდოდით, – დაიწყო მეორე მებრძოლმა – ლეგენდებს ჰყვებოდნენ ბიჭები. ძლივს მოგაგენით. ჩვენს ბატალიონში არავინ იცის სამხედრო საქმე. მე სერჟანტი მაინც ვიყავი „პეხოტაში“. ზოგი სულ არ არის ნამყოფი ჯარში. უღისციპლინობასა და უცოდინარობას ვეწირებით. ისე უბრალოდ გველუპებიან ბიჭები,

ცოდვით დაიწვიები, არც ჩვენი მტრები არიან ჩვენზე გამოცდილები, მაგრამ იმათ რუსი ინსტრუქტორები ჰყავთ. გიგი, შენ „პროსტო“ გვასწავლე, მიგვიტოთ. ყველაფერს ჩვენ გავაკეთებთ, დაგიჯერებთ. გვესმის, რომ ყელში გაქვს ამოსული ომი, თუ გინდა, შენ იარაღს სულ ნუ გაეკარები.

— არა! — შეაწყვეტინა გიგიამ. — მე თქვენი მესმის, მაგრამ ამ ომში ვერ გამოვადგები.

— ამ ომში, რომ ამბობ, სხვა რანაირი ომი უნდა მოგიტანო მე შენ? — შეეკამათა გიგიას მეგრელი. — შენიანს კლავენ და წვავენ, სახლს გიფეთქებენ და ცოცხალს არაფერს გიტოვებენ, თუ ამისთანა ომში არ წახვალ, აბა რაღა უნდა იყოს სხვა?!

გიგია წამოღდა. მწელი იყო ამ ბიჭებთან საუბარი, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. გიგია ცდილობდა აეხსნა.

— იცით? მე არ მესმის, ვერ წარმომიდგენია, რას ნიშნავს ამ ომში გამარჯვება, როგორი სახე, ფორმა, სუნი, გემო უნდა ჰქონდეს მას. მე არ ვიცი, როგორ უნდა გამოიყურებოდნენ ჩვენი გამარჯვებულები. რა უნდა მისცეს ჩვენმა გამარჯვებამ იქ მცხოვრებ ხალხს — გაპარტახებული მხარე და პირისაგან მიწისა ალგვილი აფხაზები, თუ გამოძევებული ქართველები? — რა მნიშვნელობა აქვს ამას ჩემთვის? ჩემთვის ეს სულერთია, ნებისმიერ შემთხვევაში დამარცხებაა.

მეგრელი გაბრაზდა, გამწარებულმა სცადა, რაღაც ეთქვა, მაგრამ ბოლოს ხელი ჩაიქნია.

— აფხაზი და ქართველი თუ სულერთია შენთვის, მაშინ რაღა სალაპარაკო?! ღმერთმა შენს გზაზე გაგიმარჯოს!

გიგიას ლამის ცეცხლი მოედო.

— აბა, მაშ რა გინდა, მტერი იყოს ჩემი? — არ არის. ის ხალხიც ჩვენი ხალხია. დარწმუნებული ვარ, იმათ სულაც არ ეპიტნავენათ ომი, ჩვენი და მათი ომი სულ სხვას სჭირდება.

— მაგი მე არ მაინტერესებს, კაცს ცოლ-შვილს რომ ამოუწყვეტენ, მძას რომ მოუკლავენ, ეგ საუბარი არ უშველის.

— მესმის მე შენი, — აღიარა ჩაფიქრებულმა გიგიამ — იქნებ მართალიცა ხარ, მაგრამ... ერთ ბინძურ ომში უკვე ვიყავი... ისედაც ბევრი ცოდვა მაღევს. მე ვერ გავუშუავე აფხაზებს. გავა დრო და ჩვენც და იმათაც, ყველას შეგვრცხვება წარსულის, ერთმანეთის. ამ ომის გამო შეგვრცხვება. მერე გვიან იქნება,

თავს ვედარაფრით ვიმართლებთ.

სალაპარაკო აღარაფერი იყო. მეომრები წამოდგნენ. მებრძოლი, რომელიც გიგიას ხელს ართმევდა, ერთხანს შეჩერდა.

— შენ სხვა რამეს ამბობ გიგი, ბიჭები იხოცებიან, ჩვენი პოლიტიკა — ავტომატია. მე იცი, რაღაცნაირად მჯერა — შენ მაინც წამოხვალ, ვერ მოისვენებ. სხვაგვარად ვერ შეძლებ. პროფესიონალი ხარ. მაინც მოხვალ, ვიცი. კარგად იყავი. ბოდიში, თუ რამე უხერხულად გითხარით.

ერთმანეთს დაემშვიდობნენ. გიგიაც მათთან ერთად აპირებდა გასვლას, მაგრამ ზურამ შეაჩერა.

— გიგი, ზეგ მეც მივფრინავ. დილის 11 საათზეა რეისი.

— შენი ნებაა...

— ველარ ვჩრდები სახლში, — თითქოს თავი იმართლა ზურამ.

— მესმის, — მხარზე ხელი დაადო გიგიამ, — მესმის.

— რა ვქნა, ჩამითრია.

— ზური, — თვალეში ჩახედა გიგიამ ზურას, — ზური... ომში საკუთარი სიცოცხლის გადარჩენა უფრო მთავარია, ვიდრე სხვისი მოკვლა, ფრთხილად იყავი...

— გმადლობ, მემასსოვრება, — გაულიმა ზურამ.

— აბა, შენ იცი.

გიგია ზურას გადაეხვია.

სამი დღის შემდეგ ტელევიზიით გადმოსცეს თვითმფრინავის დაღუპვის ამბავი. შინ დაბრუნებულ გიგიას სახეზე შემოფოტება გამოხატვოდა.

— რა მოხდა, გიგი? — შეეკითხა აფორიაქებული ნინო.

— ზურა დაიღუპა.

— ღმერთო ჩემო, რას ამბობ?!

— სამი დღის წინ რომ იყვნენ ზურა და ბიჭები... სოხუმში აეროპორტში დაშვებისას, აფხაზებს მათი თვითმფრინავი აუფეთქებიათ. არავინ გადარჩენილა, შუადღისას აჩვენეს. ზურას დღეს ჩამოასვენებენ.

— ღმერთო... — სახეზე ხელები აიფარა ნინომ და პირჯვარი გადაიწერა.

გიგია აეროპორტში დახვდა ზურას ნეშტის ჩამოსვენებას.

გიგიას საკუთარი თავისთვის ვერ ებატიებინა ზურას დაღუპვა. აუტანელ ტვირთად აწვა მხრებზე მისი თუთიის სასახლე.

ნინო დილით ცუდმა სიზმარმა გა-

მოაღვიძა. მყისიერად მოძებნა გვერდით მძინარე ქმარი, მაგრამ გიგია საწოლში არ დახვდა. მზის სხივი ეცემოდა გიგიას ბალიშს. ნინიკო შემოფოტებული წამოვცდა. ოთახში გიგია შემოვიდა. მას ძველი სამხედრო საველე ფორმა ეცვა.

— აი, — გაშალა ხელები გიგიამ, — მივდივარ, ნინი.

— გიგი — ტუნები აუცანცახდა ნინოს.

გიგია საწოლზე ჩამოვცდა და ქალს ხელი მოჰხვია.

— ნუ, ნუ მისაყვედურებ, მე აღარ შემიძლია გაჩერება. ვერ მოვისვენებ. ერთ ღელსაც, ერთ საათსაც ველარ მოვისვენებ.

— გიგი, მთელი სიცოცხლე შენ გელოდი... ვოცნებობდი... მინდოდი...

— ვერ შევძლებ სხვანაირად, ნინიკო, ზურა დაიღუპა... ბიჭები იღუპებიან. ვერ ვეგუები განზე ყოფნას. ვერ ვისვენებ. მაპატიე. შენი იმედი მაქვს, თუ გაგიჭირდეს, სოფელში წადი...

— კარგი, გიგი. ოღონდ თავს მოუფრთხილდი. ეტყობა, ასეთი ბედი გერგო. მე უშენოდ აღარ მინდა სიცოცხლე, — ჩურჩულებდა ნინიკო და გიგიას ეხუტებოდა.

— ნუ გეშინია, ბედისწერას მაინც ვერსად გაექცევა ადამიანი...

— ხშირად ჩამოდი ხოლმე...

გიგიამ ერთხელ კიდევ აკოცა ცოლს, მერე მოზრდილ მუცელზე ხელი მოუთათუნა და სწრაფად გავიდა ოთახიდან.

1993 წელი იდგა. ერთ გრძელ ნაკადად აწყდებოდა აფხაზეთის ქართველი სოფლებიდან აყრილი მოსახლეობა შარავზაზე მოწყობილ ბლოკპოსტს. მოდიოდნენ ქალები, ბავშვები, მოხუცები, საკაცებით მოასვენებდნენ დაღუპულებს.

მოთქმა და გოდება ისმოდა ირგვლივ.

— დიდა, თექ მუ გვალოლეს, მუ უბაღურ დღაქ გამითანდეს, რა ღვთის რისხვა იყო, დედა!

— როგორ დავრჩით, ცოცხალი დედა! დედა!! დედა!!!

გიგია მეგრულ ამხანაგთან ერთად გაოგნებული უყურებდა ამ თავზარდამცემ სანახაობას. არც აქამდე ენახა ცოტა გიგია ამირანაშვილს, მაგრამ ეს სურათი სულ სხვაგვარ შთაბეჭდილებას ახდენდა მასზე. გიგიას ომი იქ ჰქონდა ნანახი, სადაც ომისთვის მხარეებიც წინასწარ ემზადებოდნენ. აქ კი საზარელი სურათი იყო, ამ ომისთვის არავინ ემზადებოდა, გულუბრყვილოდ სჯეროდათ, რომ

მოუძახდებლად გაიმარჯვებდნენ. აქ ზნეობისა და მორალის ყოველგვარი კანონი, ის დაუწერელი კანონებიც კი, რომელიც ომის დროს მოქმედებდა, ხაზგადასმული და უგულებელყოფილი იყო.

— ეს უბედურები როგორ გადარჩნენ ნეტა?! — თავისთვის ჩაილაპარაკა გიგამ და გატანჯულ ადამიანებს გახედა.

— ვა მიჩქუ, შვა სერს მეტირსუ რკი-აქი.. კაცტამიები ვნახე, არაადამიანები — ცოტალა აკლდა და ახალგაზრდა ქალი ჭკუიდან შეიშლებოდა — კვდრებს დააჭრეს თავები, კვდრებს კილო! მერე თავდაჭრილები დაწვეს, ბენზინი გადაასხეს და დაწვეს. დედა, როგორ გადავრჩი და რატომ გადავრჩი. კილო აფხაზმა გადაგვარჩინა, მეზობელმა დაგვმა-ლა და ისე... დედა, სად ვიყავით...

— ვინ გაარჩევს ცოდვასა და მადლს ამ უბედურებაში, ღოჩია, ჰა? ვინ გაარჩევს მტერს და მოკეთეს, ღმერთმა უწყის, — უფრო თავისთვის, ვიდრე ღოჩიას გასაგონად თქვა გიგამ.

— რა თქვი, გიგი? — ჰკითხა გვერდით მდგარმა ღოჩიამ.

— ისე, არაფერი.

სახლებიდან აყრილებს და დევნილებს ბლოკპოსტებთან სატვირთო მანქანები და ავტობუსები ელოდათ. მათი დაგვიანებული ევაკუაცია ხდებოდა.

გიგამ სატვირთოსკენ მიმავალ დევნილებს გააყოლა თვალი. უცებ, უსიამოვნოდ შეიშმუშნა. ერთ-ერთ სატვირთოსთან უცნობ მებრძოლთა ჯგუფი შენიშნა. ისინი ახალჩასული ტელეკომენტატორის ირგვლივ იყვნენ შემოკრებილნი. ყურნალისტი გოგონა სიუჟეტს იღებდა. გიგამ მათ შორის დათო მეზვრიშვილი შენიშნა. სამხედრო კომუფლიაჟიან ფორმაში გამოწყობილი დათო თავაწეული საუბრობდა და ხელით რაღაცას უჩვენებდა კომენტატორს.

— ესენი ვინ არიან? — ჰკითხა ღოჩიას.

— ესენი გუშინ ჩამოვიდნენ თბილისიდან. „ვაჟნი“ ხალხია ვიღაც, რაღაც კომისიაა. ტელევიზია ჩამოიყოლეს და თან დაჰყავთ. გვეხმარება თბილისი... — ირონიულად ჩაიცინა ღოჩიამ, — ვინმე ხომ არ გეცნობა, გიგი?

— ჰო, მეცნობა. აი, ის „რეინჯერი“, ინტერვიუს რომ იძლევა, ყველა დროის კაცია — ზიზღით გადააფურთხა გიგამ — კისერი უტეხია, წამო, გავერიდოთ.

გიგამ აფხაზური სოფლის დაზვერვა გადაწყვიტა. ერთი მებრძოლი გაიყო-

ლა, სოფლის წინ პატარა სიმაღლე დაიკავა და ღურბინდით დიდხანს ათვალიერებდა იქაურობას. სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა სოფელს. ეტყობა, ცუდის მოლოდინში მიეტოვებინათ. გორაკიდან ჩამოვიდნენ და შარავხას გაუყვნენ. გიგია ერთ-ერთ სახლთან შეჩერდა. რაღაც იეჭვა.

— შევდივართ — უთხრა მოკლედ თანამებრძოლს და ჭიშკარი შეაღო.

დაბალ კიბეზე ავიდა და ოთახის კარს ფრთხილად მიაწვა.

შუა ოთახში მოხუცი აფხაზი ცოლ-ქმარი ოჯდა. ქალს შემინებული სახე ჰქონდა.

ბერიკაცი კი, ცდილობდა, სიმშვიდე და სიდარბაისლე შეენარჩუნებინა. თავზე ფაფახი ეხურა, საკუთარი ღირსების გრძნობით ეწეოდა ყალიონს და თამბაქოს ბოლის მსხვილ ბოლქვებს აფრქვევდა ოთახში. გიგამ ავტომატი დაუშვა და მხარზე გადაიკიდა. მას თანამებრძოლმაკ მიბაძა.

— უკაცრავად, ბატონო ჩემო, — მოიბოდიშა გიგამ და თავი დაუკრა მოხუცებს, — მე გიორგი ამირანაშვილი ვაზლავართ.

ბერიკაცმა გამომცდელად გამოხედა მეომრებს. ცალი წარბი მაღლა ასწია და ყალიონი გულმოდგინედ მოქაჩა. მერე ოღნავ დაუქნია თავი, ქალმა თავის მოხუცს შეხედა. მისი თავის დაქნევაზე ადგა და აფხაზური ლაპარაკით წამოვიდა მებრძოლებისკენ. უცებ, მას ბერიკაცმა რაღაც უთხრა, მკაცრი და მბრძანებლური ტონით. ქალი გაჩერდა, ქმარს შეხედა, მაგრამ კვლავ შემობრუნდა მებრძოლებისკენ და წინ ხელებგამოწვილიმა განავრძო გზა.

...ქალი რაღაცას ლაპარაკობდა, ხან გიგას უსვამდა თავზე და გულმკერდზე ხელს, ხან გიგას თანხლებ მებრძოლს. გიგამ ქალის ხელებს ხელები შეაგება და გულში ჩაიხუტა.

— ნუ გეშინიათ, დედილო, — უთხრა

გიგამ.

ქალი კვლავ განავრძობდა ბუტბუტს და ახალგაზრდა მებრძოლების დედაშვილურ ალერსს.

— რა ვქნათ, მე ამათი ვერაფერი გავიგე, — ჰკითხა გიგას თანამებრძოლმა.

— რა უნდა ვქნათ, ისედაც ჩანს, რასაც ამბობენ — უპასუხა გიგამ, — წავედით. კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო, — დაუკრა თავი გიგამ მოხუცებს.

აჩიფიფებული დედაბრის ხელები მკერდზე მიიკრა და დაამშვიდა — ნუ გეშინიათ, კარგად იყავით, კარგად.

ბერიკაცი ფეხზე წამოუდგა მებრძოლებს და თავი დაუკრა. დედაბერმა ჭიშკრამდე გამოაცილა ისე, რომ ერთი წუთით არ შეუწყვეტია ჩიფჩიფი. სოფელში სხვა აღარავინ იყო დარჩენილი. გიგია და მისი თანამებრძოლი სოფლის მეორე მხარეს გავიდნენ. გიგამ კიდევ ერთხელ მოათვალიერა ღურბინდით არემარე, საეჭვო ვერაფერი შენიშნა.

— ამ ორი მოხუცის მეტი არავინ არის ამ სოფელში, ეტყობა, კარგა ხანია, რაც დაიცალა. მიდი, მწვანე რაკეტა გაუშვი.

მებრძოლმა მწვანე რაკეტა გაისროლა. რაკეტა სოფლის თავზე დაეკიდა. ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ სოფელში 30-მდე კაცი შემოვიდა. მებრძოლები სამ ჯგუფად დაიყვნენ. გიგას მებრძოლების სამ ჯგუფად დაყოფა არ ესიამოვნა, გულმა რეჩხი უყო.

— იქით არის ყველაზე სახიფათო მიმართულება. აქედან ფეხი არ მოიცვალო და თვალი ადევნე მიდამოს. მე ჩავალ, ამით მეთაურს შევეგებები, — ანიშნა სოფელში შემოსულ მებრძოლებზე, — და შენც ცვლას გამოვიგზავნი. რაც არ უნდა მოხდეს, ფეხი არ მოიცვალო, გიიგე?

— გავიგე, არ დაგავიწყდეთ, არ დამტოვო აქ. — გააფრთხილა თანამებრძოლმა. — ნუ გეშინია.



გიგია სოფელში შემოსული ჯგუფის შესახებ ვერაფერად დაეშვა.

უცებ, გასროლის ხმა მოესმა, ერთხელ, შემდეგ — ჯერი, შემდეგ — კიდევ გასროლა. გული ცუდს უგრძობდა. სროლა აფხაზი მოხუცების სახლის მხრიდან ისმოდა. გიგია სირბილით გაემართა იქითკენ. ეზოს ჭიშკარიც და ოთახის კარიც ღიად იყო დატოვებული. გიგია ოთახში შევიდა.

კართან დედაბრის გვამი ეგლო, ბერიკაცი კი მაგიდასთან გაეცივებინა ტყვიას. ორი მებრძოლი ძველ კარადაში იქექებოდა. გიგიას სისხლმა ტვინში აასხა.

— თქვენ, ბიჭო... — გამოცრა კბილებში.

მებრძოლები გიგიასკენ შემობრუნდნენ.

— ვაჰ, გიგი, შენა ხარ? — თქვა ერთმა, ვითომც აქ არაფერიაო.

— რომელმა ესროლეთ? — მძიმე ნაბიჯით წამოვიდა მათკენ.

— რა იყო? — თითქოს ვერ გაიგეს, რას კითხულობდა გიგია.

— რომელმა ესროლეთ-მეთქი? — გიგია ავის მომასწავებლად აკეცებდა თვალებს.

— რა იყო, გიგი? მოიცა, ბიჭო. ჯერ ხომ არაფერი იცი. გაიგე, რა მოხდა! — შეშინებულმა დაიხია უკან ერთ-ერთმა მათგანმა.

— რა უნდა მომხდარიყო, თქვე პიდარასტებო, რატომ დახოცეთ?

— გიგი, წინააღმდეგობა გაგვიწიეს, ტო! დედას გეფიცები! — თავი იმართლა მეორემ.

— თქვე ნადირალებო!

— შენ ხომ არაფერი გეშლება, ჩემი დედა... რას გაგულაჟდი, ბიჭო, წადი, გააჯვი, ტო. არ დაიწყო, ბოზიშვილი ვიყო...

— შენი დედა... — გიგიამ მკვეთრად მოუქნია მარცხენა ხელი და ყბაში დაარტყა. მებრძოლი წაბარბაცდა და კედელს მიეხეთქა. მეორემ სასწრაფოდ მოიხსნა ავტომატი. მაგრამ სანამ გადატენიდა, გიგიამ დაასწრო და მის გვერდით კედელში ჯერი მიუშვა.

— ნუ ფართხალებ, თორემ აგზილე, შე ნაბიჭვარო... გაეთრიეთ აქედან! — გაუქნია ავტომატის ლულუა გიგიამ.

— რას შერები, გიგი, ძმები ვართ, ტო. არ გვესროლო, ტო... — აკანკალდა პირველი მებრძოლი.

მეორემ ავტომატი ფრთხილად დაუშვა, შემდეგ... ღვედით მხარზე გადაიკიდა.

— რისი გულისთვის მიმეტებ, ბოზიშ-

ვილი ვიყო...

— აახვიეთ აქედან, თქვე მართლა ბოზიშვილებო!

მებრძოლები გავიდნენ. გიგიამ მიაჯახუნა კარი და სისხლში მცურავ მოხუცებს მიუბრუნდა. აღარც ერთს არ ეტყობოდა სიცოცხლის ნიშანწყალი.

გიგიამ რამდენიმე უახლოესი თანამებრძოლი დაიხმარა. დადამებამდე თხრიდნენ ეზოში საფლავს. ზეწარში გახვეული გვამები ჩაასვენეს. საფლავის ბორცვზე ტრაფარეტი დაამაგრა, წარწერით — „სახლის პატრონი მოხუცები“.

ღმერთო, გვიშველეო, — გადაიწერეს პირჯვარი და თავისიანებისკენ გაემართნენ.

გიგია შუალამისას ხმაურმა და ხორხოცმა გამოაღვიძა. გარეთ მთვრალეები ესაუბრებოდნენ გუშაგს, სახლში შესვლას თხოულობდნენ. გუშაგი კი არ უშვებდა.

— ვინ შინაურები ხართ? რა გინდათ? გათენდება და ვისაც გინდათ, იმას გინჯებთ, ახლა ბიჭებს სძინავთ — თავისაზე იდგა გუშაგი.

— მოიცა ტო, ამას ვიცნობ, შენა, ვერელი არა ხარ ბიჭო? — იცნო ერთ-ერთმა მთვრალთაგანმა გუშაგი.

— ჰო, ვერელი ვარ. მერე რა?

— არაფერი, ტო! ერთი პატარა საქმეა, რა, აი, ჩვენს ძმებს აწყენინეს და წყნარად, ძმურად უნდა გავარჩიოთ.

— ყველას სძინავს-მეთქი. ბიჭებო, რა საჩქაროა.

— ორ სიტყვას-მეთქი, ტო, ჩემი დედა... მეტი თუ უუთხრა... ორი სიტყვა, გესმის ბიჭო? ეხლა სძინავსო, რომ მეუბნები, ეგ არ არი კაცური.

— გიგია აქ არ არის, — სხვანაირად სცადა მათი შეჩერება გუშაგმა.

— რას მიჰქარავ, შე ჩემს! მე ვიცი, აქ არის, — გიგიამ მოხუცი აფხაზების სახლში გაგონილი ხმა ამოიცნო.

— არ არის-მეთქი, — დაიჟინა გუშაგმა.

— იცი, რა გითხრა, ბიჭო, იქ ვერაზე რომ შემხვდე, თვალებში უნდა შეგხედოთ ერთმანეთს. აქ ეხლა რისი გულისთვის ატრაკებ, ჰა?! ვილაც მიხრწნილი ჩათლახების გულისათვის ჩვენს ძმებს აწყენინა და შენ მაგას „პაღდერჟას“ უკეთებ, ბოზიშვილი ვიყო?!

— აქ არ არის-მეთქი.

გუშაგს აქამდე ყველაზე წყნარად და თავშეკავებულად მღვარი მიუახლოვდა.

— შენ არ გესმის, ბიჭო? თუ თვალე-ბი დაგთხარო, შე... — თვალებში თითები

დაატაკა. გუშაგი შეშინდა.

— კარგით, ნახეთ, ძმაო. ოღონდ ცოტა ჩუმად. ბიჭებს სძინავთ.

მთვრალეები ხორხოცით ავიდნენ იმ ოთახში, სადაც ბიჭებს ეძინათ. ფარანი მიატარ-მოატარეს. ერთ-ერთ მებრძოლს გაეღვიძა.

— რა არის, ბიჭო? — იკითხა უკმაყოფილოდ ახალგამოღვიძებულმა.

— არაფერი, არაფერი, ძმა. გიგია სადა წევს ამირანაშვილი?

— ეგე მანდ, ტახტზე, ფანჯარასთან სძინავს — მიუთითა ახალგამოღვიძებულმა და გვერდი იცვალა.

ფანჯარა ღია იყო, ტახტი — ცარიელი.

მომხდურებმა იაზრეს, რომ ამირანაშვილი დაუსნლტათ.

— აითესა, მაგისი დედა... — შეიგინა ერთ-ერთმა მათგანმა.

— აკი გეუბნებოდით — არ არის-მეთქი, — ნიშნის მოგებით უთხრა ადევნებულმა გუშაგმა.

— წადი შენი... — გუშაგს მოზრდილი მუშტი მოხვდა ყბაში და წაიქცა.

— მაგის დედა... გადი დროზე, სად წავა, ტრუპია მაინც მაგის დედა... — ხორხოცით გავიდნენ მთვრალეები ოთახიდან.

— რა იყო, ბესო? — უკვე საბოლოოდ გამოეღვიძა მებრძოლს და გუშაგს მიმართა, — რა ამბავია?

— არაფერია, ვილაც მთვრალეები იყვნენ, გზა აერიათ, წავიდნენ, — უპასუხა გუშაგმა და წამოდგა. გახეთქილი ტუჩიდან სისხლი მოსდიოდა — სვალვე წავალ აქედან, ასეთი ომის დედაც... — სისხლი გადმოაფურთხა გუშაგმა.

გიგიამ იცოდა, რომ არ გამოეღვიძებოდნენ — ძალა არ ეყოფოდათ. მანდარინის პლანტაციებით ცოტა ხანს იარა... შემდეგ შეჩერდა და ხის ძირში ჩამოჯდა.

— ესეც ასე... მერე? — თავის მღვომარეობაზე ჩაფიქრდა. უახროდ გაეცინა, მერე ისტერიკული სიცილი აუტყდა. სიცილი ტირილით შეეცვალა, მერე ისევ... უეცრად მიხვდა, რომ სადაცაა გაგიჟდებოდა. შეეცადა თავი შეეკავებინა, მაგრამ სხეულს ვერ იმორჩილებდა, კუნთები თავისით უთრთოდა. ბოლოს, როგორც იქნა, დაწყნარდა. ხეს მიეყრდნო და რამდენიმე საათი ეძინა. გათენებამდე კარგა ხნით ადრე გაიღვიძა. ადგა, მიიხედ-მოიხედა და უმისამართოდ წავიდა. გული ერეოდა, უკან ვეღარ დაბრუნდებოდა.



მზარეულ აშოიხენებმა, გაცვაცუნებით გაიხსოვირებმა მერამ მოლონერ ხინხეშარს და ისერ შერდერებომა შრომას...

ლელა ღიყაშვილი

XIX

საუკუნის დასასრული. ჟურნალ „ნაკადლის“ რედაქციაში აკაკი წერეთელი იჯდა. ამ დროს გრიგოლ ტატიშვილი და შიო მღვიმელი გამოჩნდნენ.

— ააა! — შესძახა აკაკიმ.
— ორ ჩვენს სასიქადლო ადამიანს გაუმარჯოს — ბავშვების

საყვარელ მგოსანს და უკვდავ გრიგოლს!
გრიგოლმა ორივე ხელი ჩამოართვა აკაკის და სიცილით უთხრა:

— უკვდავი თქვენა ბრძანდებით, ბატონო აკაკი, მე მოკვდავი ვარ ყოველ მხრივ: ჩემი მხატვრობა და კლიშეები აღარავის უნდა.

— არა, ძმაო, „ვეფხისტყაოსნის“ ჩუქურთმის გამკეთებელთან სიკვდილს რა უნდა?! ზინი შეიძლება მოკვდეს, მაგრამ გრიგოლ ტატიშვილი კი — არა... — ამბობდა თავისი მომხიბლავი ღიმილით აკაკი. დარწმუნებული ვარ, მამინ ვერც დიდი მგოსანი და ვერც იმდროინდელი ელიტის სხვა წარმომადგენლები ვერ დაიჯერებდნენ, რომ ოდესმე გრიგოლ ტატიშვილს დაივიწყებდა ქართველი ერი — ის ზომ უდიდესი მოღვაწე იყო:

ჯერ ერთი, პირველი ქართველი გრაფიკოსი გახლდათ, მორეც — XIX საუკუნეში გამოხატული თითქმის ყველა წიგნის გაფორმება მას ეკუთვნოდა, მუშაობდა ჟურნალ-გაზეთების გაფორმებაზეც. პირველი ქართული დასურათებული წიგნიც მისი დიდი შრომის შედეგად გამოვიდა... სამწუხარო რეალობაა, რომ დღეს ბევრმა, შეიძლება, ვერც კი გაიხსენოს, ვინ იყო გრიგოლ ტატიშვილი. ამიტომ, ცოტა რამ მისი პიროვნების, ოჯახისა და მოღვაწეობის შესახებ მინდა ვიამბოთ.

გრიგოლის მამა — პავლე ტატიშვილი გორში ცხოვრობდა. ის იქაურ მდიდარ კომერსანტს — ზუბალაშვილს აუყვანია აღსაზრდელად და როცა პეტერბურგში გადასულა საცხოვრებლად, პავლემ თან წაუყვანია. როცა ტატიშვილის მფარველი, ზუბალაშვილების ოჯახის უფროსი გარდაიცვალა, 20 წლისა თუ იქნებოდა. როგორც ჩანს, ოჯახმა აღარ ისურვა პავლეს მეთურეობა. ისიც, უსასოოდ დარჩენილი, დიდხანს ეძებდა სამსახურს. ბოლოს, ერთ სასაიდლოში დაძვარა მოსამსახურედ. იქ შეუსწავლია



მზარეულის ხელობა. წლების შემდეგ კი, მშობლიურ გორში დაბრუნებული და ცოლად ელისაბედ მცურავიშვილი შეურთავს. მათ 6 შვილი შეეძინათ: ეკატერინე, თამარი, მარიამი, ნინო, დიმიტრი და გრიგოლი. გრიგოლ ტატიშვილის დაბადების თარიღი დაზუსტებული არ არის, სავარაუდოდ, 1838 წელია მიჩნეული.

ტატიშვილების ოჯახს მალე უბედურება დაატყდა თავს. გარდაიცვალა თამარი — გორში სილამაზით განთქმული გოგონა. ამ ტრაგედიამ პავლე ტატიშვილს ცხოვრების ინტერესი დაუკარგა. განმარტოვდა. სმა დაიწყო და გორიდან წავიდა. მარტოდ დარჩენილმა ელისაბედმა გრიგოლი გორის სასწავლებელში მიიბარა. მხოლოდ 2 წელი შეძლო, შეიღისათვის განათლების მიღებაში ხელი შეეწყო. გაჭირვებამ გასაქანი აღარ მისცა. შვილი სასწავლებლიდან გამოიყვანა. ამის შემდეგ გრიგოლს სწავლა აღარ გაუგრძელებია.

ერთხელ 14 წლის გიგა (ასე ეძახდნენ სახლში გრიგოლს) ელისაბედმა მამის სანახავად გამოგზავნა თბილისში. ბავშვი ქუჩაში წააწყდა მთვრალ მამას... როგორც ჩანს, პავლეს შერცხვა თავისი საქციელის. ის ოჯახს დაუბრუნდა. 1862 წელს პავლე ტატიშვილმა ოჯახი თბილისში გადმოიყვანა. თვითონ მეფისნაცვლის სამზარეულოში დაიწყო მუშაობა და მალე „დიდი მზარეულის“ თანამდებობაც მიიღო.

გიგა ტატიშვილი არსად სწავლობდა, მთელი დღე თბილისის ქუჩებში დადიოდა, გასართობს ეძებდა... და აი, ქალაქში

ცირკი ჩამოვიდა. ყმაწვილი თვალს ვერ სწევებდა მსახიობებს. განსაკუთრებით აკრობატები მოსწონდა... ჯერ დაუახლოვდა მათ, მერე ვარჯიშშიც დაიწყო მათთან ერთად. მონაცემები აღმოაჩნდა და დასის ხელმძღვანელს წარუდგინეს. მასაც ძალიან მოეწონა ყმაწვილი, გიგაში სერიოზული მონაცემები დაინახა. თავდაუზოგავად ვარჯიშობდა გიგა. ყველაფერი იმისკენ მიდიოდა, რომ ის ერთ-ერთი პირველი სახელგანთქმული ქართველი აკრობატი უნდა გამხდარიყო... და აი, საბედისწერო შემთხვევა მოხდა: წვრთნის დროს ღერძიდან გადმოვარდა და სამუდამოდ ჩამოშორდა აკრობატიკას; ლავიწის ძელის გატეხის შემდეგ, ვარჯიშის გაგრძელება შეუძლებელი იყო...

„დიდი მზარეული“, რომელიც ოჯახს გაჭირვებით არჩენდა, გიგასათვის ახალ სამსახურს ეძებდა. მიავნო კიდეც. თამაშევის ქარვასლაში ერთ-ერთ „შკაფიკს“ შეგირდად მიიბარა: „ვაჭარი გამოვა, კაცი იქნებაო...“ ვინ იყო „შკაფიკი“? პატარა ღუქანს (დღეს „ბუტკას“ ან ჯიხურს რომ ეძახიან) მამინ „შკაფს“ უწოდებდნენ, მის მფლობელს — „შკაფიკს“... აქ ხვდებოდა გრიგოლი ხელოსნებს, ოქრომჭედლებს, აკვირდებოდა მათ საქმიანობას... როგორც ჩანს, მამინ დაეხალა იდეა, ხეზე კვეთა დაეწყო. ამ ხელოვნებას ქსილოგრაფია ერქვა. თუმცა თვითონ გრიგოლმა კარგა ხანს ალბათ არც იცოდა, რა ერქვა იმას, რასაც თვითონ აკეთებდა — მას ზომ მხოლოდ ორი კლასის განათლება ჰქონდა! არ ჰყოლია არანაირი მასწავლებელი ან რჩევის მიძღვემი თავის ხელობაში. ეს შეუძლებელიც იყო, რადგან არამც თუ იმდროინდელ საქართველოში, მთელ ამიერკავკასიაშიც კი არ არსებობდა ამ დარგის გამოცდილი სპეციალისტი. სხვათა შორის, არის ცნობები, როგორ ყიდულობდა რუსი მოხელისგან სოლიდური თანხის საფასურად, სომხური გაზეთი კლიშეებს — ე.ი. იმას, რასაც გრიგოლ ტატიშვილი ხშირად, უანგაროდ უკეთებდა ქართულ ჟურნალებს.

როცა უკითხავთ გრიგოლ ტატიშვილისათვის, საიდან ისწავლე ხეზე გამოსახულების კვეთაო, უპასუხია: „დავაკვირდი ქართველი ოქრომჭედელი გრაფიკოსების მუშაობას, წიგნებში ნახატებს, ზოგი რამ გამოვიკითხე იტალიელ მხატვრებს (მხატვრებს და არა ქსილოგრაფებს! — ავტ.), ზოგი რამ წიგნებში წავიკითხე,

მოვისაზრე, მივხვდი, შრომა დავდე და მოვახერხებ“.

გაუგებარი რომ არ დარჩეს ვინმესთვის, რა იყო კლიშე, ანუ ქსილოგრაფის ნახელავი, მოკლედ აღვიწერთ: დაახლოებით 2,5 სმ სისქის მაგარი ჯიშის ხის აბსოლუტურად სწორ და გაპრიალებულ ზედაპირზე ჯერ ფანქრით, შებრუნებულად, იხატება ასო ან რაიმე გამოსახულება. გრაფიორს ხელში უჭირავს გაღვსილი ფოლადის შტიხელი – სოკოს მსგავსი სახელურით და ნელი მოძრაობით, მაქსიმალური სიზუსტით კვეთს ორივე მხრიდან ფანქრით აღნიშნულ სახეებს. ის ადგილები, რომელიც ქაღალდზე არ უნდა დაიბეჭდოს, იკვეთება დაახლოებით 2-დან 5 მმ-მდე სიღრმეზე. დამუშავებულ კლიშეზე ლილვაკის საშუალებით უსვამენ საღებავს, ზედ ადებენ ქაღალდის ფურცელს და დაწოლის შემდეგ გამოსახულება ქაღალდზე გადადის. ქსილოგრაფია შორეულ აღმოსავლეთში ჩაისახა, ღიად განვითარდა, განსაკუთრებით ჩინეთში. თუმცა ვახტანგ მეექვსის სტამბაშიც სარგებლობდნენ ქსილოგრაფიული კლიშეებით, მას შემდეგ თითქოს მოკვდა ეს ხელოვნება... და აი, გამოჩნდა გრიგოლ ტატიშვილი – ქსილოგრაფიის უბადლო ხელოვანი.

ჯერ კიდევ არ ჰქონდა ნამდვილი საგრაფიო იარაღები. მხოლოდ 1871 წელს ეღირსა მათ ჩამოტანას პეტერბურგიდან.

გრიგოლ ტატიშვილი თედო სახოკი-ასთანაც მეგობრობდა. სწორედ ამ მოღვაწის მოვონებამ შემოგვინახა იაკობ გოგებაშვილისა და გრიგოლ ტატიშვილის ურთიერთობის სურათი: „გარდა იმისა, რომ გიგა და იაკობი მეტად კარგ დამოკიდებულებაში იყვნენ ერთმანეთთან, მას შემდეგ, რაც მათ ერთად დაიწყეს მუშაობა, მათი შემოქმედებითი მეგობრობაც სამაგალითო გახდა. ისინი სულ ერთად იყვნენ და ერთთავად გოგებაშვილის წიგნების მოხატვაზე საუბრობდნენ. მათ ნავსაყუდელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი, წიგნის მაღაზია და კანცელარია წარმოადგენდა. მე, აკაკი, ფაზბეგი, ვაჟა, შიო მღვიმელი, მეორე შიო (არაგვისპირელი) ხშირი სტუმრები ვიყავით ამ ადგილისა. გიგას თავისი ნახატები სწორედ აქ მოჰქონდა. იაკობი დიდხანს და გულისყურით აკვირდებოდა მათ და თუ მოიწონებდა, სულ გიგას ქებაში იყო, რადგან იცოდა, რომ ტკბილი სიტყვა მეტად ახალისებდა მეგობარს. შენიშვნებზე გიგას კამათი უყვარდა, მაგრამ ბოლოს მაინც იაკობის თვალსაზრისზე ღებოდა და შეცდომებს ამ

მითითების მიხედვით ასწორებდა“.

გრიგოლ ტატიშვილის ღვაწლის დასასახსიათებლად სულ ორი წიგნი რომ ვახსენოთ: „დედაენა“ და „ვეფხისტყაოსანი“, ესეც საკმარისია. თუმცა, მისი ნამუშევრების ჩამონათვალი წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების სია 200-ს აჭარბებს.

1885 წელს გრიგოლ ტატიშვილი მორიგ წიგნს აფორმებდა. წიგნი გამოსცა ლიზა ლომიძემ. ეს ქალბატონი, პროფესიით მსახიობი, გრიგოლ ტატიშვილის პირველი მეუღლე იყო. მასთან შეეძინა 2 შვილი – იოსები და შალვა. 1891 წელს გრიგოლი დაქვრივდა და ლაღო მესხიშვილის რჩევით, ბილანიშვილის ქვრივი – მინადორა შეირთო. ის სიცოცხლის ბოლომდე იყო გრიგოლთან. მინადორა გულდასაწყობით გამოირჩეოდა. მათ ოჯახში სტუმრობა ყველას უყვარდა. ერთხელ, გრიგოლის უფროსი ვაჟის – იოსების დაბადების დღეს, ოუბილარი, უკვე ღვინით კარგად შეზარხოშებულ შიო მღვიმელს ჩასციებია: ძია შიო, ლექსი დამიწერო. შიოსაც იოსებისთვის (რომელსაც ხუმრობით ჟორჟიკას ეძახდნენ), ეს ლექსი დაუწერია:

„ჟორჟიკამა ლექსი მთხოვა,
ჩემთვის ძნელი მეტის-მეტი,
აბა, ლექსსა როგორ დავწერ
ღვინით მიურალი, მისგან რეტი“.

გრიგოლ ტატიშვილს არც XIX ს.

ხელმარჯვე ქალები დავიწყებია. მათთვის გამოსცა ალბომი „კანვაზე საკერი ანბანი“... ვინ იცის, შეყვარებულ ქართველ მანდილოსნებს რამდენი სახელი ამოუქარგავთ ამ ასოების მიხედვით ცხვირსახოცებზე.

ქსილოგრაფია, გრაფიურის ერთ-ერთი სახეობაა და ალბათ მიხვდებოდით, რომ ძალიან შრომატევადი საქმეა. განუწყვეტელმა დამაბულმა მუშაობამ ჯანმრთელობა შეურყია გრიგოლს. 1903-1904 წლებში წელის ტკივილი დასჩემდა... შემდგომ, მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ წერილში „სახალხო გაზეთი“ წერდა: „თუ ვინმე დასვენებას ეტყოდა, მწარედ ამოიხვნეშებდა, გატაცუნებით გაისწორებდა მუდამ მო-

მეუღლესთან ერთად

ღუნულ ხერხემალს და ისევ შეუდგებოდა შრომას. განა ბევრს იღებდა შრომაში? არა, მისი გულკეთილობა და უანგარობა სამაგალითო იყო.“

მაგრამ ცხოვრება კარგს არაფერს უქადა. ქსილოგრაფია უფრო მარტივმა ტექნოლოგიამ – ცინკოგრაფიამ შეცვალა. ტატიშვილის შრომა აღარავის სჭირდებოდა. შიმშილიც კი ემუქრებოდა, რომ არა ალექსანდრე ჯაბადარის დახმარება: მან მოხუცი, ავადმყოფი ხელოვანი თავის სტამბაში დანიშნა კანცელარიის მუშაკად... გრიგოლ ტატიშვილი ყველამ მიივიწყა. მას კი მძიმე შრომით დაზიანებული ხერხემლის მაღა ფილტვში ესობოდა და ნელ-ნელა უსწრაფებდა სიცოცხლეს. „ექიმმა, რომელმაც ტატიშვილი ავადმყოფობის დროს გასინჯა, მიამბო: საოცარი სიმარის ფილტვები აქვს, ასე რომ, ასის წლის სიცოცხლე ექნებოდა, მაგრამ ხერხემალს უსუსტნია, სიხმელე იქიდან ეპარება. ვერავინ იტყვის, როდის ამოჰდაფავს ძალოვან სულს“ („სახალხო გაზეთი“)... 1911 წელს გარდაიცვალა. მისი სახელი რომ მთლად დავიწყებას არ მისცემოდა, აკადემიკოს შალვა ამირანაშვილს უთხოვია ბატონი მურმან ურუშაძისათვის, გრაფიორზე წიგნის დაწერა... ალბათ ამის წყალობით არ მიეცა დავიწყებას გრიგოლ ტატიშვილის ცხოვრების ბევრი დეტალი...





ხას ნახმოადგენს ახალი SAAB 9-5?

ეს მოდელი წლეულს, სექტემბერში გავა სავაჭრო ქსელში. კომპანია იმედოვნებს, რომ იგი წინა ვერსიაზე უფრო დიდი წარმატებითა და პოპულარობით ისარგებლებს. სულ ამ მოდელში 1265 ცვლილება შეტანილი.

ამ თაობის ავტომობილები 1997 წლიდან გამოდის, მაგრამ შვედი კონსტრუქტორებისა და სავალალოდ, ის დიდი პოპულარობით არ სარგებლობს, თუმცა საკმაოდ დადებითი იმიჯის მქონეა: ევროპაში მიაჩნიათ, რომ SAAB-ი ინტელექტუალების – ექიმების, არქიტექტორების, ინჟინრების ავტომობილია. ასეთი – „ჭკვიანი ადამიანებისთვის განკუთვნილი ავტომობილის“ სახელი, როგორც ამბობენ, კომპანიის მარკეტოლოგებმა სწორედ დიდი პრობლემების გამო შეარჩიეს. ამის მაგალითად, ის ფაქტი მოჰყავთ, რომ შარშან (ე.ი. იმ წელს, რომელიც SAAB-ისთვის არც ისე ცუდ წლად იყო მიჩნეული), გერმანიაში (ევროპაში უმსხვილეს ავტობაზარზე!) მხოლოდ 3280 „საბი“ გაიყიდა.

ახალ მოდელში დიზაინი ბევრად არ შეუცვლიათ: მიჩნეულია, რომ „საბის“ მყიდველები საკმაოდ კონსერვატიული ადამიანები არიან. ახალ მანქანას მხოლოდ ახალი სარადიატორე ცხაური, სანათები და ბამპერები გაუკეთეს და ამ ელემენტებმაც მხოლოდ ოდნავ შესამჩნევი სახეცვლილება განიცადა. მათთვის კი, ვისაც გამორჩეული იერის მქონე მანქანა ენდობება, კომპანია, ტრადიციისამებრ, რამდენიმე ვერსიას შექმნის – ARC-ი, VECTOR-ი, AERO.

ხოლო SAAB 9-5-ის სტანდარტული აღჭურვილობა შეიცავს უსაფრთხოების 4 ბალიშს, ABS-ს, კლიმატკონტროლს, ელექტროპაკეტს, ცენტრალურ საკეტს, აუდიოსისტემას,



რომელიც საჭიდან იმართება. ძრავების რიგში 2 ახალი დიზელის აგრეგატი გაჩნდება: 2,2 ლ, 125 ცხ. ძალიანი, რომელიც მხოლოდ სავაჭროდ დამზადდება, და 3,0 ლ, 176 ცხ. ძალიანი, რომელსაც მანქანას თავიდანვე ჩაუდგამენ. რაც შეეხება ბენზინის ძრავებს, ერთი 150 ცხ. ძ., მეორე კი – 250 ცხ. ძ. იქნება. ეს უკა-

ნასკნელი AERO-ს ვერსიისთვის არის გათვალისწინებული (მის წინამორბედს 230 ცხ. ძ. ჰქონდა).

„საბი“ საკმაოდ ძვირად ღირებული მანქანაა: 150 ცხ. ძ., 2,0 ლიტრიანი ვერსია – 32.900 დოლარი, უფრო მდიდრული „აერო“ კი 46.075 დოლარი ღირს. შედარებისთვის, მისი რამდენიმე კონკურენტის ფასებს მოვიყვანთ: 193 ცხ.ძ., 2,8 ლიტრიანი AUDI A6 – 37.300, BMW 523i (170 ცხ. ძ.) – 35.200 დოლარი და მხოლოდ MERCEDES-ი ღირს „საბაზე“ ძვირი: E240 – 51.000 დოლარი.

SAAB-ის სიძვირე რაიმე განსაკუთრებული აღჭურვილობით როდი აიხსნება – ის, უბრალოდ, ძალზედ მკირე პარტიებით გამოდის (სულ 130.000 წელიწადში). ეს მართლაც უმაღლესი ხარისხის ავტომობილია, თუმცა, იმდენად არ სჯობნის კონკურენტებს, რომ მასში გაცილებით მეტი გადაიხადონ, ვიდრე „აულისა“ თუ „ბემ-ვე“-ში. ■

ჯონსეხნი Ford-ი ახალი ჯდასის

„ფორდმა“ გამოაცხადა, რომ 2002 წელს ახალი ყველგანმავლის – FIESTA UAV-ის გაყიდვას დაიწყებს. ამაში განსაკუთრებული არაფერი იქნება (ბოლო წლებში უამრავი ახალი ყველგანმავალი გამოვიდა), რომ არა ერთი გარემოება: ამ მანქანით ყველგანმავლების ახალი კლასის დაბადებას მიეცემა დასაბამი.

სულ რაღაც ათიოდე წლის წინ ჯიპების რაღაც კლასებზე დაყოფის შესახებ ლაპარაკი აზრადაც არავის მოსვლია: ყველგანმავლები მხოლოდ ზომით თუ განირჩეოდნენ ერთმანეთისგან, მაგრამ 90-იანი წლების შუა პერიოდიდან საავტომობილო სამყაროში შემოვიდა ცნება – „პარკეტის“ ყველგანმავალი, რაც იმას ნიშნავდა, რომ ავტომობილი ცუდ ან შედარებით ცუდ და დაზიანებულ გზებზე

სასიარულოდ იყო განკუთვნილი. ამ კლასის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ნიმუში იყო TOYOTA RAV4. ამ მოდელით დაწყებული, ავტომობილების კლასიფიკაციის მწყობრი სისტემა, შეიძლება ითქვას, დაიშალა. თვალსა და ხელს შუა გაჩნდა: SUBARU LEGACY, OUTBACK-ი, VOLVO GROSS COUNTRY, AUDI ALL-ROAD და სხვები. კლასების ნიველირების მწვერვალად კი, როგორც სპეციალისტები მიიჩნევენ, FORD FIESTA-ს ბაზაზე შექმნილი ყველგანმავალი გახდა.

თავისი ახალი მოდელისთვის „ფორდმა“ ახალი საკლასო აღმნიშვნელიც – UAV მოიგონა, რაც URBAN ACTIVITY VEHICLE-ად (საქალაქო სატრანსპორტო საშუალებად) იშიფრება, ე.ი. იმას ნიშნავს, რომ ეს მანქანა ქალაქში სასიარუ-

Mazda RX8-ს უნიკალური ხოსოხედი ძრავა ექნება

„მაზდამ“ გამოაცხადა, რომ მის ახალ კუპეს RX8-ს ვანკელის როტორულ-დგუშიანი ძრავა ექნება. ის იმით გამოირჩევა, რომ რთული ფორმის ცილინდრში მოთავსებულია სხეული, რომელიც სამკუთხედს წაგავს. ამ სამკუთხედის ბრუნვისას ცილინდრი სამ ნაწილად იყოფა: პირველში საწვავის შეწოვა



ხდება, მეორეში მისი წვა, მესამეში კი – გამოშვება. ამის შედეგად აღარ არის ცილინდრების, სარქველებისა და ჩვეულებრივი ძრავის სხვა ატრიბუტების საჭიროება, მაგრამ ასეთი აგრეგატის დამზადება სხვაგვარ სირთულეებთან არის დაკავშირებული: პირველ რიგში, ეს არის ლითონის ხარისხი და აწეობის სიზუსტე.

როტორულ-დგუშიანი ძრავის დამზადების იდეა პირველად კონსტრუქტორ რობერტ ვანკელს ჯერ კიდევ 20-იანი წლების შუა პერიოდში გაუჩნდა. 1926 წელს მისი შექმნის სამუშაო დაიწყო, პატენტი კი 1933 წელს გაიცა. დასახელებული სირთულეების გამო ის მივიწყებას მიეცა და მხოლოდ 60-იან წლებში გაიხსენეს. 1961 წელს „მაზდამ“ კომპანია NSU-სგან ძრავის წარმოებისთვის საჭირო ლიცენზია იყიდა, მაგრამ ამ ძრავით აღჭურვილი პირველი ავტომობილი მხოლოდ 1967 წელს შეიქმნა.

სწორედ მაშინ, ფრანკფურტის ავტოსალონზე NSU-მ წარმოადგინა ვანკელის

ძრავით აღჭურვილი ავტომობილი RO 80, რის შემდეგაც ამ სისტემის ძრავისადმი ინტერესი იმდენად გაიზარდა, რომ მასზე „მერსედესი“ და „როლს-როისი“ მუშაობდნენ. მაგრამ ნახაზებისა და საცდელი ნიმუშების იქით საქმე არ წასულა. ევროპულ კომპანიებს შორის მხოლოდ „სიტროენი“ იყენებდა მათ, „მერსედესი“ კი C111 კონცეპტკარით შემოიფარგლა.

ერთადერთი კომპანია, რომელიც სერიულად აწარმოებდა და აწარმოებს როტორულ-დგუშიანი ძრავებით აღჭურვილ მანქანებს, „მაზდაა“: მას სულ 1,5 მლნ ასეთი ავტომობილი აქვს გამოშვებული. 1991 წელს კი MAZDA 787B-მ ლემანში გამართულ 24 საათიან რბოლაში გაიმარჯვა, სადაც საშუალო სიჩქარე – 205,3 კმ/სთ განავითარა.

მაშ, რაშია როტორული ძრავის მთავარი უპირატესობა? ჯერ ერთი, ის უფრო კომპაქტური და მსუბუქია: ადგილისა და წონის ეკონომია, საშუალოდ, 15%-ის შეადგენს. მეორე – მისი მეშვეობით, დიდი

სიმძლავრის მიღწევა შესაძლებელი: მაგალითად: RX8-სთვის განკუთვნილი 2,0 ლ-იანი ძრავა 280 ცხ. ძ-ს ავითარებს – 140 ცხ. ძ. თითო ლიტრ სამუშაო მოცულობაზე საკმარის მაღალი მარჯვენა.

თუმცა, ამ ძრავას ნაკლიც აქვს: უპირველესად, ეს კონსტრუქციისა და აწეობის სირთულე, საწვავის დიდი ხარჯი და მაღალი ტოქსიკურობაა. „მაზდის“ კონსტრუქტორები ამტკიცებენ, რომ ამ პრობლემების დაძლევა შეძლეს და ახლა ეს აგრეგატი იმდენივე საწვავს ხარჯავს, რამდენსაც ჩვეულებრივი ავტომობილები, ტოქსიკურობით კი, ევროპაში არსებულ ყველა სტანდარტს შეესაბამება.

ახალი კუპეს დებიუტი 2003 წლისთვის არის დაგეგმილი. ეს იქნება ოთხკარიანი ავტომობილი, რაც დიდი სიმძლავრის კუპესთვის იშვიათობაა. აღსანიშნავია ისიც, რომ მანქანის კარი სხვადასხვა მხარეს გაიღება, რაც, ბუნებრივია, უფრო გააადვილებს ჩასხდომას და კიდევ უფრო უნიკალურს გახდის ამ მანქანას. ■

ავტომობილებს ნახმოადგენს

ლოდ გამოიყენება, მაგრამ ჩვეულებრივი მსუბუქი მანქანებისგან განსხვავებით, სრულყოფილი ყველგანმავლის ყველა ძირითადი ატრიბუტით ხასიათდება.

ახალი ავტომობილის დიზაინი სრულიად არ ჰგავს „ფიესტას“ ჰენკეს, რომელიც წლევეანდელი წლის დამლევისთვის გაიყიდა. UAV-ის ძარის ძირითად ღირსშესანიშნაობას ის წარმოადგენს, რომ ეს ხუთკარიანი და არა სამკარიანი მანქანა იქნება (თუმცა, შემდგომში სამკარიანი ვერსიაც შეიძლება გაჩნდეს). და მაინც, მთავარი „დარტყმა“ დიზაინერებმა ავტომობილის ინტერიერის სფეროში მოამზადეს. როგორც ჩანს, FIESTA UAV-ის სალონი არამარტო ანალოგიურ ყველგანმავლებში, არამედ საერთოდ, დღეს გამომაგალ ავტომობილებშიც ყველაზე უნი-

ვერსალური იქნება. სტანდარტულ კომპლექტაციაში მანქანას უკანა ნაწილში ასაკეცი ტენტი ექნება, რომელიც ადვილად შეიძლება გადაკეთდეს ჩვეულებრივ სახურავად, კარვად, ან კიდევ – პიკნიკის დროს მოსახერხებელ მაგიდად ან, წარმოიდგინეთ... საშხაპედაც კი! ამრიგად, იმის მტკიცება, რომ FIESTA UAV-ი ქალაქის მანქანაა, თვით მისი შემქმნელების მიერვე უარყოფილად შეიძლება ჩაითვალოს.



კომპანიის გეგმით, ეს მოდელი საკ-

მაოდ იაფი უნდა იყოს: წინასწარი გაანგარიშებით, მისი ფასი 15.000 ლოლარს არ გადააჭარბებს. და თუმცა არც ეს არის მცირე თანხა, ყველა ჯიპი გაცილებით მეტი ღირს.

სად დავისვენოთ?



ბორჯომის ჯგუფის კურორტები

საქართველოს კლიმატურ-ბალნეოლოგიურ კურორტებს შორის ბორჯომის ჯგუფის კურორტებს უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე (700-2200 მეტრამდე) განლაგებული მთის კლიმატური სადგურებით და მინერალური წყაროების სიუხვით, ეს გრანდიოზული კურორტული ზონა, მართლაც შეუდარებელია. ეს ბუნებრივად მდიდარი რაიონის ტერიტორია თანდათან გადადის ალპურ ზონაში და ცხრაწყაროს მთის მწვერვალით მთავრდება (ზღვის დონიდან 2680 მეტრის სიმაღლეზე), რომელიც გამოირჩევა მზის ამოსვლის განსაცვიფრებლად ლამაზი სურათით.

აღნიშნული რაიონის ღირსშესანიშნავი კურორტები და სამკურნალო ადგილებია: ბორჯომი (ლიკანთან ერთად), წალვერი, დიდი ცემი, ტბა, პატარა ცემი, ბაკურიანი, ციხისჯვარი, სადგერი, დაბა, მზეთამზე, კიმოთესუბანი, მაჭარწყალი, ახალდაბა, დიდი მიტარბი და პატარა მიტარბი. ამ კურორტებზე არაჩვეულებრივ, მთის კლიმატთან ერთად უხვად არის სხვა-

დასხვა ტიპის ძვირფასი სამკურნალო წყარო.

ნადვერი

ბორჯომიდან 14 კმ-ითაა დაშორებული, ზღვის დონიდან 1025-1100 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ყოველი მხრიდან წიწვიანი ტყით დაფარული მთებით არის გარემოცული. მისი ძირითადი ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორია, ზომიერად ტენიანი სუფთა ჰაერი და მზის რადიაციით მდიდარი ჰავა, აგრეთვე ჰიდროკარბონატულ-კალციუმიანი ნატრიუმიანი მინერალური წყაროები, რომლის ზოგადი მინერალიზაცია 3,0 გრამს აღწევს, ხოლო აქტიური რკინის რაოდენობა კი, თითოეულ ლიტრში 12 მილიგრამს აღემატება. ასეთი შესამებულები მონაცემები წალვერს კომბინირებულ დაავადებათა კომპლექსური მკურნალობის საშუალებას უქმნის, კერძოდ კურორტის ჰავა ნაჩვენებია ქრონიკულ გასტრიტებთან (კუჭის ანთება), ჰეპატოქოლეცისტიტებთან (ნაღვლის ბუშტისა და ღვიძლის ანთება) და საშარდე გზების დაავადებებთან კომბინირებული ქრონიკული ბრონქიტის, მშრალი პლევრიტის, მსუბუქი და საშუალო სიმძიმის ბრონქული ასთმის, მეორადი

ანემიის (სისხლნაკლებობა), მაღარი-ის, ლიმფადენიტების (ლიმფური ჯირკვლების ანთება) დროს.

უკუჩვენებებია: გულ-სისხლძარღვთა დაავადებები კომპენსაციის დარღვევით, ფილტვების ღია აქტიური ტუბერკულოზი, ნეფროზო-ნეფრიტები და საშარდე და სანაღვლე გზების კენჭოვანი დაავადებანი.

მზეთამზე

წალვერიდან 1,5 კმ-ითაა დაშორებული. ზღვის დონიდან 1100-1150 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ეს ადგილი ფართო დაავადება და საუცხოო ფიჭვნარით და ძალზედ ლამაზი ადგილმდებარეობით გამოირჩევა.

დიდი ცემი

წალვერზე მაღლაა – 1150-1200 მ ზღვის დონიდან.

ტბა

– 1200 მ ზღვის დონიდან. აქვეა მაღალი მინერალიზაციის (3,5 გ) ქლორიდულ-ჰიდროკარბონატულ კალციუმიანი-ნატრიუმიანი წყალი.

პატარა ცემი

– 1370 მ ზღვის დონიდან.

ციხისჯვარი

– 1800 მ ზღვის დონიდან, მას უჭირავს წიწვიანი (ფიჭვნარი) ტყით მდიდარი დიდი პლატო, რომელიც ყოველმხრივ მწვანით დაბურული ტყეებითა და მთის მწვერვალებით არის გარემოცული. სოფელ ციხისჯვარიდან სამი კილომეტრის დაშორებით გამოდის თერმულ-გოგირდოვანი რადიქტიური წყაროები. ყველაფერი ეს ციხისჯვარს მომავალი კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტის მდიდარ პერსპექტივას უქმნის. სამკურნალოდ აქ სხვადასხვა დაავადებაა ნაჩვენები, რომელიც კომპლექსურ კლიმატურ-ბალნეოთერაპიას საჭიროებს.

ბაკურიანი

– 1650-1800 მ ზღვის დონიდან. მისი ჰავა მშრალია, ახასიათებს თანაბარი ტემპერატურა და ნალექების ზომიერი რაოდენობა.

ჩვენებანი: სასუნთქი გზების არასპეციფიკური დაავადებები, მეორადი ანემია, რაქიტი, ბრონქული ასთმა.

ეზოტიკა

შორეულ ქვეყნებში დასვენების მოყვარულთათვის

ეზოტიკურ ქვეყნებში მოხვედრისას, ჩვენთვის უჩვეულო ბევრ დაავადებას შეიძლება გადაყაროთ, ამიტომ ძალიან ფრთხილად უნდა იყოთ. სად რა სენია გაფრცელებული — ამის შესახებ რამდენიმე სასარგებლო ცნობას მოგაწვდით.

ამებიაზი (ამებური დიზენტერია) — კუჭ-ნაწლავის დაავადება, რომელსაც ამება იწვევს. მას ახასიათებს მსხვილი ნაწლავის წყლულოვანი დაზიანება, კუჭის აშლა, ლორწოიანი და სისხლიანი განავალი. დაავადება გავრცელებულია დაბალი სანიტარულ-ჰიგიენური კულტურის ქვეყნებში. ტროპიკული ზონიდან დაბრუნებულმა ტურისტებმა უნდა გაიარონ შემოწმება ამებიაზზე. პროფილაქტიკა გულისხმობს პირადი ჰიგიენის წესების დაცვას, სასმელად მხოლოდ ანადუღარი წყლის გამოყენებას.

აფრიკული ტრიპანოსომოზი — გვხვდება მხოლოდ აფრიკის ზოგიერთ რეგიონში. ადამიანს გადაეცემა დაავადებული ცხოველებისგან, ბუზი ცეცეს მეშვეობით. დაავადების დროს გადიდებულია ლიმფური კვანძები, მომატებულია სხეულის ტემპერატურა, ჩნდება გამონაყარი, შეშუპება, ფიზიკური სისუსტე, ხოლო ნერვული სისტემის დაზიანებისას — ფსიქიკის დარღვევა და ძილიანობა. ეს სიმპტომები გამოავლენება ხოლმე ბუზი ცეცეს ნაკბენიდან 2-3 კვირის შემდეგ.

ყვითელი ცხელება — ვირუსული დაავადებაა, რომელიც გავრცელებულია აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში. ადამიანს გადაეცემა ცხოველებისგან. გადამტანია კოლო, რომლის ნაკბენიდან მე-3-მე-4 დღეს მკვეთრად მატულობს სხეულის ტემპერატურა. აღინიშნება მოუსვენრობა, შეშუპება, პირღებინება, სიყვითლე, სისხლდენა ნაწლავიდან. დაავადება გრძელდება 10-15 დღეს და შეიძლება სიკვდილით დაითავრდეს. პროფილაქტიკის მიზნით, ტროპიკებში მიმავალ ყველა ადამიანს 10 დღის განმავლობაში უკეთდება პროფილაქტიკური აცრები, რომელიც უმტკივნეულოა და გართულებებს არ იწვევს.

მალარია — გადამტანია კოლო მალარია, რომელიც კბენისას ადამიანის ორგანიზმში ნერწყვით შეიტანს პარაზიტებს. ტროპიკული მალარიის დროს კბენის მომენტიდან დაავადების დაწყებამდე 9-15 დღეა. დაავადების შეტევებს ახასიათებს მალალი ტემპერატურა, ძლიერი ოფლდენა, ზოგჯერ — პირღებინება. პროფილაქტიკის მიზნით, მალარიის გავრცელების ადგილებში გამგზავრებამდე 2 კვირით ადრე, უნდა მიიღოთ მალარიის საწინააღმდეგო პრეპარატები, აგრეთვე — დაბრუნებისას, ერთი თვის განმავლობაში.

ექინოკოკოზი — ჰელმინთოზია (ჭიით ინვაზია), რომლის გამოწვევით, სქესობრივი სიმწიფის სტადიაზე პარაზიტობს ძალღში, მგელში, მელაში და სხვა მტაცებლებში. ადამიანი ავადდება, თუ ამ ცხოველებთან კონტაქტის დროს გადაყლაპავს ჭიის კვერცხს. კვერცხი შეიძლება მოხვდეს ველურად მზარდი კენკრის ნაყოფზე. ავადმყოფს უავადდება ღვიძლი. აწუხებს



მუცლის ტკივილი, სიყვითლე, ტკივილი გულმკერდში, ხველა.

ექინოკოკოზის პროფილაქტიკაა ძალღების სისტემატური ვეტერინარული კონტროლი. ძალღთან ყოველი კონტაქტის შემდეგ და ჭამის წინ აუცილებლად უნდა დაიბანოთ ხელები, არ უნდა მისცეთ უფლება ძალღს, დაწვეს ლოგინში და ა.შ.

მისტოსომოდოზი — ჰელმინთოზია, რომელიც უპირატესად, გავრცელებულია აზიაში, აფრიკაში, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში. მსოფლიოში 200 მილიონამდე ადამიანს აქვს ეს დაავადება. გამოწვევია 4-26 მმ სიგრძის ჭია. დაავადება იწყება კანის ქავილით პარაზიტის შეღწევის ადგილას, ცხელებით. შემდგომ ამ სიმპტომებს ემატება კუჭის აშლა სისხლიანი განავლით და სისხლიანი შარდვა.

პროფილაქტიკის მიზნით, ნუ იბანავებთ მტკნარ წყალსაცავებში, ნუ ივლით მის მახლობლად სველ ბალახზე და ქვიშაზე ფეხშიშველი.

ამერიკული ტრიპანოსომოზი — ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში. დაავადების გადამტანია ბაღლინჯო, ხოლო წყარო — გარეული ცხოველები. დაკბენის მომენტიდან 2-3 კვირის შემდეგ ჩნდება ფურუნკულის მსგავსი კერა, მატულობს ტემპერატურა, დიდდება ლიმფური კვანძები, ღვიძლი და ელენთა, ავადმყოფს აქვს შეშუპება. პროფილაქტიკის მიზნით, უნდა მოერიდოთ ბაღლინჯოსთან კონტაქტს. კეთილმოწყობილ, ევროპული ტიპის სახლში მცხოვრები ტურისტები ამ დაავადებას იშვიათად გადაეყრებიან.

პარაგონიმიოზი — გავრცელებულია შორეულ აღმოსავლეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. დასნეულებას იწვევს ჭიით დაავადებული, თერმულად დაუშუშავებელი კიბორჩხალის ჭამა. ფარული პერიოდი 6 კვირაა. ზიანდება ფილტვები, ავადმყოფს აქვს ქოშინი და ხველა. პროფილაქტიკის მიზნით, უნდა მოერიდოთ იაფფასიან ბარებსა და რესტორნებს, სადაც ხშირად ირღვევა ჰიგიენის წესები.

მომავალ თამარ ბაბასაშვილა



კითხვა

კანსი

– თქვენი ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში წავიკითხე სტატია მინერალების შესახებ, სადაც აღნიშნული იყო, რომ ინსულინის წარმოქმნისთვის აუცილებელია ქრომი. თუ შესაძლებელია, უფრო დაწვრილებით გვიაბეთ ამ მიკროელემენტზე. რომელ პროდუქტებში შედის ქრომი?

– ქრომი ბერძნულად „კანს“ ნიშნავს. შემთხვევითი არ არის, რომ ქრომით ფარავენ მეტალის საგნებს, რათა დაიცვან ისინი კოროზიისგან. ეს საფარველი აუმჯობესებს ნაკეთობათა გარეგნულ სახეს და იმავდროულად ახანგრძლივებს მათი მოხმარების ვადას. იმავე ფუნქციას ასრულებს ქრომი ორგანიზმში. კერძოდ:

1) ხელს უწყობს კუჭქვეშა ჯირკვლის ჰორმონს – ინსულინს სისხლში შაქრის დონის რეგულაციაში და ამგვარად ეწინააღმდეგება დიაბეტის განვითარებას.

2) აფერხებს ორგანიზმიდან რკინისა და თუთიის ინტენსიურ გამოსვლას, რასაც ადვილი აქვს სტრესული სიტუაციების დროს.

3) ხელს უწყობს ქსოვილთა ზრდას და რეგენერაციას (აღდგენას).

4) აწესრიგებს ქოლესტერინის ცვლას.

5) ამყარებს იმუნიტეტს, ზრდის ორგანიზმის წინააღმდეგუნარიანობას გაცივების და ინფექციების მიმართ.

ქრომის დღეღამური დოზის ნორმა 2-2,5 მგ-ია, მაგრამ ასაკის მატებისას, აგრეთვე გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, შაქრიანი დიაბეტის, ორსულობის დროს ორგანიზმის მოთხოვნილება მასზე მატულობს. ამ მიკროელემენტს ადამიანი ძირითადად იღებს შემდეგი პროდუქტებით: პომიდორი, სიმინდი, ვაშლი, ძროხის და ქათმის ხორცი, კვერცხი, ყველი. მაგრამ ყველაზე დიდი რაოდენობით ქრომს შეიცავს: ლობიო, ბარდა, სოია, საქონლის ღვიძლი, ლუდის საფუარი. იმისათვის, რომ თქვენმა ორგანიზმმა ქრომი კარგად აითვისოს, რაციონში არ უნდა იყოს კალციუმის დიდი რაოდენობა, რომელიც ამცირებს მის შეწოვას. ამასთან, ძალიან დიდხანს არ უნდა ხარშოთ ხორცი, თევზი და ბოსტნეული, რათა ეს ღირებული ნივთიერება მასში შენარჩუნებულ იქნას.

ქრომის უკმარისობა განვივითარდებით მაშინ, თუ გიყვართ ცომეული და ნახშირწყლებით მდიდარი საკონდიტრო ნაწარმი. მის დეფიციტს ადვილი აქვს ხოლმე შაქრიანი დიაბეტის დროს. ქრომის უკმარისობის ნიშნებია: გაღიზიანებულობა, ადვილად დაღლა, ხელ-ფეხის მსუბუქი დაბუყება, შაქრის შემცველობის ზრდა სისხლში.

თქვენი პატარა



სამკურნალო თამაშები

ბავშვთა ფსიქოლოგები გვირჩევენ, რომ ნერვული დაძაბულობის მოხსნა, დამშვიდება, მოღუწება სხვადასხვა თამაშით განვახორციელოთ.

აავსეთ აბაზანა თბილი წყლით და ჩასვით ბავშვი სათამაშოებთან ერთად. აუცილებელი არ არის გემები ან რეზინის თოჯინები. ბავშვები წყალში გატაცებით თამაშობენ ნებისმიერი ნივთით, რომელშიც შეიძლება დაგროვდეს წყალი. ამდენად, სასაუნე ან ღრუბელიც სასვებით საკმარისი იქნება. წყალს შეგიძლიათ დაამატოთ დამამშვიდებელი ბალახების ნახარში ან სპეციალური მარილი. დროდადრო აბაზანაში უნდა ჩაასხათ ხოლმე ცხელი წყალი, რათა იგი არ გაცივდეს.

ბავშვებს ძალიან უყვართ წყლით თამაში პირსაბანთან ან ჯამში, რომელსაც მას სამზარეულოში პატარა სკამზე დაუდგამთ. რა თქმა უნდა, იატაკზე დაღვრილი წყალი დამატებით პრობლემებს გიქმნით, მაგრამ ეს გასართობი პატარაზე დამამშვიდებელ ეფექტს ახდენს.

ბავშვს სათამაშო კუთხეში დაუდგით ქვიშით სავსე ჯამი. ქვიშა წინასწარ უნდა გაირეცხოს. ამის გაკეთება იოლია: ჩაყარეთ ჯამში, დაასხით წყალი, გაავლეთ, წყალი გადაღვარეთ, გაიმეორეთ რამდენჯერმე. როცა ქვიშა გაშრება, იგი საკმაოდ სასიამოვნო გასართობი გახდება ბავშვისთვის. ნუ გეშინიათ, ქვიშა „სუფთა ჭუჭყია“: ის ადვილად იბერტყება ტანსაცმლიდან და იგვება. გაცილებით მოსახერხებელია, ვიდრე პლასტიკინი.

ბავშვს უნდა ჰქონდეს გაბრაზების, წყენის, გაღიზიანების გამოხატვის დაკანონებული საშუალება. ნუ დაუშლით ბალიშის „ცემას“, ქალაღის დახვევას, ფეხების ბაკუნს. დაეხმარეთ პატარას, დახარჯოს თავისი სიბრაზე ისე, რომ ირგვლივ ყველაფერი არ დაღეწოს.

ნუ აუკრძალავთ ბავშვს სიმბოლური ფორმით გამოვლენილ აგრესიულ თამაშებს, თუკი ის არავის უქმნის რეალურ საშიშროებას. შეიძლება თქვენმა შვილმა

ქალაღის ფურცელზე გაითამაშოს მთელი ომი – ავტომატის ჯვრით, აფეთქებებით, ზოგჯერ თოჯინა აიძულოს, გადმოვარდეს ცხენიდან, დაიხრჩოს ზღვაში, ჩავარდეს ზვიგენის კბილებში. თქვენთვის საკმაოდ უსიამოვნო მოსასმენი და საყურებელია ეს პროცესი, მაგრამ ამგვარი თამაშით პატარა თავის ბრახსა და წყენას ანეიტრალდება. მოზარდები, განსაკუთრებით მაშინ იგონებენ აგრესიულ თამაშებს, როცა გაღიზიანებულები, ნაწყენები არიან.

მაგრამ თუ ბავშვი ერთსა და იმავე სიუჟეტს რამდენჯერმე იმეორებს, უკვე ნამდვილად გაქვთ შემფოთების საფუძველი და აუცილებლად უნდა მიმართოთ ფსიქოლოგს.

ბავშვებს უყვართ სირბილი, ხტუნვა, ჭიდაობა, წივილ-კივილი. უფროსებს კი ეს არ სიამოვნებთ. მაგრამ თუ თქვენი პატარა თავის კომპანიაში ანალოგიური მეთოდით ერთობა, ნუ აიძულებთ მას, სასწრაფოდ დაჯდეს ტელევიზორთან.

დედებსა და მამებსაც ვურჩევთ, ხანდახან თავადც ჩაებნენ თავიანთ შვილთან ჭიდაობაში: ამით თქვენ მას დიდ სიამოვნებას მიანიჭებთ და, მაშასადამე, სტრესს მოუხსნით.

ღიასახლისის კუთხა

კერძის მომზადების დაწყებამდე უნდა განვსაზღვროთ, თუ რა დროისათვის უნდა იყოს მზად: სასურველია, კერძი მომზადდეს მისი სუფრაზე მიტანის მომენტისთვის; გაცივებული საჭმლის გაცხელება ასუსტებს მის გემოს, ნოყიერებასა და სარგებლანობას.

დიდი მნიშვნელობა აქვს პროდუქტის შერჩევას ყიდვის დროს. მასზე ბევრად არის დამოკიდებული კერძის გემო და ხარისხი. როცა ყიდულობთ პროდუქტს, ეცადეთ, იყოს საუკეთესო ხარისხის, ახალი. არ შეცდეთ არჩევის დროს.

კარგი ხარისხისა და გემრიელი **საქონლის ხორცი** უნდა იყოს წითელი, ოდნავ მოყვითალო ქონით. ძალიან მუქი ხორცი, ყვითელი ქონით – მაგარი და უგემურია. **ხბოს ხორცი** კარგია, თუ მას ღია წითელი ფერი და საკმაო სიმსუქნე აქვს.

ცხვრის ხორცი საქონლის ხორცზე უფრო მკრთალი ფერისაა. მოთეთრო ან მოშავო ხორცი დაავადებული ცხვრისაა.

ღორის ხორცს უნდა ჰქონდეს მოთეთრო ვარდისფერი, თეთრი და მაგარი ქონით, თუ კანი სქელი და მაგარია, ხოლო კანსა და ქონს შორის მოლურჯო ხაზი ჩანს, ღორი ბებერი ყოფილა, ხორცი კი – მაგარი და უგემური იქნება.

თევზი სრულიად ახალი ან გაყინული უნდა ვიყიდოთ. მას არ უნდა ჰქონდეს ჩაცვენილი, ჩალურჯებული თვალები და



ლაყუჩები, ლორწოვანი ღია ვარდისფერი უნდა იყოს, ხოლო ფხები ქსოვილიდან გარეთ არ უნდა გამოდიოდეს.

ყვავილოვანი კომბოსტო საშუალო ზომისა უნდა იყოს. ირგვლივ მწვანე ფოთლები არ უნდა იყოს ძალზე მაგარი. ყვავილების სიმჭიდროვე და თეთრი ფერი, კომბოსტოს კარგი ხარისხის მაჩვენებელია.

ისპანახსა და მქაუნას უნდა ჰქონდეს მწვანე და ქორფა ფოთლები. თუ ღეროები გამაგრებულია და ფოთლებზე აქვს წინწკლები, მაშინ გადაწვივებული და უვარგისია.

მწვანე ლობიო ადვილად უნდა ტყ-

დებოდეს, გვერდზე არ უნდა ჰქონდეს ძაფები, გულში კი, ნახევრად განვითარებული მარცვლები კარგია.

ლობიო მრავალნაირი ჯიშისაა. თუ ამოლესილ ლობიოს აკეთებთ, უნდა შეარჩიოთ წითელი. მოსახრაკად, „გურული“ ლობიო სჯობს.

კარგი ხარისხის კომბოსტო მრგვალი ფორმისაა, ფოთლები ერთმანეთზე მჭიდროდ არის მიკრული, ფერი თეთრი, ოდნავ მომწვანო უნდა ჰქონდეს.

ბოლოკი არ უნდა იყოს ფუყე. გარედან წითელი შებოთი გულით – საუკეთესო ჯიშისაა.

კიკრი პატარა ზომის, ქორფა აარჩიეთ. დამწიფებული, ზედმეტად წვნიანი და უგემურია.

კარგოფილს უნდა ჰქონდეს თხელი კანი. თუ გადაჭრით კარტოფილს, ნაჭრებს ერთმანეთზე წაუსვამთ და აქაფდება, კარტოფილი კარგი ხარისხისაა.

ჩაასხით **რძე** ერთ კილოგრამიან მინის ქილაში. ქილის იქით დადგით ანთებული სანთელი. გახედეთ რძიან ქილაში: თუ რძე უწყლოა, ანთებული სანთელი არ უნდა გამოჩნდეს.

მწიფე სამამთროს ყუნწი გამოშრალი აქვს, კანი პრიალა, მკვრივი, მკვეთრი ნახატი. იმ გვერდზე, რომლითაც სახამთრო მიწაზე იდო, შეიძლება ყვითელი ლაქა ჰქონდეს.

თქვენს გასინჯა

თეთრთავიანი კომბოსტოს სალათა

(სტაფილოიანი, ყველიანი და შაშხიანი)



პროდუქტები: ერთი თავი პატარა კომბოსტო, ერთი ცალი სტაფილო, 250 გრამი შაშხი, ოთხი თხელი ნაჭერი თეთრი პური, 150 გრამი ყველი, 200 გრამი არაყანი, ერთი ჩაის კოვზი ძლოვკი, სამი სუფრის კოვზი ზეთი, ორი სუფრის კოვზი ძმარი, მარილი, დაფქული შავი პილპილი.

მომზადების წესი: კომბოსტო დაგვეპოთ, სტაფილო გავხეხოთ მსხვილი სახეხით, შაშხი, ყველი და პური კი (პურის გული) დავევრათ პატარა ოთხკუთხედად, რის შემდეგაც პური შევწვათ კარაქში.

სასალათეში ფენებად ჩავაწყობთ კომბოსტო, ყველი და შაშხი, კომბოსტოს დავაყაროთ სტაფილო, დავაწყობთ გახუხული პურის თხელი ნაჭრები და გადავასხათ საწებელა, რომელიც შემდეგნაირად უნდა დავამზადოთ: ძლოვკი, არაყანი და ზეთი ავთქვიფოთ ერთმანეთში და შევანელოთ მარილითა და პილპილით. სუფრაზე მიტანამდე სალათა ავურიოთ.

ყველის წვნიანი

მასალა: ოთხი სუფრის კოვზი კარაქი, ერთი თავი ხახვი, ორი ცალი სტაფილო, სამი სუფრის კოვზი ფქვილი, მარილი, დაფქული შავი პილპილი, ერთი ჭიქა დაფხვნილი ყველი და, თუ გნებავთ – ერთი ცალი ცხარე წიწაკა.

წვრილად დაჭრილი ხახვი და სტაფილო კარაქში მანამდე შუშეთ, სანამ დარბილდება, დაუმატეთ ფქვილი, ერთ წუთს კიდევ შუშეთ და თან აურიეთ. ამის შემდეგ დაასხით 4-5 ჭიქა ცხელი წყალი ან ბულიონი და წამოადუღეთ. მოურიეთ, უყავით მარილი და წიწაკა. კიდევ 20 წუთს ადუღეთ. შემდეგ ჩაუმატეთ ყველი და ურიეთ, სანამ გადნება. თუ გსურთ, წვნიანს ჩაუმატეთ წვრილად დაჭრილი მწვანე წიწაკა.



მოამზავეთ თამარ მამასაშვილმა

ამასთან ერთად კი, შანხაის იატაკქვეშა სამყაროსთან ურთიერთობასაც არ თავი-ლობდა, რომელშიც სხვადასხვა საიდუმლო საზოგადოება, არალეგალური ბიზნესი და მავიოზური სტრუქტურები შედიოდა. მაგრამ მიზანი საშუალებას ამართლებდა, წარმატებისკენ მიმავალი გზა კი არასოდეს არის ია-ვარდით მოფენილი. ჩანს, ლავირება უხდებოდა, ის კომპრომისზე მიდიოდა და თავისი მიზნის მისაღწევად მზად იყო, გარიგება თვით ეშმაკთანაც დაეღო. მიზანი კი მას ერთი ჰქონდა — ჩინეთის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონობა. ქვეყანა ერთ-პიროვნულად რომ ემართა, საჭირო იყო პარტიის პირველი პირი გამხდარიყო, თანაც, ერთდროულად, ხელისუფლებასაც ჩასდგო-მოდა სათავეში და არმიის უმაღლესი მთავარსარდლის პოსტიც დაეკავებინა. ერთ-საც, მეორესაც და მესამესაც ჩან კაიშიმ 1928 წელს, სუნ იატსენის სიკვდილიდან ორი წლის შემდეგ მიაღწია. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მან ჩრდილოეთის პირველი (რვათვიანი) ლაშქრობა განახორციელა, რომლის შედეგად ჩაახშო მილიტარისტული წრეების გამოსვლები და ქვეყანა გომინდანის ძალაუფლების ქვეშ გააერთიანა, მას მერე, რაც ინტრიგებითა და პოლიტიკური კომბინაციებით, პარტიასა და ხელისუფლებაში უმაღლეს თანამდებობაზე მოსვლის მსურველი სხვა პრეტენდენტები ჩამოიშორა. ჩანმა მამინევი დიადი მეზობელი მმართველის მეთოდები — მზაკვობა, ვერაკობა და დაუნდობლობა გააძლიერა. თავისი მტრები ხალხის მტრებად, პარტიული და სახელმწიფო ინტერესების მოღალატეებად გამოაცხადა, ხელისშემშლელი პროფკავშირების ლიდერები დააპატიმრა და მემარცხენე მოძრაობა, რომელსაც კომუნისტები ედგნენ სათავეში — სრულიად გაანადგურა. ის დაუნდობლად და მტკიცედ მოქმედებდა — მიზანი, როგორც ყოველთვის, ამართლებდა საშუალებას.

მას შემდეგ, რაც სახელმწიფო მმართველობის ყველა ინსტიტუტი — მთავრობა, ჯარი, პოლიცია, თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია, გენერალისიმუსის რანგის უმაღლესი მთავარსარდლისა და გომინდანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი დაიკავა და იმას მიაღწია, რაც სურდა — 41 წლის ასაკში უდიდესი ქვეყნის სრულუფლებიანი, ერთპიროვნული მმართველი გახდა.

თითოეული დიქტატორი ცდილობს, გარდაქმნას ადამიანები და სამყარო. ყოველი მათგანი ამ გარდაქმნებს თავისი ერთიანი და ქვეყნიდან იწყებს და ყოველი მათგანი ამ გზაზე მარცხდება.

XX საუკუნის დიქტატორთა შორის ჩან კაიშიმ გამოჩაჩივდა არ წარმოადგენდა. მან ისევე, როგორც ყველამ, ვინც აბსო-



გენერალისიმუსმა ჩან კაიშიმ 2 მლნ კაცს იარაღი აასხა და მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი არმია შექმნა

ლუტურ ძალაუფლებას მიაღწია, ცხოვრების ორ ნაწილად გახლეჩა და ახალი ფურცლიდან ისტორიის დაწყება მოინდომა. ამავე დროს, ის მკვეთრად განსხვავდებოდა სტალინისგან, ჰიტლერისა და მუსოლინისგან — აღმოსავლეთი ხომ მაინც აღმოსავლეთია: 1931 წელს ქრისტიანობაზე გადასულმა ჩან კაიშიმ ვერ შეძლო კონფუციუსის გავლენისგან ბოლომდე თავის დაღწევა და სურდა, რომ მთელ საზოგადოებას უდიდესი მასწავლებლის პოსტულატების მის მიერ განახლებული ვარიანტის მიხედვით ეცხოვრა.

შეიძლება თუ არა, გუშინდელი დღე განვიხილოთ როგორც სიკვდილის უკამი, დღევანდელი კი — როგორც სიცოცხლის უკამი, გაათავისუფლოთ თავი წარსული სიავისგან და შექმნა ახალი ერი? შესწევს კი ჩვეულებრივ ადამიანს იმის ძალა, რომ ახალი ერის შექმნის პასუხისმგებლობა იტვირთოს? განა შეუძლია ჩვეულებრივ მოქალაქეს, ერთ ღონეზე, ფლობდეს ცოდნას, იყოს მორალურად წმინდა და ყოველთვის მოქმედებდეს თავისი დანაპირების შესაბამისად? გენერალისიმუსი თვლიდა, რომ შეიძლებოდა კი არა, ასეც იყო საჭირო, და ყველა ჩინელს შესწევდა ძალა, ემოქმედა სახელმწიფოს მიერ დასმული მოთხოვნების შესაბამისად.

1932 წლის თებერვალში ნანჩანში გამართულ მიტინგზე სიტყვით გამოსულმა ჩან კაიშიმ ქვეშევრდომებს მოუწოდა, დაეწყეთ „მოძრაობა ახალი ცხოვრებისკენ“. „მოძრაობას“ ასეთი ოფიციალური ლოზუნგით უნდა ეხელმძღვანელა: „მართებული ქცევა, სამართლიანობა, პატიოსნება, საკუთარი ღირსების გრძნობა“. ჩანაფიქრის თანახმად, მოძრაობის პრინციპები, შემდგომში მთელი ერის პრინციპებად უნდა ქცეულიყო.


ჩანის „მცნებები“ საუცხოო, მაგრამ იდეალისტური იყო: მკაცრ რეალობას არ სურდა დამორჩილებოდა გენერალისიმუსის მოწოდებებს. ადამიანები მაინც ადამიანებად რჩე-

ბოდნენ — ქურდობდნენ, იაფფასიან არაყს სვამდნენ და ოპიუმს ეწეოდნენ, ატყუებდნენ ერთმანეთს და სახელმწიფოს, ზშირად კარგავდნენ ღირსებას. ის კი გულმოდგინედ და შეუპოვრად განაგრძობდა იდეალური ჩინეთის ძებნას და ცხოვრების „ძველ“ და „ახალ“ პერიოდებად დაყოფას — ხელისუფლებაში მის მოსვლამდე და მოსვლის შემდეგ: თუ „ძველ“ ცხოვრებაში ჩინელებს შეეძლოთ სიბინძურეში ყოფნა, ფურთხება და ბუნებრივი მოთხოვნილების ნებისმიერ ადგილას დაკმაყოფილება, „ახალ“ ცხოვრებაში ამ ყველაფრისთვის წერტილი უნდა დაესვათ.

„სიტყვას“ „საქმეც“ მოჰყვა. ერთიმეორის მიყოლებით, წესრიგისა და სისუფთავის დასაცავი ორი კამპანია ჩატარდა. გარკვეული დროის მანძილზე ქვეშევრდომები აჰყვნენ მოწოდებას, მაგრამ სისუფთავეს ადამიანს ძალით ვერ მიაჩვენებ, — და სულ მალე ყველაფერი ძველ დინებას დაუბრუნდა: კამპანია ჩაიშალა, ყოვლისმომცველი სისუფთავე და წესრიგი კი ჩინეთში ვერ დამყარდა. გამოცდილი პოლიტიკოსი და ნიჭიერი სამხედრო, ჩან კაიშიმ ადამიანის ბუნებასთან და ცხოვრების ეროვნულ ადამიანთან ბრძოლაში დამარცხდა. ადამიანები ისევ გარემოებების შესაბამისად იქცეოდნენ და საკუთარი ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ.

ზემოდან წამოსული ბრძანების მიუხედავად, ხალხის ყოფა-ცხოვრება არ იცვლებოდა.

მაგრამ ჩან კაიშის მაინც უნდა მიეგოს სათანადო პატივი: სხვა დიქტატორებისგან განსხვავებით, რომლებიც არათუ დამარცხებას, არამედ შეცდომებსაც არასოდეს აღიარებდნენ, გენერალისიმუსმა თავისი მარცხი, მართალია ირიბად, მაგრამ მაინც აღიარა: როცა გომინდანის ლიდერს 50 წელი შეუსრულდა, მან ხალხს მიმართა და განაცხადა, რომ აღმშენებლობისკენ მიმავალი გზა



ერთ დროს ჩინეთის ერთპიროვნული მმართველი თავის უკანასკნელ დღეებს მშვიდობიან პაგრაირქად აგარებდა...

უძიძე და უგრძესი იქნებოდა. 1947 წელს პირველი წინასაარჩევნო კამპანია გამოცხადდა. მოქალაქეებს ქვეყნის პირველი პრეზიდენტი უნდა აერჩიათ. აიპონიასთან ომისა და კომუნისტების წინააღმდეგ წარმატებული სამხედრო ოპერაციების შემდეგ ჩანმა რეჟიმის „დემოკრატიზაციისკენ“ გამოზნული ნაბიჯების გადადგმა გადაწყვიტა. „დემოკრატიზაციას“ თან სდევდა ტერორი სხვაგვარად მოაზროვნეთა წინააღმდეგ და გომინდანის ერთადერთი ლეგალური ოპოზიციის „დემოკრატიული ლიგის“ მოღვაწეობის აკრძალვა. პრეზიდენტის პოსტზე პრეტენზიას სუნ

იატსენის ქვრივი სუნ ცინლინი და ჩან კაიში აცხადებდნენ. გენერალისიმუსის გამარჯვებაში ეჭვი თითქმის არავის ეპარებოდა – არჩევანის თავისუფლება მხოლოდ მოჩვენებითი იყო. 1948 წლის აპრილში ჩინეთის პრეზიდენტად ჩან კაიში აირჩიეს, მაგრამ მისი პრეზიდენტობა დიდხანს არ გაგრძელდებოდა: როგორც კი ჭრილობები მოიშუშა, ჩინეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელმა არმიამ კომუნისტების ხელმძღვანელობით, გომინდანის ძირითადი ძალების განადგურება შეძლო.

1949 წლის 21 იანვარს ჩან კაიში იძულებული გახდა, ოფიციალურად გადა-

მდგარიყო პრეზიდენტის პოსტიდან. 23 იანვარს ჩინეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელი არმია, რომელსაც პრაქტიკულად არავინ უწევდა წინააღმდეგობას, პეკინში შევიდა. ჩან კაიში პრეზიდენტი აღარ იყო, მაგრამ პარტიამ ლიდერობა და არმიის მეთაურობა მაინც შეინარჩუნა.

თუმცა მთავარი ის იყო, რომ მის ხელში დარჩა კონტროლი სახელმწიფოს ფინანსებზე. მართალია, ის უკვე ხვდებოდა, რომ მათ ძედუნთან ბრძოლა წაგებული ჰქონდა და ცოტადაა რჩებოდა იქამდე, რომ მთელი კონტინენტური ჩინეთი კომუნისტების მმართველობის ქვეშ გადასულიყო. ისინი სთავაზობდნენ ჩანს, „შეერთებულ შტატებში ან ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში გამგზავრებულიყო, მაგრამ მას ძალაუფლება ერჩია – თუნდაც არა კონტინენტზე, კუნძულზე მაინც – მაგრამ ძალაუფლება. და ჩან კაიშიმ გასცა ბრძანება – ტაივანზე გაეზავნათ მისი ერთგული სამხედრო ნაწილები – სამხედრო-საჰაერო ესკადრილები, სამხედრო-საზღვაო შენაერთები და ქვეითი ლივიზიები.

ერთადერთი, რაც რჩებოდა, ეს იყო ჩინეთის ცენტრალური ბანკის ოქროს ფონდის ტაიბეიში გადაზავნა. მან ესეც მოახერხა. 12 მაისს კი შანხაის იმ გამაგრებული რაიონის შტურმი დაიწყო, სადაც ჩანი თავის ვაჟთან – ძიან ძინგოსთან ერთად იმალებოდა. 27 მაისს რაიონი დაეცა, მაგრამ ჩანი იქ არ აღმოჩნდა: ვაჟიშვილთან ერთად მან ტაივანზე გაქცევა მოახერხა. მეორე ჩინეთის პრეზიდენტად სიკვდილამდე, 1975 წლის 5 აპრილამდე რჩებოდა.

ფაქტები დოსიედან

● გომინდანში მიღწეულ აღმასვლამდე ჩან კაიში შანხაიში სამხედრო აკადემიის ინსტრუქტორი იყო, მას ბირჟაზე თამაში და მსუბუქი ყოფაქცევის ქალები იტაცებდა.

● 1931 წლის 31 ივლისს ჩან კაიშიზე ოპოზიციის მხრიდან თავდასხმა განხორციელდა. სამმა ტერორისტმა მისი მანქანა დაკნინდა, ისინი დააკავეს. დაკითხვაზე დამნაშავეებმა აღიარეს, რომ „ეროვნული ხელისუფლების“ – გუანჯოუში ჩანის მოწინააღმდეგეების მიერ შექმნილი ორგანიზაციის დავალებას ასრულებდნენ.

● გომინდანის ლიდერი უმოწყალოდ უსწორდებოდა თავის მტრებს. ციხეებში წამების შუა საუკუნეების დროინდელ მეთოდებს იყენებდნენ. რეჟიმის ზოგიერთი მხვერპლი ორბოებში, ვიწრო გალიებში ჰყავდათ მთავსებული, სიკვდილმისჯილებს კი ხალხის მასების წინაშე ქალაქის მოედნებზე ხვრეტდნენ.

● ხუთი წლის მანძილზე ჩან კაიში ცდილობდა, ცოლობაზე დაეთანხმებინა სუნ ცინლინის უმცროსი და. როცა ცინლინმა ახალგაზრდა სამხედროს და პოლიტიკო-

სის განზრახვა შეიტყო, აღშფოთებულმა შესძახა: „მირჩევნია მეილინი მოკვდეს, ვიდრე ჩან კაიშის ცოლობაზე დათანხმდეს“.

● 30-იანი წლების შუა პერიოდში ჩან კაიშიმ „მოდრობა ახალი ცხოვრებისთვის“ გამოაცხადა. გენერალისიმუსმა უარი თქვა აღკოპოლის მიღებასა და მოწვევაზე, ზომიერად იკვებებოდა, უბრალოდ იცვამდა და ამით ერისთვის მისაბაძი ხდებოდა. საზეიმო მიღებებსა და სადილებზე, სადაც შეუძლებელი იყო სპორტიან სასმელზე უარის თქმა, ჩან კაიშის ნაცვლად, მისი მცველი სვამდა. როგორც წესი, მცველებად სპეციალურად არჩევდნენ მამაკაცებს, რომლებიც სვამდნენ და არ თვრებოდნენ. პირად მაგალითზე საქმე არ შეჩერებულა – ჩან კაიში ცდილობდა, ერისთვის საკუთარი პრინციპები მიეხვია თავს. მან გამოსცა ბრძანება მასობრივი გართობის შეზღუდვის თაობაზე, აკრძალა დამის გასართობი დაწესებულებები, მათ შორის რესტორნებიც.

● სუნ მეილინთან ქორწინებამდე ჩან კაიშის ორი ცოლი ჰყავდა: პირველად ის 14 წლის ასაკში დაქორწინდა და ამ ქორ-

წინებიდან 1909 წელს ვაჟი ძიან ძინგო შეეძინა. მეორე ცოლი იმით იყო ცნობილი, რომ შანხაიში ცხოვრების დროს ერთ-ერთი უძველესი პროფესიის წარმომადგენელი იყო.


● განსაკუთრებით დასავლეთის საზოგადოების თვალში, ჩან კაიშის იმიჯს მნიშვნელოვანწილად სუნ მეილინი ქმნიდა: ის კარგად იყენებდა დიპლომატიასთან, მწერლებთან, ჟურნალისტებთან თავის კავშირებს და ქმრის მოღვაწეობის შესახებ საჭარო ინფორმაციას ავრცელებდა, მას გმირად, გამოცდილ პოლიტიკოსად, მოწიფულ სახელმწიფო მოღვაწედ წარმოაჩენდა.

● ჩან კაიშის იმდენი ტიტული და წოდება ჰქონდა, რამდენიც კაცობრიობის ისტორიაში, არც ერთ პოლიტიკურ მოღვაწეს არ ჰქონია.

● უძველესი ტრადიციის თანახმად, ჩან კაიშის სახელს მუდამ ერთვოდა თანამდებობა ან წოდება: ტუნზაი ძიანი – გენერალისიმუსი, უმადლესი არბიტრი ძიანი, თავმჯდომარე ძიანი, მთავარსარდალი ძიანი, პრეზიდენტი ძიანი და ძიან-გუნ – ანუ იმპერატორი ძიანი, მეუფე ძიანი და ხელმწიფე ძიანი.

კვირის (30 ივლისი - 5 აგვისტო) ასტროლოგიური პროგნოზი

ღობი - 23/VII-23/VIII



თქვენმა კეთილშობილებამ და სულგრძელობამ შეიძლება ზიანი მოგაყენოთ. ნუ მოღუნდებით და ნურც მოიწყენთ. ეს დროებითია და მალე სერიოზული წინსვლა გელით ცხოვრების ყველა სფეროში.

ქალწული - 24/VIII-23/IX



თქვენ საკმაოდ საინტერესო დასკვნება გელით. ნაცნობობა შედარებით მცირეწლოვნებთან თქვენთვის სარგებლიანი იქნება. მომავალში ახალი ნაცნობობაც პერსპექტიული აღმოჩნდება.

სასწორი - 24/IX-23/X



ჩვეულებრივი კვირა გელით. თქვენი ძალებით მოგიწევთ ერთფეროვნების დაძლევა. მოერიდეთ აზარტულ თამაშებს, ახალი მეცნიერების დაუფლება კი თქვენთვის არა მარტო საინტერესო, არამედ მომგებიანიც იქნება.

ღრიანბალი - 24/X-22/XI



ამ კვირას იტორიალეთ ოჯახურ წრეში. დანარჩენებთან ურთიერთობა გაგაღიზიანებთ, ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენები თქვენით დაძლიეთ, ვიდრე სერიოზულ შედეგებს მიაღწევდეთ.

მშვილდოსანი - 23/XI-21/XII



წარმატებული კვირა გელით, ეს აამაღლებს თქვენს ავტორიტეტს. ნუ იქნებით სასტიკნი - ეს სიძნელების დაძლევაში დაგეხმარებათ. თუ უცაბედად „ფეხი გადაგიბრუნდათ“, არ დაღონდეთ, მაგრად დადქით და ყველაფერი კარგად იქნება...

თხის რქა - 22/XII-20/I



კვირის დასაწყისში ბევრ ახალ ნაცნობსა და ახალ ინფორმაციას შეიძენთ. შესაძლოა მივლინებაში მოგიწიოთ წასვლა. ხუთშაბათს ფრთხილად იყავით, მიხედეთ ოჯახსა და საკუთარ ჯანმრთელობას. უქმე დღეებში დაისვენეთ.

მშენებელი - 21/I-19/II



გააკვირეთ თქვენს საქმიანობაში მნიშვნელოვანი საკითხები. შორიდან სიახლეებიც გელით. პარასკევს მიხედეთ საყვარელ ადამიანს, დაემორჩილეთ მის სურვილებსა და ნებას, მაგრამ ზედმეტი არ მოგივიდეთ, რადგან შაბათს ძალები დაგჭირდებათ.

თევზები - 20/II-20/III



კვირის დასაწყისში ნერვიულობა შეგხვდებათ. აღვიღს ვერ იპოვით. სამაგიეროდ, იღბლიანი და სიახლეებით სავსე კვირის მეორე ნახევარი გელით.

მშვილდოსანი - 21/III-20/IV



ამ კვირაში ელოდეთ ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენებს. ერთი მხრივ, წარმატებული საქმე გელით, მეორე მხრივ, არ იქნებით მომთხოვნი საკუთარი თავის მიმართ და უსამართლოდ მოექცევით ირგვლივმოყოფებსაც.

კურო - 21/IV-21/V



ორშაბათ-სამშაბათს უმჯობესია, არ აწარმოოთ სერიოზული საქმიანი მოლაპარაკებები. ფინანსური სიძნელებებიც გელით. მალე თქვენი საქმიანობა უკეთესისკენ წარიმართება და ამას თქვენი საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლისგან შეიტყობთ.

მარცხი - 22/V-21/VI



გაკვირეთ დროის შემდეგ მოგიწევთ თქვენი გეგმების შეცვლა. უმჯობესია, გამოიჩინოთ მოთმინება. კვირის მეორე ნახევარი ბევრად საინტერესო იქნება.

მარცხი - 22/VI-22/VII



ნუ ენდობით შემთხვევით გაცნობილ ადამიანებს, თუ არა და, თავსატეხს გაიჩინეთ. ხუთშაბათს კულტურულ ღონისძიებას დაესწარი. უქმე დღეები საყვარელ ადამიანს მიუძღვნით.

მხოლოდ ქალებისთვის

შეგიძლიათ თუ არა იყოთ უფრო მოხიბლავი?

- 1) შეარჩიეთ თუ არა ვარცხნილობა, რომელიც ძლიან მოეწონი?
 - ა) ამ ვარცხნილობას რამდენიმე წელია ატარებთ - 1;
 - ბ) ორ თვეში ერთხელ ვარცხნილობის შეცვლაზე ფიქრს იწყებთ - 3;
 - გ) ატარებთ მანამ, სანამ მოდურია - 3.
- 2) თქვენი აზრით, თმის მოვლის დამატებითი საშუალებები:
 - ა) არაფერს შევლის და უბრალოდ, ფულის ფანტაზა - 0;
 - ბ) მხოლოდ მშრალი თმისთვის არის სასარგებლო - 2;
 - გ) ნებისმიერი ტიპის თმისთვის არის აუცილებელი - 3.
- 3) დილის 10 წუთიანი ვარჯიში გეხმარებათ:
 - ა) ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაში - 3;
 - ბ) გასუქების თავიდან აცილებაში - 2;
 - გ) კუნთების გამაგრებასა და განვითარებაში - 1.
- 4) თქვენი აზრით, სახის მკვებავი კრემის გამოყენება სჯობს:
 - ა) დილას ან საღამოს, კანის ტიპის შესაბამისად - 3;
 - ბ) მხოლოდ მშრალი კანის შემთხვევაში - 2;
 - გ) დროდადრო, მხოლოდ იმისთვის, რომ სახის კანმა „დაისვენოს“ - 1.
- 5) თუ ვაჭარავებული თმის შეღებვას გადაწყვეტთ:
 - ა) თქვენი თმის ფერს აირჩევთ - 2;
 - ბ) უფრო ღია ფერად შეიღებავთ - 3;
 - გ) გაიმუქებთ, რადგან თვლით,

- როგორ შეგიძლიათ შეაფასოთ საკუთარი თავი ამ კუთხით?
 - ქალთა იმ კატეგორიას ეკუთვნი, რომელსაც მეტი მოზილიზება სჭირდება, თუ მათ რიგს მიეკუთვნებით, ვინც საკუთარ მოზილიზებას სათანადოდ არ აფასებს? უპასუხეთ ტესტის შეკითხვებს და დაადგინეთ, როგორი ხართ სინამდვილეში.
- რომ ეს აასაღავზრდავებს - 1.
- 6) თუ წვეულებიდან შეუღამის შემდეგ ბრუნდებით:
 - ა) სწრაფად გაიწმინდთ სახეს რომელიმე კოსმეტიკური საშუალებით და დასაძინებლად წახვალთ - 2;
 - ბ) დადლილობის გამო კოსმეტიკურ პროცედურას არ ჩაიტარებთ - 0;
 - გ) დადლილობისა და დროის მოუხედავად, დასაძინებლად არ წახვალთ, სანამ თავს არ მოიწესრიგებთ - 3.
- 7) თქვენი აზრით, დილით თუ საუზმეზე ხილს მიირთმევთ:
 - ა) თავიდან აიცილებთ გასუქებას - 0;
 - ბ) ორგანიზმი საჭირო ვიტამინებს მიიღებს - 3;
 - გ) ეს საუკეთესო დიეტაა, რაც გახდომასა და გაასაღავზრდავებას უწყობს ხელს - 3.
- 8) ქვემოთ მოყვანილ შეკითხვებს უპასუხეთ მხოლოდ „დაიხ“ ან „არა“:
 - ა) ეწვევით თუ არა თამბაქოს? დაიხ - 0; არა - 1.
 - ბ) მიირთმევთ თუ არა ალკოჰოლურ სასმელებს? დაიხ - 0; არა - 1.
 - გ) ვარჯიშობთ ან სეირნობთ თუ არა ყოველდღიურად? დაიხ - 1; არა - 0.
 - დ) ხშირად სვამთ თუ არა
- მინერალურ წყალს? დაიხ - 1; არა - 0.
- ე) იცავთ თუ არა მკაცრ დიეტას? დაიხ - 0; არა - 1.
- ვ) ხშირად იკეთებთ თუ არა სხვადასხვანაირ მაკიაჟს? დაიხ - 1; არა - 0.
- ზ) რეგულარულად ხმარობთ თუ არა კარგ სუნამოს? დაიხ - 1; არა - 0.
- ი) ფრჩხილების კენჭტა ხომ არ გჩვევიათ? დაიხ - 0; არა - 1.
- ი) ისეთივე მონღომებით იკეთებთ თუ არა პუდიკურს, როგორც მანიკურს? დაიხ - 1; არა - 0.
- კ) იყენებთ თუ არა მკვებავ კრემს? დაიხ - 1; არა - 0.
- 9) თვლით თუ არა, რომ თვლები მოდურად შეღებვა:
 - ა) მხოლოდ ასაღავზრდა ქალებს უხდებათ - 1;
 - ბ) კარგია მოდელის პროფესიის მქონე გოგონებისთვის - 1;
 - გ) ზომიერად, ყველა ასაკში მისაღებია - 3.
- 10) თუ საღამოს საზეიმო სუფრაზე ხართ მიწვეული, რამდენი ხანი იკეთებთ მაკიაჟს სახეზე?
 - ა) ხუთი წუთი - 1;
 - ბ) დაახლოებით ერთი საათი - 2;

- გ) ოცი წუთი - 3.
- 11) თქვენი აზრით, წამწამებზე ტუშის წასმის შემდეგ, რატომ არის საჭირო მათი დავარცხნა?
 - ა) რათა ტუში დიდხანს შეინარჩუნოთ - 2;
 - ბ) წამწამები უფრო ხშირი და გრძელი რომ გამოჩნდეს - 3;
 - გ) ასეთი წამწამების ქვემოდაც მზერაც თითქოს სხვანაირია - 1.
- 12) თუ დღის მანძილზე ბევრ წყალს მიირთმევთ:
 - ა) თავს მძიმედ გრძობთ და სრულიად არ გრვებთ - 0;
 - ბ) ეს ხასიათს გამოგიკეთებთ და სახის კანის მდგომარეობაზეც დადებითად აისახება - 3;
 - გ) წყალს თითქმის არ მიირთმევთ - თვლით, რომ მის მაგივრად წვნიანის, ჩაისა და ყავის მიღებაც საკმარისია - 0.
- 13) როგორ აფასებთ საკუთარ გარეგნობას?
 - ა) ძირითადად დადებითად, თუმცა შეიძლება უკეთესიც ყოფილიყო - 3;
 - ბ) საკუთარი გარეგნობით ყოველთვის უმჯობესი იყავით - 1;
 - გ) კოსმეტოლოგთან და საპარიკმახეროში ვიზიტიც კი არაფერს გშველით - 1.
- 14) თვლით, რომ კვების თქვენი რეჟიმი:
 - ა) მნიშვნელოვანია თქვენი გარეგნობისთვის - 0;
 - ბ) არ არის მნიშვნელოვანი, სანამ წონაში მატებას არ დაიწყებთ - 3;
 - გ) ძირითადად იმ კერძებს ემყარება, რომელიც გიყვართ - 1.

დაავაზიეთ ძულავი და იპოვიეთ პასუხის შესაბამისი ვარიანტი

35-49 ქულა: სილაამაზის ყველა საიდუმლოს ფლობთ და რეგულარულად იყენებთ, რათა ყოველთვის კარგად გამოიყურებოდეთ. თვითკმაყოფილების გრძნობა არ გაქვთ, მაგრამ საკუთარი გარეგნობით ნამდვილად ამყობთ. მოგწონთ, როცა გარშემოყოფნი აღტაცებული ხართ თქვენი. იცით, რა სჭირდება თქვენს სხეულს, თმასა და კანს. შეიძლება, სხვებს ეჩვენებათ, რომ გარეგნობას და თავის მოვლას დიდ დროს უთმობთ, მაგრამ ეს სიმართლეს არ შეეფერება, რადგან, ეს თქვენთვის დასვენება და სიამოვნებაა.

25-34 ქულა: თქვენ შეგიძლიათ კარგად გამოიყურებოდეთ და საკუთარი სილაამაზე მომტებინად წარმოაჩინოთ, მაგრამ ამის მისაღწევად სწორი რეჟიმი არ გაქვთ შემუშავებული. ამის გამო, ხან საუცხოოდ გამოიყურებით, ხან კი - ძალიან ჩვეულებრივად. იმეტომ, რომ ჩვეულებად არ გაგიხდიათ თავის მოვლის ყოველდღიური პროცედურები. კარგად იცით, როგორ უნდა მოიქცეთ, მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებთ. სჯობს, მეტად გულმოდგინე გახდეთ, რათა ყოველთვის გამოიყურებოდეთ ისე, როგორც მოვლილ ადამიანს შეეფერება.

15-24 ქულა: ხშირად ფიქრობთ, რომ სილაამაზე მხოლოდ ბუნების საჩუქარია, მათ კი, ვის გარეგნობასაც ღმერთმა რაღაც მოაკლო, არაფერი ეშველებათ. არც კი ცდილობთ, საუკუნო მეთოდებით სრულყოფილებების მიღწევას. იცით, რომელი საშუალებები უნდა გამოიყენოთ თმისა და კანის მოსაველეად, მაგრამ საკუთარ თავს უშტკიცებთ, რომ ამაზე დროის დასარჯვა არ ღირს და ცხოვრება უამისოდაც შეიძლება. არ გჯერათ, რომ გარეგნობისადმი სისტემატური ყურადღება მის სრულყოფაში დაგეხმარებათ. სანამ დროა, სასწრაფოდ შეცვალეთ ამ საკითხისადმი დამოკიდებულება, რადგან მოხდენილ ქალად გადაქცევის ყველა შანსი გაქვთ.

14 ქულაზე ნაკლები: ცხოვრებაში იმ პრინციპით ხელმძღვანელობთ, რომ გარშემოყოფებმა ისეთად უნდა მიგიღონ, როგორიც ხართ და თქვენი გარეგნობის ყველა ნაკლს უპირობოდ შეეგუონ. დაფიქრდით - იქნებ სჯობდეს, ცოტაოდენი დრო საკუთარი თავის მოვლას დაუთმოთ, ამით ხომ გარშემოყოფთა მხრიდან მეტ ყურადღებასა და პატივისცემასაც დაიმსახურებთ.



18 საფეხუხი სამოთხემდე

ჩანჩქერებითა და მარმარილოს კიბეებით დამშვენებული საუცხოო ბალები თვრამეტ იარუსად გაუშენებიათ ისრაელის ქალაქ ხაიფის ე.წ. ბაიხაის ტაძრის წინ. ქვეყნიერების ამ ახალი საოცრების მშენებლობა ათი წელიწადი გაგრძელდა და 250 მლნ დოლარი დაჯდა. საზეიმო გახსნაზე სხვადასხვა ქვეყნიდან 3000-მდე ბაიხაის მიმდევარი ჩასულა. ამ მიმდინარეობის ფუძემდებელი და წინასწარმეტყველი ელ-ბაზი (ბარ მირცა ალი მუჰამედი) 1850 წელს სიკვდილით დასაჯა ირანის ხელისუფლებამ, სარწმუნოების უარყოფისა და ხალხში არეულობის გამოწვევის მოტივით. XIX საუკუნის შუა პერიოდში მის მიერ შექმნილი ბაიხაის რელიგია ყველა სარწმუნოებას ერთიანობისაკენ მოუწოდებს და მთელი კაცობრიობის გაერთიანებას ქადაგებს. მორწმუნეთა მიერ 1935 წელს აგებული ტაძარი, რომელშიც ელ-ბაზია დაკრძალული, ბაიხაეების მსოფლიო რელიგიის ცენტრად ქცეულა, თვით ამ მოძღვრების მიმდევართა რაოდენობა კი სულ 5 მლნ-მდე აღწევს.



„ხეყოფისმენი“ ფეხსაცმელი

ეს საზაფხულო ფეხსაცმელი ინდოეთის ქალაქ აგრამში გაჩნდა. მისი შემქმნელია 52 წლის მეწაღე აბდულრაშიდ ვარსი, რომელმაც თავისი „ნაწარმოები“ ნატურალური ტყავისგან შექმნა. ქოში 45 კგ-ს იწონის და სიგრძეში 3,70 მეტრს აღწევს. საკარაულოა, რომ ის ვინესის რეკორდების წიგნში მოხვდება, თუმცა, ვინესის გამომცემლობის წარმომადგენლებს ფეხსაცმლის უნიკალურობის დამადასტურებელი თავიანთი დასკვნა ჯერ არ გაუკეთებიათ.

ვის ეკუთვნის „ნიხვანას“ მემკვიდრეობა?

პოლიეუფელმა მსახიობმა და მომღერალმა ქორტნი ლავმა მაგალითად, ჯონ ლენონის ქვრივის იოკო ონოს გზა აირჩია, რომელმაც დიდი ფზა გამოიჩინა „ბითლზის“ მემკვიდრეობისთვის ბრძოლისას და ამით სოლიდური ქონებაც დააგროვა. ჯგუფ „ნირვანას“ ლიდერის კურტ კობეინის ქვრივის ბროლა კობეინის ორი „თანაგუნდელის“ – დევი გროლისა და კრის ნოვოსელიკის წინააღმდეგ არის მიმართული: ქორტნი მათ კურტის უცნობი სიმღერების ჩაწერასა და, მაშასადამე, ამ საქმით ფულის შოვნას უკრძადავს. ამას გარდა, ვარსკვლავს განზრახული აქვს, სასამართლო წესით დაისაკუთროს „ნირვანას“ მთელი მემკვიდრეობა: კობეინის გარდა, ამ ჯგუფში არავის არაფერი შეუქმნია, ამიტომ ყველა სიმღერაზე საავტორო უფლებები მხოლოდ მე მეკუთვინისო, ამტკიცებს ლავი. მაგრამ მუსიკოსებმა მოულოდნელად სასამართლოს კობეინის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი წარუდგინეს, რომლის თანახმად, „ნირვანას“ ყველა წევრს ჩაწერილ კომპოზიციებზე თანაბარი უფლებები აქვს. ამის საპასუხოდ ქვრივმა განაცხადა: დოკუმენტზე კურტს მოტყუებით მაშინ მოაწერინეს ხელი, როცა ის ნარკოტიკის ძლიერი ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. როგორც ყოვლისმცოდნე შურნალისტები აღნიშნავენ, შემთხვევითი არ არის, რომ ეს დავა სწორედ ახლა გაჩაღდა: ცოტა ხანში „ნირვანას“ ყველაზე პოპულარული ალბომის NEVERMIND-ის საიუბილეო გამოცემა უნდა გამოვიდეს და ექსპერტთა პროგნოზებით მისი ტირაჟი, სულ ცოტა, 15 მლნ ეგზემპლარი იქნება...



ქართული „გზა“ ახსნაღვს კონკრეტს „ორიგინალური რუბრიკა“

ნავისიერი შურნალისტს (არაშურნალისტსაც) შუაქლია წარმოადგინოს შურნალის გვირდის ან რუბრიკის ორიგინალური ვარიანტი. კონკრეტში გააზრდებულავი უზრუნველყოფილი იქნებიან სტატიური სახსარებით (შესაძლებელია ერთჯერადი ანაზღაურებაც). რუბრიკის იღავა და შინაარსი გთხოვთ წარმოადგინოთ წერილობით, რადაქციაში, ან გაიმოგზავნოთ „კვირის პალიტრის“ („სტატია და საჰმის“) საფოსტო მუთავის საშუალებით.

ინფორმაციისთვის დარეკეთ: 33-50-32

ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი შურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვა ბატონმა ასლან აბაშიძემ. ვულოცავთ ბატონ ასლანს და ვუსურვებთ წარმატებებს!

ყველაფერი უნდა ვისოდ

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნება)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გაგარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. შურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს. გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (31 ივლისის) 13 საათამდე.



**„ფანტაზია“
ყველაფერი
უნდა ვიცოდა**



**„ფანტაზიაში რუს
აკიტივების“
(ა)კრეულის**

თავისუფალი და საბედისწერო ჟულია ბინოზი

ბ 79 / 27

რატომ ითვლება ჟულიეტი
თფიციალურად ქალიშვილად...